პაატა ფირანიშვილი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში

თბილისის უნივერსიტეტის. გამომცემლობა
თბილისი 1988

83. 3Гр 1
ფ 624

ნაშრომში სათანადო საარქივო მასალების, წყაროების, მონოგრაფიებისა და სხვა სახის ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია საზღვარგარეთის ქვეყნების ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი ვ. დონაძე

რეცენზენტები: გ. ჟორდანია
ა. მენთეშაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

0803000000
П ———
М608(06)88

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დიდი ქართველი მოაზროვნის, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული განმანათლებლობის ლიდერის, ილია ჭავჭავაძის წვლილი ქართველი ხალხის სულიერ საგანძურში განუზომლად დიდია.

ილია ფართოდ ეხმაურებოდა ცხოვრებით ნაკარნახევ ქვეყნის ყველა საჭირბოროტო პრობლემას. სამშობლოს სამსახურში იგი ერთნაირად იყენებდა პოეტის ჩანგს და კრიტიკოსის მახვილ სიტყვას, ისტორიკოსის ერუდიციას და იურისტის ალღოს, ფილოსოფიურ მჭევრმეტყველებას და პუბლიცისტის მგზნებარებას. ამიტომაა მისი მრავალფეროვანი შემოქმედება ეროვნული და, ვაჟას სიტყვები რომ ვიხმაროთ, თვით ილია იყო „წარმომადგენელი მთელი საქართველოს ერისა, მისი იდეოლოგი“.[1]

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივი მოღვაწეობის რომელ დარგსაც უნდა გადავხედოთ, აშკარად ჩანს, რომ მისი ბუმბერაზი გონების ძირითად საზრდოს წარმოადგენს საქართველოს გმირული ისტორია, მისი აწმყო და ნათელ მომავალზე მუდმივი ფიქრი, მშობლიური ქვეყნისა და მისი ხალხის შემოქმედებითი გენიის რწმენა.

ჯერ კიდევ ბავშვობაში დედისა და სოფლის მასწავლებლის მიერ მონათხრობმა ისტორიულმა ამბებმა გააღვივეს ილიას სულში ის ნაპერწკალი, რომელსაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია და რომელიც მისი ცხოვრების მანძილზე წამითაც არ განელებულა. ილია თავის ავტობიოგრაფიაში წერდა: „დედაჩემმა მშვენივრად იცოდა ძაშინდელი ქართული მწერლობა,... საღამოობით დაგვსხამდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს, წაკითხვის შემ-

---

[1] ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა, ყვავ-ყორნები ილიას აჩრდილის გარშემო, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. 5, თბ., 1961, გვ. 241.

დეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე ღღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო"[2]. შემდეგ ილია განაგრძობს: „სწავლა 8 წლისამ დავიწყე ჩვენი სოფლისავე მთავართან — ქართული წერა-კითხვითა. მთავარმა ძალიან კარგად იცოდა ქართული და სახელი ჰქონდა განთქმული საღმრთო წიგნების კარგის მკითხველისა. ხოლო უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად.

ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული" — თემად გამოვიყენე მრავლის წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე. ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია კვალი მთავრის ამბების გავლენისა".[3]

მშობლიური ისტორიისა და ლიტერატურის დამოუკიდებლად შესწავლას ილია იწყებს ჰაკეს პანსიონსა და თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს, რასაც შემდგომ უფრო გატაცებით აგრძელებს სტუდენტობის პერიოდში პეტერბურგში ყოფნისას. ილია საუნივერსიტეტო საგნების მომზადებასთან ერთად ხშირად ღამეებსაც კი ათენებდა ძველი ქართული წიგნების კითხვაში. მის სამაგიდო წიგნებს შორის იყო „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია. ილიას ინიციატივით იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და ქართველ სტუდენტთა შეკრებები სამშობლოს საჭირბოროტო საკითხებზე. ილიას მეგობარი კოსტა აფხაზი იგონებს: „ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და კბაასობდით, როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს და-

---

[2] ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 307.

[3] იქვე.

ბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედო"[4]. ილიას ინიციატივით და ცნობილი ქართველი მეცნიერის დ. ჩუბინაშვილის ხელშეწყობით პეტერბურგში მყოფმა ქართველმა ახალგაზრდებმა საფუძველი ჩაუყარეს პატრიოტულ საქმეს — ძველი ქართული ხელნაწერებისა და წიგნების შეგროვებას.

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის პოეზიით. ის „ვეფხის ტყაოსანს" უწოდებდა „უძირო მორევს, ზღვას აზრისა და გრძნობისას"[5], რაც შეეხება დავით გურამიშვილს, ილია წერდა რომ: „...მისი დიდაქტიკური პოეზია პირს არ შეირცხვენს თუნდა ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიკურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირ და რომლის სარწმუნოებრივი ღაღადება დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნების სიმაღლემდეა ასულიო"[6]. ილია ჭავჭავაძე დიდ პატივს სცემდა ვახტანგ VI-ის, არჩილის, თეიმურაზ I-ის და თეიმურაზ II-ის შემოქმედებას, სულხან-საბას სიბრძნეს და XIX საუკუნის ახალი ქართული მწერლობის შესანიშნავი წარმომადგენლების: ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას.

პირველად ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ი. ჭავჭავაძე 1858 წლის ზაფხულში სტუდენტური არდადეგების დროს გაეცნო. კოხტა აფხაზი გადმოგვცემს: „მახსოვს ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, საძეგრელოს მთავრის ასულს, ქალბატონმა დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი" და „მერანი". ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით".[7]

ამრიგად, სამშობლოს გმირულმა ისტორიამ და ქართულმა ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჭავჭავაძის იდეური კრედოს ფორმირებაზე. ილია თვითონაც შე-

---

[4] ლიტერატურული მემკვიდრეობა, თბ., 1937, გვ. 564.

[5] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს? თხზ. სრული კრებული, ტ. 3, გვ. 152.

[6] იქვე, გვ. 153.

[7] ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 564.

ხიშნავდა, რომ „ჩემში მაინცდამაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებულიო“.[8]

ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა რუსულმა კულტურამ და ლიტერატურამ. ოთხი წლის განმავლობაში პეტერბურგში ყოფნის დროს, იგი სისტემატურად ესწრებოდა და დიდი მონდომებით ისმენდა პროგრესულად მოაზროვნე პროფესორების: კოსტომიროვის, პიპინის, სტასულევიჩის, სპასოვიჩის და სხვათა ლექციებს. ილია საფუძვლიანად გაეცნო ა. ს. პუშკინის, მ. ი. ლერმონტოვის, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, ი. ს. ტურგენევის. ა. პ. ჩეხოვის, ფ. ი. დოსტოევსკის და სხვათა შემოქმედებას.

„... იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია. ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს“[9] — წერს ილია „მგზავრის წერილებში“. რუსეთში მიღებული განათლებისა და ცოდნის შესახებ, იგი მსგავს შეხედულებას ავითარებს თავის შესანიშნავ წერილში „დედათა საქმე და ქალთა განათლება“, რომელიც 1889 წელს დაიწერა: „თქმა არ უნდა — წერდა ილია,—რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს“, „... საკვირველი არ არის რუსულმა სკოლამეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და გამოჭკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე“[10]. პეტერბურგში ყოფნისას ილია განსაკუთრებით ახლო ურთიერთობაში იყო. რუსეთის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. უფრო შეტიც, იგი პირადად იცნობდა ნ. ჩერნიშევსკის და მის თანა-

---

[8] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, მგზავრის წერილები, თხზ. სრული კრებული, თბ., 1955, ტ. 2, გვ. 12

[9] იქვე, გვ. 11.

[10] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დედათა საქმე და ქალთა განათლება, თხზ. სრული კრებული, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 369.

შოაზრეებს, რომელნიც თანამშრომლობდნენ ჟურნალ „სოვრემენიკში".

ილია ჭავჭავაძე კარგად ხედავდა, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკი თანამიმდევრულად იბრძოდა, როგორც რუსი ხალხის, ისე იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების თავისუფლებისათვის. თავის შესანიშნავ ნაშრომებში ჩერნიშევსკი ასაბუთებდა ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას და ცდილობდა დაერაზმა მათი მოწინავე ძალები სოციალური, პოლიტიკური და ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამიტომ მას ბელადად მიიჩნევდა არა მარტო მოწინავე რუსი ახალგაზრდობა, არამედ ქართველი საზოგადოებაც[11]. სწორედ ჩერნიშევსკისა და სხვა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით ილია ჭავჭავაძე აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში და თავის გარშემო შემოიკრიბა პეტერბურგში მყოფი ქართველი მოწინავე სტუდენტი-ახალგაზრდობის დიდი ნაწილი[12], რამაც რა თქმა უნდა განაპირობა ილიას საქმიანობით ხელისუფალთა განსაკუთრებული დაინტერესება, როგორც პეტერბურგში, ასევე საქართველოში მისი დაბრუნების დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე[13].

ი. ჭავჭავაძე და მისი იდეური თანამოაზრეები: ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, კ. ლორთქიფანიძე და სხვანი, არა მარტო პეტერბურგში ედგნენ მხარში რუს-რევოლუციონერ დემოკრატებს, არამედ ისინი მათ იდეებს საქართველოშიც ქადაგებდნენ, მაგრამ ამავე დროს ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწეობა რამდენადმე მაინც განსხვავდებოდა რუს რევოლუციონერთა მსოფლმხედველობისაგან იმ სპეციფიკური თავისებურებებით, რომლებიც იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების პირობებით იყო განპირობებული. რამდენადაც

---

[11] შ ა დ ე ლ ი ნ. გ. ჩერნიშევსკი და „თერგდალეულები", ჟ. „მნათობი", № 7, თბ., 1978, გვ. 120.

[12] Б а с к а к о в В. Г. Мировоззрение И. Г. Чернышевского, М., 1956, стр. 150—151.

[13] აღსანიშნავია, რომ საქართველოში ილიას დაბრუნებისთანავე თბილისის საგუბერნიო პოლიციამ პეტერბურგიდან მიიღო განსაკუთრებული მითითება, რომლის თანახმადაც ილიაზე წესდებოდა ყოველდღიური საიდუმლო ზედამხედველობა, რასაც მოწმობს პოლიციის საიდუმლო აქტები, დაცული საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში. იხ. ცსსა. ფ. 17, ს. 2056, ფურც. 1—8.

რუსეთისაგან განსხვავებით საქართველო, ამ პერიოდში სოციალურ ჩაგვრასთან ერთად განიცდიდა ეროვნულსაც, გლეხობის განთავისუფლებასთან ერთად, ილია და მისი მეგობრები პირდაპირ აყენებდნენ საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საკითხსაც.

ქართველი ხალხის ორმაგი ჩაგვრა, ცარიზმთან ბრძოლასაც ორკვარ ხასიათს აძლევდა, რაც თავისთავად თერგდალეულთა და მათი მეთაურის ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის თავისებურებებსაც აპირობებდა.

დაბოლოს, მესამე იდეური წყარო, რომელმაც არანაკლებ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა როგორც ი. ჭავჭავაძეზე, ასევე საერთოდ ქართველ „თერგდალეულებზე" — „ეს იყო, როგორც ნ. ნიკოლაძე შენიშნავდა — ფრანგი განმანათლებლების შეხედულებები და საერთოდ ინგლისის, გერმანიისა და საფრანგეთის სხვა პროგრესულ მოღვაწეთა ნააზრევი"[14].

ილია ჭავჭავაძის მდიდარ იდეურ მემკვიდრეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ქართველებთან ერთბედქვეშ მყოფი საზღვაგარეთის ხალხების ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე მცხოვრები ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაკუთრებული აღმავლობა, მათ მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში გამომუშავებული მეთოდები და გამოცდილება, სანიმუშო ჩაგალითად იქცა ილიას მეთაურობით სამოციანელთა მიერ შემუშავებული დიდი ეროვნული პროგრამის განხორციელების საქმეში. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში წერდა: „აი საგანი და აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილების ფარ-ხმალით შეჭურვილი, აი რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს... ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის

---

[14] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, ახალი ახალგაზრდობა, ე. „კრებული", № 1, თბ., 1872, გვ. 292.

გამოცდილება დ ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს"[15].

საქართველოს საქმედ კი ილია, უპირველეს ყოვლისა, თვლიდა „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენას, ფეხზე დაყენებას და დაცვას ყოვლის მოსალოდნელის ფათერაკისაგან"[16]. ამ პროგრამიდან გამომდინარეობდა მისი მისწრაფება, საფუძვლიანად შეესწავლა სახლვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები ჩაგრული ხალხების ისტორია, მათი სამართლიანი ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ და ყოველივე სასარგებლო საქართველოს სინამდვილეში გამოეყენებინა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველ საზოგადოებასა და მათ ლიდერს ი. ჭავჭავაძეს ევროპის გამოცდილება ბრმად არ გადმოჰქონდა, ილიას სიტყვები რომ ვიხმაროთ „ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის", ისინი ყოველივეს „კრიტიკის ცეცხლში აფოლადებდნენ და ასეთი სახით ითვისებდნენ"[17] ილია ჭავჭავაძემ, სახლვარგარეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლის აუცილებლობა განსაკუთრებით საინტერესოდ დაასაბუთა 1877 წელს მის ბიერ შედგენილ „ივერიის" პროგრამულ სტატიაში. იგი წერდა: „საზოგადოებამ ჰსცნო აუცილებელი საჭიროება უცხო ხალხთა ცხოვრების გაცნობისა; დაინახა, რომ თავისი ბედი და უბედობა ბევრად დამოკიდებულია უცხო ხალხთა ბედსა და უბედობაზედ; დაინახა, რომ ხალხთა შორისი ძისვლა-მოსვლა, ურთიერთის გაცნობა, ძლიერი საშუალებაა ხალხის წინ ფეხის წადგომისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. ამაში მდგომარეობს სხვათა შორის ამ ახალი დროის ერთი შესანიშნავი ღირსებაცა, როგორც ადამიანისათვის ცალკე, ისე საზოგადოებისათვის საერთოდ სხვისი საგალითი დიდი რამ არის. ცუდი, თუ კარგი ორივე გამოსაყენებელია. ცუდს ავიცდენთ, კარგს მივითვისებთ. აქედან ჰსჩანს, რომ ყველა გაზეთმა ანუ ჟურნალმა უნდა შესაბამისი ადგილი მისცეს და ღირსეული ყურადღება მიაქციოს უცხო ხალხთა ცხოვრებას და მდგომარეობას, თუ სურს სხვის მაგალითით თვით-ცნობა გაუადვილოს საზოგადოებას, ბედნიერების გზა აპოვნინოს, უბედურე-

---

[15] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 97—98.

[16] იქვე, გვ. 95.

[17] ი. ჭავჭავაძე, დედათა საქმის გამო, თხზ. სრული კრებული, ტ. 8, თბ., 1957, გვ. 332.

ბის მიზეზი მოასპობინოს. იმიტომ რომ ყოველ ამისათვის მაგალითი და ცნობანი სხვათა ცხოვრებაში აუარებელია ამ სახით სამაგალითო და ღირს საცნობ საგნად წარმოგვიდგება სხვათა შორის უცხო ხალხთა საპოლიტიკო ცხოვრებაცა, ამ მოვალეობის აღსასრულებლად დანიშნულია ჩვენი გაზეთის ერთი ნაწილი — „უცხოეთი“[18]...

ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ სიყრმის პერიოდში გასცნობია საზღვარგარეთის ქვეყნებში წარმოებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს და იმ დროიდან იყო აღფრთოვანებული ჯუზეპე გარიბალდის, ჯუზეპე მაძინის, ლაიოშ კოშუთისა და სხვა ეროვნულ გმირთა მამაცობით. სწორედ ამ გმირთა მოღვაწეობამ შემდგომში დიდად შეუწყო ხელი ილიას პოლიტიკური პლატფორმის ფორმირებას და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მისი ადგილი განსაზღვრა.

ერთ-ერთ წერილში ნიკოლოზ ნათიძე იგონებს: „... ილიამ მიამბო, რომ ერთ დროს (ყმაწვილობაში) დავაპირე ბერად შედგომა, ძლიერ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო, მაგრამ როცა გარიბალდიმ დაიწყო თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს განზრახვა“[19].

გარიბალდისადმი ღრმა პატივისცემა და მოკრძალება ილიას მთელი ცხოვრების განმავლობაში თან ახლდა. ამის მაგალითს წარმოადგენს, არა მარტო „რისორჯიმენტოსადმი“ მიძღვნილი მისი მხურვალე ლექსი. არამედ ის ფაქტიც, რომ ილიას კაბინეტს დიდ ქართველ მამულიშვილთა (აღმაშენებელი, ერეკლე II) პორტრეტებთან ერთად აშშვენებდა გარიბალდის პორტრეტიც.

თუ კარგად ჩავიხედავთ ი. ჭავჭავაძის შემოქმედებით ლაბორატორიაში, დავინახავთ, რომ საზღვარგარეთული ქვეყნების ისტორიული პროცესისა და კერძოდ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებზე სერიოზული მოსაზრებების გამოთქმა, ილიას უშრეტი შემოქმედებითი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

---

[18] გაზ. „იბერია“, № 1, თბ., 1877.

[19] ლიტერატურული მემკვიდრეობა, გვ. 573.

ამდენად, შეუძლებელია საფუძვლიანად გავერკვეთ ილიას სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მთელ კომპლექსში, თუ დიდი მონდომებით არ შევისწავლით აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მის საინტერესო ნაბეჭდებს და მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შუქზე. თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მოთხოვნათა შესაბამისად არ განვიხილავთ მას.

მართალია, ილია ჭავჭავაძემ ახალი დროის მსოფლიოს ისტორიის ბევრი აქტუალური საკითხი გააშუქა ქართული პრესის ფურცლებზე[20], მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ განზრახვა არა გვაქვს ამომწურავი შეფასების საგნად გავხადოთ ცოდნის ამ სფეროში მის მიერ გამოთქმული ყველა შეხედულება. ნაშრომს უფრო კონკრეტული დანიშნულება აქვს. მრავალი საკითხიდან მასში ყურადღება გამახვილებულია ილიას მიერ ყველაზე უფრო ვრცლად და თანამიმდევრულად გაშუქებულ შემდეგ საკითხებზე: 1. ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის; 2. სლავური აღორძინება; 3. ებრაელთა საკითხი; 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თურქეთის იმპერიაში და ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მისი მემკვიდრეობისათვის. (XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლო, 90-ნი წლების მეორე ნახევარი).

---

[20] აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელიც აქტიურად გამოეხმაურა პარიზის კომუნას, რის გამოც ილიას შესახებ გაზეთი „პრავდა" წერდა შემდეგს: „ქართველ სამოციანელთა იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე თავის შემოქმედებაში არავრთხელ გამოეხმაურა თავისი დროის ისეთ ისტორიულ მოვლენებს, როგორიც იყო პარიზის „კომუნაა" (იხ. „პრავდა", 4. IX. 1936). ილია ჭავჭავაძემ პარიზის კომუნას უძღვნა არა მარტო ბევრი პოლიტიკური წერილი და მიმოსილვა, არამედ ერთ-ერთი თავისი შესანიშნავი ლექსიც, რომლის შესახებაც, ცნობილი რუსი ლიტერატორი და მწერალი, ქართველ მწერალთა რუსულ ენაზე მთარგმნელი ვიქტორ გოლცევი შენიშნავდა: „სხვა ასეთი ლექსი, რომელიც თავისი ძალითა და ჭეშმარიტებით ასახავდეს პარიზის კომუნის მებრძოლთა აზრს, არ მოგვეპოვება არა თუ ქართულ, არც ამ პერიოდის სხვა ხალხთა პოეზიაშიო (იხ. Гольцев В. Грузинские писатели девятнадцатого века. М., 1948, с. 171).

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა

ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი საზღვარგარეთის ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა შესახებ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეულ ავტორთა საჟურნალო სტატიებსა და წერილებს, ქართველოლოგიურ ლიტერატურაში და ისტორიოგრაფიაში დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი.

ი. ჭავჭავაძის მდიდარი იდეური შემოქმედების ამ უბნის შესახებ სხვადასხვა დროს თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს პროფესორებმა: ი. კაჭარავამ[21], გ. ჯიბლაძემ[22], დ. მაისურაძემ,[23], ლ. გორგილაძემ[24], ა. იოსელიანმა[25] და განსაკუთრებით კი პროფ. ვ. დონაძემ[26]. ბაგრამ, არც ერთ ზემოთ აღნიშნულ ავტორს გარკვეული მოსაზრებით მიზნად არ დაუსახავს, კომპლექსურად შეესწავლა უცხო ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხებთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძის ნააზრევი და სპეციალურად არ განუხილავთ მისი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა. კერძოდ, ავსტრია-უნგრეთის დუალისტურ იმპერიაში შემავალი

---

[21] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, გერმანიის საავარეო პოლიტიკის პრობლემები ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში, ჟ. „მნათობი", № 7., თბ., 1942, გვ. 89. 97.

[22] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკა ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში. ჟ. „მნათობი", თბ., 1943, გვ. 112-130.

[23] დ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ი. ჭავჭავაძე და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხები. ჟ. „მნათობი", № 4, თბ., 1957, გვ. 112-123.

[24] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართველი სამოციანელები და მუშათა მოძრაობის საკითხები. ჟ. „მნათობი", № 10, თბ., გვ. 130-138.

[25] ა. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, 1860-1880 წლების ქართული პუბლიცისტიკა მილიტარიზმის წინააღმდეგ, ჟ. „მნათობი", № 6, თბ., 1951, გვ. 139—155.

[26] ვ. დ ო ნ ა ძ ე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემების შესახებ, თსუ გამომცემლობა, 1970; ვ. დ ო ნ ა ძ ე, ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ასახვა ქართულ პრესაში (XIX—XX სს.), თსუ შრომები, ტ. 107, თბ., 1964, გვ. 170—179; ვ. დ ო ნ ა ძ ე, ი. ჭავჭავაძე „აღმოსავლეთის საკითხის" შესახებ. ჟ. „მაცნე", № 3, თბილისი, 1969, გვ. 65-76.

სლავური ქმოსახლეობის კულტურულ-ეროვნული აღორძინების, ებრაელთა ისტორიული ბედისა და თურქეთის იმპერიაში მცხოვრები არამუსულმანი ხალხების მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლასთან ღაკავშირებით. ვითვალისწინებთ რა ყოველივეს. ნაშრომში ჩვენ შეეცადეთ შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა აღნიშნული საკითხები და კვლევის პროცესში გამოგვეყენებინა ის წერილებიც „ივერიიდან", რომელნიც არ არის შესული ილიას თხზულებათა კრებულში.

წინამდებარე ნაშრომში პირველად შესწავლილ საკითხებთან ერთად, ყურადღებაა გამახვილებული ქართველოლოგიურ ლიტერატურაში უკვე წარმოდგენილ საკითხებზეც, კერძოდ ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ძიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და „აღმოსავლეთის საკითხები". რამდენადაც მათი ავტორებისაგან განსხვავებით მიზნად დავისახეთ: დოკუმენტურ-მემუარული ლიტერატურის; პერიოდული პრესის და ზოგიერთი საარქივო მასალის; როგორც რევოლუციამდელი, ასევე თანამედროვე საბჭოთა და უცხოელ მკვლევართა მნიშვნელოვანი მოსაზრებების ილიას მონაცემებთან შეჯერებით გვეჩვენებინა ამ დიდი ქართველი მოაზროვნის მიერ საკვლევ პრობლემებზე წარმოებული მსჯელობისა და მიღებული დასკვნების სინამდვილესთან შესატყვისობის სურათი.

* * *

თავის საინტერესო პოლიტიკურ მიმოხილვებზე მუშაობისას, ილია ჭავჭავაძე საჭირო მასალებს ღებულობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების საზღვარგარეთ მყოფი კორესპონდენტებისაგან[27], ასევე ფართოდ იყენებდა იგი რუსული[28] და უცხოური[29] პრესის მასალებ-

---

[27] საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 480, აღწ. I, საქმე 172, გვ.4-5.

[28] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „ივერია", რუსული დემოკრატიული და ლიბერალური პრესის მასალებთან ერთად ხშირად ბეჭდავდა საინტერესო სტატიებს ისეთი ოფიციალური ორგანოებიდანაც კი, როგორიც იყო „პეტერბურგის უწყებანი", და „მოსკოვის უწყებანი", იხ. „ივერია", თბილისი, 1877, 19. I და 1895, 12. X I.

[29] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მიერ გამოყენებული უცხოური ჟურნალ-გაზეთებიდან აღნიშნავია გაზ.: „Time", „Standard", „Saturday Reviev" „Daily News" და სხვა. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, გვ. 42, 70, 210.

საც. რომელთაც შემდეგ საკუთარი მსოფლმხედველობის პრიზმაში ატარებდა. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ დროს საქართველოში უკვე მოქმედებდა ფირმა „სიმენსის" მიერ აშენებული ინდოევროპული ტელეგრაფი, რომელიც ქ. თბილისს აკავშირებდა არამარტო საქართველოს და იმპერიის ქალაქებთან, ასევე მსოფლიოს ბევრ დედაქალაქთანაც. საგულისხმოა, რომ აღნიშნული სატელეგრაფო ხაზით და საზღვარგარეთიდან მიღებული ახალი ცნობებით, თავის მხრივ სარგებლობდა არა მარტო ი. ჭავჭავაძის „ივერია", ასევე სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთებიც.

ამასთან ერთად ი. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა და ხშირად ეყრდნობოდა კიდევაც ცნობილი უცხოელი ავტორების: ჯონ სტიუარტ მილლის, მაქს ვირტის, თომას ბაქსტერის, ლეონ გამბეტას, ვილჰელმ ლიბკნეხტის[30] და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა მოგონებებსა და შეხედულებებს. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე მუშაობისას ჩვენთვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სპეციალურ მემუარულ ლიტერატურას, ასევე მისი დროის საზოგადო მოღვაწეთა შრომებს. გამოკვლევაში გამოყენებულია: ა. ტირპიცის[31], დ. ა. მილიუტინის[32], ვ. ნ. ლამზდორფის[33], ო. ბისმარკის[34], მ. ა. გაზენკამფის[35], მ. დევიტის[36], ჯ. მილლის[37], გ. ანოტოს[38], ა. ბებელის[39], ჟ. ჟორესის[40] და სხვათა მოგონებები და მნიშვნელოვანი პოლიტიკური შეხედულებები. ამავე დროს ჩვენ გა-

---

[30] ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, გვ. 41—42, 218 და 240.

[31] Т и р п и ц А. Воспоминания, М., 1957.

[32] М и л ю т и н Д. А. Дневник, М., 1949.

[33] Л а м з д о р ф В. Г. Дневник, СПб., 1896.

[34] Б и с м а р к О. Мысли и Воспоминания, М., 1940.

[35] Г а з е н к а м ф М. А Мой дневник 1877—1878, СПб., 1908.

[36] D e v i t t M. The fall of faudalism in Ireland. London and New-York 1904. Hurst and Blecket. 300 P.

[37] М и л л ь Дж. С. Англия и Ирландия, Харьков. 1978.

[38] H a n o t a u x G. Histore de la France conteporaine (1871—1900), Paris 1904, P., 494—495.

[39] Б е б е л ь А. Из моей жизни, Мемуары, т. 2, часть I, Петроград.

[40] Ж о р е с Ж. Против войны и колониальной политики, М., 1961.

მოვიყენეთ საქართველოს სსრ ცენტრალური საისტორიო არქივიდან, „კავკასიის საცენზურო კომიტეტის“ მასალები და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის (АВПР-ის) კონსტანტინოპოლისა და ათენის ფონდებში დაცული ზოგიერთი საინტერესო დოკუმენტი. ასევე ვისარგებლეთ მეფის რუსეთის, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული და XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობების ამსახველ დოკუმენტთა კრებულებით[41].

რამდენადაც თავის მიმოხილვებში ილია ჭავჭავაძე ხშირად სარგებლობდა პერიოდული ორგანოებით, ნაშრომზე მუშაობის პროცესში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციამდელ საქართველოში და რუსეთში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების, (როგორც ინფორმაციის წყაროს) გაცნობას, რადგანაც ცნობილია, რომ „პერიოდული პრესა არა მარტო ასახავს საზოგადოებრივ აზრს, არამედ იგი მოქმედებს კიდევაც მის ფორმირებაზე“[42]. ამ მხრივ კი, უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია შემდეგი ორგანოები: გაზ. „ივერია“, გაზ. „დროება“, გაზ. „Обзор“-ი, ჟ. „კვალი“, ჟ. „მოამბე“, რუსული დემოკრატიული და ლიბერალური პრესის ორგანოები: ჟ. „Современник“, მისი მემკვიდრე ჟ. „Отечественные записки“, „Дело“, ჟ. „Вестник Европы“, გაზეთები „Неделя“ და „Голос“.

---

[41] Русско-Турецкая война. 1878—1879; М., 1977; Русско-Германские отношения 1873—1914 (документы из секретного архива б. Министерства иностранных дел), М., 1922; Сборник материалов по русско-турецкой войне 1877—1878 гг.; На балканском полуострове. Выпуск 2, СПб., 1898; Освобождение Болгарии от Турецкого ига, т. 2, М., 1967; Сборник договоров России с другими государствами (1856—1917), М., 1952.

Die grosse Politik der Europäischen Kabinette 1871—1914. Bd. 9—10, Berlin 1924; Dokuments Diplematiques, Affaires d'orient. Paris 1897; Amerikan relations with Turkey 1830—1930. Philadelphia 1932; Blue Book, Turkey, № 2 (1898). Corespondence relative the Armenian-Question and Reports from her majestus consular officers in asiatic Turkey. London 1896.

[42] Быск И. Я. Курс лекций по источниковедению новой и новейшей истории. Тамбов, 1971, стр. 120.

ზემოთ მოტანილი წყაროებისა და მემუარული ლიტერატურის სათანადოდ გააზრებისას, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მთელი რიგი ნაშრომებით, რომელნიც სრულყოფილად და საფუძვლიანად წარმოგვიდგენენ მსოფლიო ახალი ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა თითქმის ყველა საკვანძო პრობლემას. ამავე დროს გამოვიყენეთ, როგორც რევოლუციამდელი რუსი ისტორიკოსების, ასევე საბჭოთა და თანამედროვე უცხოელ ავტორთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაც.

ინგლის-ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობასა და ირლანდიაში ინგლისელთა კოლონიურ პოლიტიკას, რის წყალობითაც ირლანდიელი ხალხი საუკუნეების განმავლობაში სასტიკი ჩაგვრის პირობებში იმყოფებოდა (და რომლის უგულებელყოფასაც ასე ამაოდ ცდილობენ თავიანთ ნაშრომებში ინგლისის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები ფ. ლოუნსი, პ. პლურნეტი, ჯ. ბეკეტი[43] და სხვანი), საინტერესოდ აშუქებენ საბჭოთა მკვლევრები. ისინი მრავალი კონკრეტული ფაქტობრივი მასალის მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანით, საინტერესოდ მიმოიხილავენ არამარტო ძველი ირლანდიური ტომების ყოფასა და ცხოვრებას, ამავე დროს განსაკუთრებით ფართოდ აშუქებენ ინგლისელთა მიერ ირლანდიის დაპყრობას და მათი კოლონიური პოლიტიკის თითქმის ყველა ასპექტს შუა საუკუნეების განმავლობაში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ი. მ. საპრიკინის ნაშრომი, სადაც ავტორი შენიშნავს, რომ „ინგლისურმა დაპყრობებმა შეაჩერეს ირლანდიის საზოგადოების ბუნებრივი და თვითმყოფადი განვითარება... ირლანდიელებს წაართვეს ყველაზე მდიდარი და ნაყოფიერი ადგილები ლეისტერში და სხვა საგრაფოებში, წაართვეს მათ ტყეები, ჭაობები და მთები. ჩამოართვეს სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახის სამუშაოების ნორმალურად წარმოების უფლება. რითაც საბოლოოდ უზრუნველყვეს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების განვითარების ხანგრძლივი შე-

---

[43] Louns F. Ireland in the new century, London 1870;
Plurnett H. Ireland since the famine, London 1970;
Beckett. G. The makeng of modern Ireland 1603—1923, London, 1966.

ფერხებაზ"[44]. ანალოგიური ახსნა აქვს ინგლისის კოლონიურ ექსპანსიას ირლანდიაში და ინგლისის პოლიტიკის აპოლოგეტების პასკვილებს ვ. ა. ზემსკოვას[45], ა. დ. კოლპაკოვის[46] და სხვა საბჭოთა ისტორიკოსთა გამოკვლევებშიც.

საბჭოთა მკვლევართა მიერ ღრმამეცნიერულადაა გაშუქებული ინგლის-ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორია ჩვენთვის საინტერესო XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედშიც. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული ღირებულების ნაშრომები შექმნეს პ. კერჟენცევმა[47], ე. ჩერნიაკმა[48], ა. ჩხეიძემ[49], ავტორთა კოლექტივმა ლ. გოლმანის მეთაურობით[50] და სხვებმა. ირლანდიის ტრაგიკული ისტორიის ამავე პერიოდს ასახავს ინგლის-ირლანდიელ პროგრესულ მკვლევართა ნაშრომებიც, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ტ. ჯექსონის ორი გამოკვლევა[51]. ავტორი მრავალრიცხოვანი დოკუმენტური ლიტერატურისა და წყაროების ანალიზის საფუძველზე რელიეფურად წარმოგვიჩენს ირლანდიელთა მიერ მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ბრძოლის, ინგლისელთაგან ირლანდიის ძალით დაპყ-

---

[44] Сапрыкин Ю. М. Английская колонизация Ирландии в 16—начале 18 в., М., 1959. стр 39.

[45] Земскова В. А. Колониальное ограбление Ирландии Англией в первой половине 17 в (Дисс. канд. ист. наук), М., 1955, стр. 55—69.

[46] Колпаков А. Д. Ирландия на пути к революции 1900—1914 гг., М., стр. 21—23.

[47] Керженцев П. М. Ирландия в борьбе за независимость, М., 1936, стр. 65—98.

[48] Черняк Е. Б. Массовое движение в Англии в конце 18—начале 19 в.. М., 1962.

[49] ა. ჩხეიძე, ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და დამოუკიდებლობისათვის XIX საუკუნის 70-80 წლებში. დის. ისტ. მეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1953.

[50] История Ирландии, М., 1980.

Джексон Т. А. Борьба Ирландии за независимость, М., 1949. Jackson T. Ireland Her Own, London 1971.

რობის და ირლანდიელი ხალხის მიმართ ინგლისის ხელისუფალთა მიერ მომარჯვებული კოლონიური ძალმომრეობის ჭეშმარიტ სურათს. მსგავსი პოზიციებიდან აშუქებენ თავიანთ საკვლევ პრობლემას: ბ. ჩაბი[52], მ. ტირნეი[53], ს. ფალლი[54], ა. მორტონი[55], ჯ. დერბი[56], დ. პეა[57] და სხვა ავტორებიც მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, არც ჩამოთვლილ ავტორთა ნაშრომები იძლევიან ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის სრულ სურათს, რამდენადაც ისინი ირლანდიელთა უბედურების ძირითადი მიზეზების გაშუქების ნაცვლად, მხოლოდ ირლანდიელთა გმირული ბრძოლის პერიპეტიებს აღწერენ.

ისევე, როგორც ირლანდიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანადაა შესწავლილი XIX საუკუნის 70—90 წლების ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მიმდინარე ღრმა შინაპოლიტიკური კრიზისის გამომწვევი მიზეზები და, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შუქზეა განხილული სლავური მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა ასპექტი[58]. ნაშრომი ეყრდნობა აგრეთვე მთელ რიგ საბჭოთა მკვლევრების მონოგრაფიებს, რომელთაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს დუალისტური იმპერიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და ჩაგრულ ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საქმეში. ასეთი სახის ნაშრომები

---

[52] Cubb B. The Government and politics of Ireland, L., 1974.

[53] Tierneu M. Modern Ireland 1850—1950, Dublin 1972.

[54] Falls C. Elizabeths Irish wars, London 1950.

[55] Мортон А. История Англии, М., 1950.

[56] Darby J. Conflikt in worthern Ireland. The Development of a Polarised community. Dublin 1976.

[57] Пеа Л. Де. Расколотый Ольстер, М., 1974.

[58] История Чехословакии. Изд. Акад наук СССР, т. 2, М., 1969; История Югославии. Изд. Акад. наук СССР, т. 2, М., 1963; История Румынии. Изд. Акад. наук СССР, т. I, М., 1971; Австро—Венгрия и славяно-германские отношения, «Наука», М., 1965; Освободительное движение народов Австрийской империи, М., 1981; Международные отношения в Центральной и Восточной Европе и их историография, «Наука», М., 1966.

შექმნეს: ი. ა. პისარევმა. ი. ვ. ჩურკინამ. ვ. ი. ფრეიდზონმა, ი. პ. ტრაინინმა და ა. შ[59].

რაც შეეხება ებრაელთა ისტორიას, სხვადასხვა ქვეყნებში ებრაელთა მდგომარეობას, ყოველივე, ანტიკური ხანის მკვლევართა — კორნელიუს ტაციტუსისა[60] და იოსებ ფლავიუსიდან[61] დაწყებული და ჩვენი დროის დასავლეთის ისტორიკოსთა ნაშრომებით[62] დამთავრებული, განხილულია ანტი-სემიტური წრეების კონკრეტული ინტერესების შესაბამისად, მაშინ როდესაც ამ ბედისაგან დაჩაგრული ხალხის სამშობლოდან აყრის, უცხო ქვეყნებში გაფანტვის და ქრისტიანთა დევნით უკიდურეს პირობებში ჩავარდნის ძირითადი მიზეზები იგნორირებულია.

ებრაელთა კულტურისა და ისტორიის ჭეშმარიტი შესწავლა იწყება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღეებიდან. კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის მიერ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ დაწერილ მთელ რიგ წერილებსა და სტატიებზე დაყრდნობით, საბჭოთა ავტორებმა: ტ. გაილიკმანმა, ა. ტიუმენევმა, ს. ლოზინსკიმ, მ. შახნოვიჩმა, გ. ლივშიცმა, ა. ცი-

---

[59] Писарев Ю. А. Центральная и Юго—Восточная Европа в новое время. «Наука», М., 1974; Чуркина И. В. Словенское национально-освободительное движение и Россия, «Наука», М., 1978;
Фрейдзон В. И. Борьба Хорватского народа за национальную свободу, «Наука», М., 1970; Трайнин И. П. Национальные противоречия в Австро-Венгрии и ее распад, «Наука», М—Л., 1947.

[60] Тацит К. Сочинения в двух томах, т. II, История, изд-во «Наука», Л., 1969.

[61] Флавий И. Иудейские древности, СПб., 1900.

[62] Ренан Э. История Израильского народа, т. II, СПб., 1912. Герцль Т. Еврейское государство, СПб. 1896. Albright W. F. Arheologu and the religion of Israel. Baltimore, 1942 Noth M. Geschichte Israels, Berlin 1953; Alt A. Keine Schriften zur Geschichte des Volkes, Bd. 1—3, München 1959; Finkelstein J., The Jewe, their history, culture and religion, v 1—2, N—Y., 1953; Baron S. W., Social andreligions history of the Jews: 2 ed., v 1—8, N—Y., 1952—1958.

ციაშვილმა, ო. გაბიძაშვილმა[63] და ა. შ. თავიანთ ნაშრომებში არა-მარტო გამოააშკარავეს დასავლეთის მკვლევართა მიერ ებრაელთა ისტორიის ფალსიფიცირება, მათ ამავე დროს მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანეს თვით ებრაელთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგიის — სიონიზმის ნამდვილი სახე. რამდენადაც თანამედროვე საერთაშორისო იმპერიალიზმი სოციალისტური სახელმწიფოებისა და მშვიდობის მოყვარე ძალების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში მოხერხებულად იყენებს სიონისტურ მოძღვრებას, აღნიშნულ ავტორთა შრომები იმიტომაცაა საინტერესო, რომ ისინი ფარდას ხსნიან ამ მოძღვრების რეაქციულ ბუნებას და მის თეორიულ საფუძვლებს სამართლიანად პოულობენ ებრაელთა რელიგიაში — იუდაიზმში.

საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი და შესწავლილი როგორც XIX საუკუნის 70—90-იან წლებში თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ეროვნული უმცირესობების (ქრისტიანული მოსახლეობა) განმათავისუფლებელი ბრძოლა, ასევე ოსმალეთის მემკვიდრეობისათვის ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კოლონიური მისწრაფება. თუ დასავლეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, მათ შორის: რ. ლევისი, პ. ვიტეკი, ს. ფეი, კ. კარპატი, ჰ. ჰოვარდი, პ. მაურიცი, ნ. იორგა[64] და ა. შ. რუსეთ-თურქეთის 1877 — 1878 წლების ომის შემდგომ ამ რაიონში პოლიტიკური მდგომარე-

---

[63] Гайликман Т., История общественного движения евреев в Польше и России, М., 1930; Тюменев А. Евреи в древности и в средние века, Петербург; Гос. издат., 1922;
Лозинский С Социальные корни антисемитизма в средние века и в новое время. М. 1929; Шахнович М. И. Современный сионизм и иудейский клерикализм, «Знание», М., 1971; его же, Реакц. сущность иудеизма, «Наука», М—Л., 1960; Лившиц Г. М. Классовая борьба в Иудее, Минск, 1957. ა. ციციაშვილი, ო. გაბიძაშვილი, იუდაიზმი და სიონიზმი, თბილისი, 1982.

[64] Lewis R., The emergence of modern Turkey. L., 1961; The rise of the Ottoman enpire. L., 1938, Karpat K., Social chahde and politikes in Turkey, N—Y., 1973; Howard H., The paritition of Turkey. N—Y., 1966; Maurice P. La question Turkue. Paris 1923; Iorga N. Geschichte des osmanischen Reiches. 1—5, Gotha 1908—1913.

ობის ხელახალ გამწვავებას მხოლოდ და მხოლოდ სულთანისა და რუსეთის დიპლომატიის მიერ ბერლინის ტრაქტატის დარღვევას და ამ სახელმწიფოთა ურთიერთწინააღმდეგობებს მიაწერენ, საბჭოთა მკვლევრები კი, პირიქით, ისტორიული სინამდვილის სრული შესატყვისობით აღწერენ რა თურქეთის იმპერიის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებს, ძირითად საკითხად მიიჩნევდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა სწრაფვას თურქეთის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად და ბერლინის კონგრესის უსამართლო გადაწყვეტილებების დამტკიცებით. ბალკანეთის მცირე სახელმწიფოებს შორის ტერიტორიულ ნიადაგზე მტრობის ჩამოგდებას და ამ რაიონში მუდმივი დაძაბულობის შექმნას. ამ მხრივ მეტად საყურადღებო ნაშრომები შექმნეს: ფ. როტშტეინმა, მ. პოკროვსკიმ, ვ. ხვოსტოვმა, ა. ნაროჩნიცკიმ, ა. იერუსალიმსკიმ, ა. მილერმა, ა. ნოვიჩევმა, მ. ორუჯევმა, მ. ჟამბატიროვამ, ვ. დონაძემ[65] და ა. შ.

მთელი რიგი საბჭოთა ავტორების მიერ უკანასკნელ პერიოდში შექმნილ გამოკვლევებში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამავე დროს მკაფიოდ არის ხაზგასმული, მათ მიმართ თურქეთის ხელისუფალთა სასტიკი პოლიტიკის შედეგები, და დასავლეთელ ქრისტიანთა მიერ დახმა-

---

[65] Ретшейн Ф. А. Международные отношения в конце XIX века М., 1960; Покровский М. П. Внешняя политика России XIX века, М., 1966; Хвостов В. М. Ближне-Восточный кризис 1895—1897 гг. ж. «Историк-марксист» № 13, М., 1929; его же, Проблемы захвата Босфора в 90-х XIX века, ж. «Историк-марксист», № 20, М., 1920. Нарочницкий А. Л. Итоги Берлинского конгресса, ж. «Новая и новейшая история», № 2, М., 1979; Ерусалимский А. С. Внешняя политика, идеология германского империализма в конце 19-го века, М., 1951; Миллер А. Ф. Краткая история Турции, Гос. полит. издат. М., 1948; Новичев А. Д. История Турции. Новое время, ч. 3, (1853—1875), изд.-во ЛГУ, 1978; Силин А. С. Экспансия Германии на Ближнем Востоке в конце XIX века, М., 1971; Оружев М. В. Проникновение Германского империализма в Турцию (с конца XIX века по 1914 гг.), Баку, 1950; Жамбатирова Т. Ш. Позиция Германии в ближневосточном кризисе 1875—1878 гг., (Дисс. канд. истор. наук, МГУ (1978) ვ. ბ. დონაძე, ბოსფორი და დარდანელი, თსუ გამომცემლობა, 1983.

რების ნაცვლად ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების ფაქტი. აღნიშნული პრობლემებია გაშუქებული: გ. არუთინიანის, ე. სარქისიანის, ც. აგაიანის, ო. შპაროს, კ. მეშველიანის, ბ. პოპოვის[66] და სხვა ავტორთა გამოკვლევებში.

---

[66] Арутинян Г. В. Реакционная политика Английской буржуазии в армянском вопросе в середине 90-х гг. XX в. (Дисс. канд. ист. наук), М., 1954; Саркисян Е. К. Политика османского правительства в Западной Армении и державы в последней четверти XIX и начале XX в. Ереван, Изд-во Акад. наук АССР, 1972; Агаян Ц. П. Из истории армянского освободительного движения, Ереван, Изд-во, Акад. наук АССР, 1976; Шпаро О. Б. Захват Кипра Англией, «Наука», М., 1974; კ. ლ. მეშველიანი, სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია, თსუ გამომცემლობა 1977; Попов Б. С. Балканские страны в 1870—1914 годах, «ВПШ» при ИКВКП (б).

თავი I

ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის

ირლანდიის ისტორია არის ჭეშმარიტად ტრაგიკული, მრავალსაუკუნოვანი სახალხო ბრძოლა მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ამ პატარა, მაგრამ შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყანამ ოდითგანვე მიიქცია უცხოელ დამპყრობთა ყურადღება. სხვადასხვა დროს მას თავს ესხმოდნენ დანიელები, ნორმანები და ბოლოს ინგლისელები, რომელთაც ირლანდიის კოლონიზაცია განსაკუთრებით გააძლიერეს ტიუდორებისა და სტიუარტების მმართველობის პერიოდში. XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს კი კრომველმა ფაქტობრივად მოუსპო ირლანდიას ეროვნული დამოუკიდებლობა და იგი ინგლისის კოლონიად აქცია.

XVIII საუკუნემდე ინგლისი მის მიერ დამონებულ ირლანდიაში ატარებდა მკვიდრი მოსახლეობის საკუთარი მიწებიდან ძალით აყრისა და ამ მიწების მიტაცების უხეშ პოლიტიკას. დატაცებული მიწები ურიგდებოდათ ინგლისელ-შოტლანდიელ მემამულეებს (ლენდლორდებს), რის შედეგადაც ირლანდიელი გლეხობა გამოეთხოვა მამაპაპეულ მიწას, სრულიად გაპარტახდა და უუფლებო მოიჯარეებად იქცა. XVIII საუკუნეში კი ინგლისელებმა, ზემოაღნიშნულთან ერთად, მოიმარჯვეს კოლონიური ძალმომრეობის ყველა სხვა ნაცადი საშუალება, მათ ხელი მიჰყვეს ირლანდიაში ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური (სულიერი) დაკაბალების ფართო ღონისძიებების გატარებას (ისინი არ ერიდებოდნენ თვით ირლანდიელთა ფიზიკურ განადგურებასაც კი), ამ პოლიტი-

კის წყალობით ირლანდიელები ეროვნული კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ. მათ სრული გადაშენების რეალური საფრთხე შეექმნათ. ყოველივე ზემოაღნიშნულმა წარმოშვა მძაფრი ანტაგონიზმი დაპყრობილებსა და დამპყრობლებს შორის და ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი გაქანება განაპირობა. ამ დროიდან მოყოლებული, ბრძოლა მიწისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ნიშანთვისებად იქცა.

პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამონების მიუხედავად, დროთა განმავლობაში ირლანდიაში მაინც თანდათანობით ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა წარმოების კაპიტალისტური წესი, რამაც თავისთავად გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებანი ირლანდიის სოციალურ ყოფაში, მისი საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში. ადგილობრივი ბურჟუაზიისა და მუშათა კლასის გაჩენასთან ერთად ჩაისახა ეროვნული ინტელიგენცია, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სოფელმაც, სადაც კაპიტალიზმის შეჭრას მოჰყვა სოფლის მოსახლეობის საკმაოდ გამოკვეთილი დიფერენციაცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, თავის მხრივ, განაპირობა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი, ხელი შეუწყო XIX საუკუნის დასაწყისში ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის გაქანებას. რომელსაც თავდაპირველად ხელმძღვანელობდა ცნობილი ირლანდიელი პატრიოტის, დანიელ ო. კონნელის მიერ დაარსებული „კათოლიკური ასოციაციის“ ორგანიზაცია.

თუ აღნიშნული ორგანიზაცია წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, უკვე 40-იან წლებში, ინგლისში პურის კანონების გაუქმებამ[1] და ირლანდიაში მსხვილი ფერმერული მეურნეობების კაპიტალისტურ ყაიდაზე გადასვლამ, გამოიწვია ფერმერთა ინტერესების დამცველი „რიბონეტების საზოგადოების“[2] დაარსება. საზოგადოების წევრები, რომელნიც აუცილებლად კათო-

---

[1] პურის კანონები გაუქმდა 1846 წელს; ამან გამოიწვია ირლანდიური პურის მონოპოლიური მდგომარეობის დაკარგვა ინგლისის ბაზრებზე, რასაც შემდეგში მოჰყვა ირლანდიაში სათესი ფართობების გაფართოება და გლეხობის ძალით აყრა მიწებიდან.

[2] Ribbon Confederansy — ანუ სარტყლის გაერთიანება.

ლიკური სარწმუნოების მატარებელნი უნდა ყოფილიყვნენ, ცნობილი ირლანდიელი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის მაიკლ დევიტის თქმით „წარმოადგენდნენ უაიტ-ბოების (თეთრი ბიჭების) უშუალო მემკვიდრეებს, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელთა გამოსვლები ლენდლორდთა წინააღმდეგ ატარებდა უფრო მშვიდობიან ხასიათს, ვიდრე მათი წინაპრების 1761 წლის აჯანყება"[3].

50 წლების დასაწყისში, ირლანდიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან რადიკალური ელემენტები ჯ. მიტჩელის მეთაურობით, მათ შემდეგ კი ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში წამყვანი ადგილი დაიკავეს წვრილ-ბურჟუაზიულმა რევოლუციონერებმა ანუ „ფენიებმა", რომელთა უშედეგო გამოსვლის შემდეგ გასული საუკუნის 60—70 წლებში, ირლანდიის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში დადგა ბრძოლა „ჰომრულისათვის"[4]. იმავე პერიოდში გლეხთა მოძრაობის ფართო გაქანებას ხელმძღვანელობდა ე. წ. „მიწის ლიგა", რომლის აქტიური მოქმედებითაც შეშინებული ირლანდიელი ჰომრულისტები იძულებულნი გახდნენ დაეწყოთ კომპრომისის ძებნა ინგლისის მმართველ წრეებთან, კერძოდ ვიგების ლიდერ — უილიამ გლადსტონთან.

XIX საუკუნის მიწურულიდან ირლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებს ირლანდიის პროლეტარიატი. მას რაზმავდა და წარმართავდა ჯ. კონელის მიერ დაარსებული ირლანდიის სოციალურ-დემოკრატიული პარტია, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდ დაუკავშირდა I ინტერნაციონალის ინგლისურ-ირლანდიურ სექციებს.

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ირლანდიელი ხალხის ბრძოლამ ინგლისელი კოლონიზატორების წინააღმდეგ საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლე-

---

[3] Davitt M. The fall of faudalism in Ireland, London and N—York, 1904. P., 41.

[4] ჰომრული თვითმმართველობა, ამ შემთხვევაში ირლანდიისათვის ავტონომიის მოთხოვნა ბრიტანეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ბელ მოძრაობაში. ირლანდიის საკითხის მთელი კომპლექსის შესწავლას სერიოზული ყურადღება მიაქციეს და დიდი დრო და ენერგია მოანდომეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა.

კ. მარქსი თავის კორესპონდენციებში, სტატიებსა და წერილებში ხშირად მიმოიხილავდა ირლანდიის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. გასული საუკუნის 60—70-იან წლებში კ. მარქსი არა მარტო აქტიურად უჭერდა მხარს ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ-რევოლუციურ ბრძოლას, არამედ მას I ინტერნაციონალის საქმიანობასაც კი უკავშირებდა. ირლანდიის საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა ფ. ენგელსმაც, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა ირლანდიაში (1856 და 1869 წლებში), რათა უკეთ გასცნობოდა ამ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და ისტორიას. ფ. ენგელსმა თავის ერთ-ერთ პირველ ცნობილ ნაშრომში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში" დიდი ადგილი დაუთმო ირლანდიელი ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას. მან მოგვცა იმ მიზეზების საფუძვლიანი ახსნა, რის გამოც ათასობით ირლანდიელი ტოვებდა სამშობლოს და ლუკმაპურის საშოვნელად გარბოდა ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვაგან. ფ. ენგელსი წერდა: „ირლანდიელს თავის სამშობლოში არაფერი ჰქონდა დასაკარგი, სამაგიეროდ, ინგლისში მას ბევრის შეძენა შეეძლო; და იმ დროიდან, როდესაც ირლანდიაში ხმა გავარდა, წმ. გიორგის არხის გაღმა მხარეზე ღონიერ მკლავს საიმედო სამუშაოს და კარგი ხელფასის შოვნა შეუძლიაო, ირლანდიელები ყოველწლიურად ჯგუფ-ჯგუფად მიემართებიან ინგლისისაკენ" [5]. ენგელსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ ეს იაფფასიანი მუშახელი გახდა ინგლისის ადგილობრივი მუშებისათვის კონკურენტი, იმდენად, რამდენადაც ირლანდიელი თანახმა იყო შეესრულებინა ყოველნაირი სამუშაო, ოღონდ კი კარტოფილი და მასზე დასაყოლებლად მარილი ეშოვნა, ინგლისელი კი, რომელსაც ასეთ პირობებში მუშაობა არ შეეძლო, ვერ შოულობდა სამუშაოს. ხოლო ნაკლები მოთხოვნილების მქონე ირლანდიელი ავიწროებდა ადგილობრივ მკვიდრს—ინგლისელს და ართმევდა მას ადგილს. სწორედ ეს იყო

---

[5] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „ინგლისის შესახებ", თბილისი, 1959, გვ. 138.

მიზეზი, რამაც გამოიწვია მტრული დამოკიდებულება ინგლისელ და ირლანდიელ მუშებს შორის. სამართლიანად აღნიშნავდა ფ. ენგელსი, როდესაც წერდა: „ასეთ კონკურენტს უნდა ებრძოლოს ინგლისელი მუშა, — კონკურენტს, რომელიც უდაბლეს საფეხურზე დგას. რაც კი შესაძლებელია საერთოდ კულტურულ ქვეყანაში, და რომელიც ამიტომ ნაკლებ ხელფასს ითხოვს, ვიდრე რომელიმე სხვა მუშა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ, როგორც კარლეილი ამბობს, ინგლისელი მუშის ხელფასი ყველა იმ დარგში, სადაც ის ირლანდიელი მუშის მხრივ კონკურენციას განიცდის, თანდათან დაბლა ეცემაო"[6].

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მკაცრად დაგმეს ინგლისელი დამპყრობლების სასტიკი კოლონიური პოლიტიკა ირლანდიაში და ის სამართლიანად მიიჩნიეს ირლანდიელი ხალხის უკიდურესი გაღატაკების, დემორალიზების ძირითად მიზეზად. სწორედ უკიდურესმა ჩაგვრამ აიძულა ირლანდიელნი დაეტოვებინათ სამშობლო და ბედის საძებრად საზღვარგარეთ წასულიყვნენ. ამის შესახებ 1856 წლის 23 მაისს ფ. ენგელსი კ. მარქსს წერდა: «Ирландец знает, что не может конкурировать с англичанами, который приходит снабженный средствами во всех отношениях превосходящими средства ирландца; Эмиграция будет продолжаться до тех пор, пока преимущественно, даже почти исключительно, кельтский характер населения, наконец, совсем не исчезнет.

Как часто пытались Ирландцы добиться чего-нибудь, каждый раз бывали раздавлены-политически и экономически. Систематическим угнетением они искусственно превращены в совершенно обнищавшую нацию и теперь, как известно, их специальность — поставлять в Англию, Америку, Австралию и т. д. проституток, поденщиков, сутенеров, мошенников, шарлатанов, нищих и прочих босяков»[7]

კ. მარქსი, ირლანდიის საკითხით დაინტერესების პირველ ხანებში, ინგლისის მუშათა კლასში ხედავდა ერთადერთ ძალას, რომელსაც შეეძლო ირლანდიის განთავისუფლება კოლონიური უღლისაგან,

---

[6] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „ინგლისის შესახებ", თბილისი, 1959.

[7] Ф. Энгельс, К. Марксу 23 мая 1856 г., К Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 29, стр. 44—45.

მაგრამ როდესაც ინგლისის მუშათა კლასი ლიბერალიზმის მანტიაში გაეხვია, მარქსი იძულებული იყო გადაესინჯა თავისი პირვანდელი შეხედულება და ირლანდიელი ხალხის განთავისუფლებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროდ მიიჩნია ირლანდიის გამოყოფა ინგლისისაგან. მარქსსა და ენგელსს კარგად ესმოდათ, რომ სწორედ ირლანდია იყო ინგლისის კაპიტალიზმის ყველაზე სუსტი რგოლი და მას დარტყმაც აქ უნდა მიეღო. კ. მარქსი 1870 წლის 9 აპრილს ზ. მაიერისა და ა. ფოგტისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „ირლანდიის საკითხზე მრავალი წლის მუშაობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ინგლისის გაბატონებულ კლასებზე გადამწყვეტი დარტყმა (ის კი გადამწყვეტია მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობისათვის) შეიძლება მოხდეს არა ინგლისში, არამედ მხოლოდ ირლანდიაში“[8]. მარქსის მიერ, ირლანდიის საკითხში თავდაპირველი კურსის რადიკალურ შეცვლას ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად ხსნიდა: „თავდაპირველად მარქსს ეგონა, რომ ირლანდიის ჩაგრულ ერს ეროვნული მოძრაობა კი არ გაანთავისუფლებს, არამედ მჩაგვრელი ერის მუშათა მოძრაობაო. მაგრამ აი მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ ინგლისის მუშათა კლასი საკმაოდ დიდი ხნით მოექცა ლიბერალების გავლენაში, მათი ჩანჩალა გახდა, თავი წარიკვეთა ლიბერალური მუშათა პოლიტიკით. ბურჟუაზიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ირლანდიაში გაძლიერდა და რევოლუციური ფორმები მიიღო, მარქსმა გადასინჯა თავისი შეხედულებები და გაასწორა იგი. „უბედურებაა ხალხისათვის, თუ მან სხვა ხალხი დაიმონა“ — წერდა იგი, ვერ განთავისუფლდება მუშათა კლასი ინგლისში, სანამ არ განთავისუფლდება ირლანდია ინგლისის უღლისაგან, რეაქციას ინგლისში ირლანდიის დამონება განამტკიცებს და ასაზრდოებს“[9]. სწორედ ამიტომ იყო, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი უკვე მომდევნო წლებიდან აქტიურად ცდილობდნენ შეერიგებინათ ინგლისისა და ირლანდიის მუშათა კლასი და აღმოეფხვრათ მათ შორის არსებული ეროვნული სიძულვილი, კ. მარქსი შენი-

---

[8] მ ა რ ქ ს ი — ზ. მაიერს და ე. ფოგტს, 1870 წ. 9 აპრილი, კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი „ინგლისის შესახებ“, გვ. 568.

[9] ვ. ი ლ ე ნ ი ნ ი, ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, თხზ. სრული კრებული, IV გამოცემა, ტ. 20, გვ. 541, თბილისი, 1951.

ძნავდა, რომ «В этом антагонизме заключается тайна бессилия английского рабочего класса»[10]. ითვალისწინებდნენ რა ყოველივეს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი ზრდიდნენ ინგლისის და ირლანდიის პროლეტარიატს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მათ მოუწოდეს ინგლისის მუშათა კლასს, ინტერნაციონალური კავშირი დაემყარებინათ ირლანდიის პროლეტარიატთან და მათთან ერთად ებრძოლათ როგორც საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის, ასევე ირლანდიელი ხალხის სამართლიანი ბრძოლის გამარჯვებისათვის. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ კ. მარქსი ურჩევდა ინგლისელ მუშებს: „მხარი დაუჭირეთ მას (იგულისხმება ირლანდიაში დაწყებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და საერთო სახალხო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. პ. ფ.), რევოლუციური ბიძგი მიეცით, ბოლომდე მიიყვანეთ იგი თქვენი თავისუფლების გულისთვისო“[11].

ეხებოდა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის დამსახურებას ირლანდიის მდგომარეობის შესწავლის საქმეში, ვ. ი. ლენინი შენიშნავდა რომ: „მარქსისა და ენგელსის პოლიტიკამ ირლანდიის საკითხში მოგვცა უდიდესი, დღემდე უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მჩაგვრელი ერების პროლეტარიატი ეროვნულ მოძრაობებს“[12].

მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებასთან ერთად, ირლანდიელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლას ფართოდ აშუქებდნენ და სწავლობდნენ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებიც: ა. ი. გერცენი, ნ. ა. დობროლუბოვი, ნ. გ. ჩერნიშევსკი, ზ. გ. ბელინსკი და სხვანი, რომელთა რევოლუციურმა მოღვაწეობამ რუსეთში, თავის მხრივ დიდი გავლენა იქონია ქართულ პროგრესულ საზოგადოებრივ აზრზე და კერძოდ ილია ჭავჭავაძეზე.

ილიას, როგორც პატარა და ჩაგრული ერის წარმომადგენელს, ირლანდიის საკითხით დაინტერესების რამდენადმე გარკვეული სა-

---

[10] К. Маркс—Зигфриду Мейеру и Августу Фогту, 9 апреля, 1870 г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 32, стр. 558.

[11] ვ. ი. ლენინი, დასახელებული ნაშრომი, თხზ. სრული კრებული, IV გამოცემა, ტ. 20, თბილისი, 1951, გვ. 542.

[12] ვ. ი. ლენინი, „ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ“, თხზ., IV გამოცემა, ტ. 20, გვ. 541.

ფუძველი გააჩნდა, წმინდა ჰუმანურ სოლიდარობასთან და ირლანდიელი და ქართველი ხალხის ისტორიაში ბევრი მსგავსების დანახვასთან ერთად. აღსანიშნავია მისი მისწრაფება, ფართოდ გაეცნო ქართველი ხალხისათვის ირლანდიელთა გმირული ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და მასში ყოველივე სასარგებლო შემოქმედებითად გამოეყენებინა საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

§ 1. ინგლის-ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა XI—XIX საუკუნეებში

ილია ჭავჭავაძის მიერ ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის მიმოხილვა მოიცავს შუა საუკუნეების მთელ პერიოდს და გრძელდება XIX საუკუნის ბოლომდე. მთელ რიგ ხელმისაწვდომ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით[1], ილია მკითხველს აცნობს ძველი ირლანდიელი ტომების — ეირების ცხოვრებასა და ყოფას. რომელნიც მისი თქმით იმ ეპოქაში სხვა ევროპულ ტომებთან შედარებით ბევრად განვითარებულნი ყოფილან. კელტურ-ლათინური სამონასტრო კულტურის განვითარებას. ილია ისტორიული სინამდვილის შესატყვისად, უკავშირებს შოტლანდიელი მქადაგებლის წმინდა პატრიკის მიერ 430 წელს ირლანდიაში ქრისტიანობის გავრცელებას და მონასტრების დაარსებას.

ქრისტიანობის შეტანამ ასევე ხელი შეუწყო ქვეყანაში ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებასაც. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ირლანდიაში უკვე არსებობდა რამდენიმე მცირე სამეფო (ადრე ფეოდალური სამეფოს პრიმიტიული ფორმით), რომელთაც სათავეში ედგნენ რიაგები და ჰყავდათ ერთი უმაღლესი მეფე ანუ არდ რიაგი. მაგრამ ირლანდიის დამოუკიდებელი განვითარება შეწყდა 795 წელს, როდესაც ნორმანული ტომები დაესხნენ თავს და ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მთელი რიგი რაიონები, კერძოდ ისეთი

---

[1] ირლანდიელთა ძველი ყოფა-ცხოვრების მიმოხილვისას ილია ჭავჭავაძე ეყრდნობოდა არა მარტო წყაროებსა და დოკუმენტურ ლიტერატურას (ინგლისურ ჟურნალ-გაზეთებს, ინგლის-ირლანდიის მეცნიერთა გამოკვლევებს, იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, გვ. 40—70—210), ასევე შოტლანდიელი პოეტის ჰომირის ოსიანსის ლექსებსა და ლეგენდებს — ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, გვ. 22.

დასახლებული პუნქტები. როგორიც იყო დუბლინი, უეტერფორდი, კორკი, ლიმერიკი და სხვა. ომიხდურ ტომებთან ორსაუკუნოვანმა ბრძოლამ თავისებური უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე. რითაც შემდგომში სათანადოდ ისარგებლეს ანგლო-საქსებმა (ინგლისელებმა) დამპყრობლური გეგმის სისრულეში მოსაყვანად. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ირლანდიის უბედურების საწყისად მიიჩნევს არა იმდენად დანიელთა შემოსევას, რამდენადაც ინგლისელთა მიერ ირლანდიის ჩრდილო აღმოსავლეთის საგრაფოების დღევანდელი პაპის ადრიანე IV-ის (შთამომავლობით — ინგლისელი ბრეიკსპირი) მიერ 1154 წელს ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტისათვის ირლანდიის ჩრდილო აღმოსავლეთის საგრაფოების (დღევანდელი ოლსტერი), რომელნიც პაპის ეპარქიად ითვლებოდა „საჩუქრად გადაცემას". ილია თანამიმდევრული სიზუსტით განიხილავს პაპის მიერ აღნიშნულ „ჩუქების" არსს, რომელიც ჰენრი II სათანადოდ გამოიყენა ირლანდიის დასაპყრობად[2]. ამრიგად, ჯერ კიდევ XII საუკუნეში ინგლისის მეფე ჰენრი II პლანტაგენეტმა სათავე დაუდო „მწვანე კუნძულის" დაპყრობისა და ძარცვის მრავალ საუკუნოვან პროცესს[3]. 1169-71 წლების ლაშქრობის შედეგად ჰენრი II-მ ირლანდიაში დაპყრობილი მიწები ინგლისელ ლორდებს დაურიგა, რის გამოც უკმაყოფილო ირლანდიელებმა არაერთხელ მოაწყვეს შემდგომში აჯანყებები დამპყრობთა წინააღმდეგ. ინგლისელებმაც ასევე მრავალჯერ დაარბიეს და გაძარცვეს ირლანდია[4], მაგრამ, მიუხედავად სასტიკი კოლონიური პოლიტიკისა, ამ მიმართულებით გადადგმული ინგლისელთა ყოველი ნაბიჯი, იქნებოდა ეს იარაღის გამოყენებით თუ პროტესტანტული რელიგიის სა-

---

[2] ვ. დ ო ნ ა ძ ე, ბოსფორი და დარდანელი, თსუ ვამომცემლობა, 1983, გვ. 104.

[3] И с т р а т о в В. Н., К о л п а к о в А. Д. Трагедия Ольстера, ж. «Новая и новейшая история», № 2, М.. 1982, стр. 121.

[4] XIV ს-ში, როდესაც დაიწყო ინგლის-შოტლანდიის ომი, ირლანდიელებმაც მხარი დაუჭირეს შოტლანდიის მეფეს ედუარდს და ის თავიანთ მეფედაც გამოაცხადეს. ომი, რომელიც 3 წელს გაგრძელდა და რომელმაც ქვეყანა განთავისუფლების მაგიერ მთლიანად გააპარტახა, დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით. ირლანდიაში კვლავ ინგლისელები გაბატონდნენ. იხ. П и м е н о в а Е. История революционного движения в Ирландии Пб., 1920, стр. 5.

შუალებით (რომელიც ძალით ვრცელდებოდა ირლანდიაში განსაკუთრებით ელისაბედ I-ის დროს), ძირითად მიზანს მაინც ვერ აღწევდა[5]. მაგრამ ის რაც ვერ შეძლეს ინგლისის მეფეებმა საუკუნეების განმავლობაში, სულ ადვილად მოახერხა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ლიდერმა ოლივერ კრომველმა, ირლანდიაში 1648-49 წლების ლაშქრობის შედეგად. ოლივერ კრომველმა დაარბია და გადაწვა მრავალი ქალაქი და დასახლებული პუნქტი. ამას თან სდევდა მკვიდრი მოსახლეობის მამაპაპეული მიწებიდან აყრა და ძალით გადასახლება გაპარტახებულ რაიონებში. რაც შეეხება იმ ირლანდიელ პატრიოტებს, რომლებიც ენერგიულად იბრძოდნენ ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ. მომხდური მოძალადეები, ან ფიზიკურად სპობდნენ, ან ასახლებდნენ ინგლისის შორეულ კოლონიებში. ასე „განთავისუფლდა" ირლანდიის მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისელთათვის მისი თავდაპირველი მფლობელებისაგან. ამიტომ იყო, რომ ილია ინგლისის რესპუბლიკის ლიდერის ასეთ „მოღვაწეობას" ირლანდიაში, სამართლიანად უწოდებდა დიდი ბრიტანეთის ისტორიის ყველაზე სამარცხვინო პერიოდს, და აკი დასძენდა კიდევაც: „დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებლის მტრობისა, თითქმის კრომველის უღმრთო მოქმედებამ დანერგაო"[6].

ნარკვევის მომდევნო ნაწილში, ილია განიხილავს ინგლისის კოლონიური პოლიტიკის შემდგომ ევოლუციას ირლანდიაში. ის მიმოიხილავს ინგლისის კათოლიკე მეფის ჯეიმზ II-ის მეფობას, ინგლისის მეორე, ე. წ. „სახელოვანი" — უსისხლო რევოლუციის პე-

---

[5] XVI საუკუნეში ინგლისელთა წინააღმდეგ ირლანდიელთა აჯანყებებმა, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ 1559-67 წლებში შან ო'ნეილი; 1569-83 წელს— დესმონდი; 1594—1603 წლებში ტირონი და ტირკონელი. ხელი შეუშალეს ინგლისელებს მთლიანად დაეპყრო ირლანდია. იხ. Falls C. Elizabeths Irish wars, London 1950. P., 132—141.

[6] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 24—25.

რიოდში, როდესაც ირლანდიელებს გაუჩნდათ განთავისუფლების იმედი, რაღგანაც მათ სჯეროდათ, რომ კათოლიკე მეფე ირლანდიას დაეხმარებოდა. იმედი საუბედუროდ ირლანდიის მოსახლეობას არ გაუმართლდა, პირიქით კათოლიკე მეფემ ჩაახშო რა ირლანდიელთა აჯანყება, კიდევ უფრო მკაცრ რეპრესიებს მიმართა. ამიტომაც ჯეიმზ II-ის მიერ მომარჯვებული კოლონიური პოლიტიკა, ილიამ მიიჩნია „უაიტ-ბოების"[7] აჯანყების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა: „1760 წელს მიწათმფლობელობის ჩამორთმევისა და შეხუთვის გამო, ირლანდიელებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინესო"[8]. ილია ღრმად ჩასწვდა აჯანყების სხვა მიზეზებსაც. და რაც მთავარია, მან პარალელი გაავლო „უაიტ-ბოებისა" და ირლანდიელი პატრიოტების მიერ მოგვიანებით განხორციელებულ, გაბედულ ანტიინგლისურ ამბოხებებს შორის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „მემამულეთა წინააღმდეგ ატეხილი შინაური ბრძოლა ეგრეთ-წოდებული „უაიტ-ბოი"-ებისა იმისთანავე ხასიათისა და თვისებისა იყო, რითაც ამ ბოლო ჟამს ეგრეთწოდებულმა „ფენიებმა" თავი იჩინეს და თავზარი დასცეს მემამულეებს, ფერმერებს და სხვათა მიწათმფლობელთა ირლანდიაში"[9]. ილიას აღნიშნულ გამოსვლათა მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა ხალხის მისწრაფება არა მარტო მიწის ხელში ჩასაგდებად, არამედ ირლანდიის სრული დამოუკიდებლობისათვისაც. გამოთქმული აზრის საარგუმენტაციო მაგალითად ილია ასახელებს ირლანდიელთა მიერ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან კავშირის ძებნის

---

[7] „უაიტ-ბოი" — ნიშნავდა თეთრ ბიჭს, რადგანაც 1760 წ. ინგლისელ ლენდლორდთა წინააღმდეგ დაწყებული სახალხო ბრძოლის მონაწილენი ჩაცმული იყვნენ თეთრ პერანგებში.

[8] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 25.

[9] იქვე.

ცდას[10] და 1898 წლის წარუმატებელ ამბოხებას, როდესაც ირლანდიელთა კიდევ ერთი ცდა, მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა, მარცხით დამთავრდა, მას 1800 წელს მოჰყვა ინგლისის მიერ ირლანდიის საბოლოო დაპყრობა და ირლანდიის სახელმწიფოებრივი სტატუსის გაუქმება.

უნიის შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1801 წ. 1 იანვარი) ირლანდიაზე გავრცელებული იქნა ინგლისის კონსტიტუციის მთელი რიგი პრინციპები. რომელნიც კუნძულის მოსახლეობას ფორმალურად ანიჭებდნენ ინგლისისათვის ტრადიციულ მთელ რიგ დემოკრატიულ უფლებებს: ასოციაციების, კრებების თავისუფლებას, ინგლისის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას და სხვა. მაგრამ ირლანდიის ადგილობრივი მოსახლეობის კათოლიკების დიდი უმრავლესობისათვის ეს უფლებები მიუწვდომელნი დარჩნენ[11].

ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში განსაკუთრებით ღრმად და საინტერესოდ მოუთხრობს მკითხველს ირლანდიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ XI—XIX საუკუნეების განმავლობაში. მას მიაჩნდა, რომ ინგლისელი კოლონიზატორების მიერ ირლანდიის პოლიტიკურ დაპყრობას მოჰყვა მისი ეკონომიკური დამონება,

---

[10] როგორც ცნობილია, ირლანდიელ პატრიოტთა თხოვნას, სამხედრო დახმარება გაეწიათ მათთვის, რევოლ. საფრანგეთმა დაუყოვნებლივ მიაქცია ყურადღება და 1896 წლის 15 დეკემბერს ბრესტიდან ირლანდიისაკენ გაემგზავრა 15000 კაცისაგან შემდგარი სამხედრო ექსპედიცია გენერალ ლაზარ ჰოშისა და ირლანდიელი პატრიოტის უოლფ ტუნის მეთაურობით. მაგრამ უამინდობის გამო ექსპედიციის დიდი ნაწილი დაიღუპა, გადარჩენილთა უმნიშვნელო რაოდენობამ კი მიაღწია ბანტრის ყურეს იხ. Beckett J., The making of modern Ireland. London 1966, p., 259. აღნიშნულ ექსპედიციას ირლანდიელი ხალხის რევოლუციური ორგანიზებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც ჯონ სტიუარტ მილი წერდა: მას რომ მიეღწია ირლანდიამდე და ის საფრანგეთის პროექტორატად გამოეცხადებინა, ანდა ირლანდია გაენთავისუფლებინა, მაშინ ირლანდიელ გლეხსაც ეშველებოდა და იგი იმავე პირობებში მოექცეოდა, რაშიც იყო ფრანგი გლეხობა. ეს რა თქმა უნდა იცოდნენ ირლანდიელებმა და ამიტომაც ასე დიდ იმედებს ამყარებდნენ რევოლუციურ საფრანგეთზე. იხ. Милл. Дж. С. Англия и Ирландия, Харьков 1873, стр. 21.

[11] Крылов Л. С. Англия против народа Северной Ирландии, ж. «Вопросы истории», № 12, М., 1978, стр. 57.

რომელიც უფრო ძლიერი და დამანგრეველი იყო ქვეყნისათვის ვიდრე პირველი. ირლანდიის ეკონომიკური ცხოვრების დინამიკის ღრმად შესწავლით, ილია ცდილობდა აეხსნა ის ფაქტი, რამაც განაპირობა ამ ქვეყნის გადაქცევა ღრმა, შოურჩენელ იარად ინგლისის ტანზე. აი ამ მიზნით იგი საფუძვლიანად მიმოიხილავს ინგლის-ირლანდიის მიწათმფლობელობის ისტორიას და მიუთითებს ინგლისური წესის კოლონიურ ხასიათზე, რომელსაც ინგლისელები საუკუნეების განმავლობაში ნერგავდნენ ირლანდიაში. ილია, აგრარული საკითხის ირლანდიის სასარგებლოდ გადაჭრაში ხედავდა ამ იარის განკურნვის ერთადერთ შესაძლებლობას. სწორედ ამიტომაც, განსხვავებით არჩილ ჯორჯაძისა[12] და ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის სხვა იდეოლოგებისაგან, რომელნიც ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში წინა პლანზე აყენებდნენ მარტო პოლიტიკურ მოტივს, ამ შემთხვევაში კი, ილია ჭავჭავაძემ, ისტორიული ჭეშმარიტების შესაბამისად, ამ მოძრაობის დედაბოძად მიიჩნია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მოტივი.

ირლანდიის ეკონომიკური ისტორიის განხილვამდე, ილია ცალკე ეხება ინგლის-უელსსა და შოტლანდიაში არსებულ აგრარულ წყობას და შედარებითი მეთოდით სურს ქართველ მკითხველს განუმარტოს, თუ რამდენად უარყოფითი როლი შეასრულა აღნიშნული წესის შეტანამ ირლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობებზე და სამეურნეო ყოფაზე. „ვიდრე ჩვენს მოთხრობას პირდაპირ ირლანდიიდან დავიწყებდეთ — წერს ილია — ჩვენ საჭიროდ ვხედავთ მოკლედ გავიხსენოთ ისტორია მიწათმფლობელობისა თვით ინგლისისა, იმიტომ რომ აქედამ შესეულმა მართლიერებამ მიწათმფლობელობისამ დიდი ზემოქმედება იქონია ირლანდიის მიწათმფლობელობის განწყობილებაზედ“[13]. XI საუკუნემდე, ილიას თქმით „ინგლისის მცხოვრებნი ორგვარს წყობას წარმოადგენდნენ: ერთნი აზატნი, რომელიც მიწას ფლობდა, და

---

[12] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, ირლანდია XIX საუკუნეში. თხზ., წიგნი მეოთხე, თბილისი, 1911, გვ. 286—298.

[13] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 12.

მეორე მონა, რომელიც მიწათმფლობელს ემსახურებოდა და საქმეს უკეთებდა"[14]. როდესაც ილია უმიწაწყლო ადამიანს მონას უწოდებს, ფაქტიურად იგი ტერმინის განსაზღვრისას არ ცდება, რადგანაც, როგორც ინგლისის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. მორტონი შენიშნავს, „ადამიანი, რომელიც მიწას არ ფლობდა, არ იყო არც თავისუფალი და არც არა თავისუფალი, მას საერთოდ მხედველობაში არ იღებდნენო"[15]. მართლაც, ინგლისში თავისუფალ ადამიანად ითვლებოდა მხოლოდ მიწის მფლობელი, ე. ი. ის ვინც სამხედრო სამსახურს ასრულებდა ან ფულად რენტას იხდიდა. ილია ეყრდნობა რა 1086 წელს გამოცემულ სამამულო სიგელს — „Domesday book" -ს, აღნიშნავს ნორმანთა შემოსევის შემდგომ მიწათმფლობელობის პირვანდელი სახის შეცვლას ინგლისსა და უელსში. მისი თქმით, ამ პერიოდში მეფისაგან დაარსებული ყოფილა 60 215 საბატონო მამული, აქედან სამღვდელოებას რგებია 28 115 მამული, ხოლო დანარჩენი 32 100 კი რაინდებს იმ პირობით, რომ მეფეს სამხედრო სამსახური გაუწიონ და სამხედრო ბეგარა იხადონ. რაც შეეხება ინგლისის მკვიდრ მოსახლეობას, ანგლო-საქსებსა და ბრიტებს, მათთვის ნორმანთა მეფეს დაუტოვებია მამულების ნაწილი, მაგრამ ამავე დროს ისინი დაუმორჩილებია იმ რაინდისათვის (ლორდი) ვის საბატონოშიც მოხვედრილან. ილია შემდეგ აღნიშნავს „ამათი რიცხვი ბევრი არ ყოფილა, აზატნი მემამულენი (Socman) სულ 23000 ყოფილა და მოღალე და ვალდებული (Vileni) 102 702. წინანდელ მკვიდრთა შორის ყოფილან ისეთნიც, რომელთაც, ჩვენებურ ხიზნებსავით სხვა მებატონის მამულზედ ჰქონიათ ბინაც და სახმარი მიწაც (Bordarii, Cotarii); გარდა ამისა ყოფილან მონანიც (Servi), რომელთაც მებატონეთაგან ჰქონიათ მიწები მიცემული საკეთებლად"[16].

ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები მიგვანიშნებს, რომ ილია კვლევის პროცესში ხელმძღვანელობდა ნორმანთა მიერ შედგენილი ე. წ. „საშინელი სამსჯავროს წიგნით", სადაც მიწათმფლო-

---

[14] ი. ჭავჭავაძე. დასახელებული წერილი, გვ. 12.
[15] Мортон А. История Англии, М., 1950, стр. 54.
[16] ი. ჭავჭავაძე. დასახელებული წერილი, გვ. 13.

ბელნი დაყოფილია არა მარტო სოციალურ ჯგუფებად, ამავე დროს, განსაზღვრულია მათი რაოდენობაც. აღნიშნულ პერიოდში ილიას თქმით: „ერთ მხრივ ვხედავთ სხვილთა მებატონეთა, რომელთაც პირდაპირ კოროლს უნდა უხადონ ხარკი და გაუწიონ სამხედრო სამსახური მთელს თავის თემის მაგიერ; მეორე მხრივ — წვრილთა მემამულეთა და მიწათმოქმედთა, რომელთაც მაგგვარივე სამსახური და ხარკი უნდა გაუწიონ სხვილ მებატონეებს და კოროლის წინაშე კი არავითარი სამსახურის გამწევნი არ არიან"[17]. ილია ჭავჭავაძე კარგად აღწერს მიწის წვრილ მესაკუთრეთა ხარჯზე რაინდთა-ლორდთა თანდათანობითი გაძლიერების სურათს. მისი აზროით რადგანაც მიწათმფლობელობის გამო მთელი ერის ხარკს და ბეგარას სხვილნი მებატონენი იხდიდნენ კოროლის წინაშე, ეს ხელზედ დაიხვიეს მებატონეებმა და სთქვეს, რაკი სახელმწიფო გამძღოლნი მარტო ჩვენა ვართ, მიწაც სულ ჩვენ უნდა გვეკუთნოდესო[18]. ილია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლენდლორდები მოსახლეობას არა თუ შეეცილნენ მოქალაქეობრივსა და პოლიტიკურ უფლებებს, როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, პირიქით, ხელიც კი შეუწყვეს მათ ამ საქმეში და არავითარი უპირატესობა არ დაიჩემეს. ილია ყოველივეს ხსნის შემდეგი გარემოებით, რომ „რადგანაც დანარჩენნი მკვიდრნი ისეთივე მოსამსახურენი იყვნენ სხვილ მებატონეებისა, როგორიც თვით მებატონე კოროლისა[19], ამრიგად, მათ ამ მხრივ პრეტენზია არც ჰქონდათო. რა თქმა უნდა ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრებანი არც თუ დამაჯერებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ლორდების მიერ მიწების მიტაცებამ მოსახლეობის პოლიტიკური უფლებანიც შესაბამისად მინიმუმამდე დაიყვანა. მიწის მესაკუთრენი ჯერ ვალდებულ გლეხებად იქცნენ, შემდგომ მოიჯარეებად, მეღალეებად, დღიურ მუშებად და ა. შ. ყოველივე კი იმის მაჩვენებელია, რომ ლენდლორდსა და ღატაკს არ შეიძლებოდა კლასობრივ სახელმწიფოში ერთნაირი პოლიტიკური უფლებები ჰქონოდა. აკეთებდა რა ასეთ დასკვნებს, ილია ხელმძღვანელობდა ე. წ. „თავისუფლების დიდი ქარტიით", რომელიც

---

[17] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 13.
[18] ი ქ ვ ე, გვ. 14.
[19] ი ქ ვ ე.

მართალია მოსახლეობას ინგლისში აძლევდა მთელ-რიგ ფორმალურ უფლებებს, მაგრამ ის ძირითადში მაინც ლენდლორდთა გაბატონებული მდგომარეობის და მათი ინტერესების დასაცავად შექმნილ ფეოდალური ხანის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენდა.

ინგლისის მიწათმფლობელობის ისტორიის შესახებ დაწერილ თავის მეორე წერილში, ილია ეხება მსხვილ და წვრილ მესაკუთრეთა უფლება-მდგომარეობის ნაწილობრივ ცვლილებებს მე-17—19 საუკუნეებში. მისი თქმით, ჯერ კიდევ 1676 წელს კარლ მეორემ 32 100 ლორდსა და 23 000 წვრილ მესაკუთრეს „განსაკუთრებულ კუთვნილებად დაუმტკიცა მამულები". სწორედ ამ უკანასკნელთაგან შედგა ე. წ. „ჯენტრი", რომელიც შეიქმნა ერის წარმომადგენლად ქვედა პალატაში, და ლორდებმა კი, ესე იგი სხვილთა მებატონეთა, ზედა პალატა ჩაიგდეს ხელში მემკვიდრეობით და არა არჩევითა"[20]. ილიას მიაჩნია, რომ მიწათმფლობელობა ინგლის-უელსში არც „ფეოდი" იყო და არც „ალოდი" (რასაც ვერ ვიტყვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და თუნდაც საქართველოს შესახებაც). ფეოდი იმიტომ არ იყო, რომ ინგლისელ ლორდს არავითარი პირადი უფლება არ ჰქონდა მის მამულზე დასახლებულ კაცზე, ე. წ. „პატრიმონიალური სამართალი და გამგეობა" ინგლისის ლორდს არ ჰქონდა დაჩემებული. ალოდი არ იყო იმიტომ, რომ მამული, რომლებიც ლორდებს ჯერ მეფისაგან ჰქონდათ და შემდეგ კი საკუთრებად დაიმტკიცეს, თავისუფალნი არ იყვნენ ხარკისა და სამსახურისაგან, და არც ცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ[21]. ილია შემდეგ დასძენს, რომ „ამ სახის მფლობელობამ, რომელიც ალოდსაც ცოტა წააგავდა და ფეოდსაც, მთლად კი არც ერთი იყო, არც მეორე, ისა ჰქმნა, რომ მიწათმფლობელობა წოდებათა განსაკუთრებულ უფლებად არ გადაიქცაო"[22]. ე. ი. მას მიაჩნია და, რაც უთუოდ ისტორიულ სინამდვილეს შეესატყვისება, ინგლისში ყველას ჰქონდა უფლება მამულის ქონისა. ილია იძლევა საინტერესო მონაცემებს, როდესაც განიხილავს წვრილ მესაკუთრეთა, ანუ „ჯენტრის" თანდათანობით შემცირების სურათს. ამის

---

[20] ილია ჭავჭავაძე, დასახელებული წერილი, გვ. 16.

[21] იქვე.

[22] იქვე, გვ. 17.

მიზეზად ის ასახელებს იმას, რომ: „ლორდებმა წერილი მესაკუთრენი ფულით დაახარბეს. დიდძალი ფული აძლიეს და ნელ-ნელა ნებაყოფლობით შეისყიდეს მათი მამულები“[23]. მისი თქმით „თუ XI საუკუნეში 300 000-ასეთნი თუ ისეთნი მიწათმფლობელნი ყოფილან, ე. ი. ნახევარი მცხოვრებნი მაშინდელი ინგლისისა და ვალისისა, 1660 წელს 160 000-ღა დარჩენილა, 1816 წელს 16 000, 1831 წელს 7 200“[24]. ილიას წერილებიდან მსგავსი სურათი ჩანს შოტლანდიის მიწათმფლობელობის და საადგილ-მამულო უფლებათა მდგომარეობის განხილვისასაც. ილიას მონაცემებით XIX საუკუნის შოტლანდიაში 20 მილიონზე მეტი აკრი მიწა ეჭირა 7273 კომლს. მათ შორის იყვნენ ისეთი მემამულენიც, რომელთაც 1 მილიონზე მეტი აკრი მიწა ჰქონდა მფლობელობაში, კერძოდ გრაფ-სოტერლანდს, ჰერცოგ-ჰამილტონს, ჰერცოგ-ბოკლეის და ა. შ.[25] ილია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ინგლისის მეფე შოტლანდიელ მსხვილ მემამულეებს ინგლისელ ლორდებთან შედარებით მეტად სწყალობდა, ამიტომაც თუ მაიორატმა ინგლისში კანონის ძალა ვერ მიიღო, იგი შოტლანდიაში მეფის მიერ იქნა დაკანონებული. ამას გარდა შოტლანდიაში განხორციელდა ე. წ. „Chearing of estates“— ანუ „მამულების გაწმენდა“, ესე იგი „უწინ საკომლოდ მიცემული მამულები მიწათმოქმედებისათვის, რომელიც მერე საიჯარო მამულებად გადაიქცა, გლეხკაცობას ჩამოერთვა, საბატონო მამულებს მიეწება და ამ სახით მებატონეთა სრულს განკარგულებაში ჩაცვივდა“[26]. მართალია მიწების გაწმენდას ინგლისშიც ჰქონდა ადგილი. მაგრამ 1448 წლის სტატუსით რამდენადმე შეზღუდულად, ე. ი. გაცილებით ნელა ხორციელდებოდა.

ამრიგად, ინგლის-შოტლანდიაში მიუხედავად უმნიშვნელო განსხვავებისა, საადგილ-მამულო წეს-წყობილება ძირითადში ერთნაირი იყო, ხოლო მოსახლეობა, მართალია ფორმალურად, მაგრამ გარკვეულ პოლიტიკურ უფლებებს მიანც ინარჩუნებდა. თუ რას წარმოადგენდა ინგლის-შოტლანდიისაგან განსხვავებით ირლანდია და

---

[23] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 18.
[24] იქვე, გვ. 15.
[25] იქვე, გვ. 20.
[26] იქვე, გვ. 21

როგორ იმოქმედა ინგლისურმა კანონმდებლობამ მასზედ, აქის შესახებ კარგად ჩანს ილიას გამოკვლევიდან, სადაც ის მკითხველს ფართოდ მოუთხრობს ირლანდიის მიწათმფლობელობის ისტორიის შესახებ, მისი ადრეული ეტაპიდან (ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც მიწა მთელი თემის საკუთრებას შეადგენდა) მე-19 საუკუნის ჩათვლით. ილია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ სავალალო შედეგებზე, რომლებიც მოჰყვა ინგლისური მიწათმფლობელობის წესის გაბატონებას ირლანდიაში. სწორედ აღნიშნულ წესს მიიჩნევს, მსგავსად მარქსიზმის ფუძემდებლებისა[27], ილია ჭავჭავაძე ირლანდიელთა უკიდურესი გაღატაკების, დემორალიზების და სამშობლოდან იძულებითი ემიგრირების ძირითად მიზეზად. „რაკი ამ რიგს თვით ინგლისის მკვიდრთა ვერ გაუძლეს ინგლისში, რომლისაც პატრონები თვითვე იყვნენ, — წერს ილია, — აბა როგორ გაუძლებდა დაპყრობილი ირლანდია, ჯერ ამ რიგს ვერ გაუძლო ირლანდიამ და მერე, რეფორმაციის შემდეგ, იმ გარემოებას, რომ პროტესტანტობა ინგლისისა სდევნიდა კათოლიკობას ირლანდიისას, ირლანდიაში სრულიად აეკრძალათ კათოლიკეებს დაესაკუთრებინათ ან ხელში სჭეროდათ მამული მფლობელობით“[28].

ილია ჭავჭავაძე დაწვრილებით და თანამიმდევრულად გადმოგვცემს რეფორმაციის პერიოდში ელისაბედ I-ის და შემდგომ ჯეიმზ I-ის მიერ, ირლანდიური მიწების ძალით მიტაცების და მათი დიდგვაროვანი ინგლისელებისათვის გადაცემის პროცესს. ამავე დროს ილია ხაზს უსვამს ინგლისელთა მიერ ირლანდიაში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებს, და ირლანდიელი გლეხობის გაბოგანების, კოტერებად და კაბალურ არენდატორებად გადაქცევის მიზეზად ასახელებს შემდეგს:

1. უპირველეს ყოვლისა, ის პრივილეგია, რაც მიწათმფლობელობის სფეროში პროტესტანტებს ენიჭებოდათ კათოლიკებთან შედარებით და რამაც განაპირობა რელიგიური ნიღბით, ირლანდიის მიწების დატაცება ინგლისელ-შოტლანდიელთა მიერ;

---

[27] ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში. კ. მარქსი და ფ. ენგელსი „ინგლისის შესახებ“, გვ. 138—139.

[28] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 27.

2. მაიორატის — დაკანონება, რომლის ძალითაც ფეოდალური მამული მემკვიდრეობით გადადიოდა უფროს შვილზე და ითვალისწინებდა, რომ პროტესტანტის მამული არ გასხვისებულიყო, ე. ი. ირლანდიელს არ ჩაეგდო ხელში და დარჩენილიყო ინგლისელის მუდმივ კუთვნილებად.

3. იმ მიწების ლორდებისათვის საბოლოოდ საღალო მამულებად ცნობა, რომლებიც ჯერ კიდევ ეკავა ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას.

ილიას კარგად აქვს გადმოცემული ინგლისელი ლორდების მიერ მათთვის მინიჭებული პრივილეგიების სრულყოფილად გამოყენების ნათელი სურათი, როცა წერს შემდეგს: „...ლორდებმა ჭკუა იხმარეს და საიჯარო მამულები მკვიდრს ირლანდიელებს იაფად დაუთმეს, ოღონდ იჯარის ქაღალდით ნუ შეეეკვრით ერთმანეთსო. მკვიდრი ირლანდიელნი იაფობას დახარბდნენ და უქაღალდოდ ჭერა დაიწყეს მამულებისა. აქედან ძნელი აღარ იყო მიწათმფლობელსა — ლორდსა ბოლოს მამულის გაცემა თავის ნებაზედ დაემყარებინა. ამ თვითნებობას ინგლისელები „At will"-ს ეძახიან და ამან მოუღო კიდეც ბოლო ირლანდიის მკვიდრთა"[29]. ბოლოს კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც ირლანდიის ისედაც ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობას გარკვეული დაღი დაასვა. ინგლისის სოფლის მეურნეობაში წარმოების კაპიტალისტური წესის ფართოდ დანერგვამ გამოიწვია მკვეთრი დიფერენციაცია, როგორც გლეხობაში ასევე თავადაზნაურობაში. განსაკუთრებით კი შეეხო თავადაზნაურობის იმ დაბალ ფენას, რომელსაც ინგლისში უწოდებდნენ „ჯენტრის" (სოფლის აზნაურობა), რომლის ერთი ნაწილი გამდიდრდა და „ახალი თავადაზნაურობის" რიგები შეავსო, მეორე ნაწილი კი, უხეშად რომ ვთქვათ, ირლანდიას „შეესია" იმ იმედით, რომ მათ როგორც პროტესტანტებს, ირლანდიური მიწების ჭერაში სრული პრივილეგია ეძლეოდათ კათოლიკებთან ანუ ირლანდიელებთან შედარებით.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა სწრაფად ხორციელდებოდა ირლანდიაში ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილი მიწების ექს-

---

[29] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 29.

პროპორცია, ილიას მოაქვს საინტერესო ციფრობრივი მონაცემები, რომლის თანახმად XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ირლანდიის 20 322 641 აკრი მიწიდან 15 575 279 აკრი მარტო 5400 მსხვილ ინგლისელ მემამულეს ეჭირა. აქედან ცხადია, რომ მოსახლეობის უმრავლესობა უმიწოდ დარჩა და ირლანდიელთა ხელში მხოლოდ 5 მილ. აკრზე ნაკლები მიწა იყო, ისიც მიწათმოქმედებისათვის უვარგისი, ეს მაშინ, როდესაც 1879 წლისათვის ირლანდიაში 5350 000 მცხოვრები იყო[30]. ილიას მიერ მოტანილი ციფრობრივი მონაცემები რამდენადმე ახლოს დგას სხვა ავტორთა მონაცემებთანაც, სადაც ასევე ნათლად ჩანს წვრილ მესაკუთრეთა (ფერმერთა) მიწების ექსპროპორციისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანდათანობით შემცირების ნათელი სურათი გასული საუკუნის 50-60 წლებში[31].

ილია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ უმიწაწყლოდ დარჩენილ ირლანდიელ გლეხობას საარსებო რომ ეშოვა, იძულებული ხდებოდა მიემართა ახალი მიწათმფლობელისათვის და იჯარით აეღო მიწის ნაკვეთი, თუ როგორ გამოიყენეს ლორდე-

---

[30] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 29.

[31] ირლანდიელი ისტორიკოსი მარკ თირნეი, შემოღობვათა შედეგად წვრილი მამულების შემცირების ასეთ სურათს იძლევა:

წლები	1841	1851
მიწის ნაკვეთი:	135,314	37,728
I აკრამდე	563, 235	279, 937
I-15 აკრამდე	79,342	141,311
15-30 აკრამდე	48,625	149,090
30 აკრის ზევით		
სულ	826,625	608,066

იხ. Tierneu M., Modern Ireland 1850—1950, Dublin 1972, p., 5.

ბმა მეტი მოგების მისაღებად თავიანთი „კუთვნილი" მიწები, ამის შესახებ ილია წერდა: „ლორდებმა მალე შეამჩნიეს, რომ რაც უფრო წვრილ-წვრილ ნაჭერად ურიგდებოდათ მიწა ღალით, თუ იჯარით, მით უფრო მეტს იძლეოდნენ მიწას გაპოკლებულნი გლეხნი"[32]. ყოველივე ამის გამო ლორდებმა ისე დააცამტვერეს მიწები, რომ ღალის აკრეფასაც ვეღარ ასწრებდნენ, ილიას მიაჩნია, რომ ამ მიზნით ლორდებმა დაიქირავეს ღალის ამკრეფნი, რომელთაც ირლანდიაში „Midleman"-ს (შუაკაცი, უწოდებდნენ, ინგლისში კი „Takeman"-ს (ამკრეფი კაცი), ანუ იგივე, რაც ჩვენთან იყო მოურავი. ილია ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტსაც, რომ რაც ლორდებმა დააკლეს ირლანდიელებს, სწორედ ამ შუაკაცებმა დაუმატეს. „...ამ შუა კაცებმა, — წერდა ილია, უფრო დააკუწმაწეს მიწები და ისე აძლიეს გაჭირვებულ გლეხებს"[33]. მსგავს შეფასებას აძლევდა შუაკაცთა მოღვაწეობას ქ. „ივერიაც", სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „ირლანდიის მემამულე თავის-დღეში თავის მამულში არ სდგას, სცხოვრობს ინგლისში და ბოლოდ მის მაგიერ, მამულს მისი მოურავი განაგებს, რომელიც რასაკვირველია, გლეხების შეწუხების დროს თავის ჯიბესაც არ ივიწყებს"[34].

ამრიგად, სწორედ შუაკაცების უსამართლო მოქმედების შედეგად მარტო 1841 — 1845 წლებში წვრილი ფერმების რაოდენობა 680 ათასიდან 905 ათასამდე გაიზარდა[35].

ეხებოდა რა ინგლის-შოტლანდიაში ლორდების მიერ მამულების გაცემის თავისებურებებს, ილია ჭავჭავაძე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად მძიმე იყო ის ირლანდიისათვის, რადგანაც, მისი თქმით, თუ 1845 წელს ინგლისში ერთ მემამულეზე

---

[32] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 29.

[33] ი ქ ვ ე.

[34] ქ. „ივერია", ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ, № 3, თბ., 1881, გვ. 109.

[35] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 30.

ცხრა ფერმა მოდიოდა, ირლანდიაში ამავე დროს ერთ მემამულეზე ოთხმოცდაერთი ფერმა იყო, აქედან ცხადია თუ, რა შემოსავალი ექნებოდა ირლანდიელ გლეხს. ჟურნალ „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მეტად საინტერესო სტატიაში: „ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ“, ილიამ შესანიშნავად აღწერა ირლანდიის მოსახლეობის არაადამიანურ პირობებში ჩავარდნის ნამდვილი სურათი. იგი წერდა: „გლეხებს ისე წვრილად დაუყვიათ ერთმანეთში დიდრონი მეპატრონეების მამულები, რომ გუთნის მოტრიალება აღარ შეიძლება. ვაი-ვაგლახით ნაშოვნი გლეხის ორიოდე გროში მიდის სახელმწიფო ხარჯის გადასახადად და ბატონის გასასტუმრებლად. მთელს ოჯახს გამოსაკვები საჭმელიც ძლივსა რჩება. მთელი ხალხი კარტოფილის მეტს არას სჭამს; პურს, ან ხორცს ძვირად თუ შეხვდებით სადმე. სასმელად მარტო წყალი აქვსთ. ...გლეხის საჭყოფი ტალახითა და ნამჯით რაღაც მოკოკოლავებული საძრომელაა, რომელსაც არც ბუხარი აქვს და არც ფანჯარა. სახლის ავეჯეულობასაც ვერსად ნახავთ. ტანსაცმლის მაგიერ ძონძის ნაფლეთები აკრავთ ტანზედ. ირლანდიის ხალხი მთელს ევროპაში ყველაზე ცუდად იკვებება, ყველაზე ცუდად დასახლებულია, ყველაზე ცუდად ჩაცმულია; მას არც შენახული სარჩო აქვს, არც ფული; — დღითი-დღე ძლივს გამოდის“[36].

მართალია, ილია ჭავჭავაძე მხოლოდ გაკვრით აღწერდა ირლანდიის სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრას, რამაც გამოიწვია უამრავი უმიწაწყლო გლეხის, სოფლის პროლეტარიატის და დღიური მუშების გაჩენა, სამაგიეროდ მათი შემდგომი ბედის შესახებ იძლეოდა რამდენადმე საინტერესო ცნობებს, როდესაც პარალელს ავლებდა ირლანდიასა და ინგლის-შოტლანდიას შორის, სადაც კაპიტალიზმმა უფრო ადრე მოიკიდა ფეხი და ჭარბი მუშახელის დასასაქმებლად უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე ირლანდიაში, ილია წერდა: „...ინგლისი და შოტლანდია გაჩაღებული იყო ფაბრიკებითა, ქარხნებითა და იმისთანა მრეწველობითა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდა მიწასა და მიწათმოქმე-

---

[36] ე. „ივერია“, № 3, თბ., 1881, გვ. 110.

დებასთან, ...რადგანაც ფაბრიკები, ქარხნები და ქალაქების საქმენი სამუშაოს აძლევდნენ და მოჭარბებული, მიწ.ს გამოკლებული ხალხი სულ ქალაქსა, ფაბრიკებსა და ქარხნებს შეეკედლა"[37]. ხოლო რადგანაც ირლანდიაში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ სუსტად იყო განვითარებული, ხალხის არსებობის ერთადერთ წყაროს მიწათმოქმედება შეადგენდა. კაპიტალიზმს კი ამ შემთხვევაში ირლანდიელთათვის შიმშილი და სიდუხჭირე მოჰქონდა. ამრიგად, ილიას მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა, უბედურების კიდევ ერთ მომენტად იქცა. იმდენად, რამდენადაც, მსგავსად კ. მარქსისა, რომელმაც თავისი გენიალური ქმნილების „კაპიტალის" პირველ ტომში ყველაზე სრულყოფილად ჩამოაყალიბა ეს პროცესი, მანაც სწორედ ჭარბი მუშახელის გაჩენა მიიჩნია ახალ უბედურებად საერთოდ მუშათა კლასისათვის და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „როდესაც ხალხის გამრავლების გამო მიწის ღალამ აიწია, მუშის ფასჭა იმავე მიზეზით საშინლად დაიწია"[38]. ილია ჭავჭავაძე ირლანდიაში ჭარბი მუშახელის გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს ლენდლორდების მიერ მიწების „გაევერანებას" (შემოღობვას) ისევე, როგორც ეს ინგლის-შოტლანდიაში კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პერიოდში ხდებოდა. სწორედ ამ მიზეზმა ირლანდიის გლეხობას საბოლოოდ მოუსპო ლენდლორდის „კუთვნილი მიწის" იჯარით აღების შესაძლებლობა. ილიას მონაცემებით, რომელნიც რამდენადმე ემთხვევა პროგრესული ინგლისელი ისტორიკოსის თ. ჯექსონის[39] მონაცემებს, ლენდლორდებმა ირლანდიაში დაახლოებით 15 მილ. აკრი მიწიდან 11,5 მილ. აკრი „გაევერანეს".

მართალია, ილია ჭავჭავაძეს მოაქვს ლენდლორდთა მიერ მიწების

---

[37] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 31.

[38] იქვე.

[39] თ. ჯ ე ქ ს ო ნ ი ს მიხედვით „1849 წელს ირლანდიაში ხორბალი დათესილი იყო 697 648 აკრ მიწაზე, შვრია 2065185 აკრზე, ქერი — 290690 აკრზე, კარტოფილი კი 718608 აკრზე".
იხ. J a c k s o n T. Ireland Her Own. London 1971, p. 299.

„გაეერანების" რამდენადმე ზუსტი ცნობები, მაგრამ ივი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა განსხვავება იყო ირლანდიასა და ინგლის-შოტლანდიაში უკვე ჩატარებულ ამ პროცესებს შორის, რადგანაც, როგორც ვიცით, ინგლის-შოტლანდიაში ეს პროცესი იყო ძველი სამიწათმოქმედო ურთიერთობის რევოლუციური ნგრევა, რასაც მოჰყვა მსხვილი კაპიტალისტური ფერმების განვითარება. ირლანდიაში კი კაპიტალისტური ფერმები წარმოიქმნა გაცილებით გვიან, ისიც მიწების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შედეგად. ამასთან კაპიტალისტური ფერმების აღმოცენების მიუხედავად, ირლანდიის სოფლის დიდი უმრავლესობა ისევე წვრილი მოიჯარეებისაგან შედგებოდა, რომელთაც ლენდლორდები ნახევრადბატონყმურ ექსპლოატაციას უწევდნენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ: „ირლანდია სწრაფად აღმავალი ინგლისური მრეწველისათვის გადაიქცა იაფი და გამოულევი რაოდენობის სამუშაო ძალის ძირითად წყაროდ"[40], რითაც ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისარგებლეს მხოლოდ ლენდლორდებმა და ბურჟუაზიამ, „ირლანდიის ექსპლოატაციის დაგროვილი კაპიტალი ანაყოფიერებდა არა ირლანდიის მეურნეობას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ინგლისისას"[41]. „მართლაც და როდესაც ინგლისი ერთს თავის ქვეყანას — შოტლანდიას კაცობრულად ეპყრობოდა — შენიშნავს ილია, იქაურს საქმეების მართვას თვით შოტლანდიელებსვე ანდობდა, ირლანდიას დედინაცვლის თვალით შესცქეროდა; ირლანდიის ეკლესიის მმართველად ინგლისის არხიეპისკოპოზს ჰგზავნიდა, სასამართლოში ინგლისელ მსაჯულებს და თითქმის არც ერთი კანონი არა მტკიცდებოდა, რომელსაც ირლანდიელი დეპუტატები პარლამენტში ადგენდნენ"[42]. სწორედ აღნიშნული ექსპლოატაციის მძიმე ფორმები ჰქონდა მხედველობაში ვ. ი. ლენინს, როდესაც

---

[40] Колпаков А. Д. Ирландия на пути к революции 1900—1918 гг., М., 1979, стр. 22.

[41] ა. ჩხეიძე, „ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და დამოუკიდებლობისათვის XIX საუკუნის 70-80 წლებში". (დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), თსუ, 1953, გვ. 80.

[42] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ. ჟ. „ივერია", № 9, თბილისი, 1881, გვ. 55.

წერდა, რომ: „თავის „ბრწყინვალე“ ეკონომიკურ განვითარებას, თავისი ვაჭრობა-მრეწველობის „აყვავებას“ ინგლისი მეტწილად აღწევდა ისეთი საგმირო საქმეებით ირლანდიელი გლეხობის მიმართ, რომლებიც რუს მებატონე ქალს სალტიჩიხას მოგვაგონებენო“[43].

ზემოთ მოტანილი მიმოხილვიდან კიდევ ერთხელ შეგვიძლია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მიუხედავად იმ უმნიშვნელოვანესი ხარვეზებისა, რომელიც გაჩნდა ილიას ირლანდიის სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრის და იმ საკალალო შედეგების შეფასებისას, რაც ამ უკანასკნელმა მოუტანა ირლანდიელ გლეხობას, მას ძირითადად მაინც სწორი პოზიცია ეკავა.

§ 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის ირლანდიაში

ირლანდიელი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში წარმოებულმა გმირულმა ბრძოლამ და ამ ბრძოლის პროცესში შეძენილმა გამოცდილებებმა დიდი როლი შეასრულეს ირლანდიელთა რევოლუციური სულისკვეთების ამაღლებაში და ნიადაგი შეუმზადეს ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს.

XIX საუკუნის დასაწყისში ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებისათვის რევოლუციურ-დემოკრატიულმა წრეებმა, დანიელ ო' კონნელის მეთაურობით ირლანდიაში დააარსეს ე. წ. „კათოლიკური საზოგადოება“, ფრიდრიხ ენგელსის თქმით, აღნიშნული ორგანიზაცია მიზნად ისახავდა „კათოლიკების ემანსიპაციას და შემდეგში უნიის გაუქმებას“[1]. რაც შეეხება ი. ჭავჭავაძეს, იგი შემდეგნაირად აფასებდა კონნელის მოღვაწეობას: „მას შემდეგ, რაკი კონნელიმ 1809 წელს შეადგინა საზოგადოება, — თავისის საოცარის მჭერმეტყველებით

---

[43] ვ. ი. ლენინი, „ინგლისის ლიბერალები და ირლანდია“, თხზ., IV გამოცემა, ტ. 20, გვ. 171.

[1] Энгельс — Эдуарду Бернштейну, около 11 июля 1882, г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 36, стр. 281.

ისეთი სახელი დაიგდო, ირლანდიელთ შორის, რომ მისი სიტყვა ირლანდიისათვის კანონი იყო"[2]. ილიას მხედველობიდან არ გამორჩენია „კათოლიკური საზოგადოების" და მის შემდგომ აღმოცენებული „რიპაელთა"[3] საზოგადოების მთღვაწეობის დადებით შეფასებასთან ერთად, მათი ჩრდილოვანი მხარეების გამომზეურებაც, რაც ილიას თქმით გამოიხატა ბრძოლის ნათელი პროგრამის უქონლობასა და მათ მიერ წამოყენებულ იმ მოთხოვნებში, რომელნიც მხოლოდ ირლანდიის წვრილ-ბურჟუაზიულ ლიბერალური წრეების ინტერესებს შეადგენდა და არა მთელი ერისას[4]. აღნიშნული ორგანიზაციების მიერ წამოყენებული ეკონომიკური პროგრამის შესახებ იგი წერდა: „ეს იყო უმნიშვნელო მოთხოვნები, რომელნიც მხოლოდ მამულების იჯარით ჭერის ვადის „პატარა" მომატებას ითვალისწინებდა"[5], მაგრამ ირლანდიელთა ეკონომიკური მოთხოვნებიც, ისევე, როგორც პოლიტიკური, ინგლისელ ლენდლორდთა და კოლონიურ მოხელეთა სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა

ირლანდიაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობამ, უფრო ფართო ხასიათი მიიღო XIX საუკუნის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით „დიდი შიმშილის" და ინგლისში პურის კანონების გაუქმების შემდეგ, რამაც ირლანდიურ პურს მონოპოლიური მდგომარეობა დააკარგვინა ინგლისის ბაზარზე[6]. ეს კი თავის მხრივ უდიდესი დარტყმა იყო ირლანდიელი მოიჯარეებისათვის, რადგანაც

---

[2] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 36.

[3] რიპაელერები (Repael — გაუქმება, გათიშვა) — მოითხოვდნენ 1801 წლის ინგლის-ირლანდიის უნიის გაუქმებას.

[4] „კათოლიკური საზოგადოება" და „რიპაელთა" საზოგადოება რომ არ ემსახურებოდა მთელი ირლანდიის მშრომელი მოსახლეობის ძირითად ინტერესებს, ამაზე ნათლად მეტყველებს ინგლისელი ისტორიკოსის რობერტ კიის შენიშვნაც, რომლის თანახმად „რიპაელთა" საზოგადოება და ო' კონნელი მიდიოდნენ იმ გზით, რომ დაემტკიცებინათ თავიანთი ერთგულება მხოლოდ დედოფლისადმი. იხ. K e e R., The Green Flag. Lendon 1972, p., 200.

[5] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 37.

[6] ვ. დ ო ნ ა ძ ე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემების შესახებ, თბ., 1970, გვ. 114.

ლორდებმა გაძლიერეს მათი აყრა მამულებიდან, და ამ მამულების „შემოღობვა", როგორც კ. მარქსი შენიშნავდა: «В течение 1855—1866 гг. 1032694 ирландца были вытеснены 996 877 головами скота крупным рогатым скотом, овцами свиньями»[7]. ამიტომ იყო, რომ თავის წერილებში ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით ფართოდ აშუქებდა 1847 — 1848 წლების „დიდ შიმშილს" ირლანდიაში, რომლის ტრაგიკული შედეგების აღწერისას ცდილობდა, რაც შეიძლება დიდი სიძულვილის გრძნობა გაეღვივებინა ქართველ ხალხში ინგლისელთა კოლონიური პოლიტიკისადმი და საერთოდ კოლონიალიზმის მიმართ. „დიდი შიმშილის" მიზეზების ჩამოთვლისას, ილია პირველ ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებდა სწორედ კოლონიურ ჩაგვრაზე, რომელსაც ირლანდიელნი განიცდიდნენ და რომელსაც ზედ დაერთო 1846 — 1847 წლების დიდი გვალვები და მათგან გამოწვეული კარტოფილის მოუსავლიანობა. კარტოფილი კი, როგორც ცნობილია, ირლანდიელთა ერთადერთ ძირითად საკვებ წყაროს წარმოადგენდა. „დიდი შიმშილი" განსაკუთრებით საშალალო იყო ირლანდიის დასავლეთ საგრაფოებისათვის, სადაც მილიონ ნახევრამდე კაცი დაიღუპა, გადარჩენილთა დიდი ნაწილი კი საზღვარგარეთ გადაიხიზნა. ცნობილია, რომ 1871 წლამდე ირლანდიიდან ინგლისში გაიხიზნა 565 540 კაცი, შოტლანდიაში 207 770 კაცი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ავსტრალიაში 276 157 კაცი[8].

ამ პერიოდიდან მოყოლებული XIX საუკუნის მიწურულამდე ირლანდიის მოსახლეობა კატასტროფულად მცირდებოდა. მართალია ილია ჭავჭავაძე ამის შესახებ სხვა რაიმე ზუსტ ცნობებს არ იძლევა, მაგრამ სინამდვილის დასადგენად თუ მოვიშველიებთ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთ წყაროს და მონოგრაფიულ გამოკვლევას, შემდეგ სურათს მივიღებთ: ვ. ი. ლენინის თქმით, „ინგლისელთა სასტიკი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად XIX საუკუნის განმავლობაში 5 მილიონზე მეტი ირლანდიელი გაიხიზნა

---

[7] К. Маркс. Набросок доклада по ирландскому вопросу, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. 2 изд., т. 16. стр. 477.

[8] Галкин И. С. Англия 1870—1914 гг., М., 1949, стр. 11.

ამერიკაში"[9]; ცნობილი ირლანდიელი პატრიოტისა და „მიწის ლიგის" საზოგადოების დამაარსებლის მაიკლ დევიტის მიხედვით, თუ 1849 — 1852 წლებში ირლანდიიდან გადასახლდა 263 000 ოჯახი, 1882 წლისათვის ამ რიცხვმა მიაღწია 482 000"[10]; ინგლისელი ისტორიკოსის ბასილ ჩაბის[11] მიხედვით, თუ 1841 წ. ირლანდიის მოსახლეობა შეადგენდა 6528799 კაცს, 1861 წლისთვის იგი შემცირდა 4402 111 კაცამდე, ხოლო 1881 წლისათვის კი 3870020 კაცამდე; მაგრამ ილიასათვის ნათელი იყო, რომ ინგლისის მმართველი ზედაფენა, არამცთუ რაიმე დადებით ღონისძიებას ახორციელებდა ირლანდიელთა ზემოთ ხსენებული ეროვნული ტრაგედიის შესაჩერებლად, არამედ პირიქით, მისი სიტყვები რომ ვისმაროთ, „მთავრობა ინგლისისა ამ გახიზვნას ხელს უწყობდა და უხაროდა, რომ ამოდენა მშიერ-მწყურვალს, უბინაო, უბამულო ხალხს თავიდან იცილებდა"[12]. ილიას ეს დასკვნა უთუოდ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა.

ამიტომ იყო, რომ თუ ინგლისის ტორული და ვიგური ისტორიოგრაფია, ირლანდიელთა გაპარტახებას და საზღვარგარეთ იძულებით ემიგრაციას მიაწერდა ირლანდიელთა სიზარმაცეს და ბუნებით უსუსურობას, კ. მარქსი და ფ. ენგელსი თავის დროზე, აღნიშნულ მიზეზად სამართლიანად მიიჩნევდნენ არა ირლანდიის ერის ბუნებით უზნეობას, არამედ მიწათმოქმედების იმ არისტოკრატულ წესს, რომელიც ძალით შეიტანა ინგლისმა ირლანდიაში და რომელმაც ირლანდიელ წვრილმესაკუთრე გლეხობას მიწა გამოაცალა ხელიდან[13].

---

[9] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „ინგლისის ლიბერალები და ირლანდია", თხზ., IV გამოცემა, ტ. 20, გვ. 171.

[10] Davift M., The fall of faudalism in Irelond, London, and N—York 1904, p., 100.

[11] C u b b B. The Government and politikas of Ireland. London—Oxsford univ., press, p., 325.

[12] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 34.

[13] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში", კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი „ინგლისის შესახებ", გვ. 140.

ილიაც, ეხებოდა რა ინგლისის ტორული და ვიგური ისტორიოგრაფიის მიერ ირლანდიის საკითხის არასწორ შეფასებას, წერდა: „ირლანდიაში იმისთანა თვისების ხალხიაო, ამბობდნენ და ამბობენ დღესაც ბევრნი, რომ არას გზით მათი ბედი არ გასწორდებაო; ირლანდიელნი ლოთები არიანო, მცონარენი, წინდაუხედავნი, მფლანგავნი, ბედოვლათები, უმეცარნიო, იქნება ესეც იყოს, მაგრამ ამას კი ივიწყებენ, რომ ბუდე ამისთანა თვისებისა სიღარიბეა და სიღარიბე მიწათმოქმედის ერის უმამულობაა"[14]. გამოთქმული აზრის ნათელსაყოფად ილიას მაგალითისათვის მოაქვს ამერიკაში მცხოვრები ირლანდიელების მიერ სამშობლოში, თანამემამულეთათვის დახმარების გაწევა და დასძენს: „თუ ირლანდიელი მართლა ხასიათ დაცემულია, ავის თვისების კაცია, ლოთი, მცონარე, უმეცარი გაუფრთხილებელი ბედოვლათია, საიდამ შეაგროვა ამოდენა სიმდიდრე ამერიკაში, რომ არამცთუ თვითონ გამოიკვება და ირჩინა თავი, არამედ ამოდენა უშველებელი ფული თავის გაჭირვებულ მოძმეთ მოაშველა შორიდან, მერე ვინა? გახიზნულმა კაცმა, თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა. ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა ულონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა ეს სიკეთე ხელიდამ გამოსცლია"[15].

ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ილიას ძირითადად ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმ სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოტივებზე, რამაც განაპირობა ირლანდიელთა უკიდურესი გაღატაკება და დემორალიზება. მანაც ირლანდიელთა უბედურების სათავედ ინგლისელთა კოლონიზაცია და მისი შედეგები მიიჩნია.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ირლანდიელთა ისედაც მძიმე მდგომარეობას დაერთო რა „დიდი შიმშილობა", ირლანდიელნი იძულებულნი გახდნენ თოფ-იარაღისათვის ხელი მოეკიდათ, რათა სამშობლო ინგლისელი მოძალადეებისაგან გაენთავისუფლებინათ.

---

[14] ილია ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, იხ. ტ. 9, თბ., 1957, გვ. 34, 35.

[15] დასახელებული წერილი, გვ. 14.

„დიდმა შიმშილმა“ და აგრარულმა გადატრიალებამ, რაც სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანაში გამოიხატა, კიდევ უფრო დიდი უბედურება მოუტანა ირლანდიას. ამის გამო კვლავ თავი იჩინა დროებით მისუსტებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალმა აღმავლობამ. ლენდლორდებისა და ინგლისის მმართველობის წინაშე ირლანდიელნი დაირაზმნენ ჯერ კიდევ 1842 წელს შექმნილი „ახალი ირლანდიის“ საზოგადოების მეთაურობით. ილიას თქმით ეს საზოგადოება: „ძირითადად უნივერსიტეტების მოსწავლე ახალგაზრდობას აერთიანებდა, „ახალი ირლანდიის“ პარტიამ თავის დროშაზედ დააწერა ყოველი ამა სოფლის დიდების უარყოფა მამულის სადიდებლად. ამას იქით მათ კარგი ადგილები კი არ უნდა ეძებნათ, არამედ ევლოთ სამშობლოს კეთილდღეობისათვის მოღვაწეობის გზაზედ. თავის იარაღად მათ აღიარეს მხოლოდ ქველმოქმედება და ჭეშმარიტების ძებნა. იგინი არ არჩევდნენ კათოლიკებსა და პროტესტანტებს და ჰქადაგებდნენ ყველა თანამემამულეების შეერთებას საერთო მიზნის მისაღწევად“[16]. აღნიშნული საზოგადოების ხელმძღვანელები: გავან დაფი, დარასი მაკ-ჯი და ჯონ მიტჩელი ახლად დაარსებული გაზეთების „Nation“ (ერი) და „The united Irisman“ (ირლანდიელთა ერთობა) საშუალებით ხალხს მოუწოდებდნენ ინგლისის კოლონიური უღლის დასამხობად. თუ დარასი მაკ-ჯი და გავან დაფი უფრო მშვიდობიანი ფორმებით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, ჯონ მიტჩელი კი, რომელზედაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა 1848 წლის ევროპის რევოლუციებმა, ილიას სიტყვები რომ ვიხმაროთ, ყოველ სიტყვაში, ყოველ სტრიქონში ხალხს რევოლუციას უქადაგებდა. ინგლისელთა წინააღმდეგ ასევე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ირლანდიაში ჯონ ო' ბრაიანი და მისი თანამოაზრენი, რომელთაც 1848 წელს შეიარაღებული აჯანყებაც კი მოაწყვეს, მაგრამ რაც ხდებოდა, ეს იყო პრელუდია იმ დიდი სახალხო მღელვარებისა, რომელიც გამოიხატა რიპაელებისა და

---

[16] ჟ. ივერია. „ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ“ № 3, თბ., 181, გვ. 114.

ფენიელების მოძრაობაში. სტიქიურად აღმოცენდა რიბონეტთა საზოგადოებაც, რომლის წევრთაც ეს სახელწოდება მიიღეს (Ribbon) — სარტყელი) ტანსაცმელზე დაბნეული მწვანე ლენტის გამოეს საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებდა მიწების გაწმენდის (შემოღობვის) შედეგად უკმაყოფილო გლეხებს. ზოგიერთი მათგანი ლენდლორდებისადმი მიწერილ მუქარის წერილში ხელს აწერდა ზედმეტი სახელით — კაპიტან კლდის ხალხი (კეპტენ როკ) ანდაც კაპიტან მთვარის შუქის ხალხი (კეპტენ მუნლაიტ) და ა. შ.[17]

რიბონეტები მუქარის წერილების გარდა, ლენდლორდთა სიცოცხლესაც ხშირად საფრთხეში აგდებდნენ, არბევდნენ მათ მამულს, იტაცებდნენ საქონელს და ა. შ. ილიას ჟურნალი „ივერია" რიბონეტთა გამოსვლას შემდეგნაირად აფასებდა: „დარწმუნებით ამ საზოგადოების მოქმედების პროგრამა არავინ იცის, რა უნდოდა მას: პოლიტიკური თავისუფლება, თუ სოციალური თავის დაღწევა (მებატონეების განდევნა)? უფრო საფიქრებელია, რომ ეს საზოგადოება სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა გვარად მოქმედებდა, საცა მებატონეები მეტისმეტად აწუხებდნენ ხიზნებს, იქ საზოგადოება მათ ამოწყვეტას შესდგომოდა; და სადაც ინგლისის მომხრეების უმრავლესობა სცხოვრობდა, იქ ამათ ემტერებოდა. ამ საზოგადოების წევრნი საქმის გასარჩევლად სოფლის დუქნებში იყრიდნენ თავს" (მათ სასიკვდილო განაჩენიც კი გამოჰქონდათ ლენდლორდისათვის ან მოღალატისათვის ჰ. ფ.). „...ხშირად მომხდარა, რომ ირლანდიის გლეხები ულოცავდნენ ერთმანეთს, როგორც დიდი ხნიდამ ნატრულს განთავისუფლებას, როცა რომელსამე სასტიკ მებატონეს მოჰკვლიდნენ „სარტყელის საზოგადოების" გადაწყვეტილების ძალით"[18].

ზიუხედავად რიბონეტთა საზოგადოების ასეთი სასტიკი მოქმედებისა, მათ მოღვაწეობას უფრო ჯავრის ამოყრის, შურისძიების სახე ჰქონდა, ვინემ ინგლისის კოლონიური პოლიტიკისა და ლენდლორდთა წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლისა. მიუხედავად დამარცხებისა, როგორც რიბონეტების საზოგადოებას, ასევე მის

---

[17] История Ирландии, М., 1980, с. 214.

[18] ჟ. „ივერია", № 3, თბ., 1881, გვ. 112.

წინამორბედ ორგანიზაციების მოღვაწეობას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ირლანდიის ეროვნული განთავისუფლების საქმეში. მათ ნიადაგი მოამზადეს უკმაყოფილო ხალხის ახალი, უფრო მასობრივი და ორგანიზებული საზოგადოების „ფენიების" — ასპარეზზედ გამოსასვლელად. ილია თავის ნარკვევში წერდა: „ასეთმა ყოფამ-არყოფამ და ინგლისის ძალმომრეობამ აიძულა ირლანდიელნი შეედგინათ ირლანდიის გარეთ უშიშროების გამო საზოგადოება, რომლის წევრთ „ფენიები" ეწოდებოდათო"[19].

„ფენიების" [20] საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა: „ირლანდიის განთავისუფლებას ინგლისის უღლისაგან, უცხო ტომელ მებატონეებისათვის მამულების ჩამორთმევას და გლეხ-კაცობაში განაწილებას, რესპუბლიკის დაარსებას"[21], და ა. შ., ირლანდიაში პირველად აღმოცენდა ქ. კილკენში 1857 წელს. საზოგადოებას სტიმულს აძლევდა პარიზში მყოფი რევოლუციონერ-ემიგრანტთა ჯგუფი, ხოლო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ჯეიმს სტეფანი, რომელიც თავის მხრივ ახლო ურთიერთობაში იყო ბალკისტებთან. როგორც ა. მორტონი აღნიშნავდა, — „ფენიები" იყვნენ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელნიც ძალას იკრეფდნენ აგრარული უკმაყოფილებითო"[22]. „ფენიების" გაბოსვლას თავისებურ შეფასებას აძლევდა თბილისში გამომავალი გაზეთი „დროება", რომელიც აღნიშნავდა შემდეგს: „ვერ ვიტყვით, რომ ფენიელების არეულობას მცირე მნიშვნელობა ჰქონდეს, ამ არეულობას საზო-

---

[19] ი. ჭავჭავაძე, „ირლანდია და ინგლისი", თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 37.

[20] „ფენიები" ანუ „ირლანდიის რევოლუციონერთა ძმობა", თავდაპირველად შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1856 წელს „ფენიქსის" სახელწოდებით, ხოლო 1858 წლისათვის, როგორც ამერიკაში, ასევე ირლანდიაში ეს ორგანიზაცია საბოლოოდ იქნა გაფორმებული. ორგანიზაციის სახელწოდება, მისმა დამაარსებლებმა: ჯერიმ ო' დანოვანმა, მაიკლ დოხენმა, ჯეიმს სტეფანმა და ჯონ ო' მახონმა აიღეს ძველირლანდიული ეპოსის გმირის, ლეგენდარულ ფინ მაკუალის და მისი მებრძოლი რაზმების პატივსაცემად. იხ. История Ирландии, Изд-во «Мысль», М., 1980, стр. 218—219.

[21] ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ, ე. „ივერია", № 3, თბ., 1881, გვ. 119.

[22] Мортон А. История Англии, М., 1950, стр. 381.

გადო ხასიათი აქვს, რომ ის ყველგან იჩენს თავს და მაშასადამე მთელს მხარეშია მოდებული"[23]. ილიას აზრით „ფენიებს" ჰქონდათ შესაძლებლობა საფიქრალში ჩაეგდოთ ინგლისის მთავრობა. „მათ შეეძლოთ შეეკრიბათ 200 ათასი კაცი და ირლანდია რესპუბლიკად გამოეცხადებინათ". ზემოთ აღნიშნული ილიას სურვილი უფრო იყო, ვიდრე რეალური შესაძლებლობა, ხოლო წერდა იმიტომ, რომ ეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, მისი პატრიოტული გრძნობის ამაღლებას ესაჭიროებოდა.

ილია ჭავჭავაძე საერთო ჯამში, დადებითად აფასებდა „ფენიების" მოძრაობას, აღნიშნავდა მათი გამოსვლების მებრძოლ ხასიათს, მათ გულწრფელ ცდას ძალით გაეთავისუფლებინათ ირლანდია ინგლისის კოლონიური უღლისაგან, მაგრამ ილია აქ სვამს წერტილს და არაფერს ამბობს „ფენიების" მოძრაობის ჩრდილოვან მხარეებზე: იგი ხაზგასმით არ აღნიშნავდა ამ მოძრაობის წვრილ-ბურჟუაზიულ ხასიათს და მათ მიერ ხალხის ფართო მასებთან მჭიდრო კავშირის უქონლობას, როგორც ცნობილია, დასაბული მიზნის მისაღწევად „ფენიები" ინდივიდიუალური ტერორის ტაქტიკასაც მიმართავდნენ, რაც მათ ხელმძღვანელობაზე ბლანკისტთა გავლენის უშუალო შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

ილია ჭავჭავაძეს მიზნად არ დაუსახავს და არ ცდილა დეტალურად გაეშუქებინა „ფენიების" მოძრაობის მთელი კომპლექსი, მიეთითებინა მათი ბრძოლის ტაქტიკის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვინაიდან მისთვის იგი სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა.

„ფენიების" დამარცხების შემდეგ, ირლანდიელმა პატრიოტებმა ერთდროულად დღის წესრიგში დააყენეს ორი ურთიერთკავშირში მყოფი ამოცანა, ჰომრულისათვის და მიწისათვის ბრძოლა[24].

---

[23] გაზ. „დროება", № 13, თბილისი, 1867.

[24] „მიწის ლიგის" საზოგადოების წევრები ლენდლორდისაგან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთის გლეხის საკუთრებაში გადასვლას მოითხოვდნენ. აღნიშნული საზოგადოება დააარსა გადასახლებიდან დაბრუნებულმა, ყოფილმა „ფენიელმა" მაიკლ დევიტმა. იხ. Шпирельман М., Земельная реформа в Ирландии, М., 1906, стр. 28.

ილია ჭავჭავაძემ ამასთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ საჭიროდ მიიჩნია დაბრუნებოდა ამ საკითხს და უფრო ვრცლად ისტორიული სიღრმიდან მიეწოდებინა ცნობები ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ინგლისური მიწათმფლობელობის წესის ხელშეუხებლობის, ილიას თქმით „ზვიადი აზრის“ შესახებ. მისი თქმით „ზვიადი აზრის“ დიალექტიკა XI საუკუნიდან XIX საუკუნემდე გრძელდებოდა. „ვილჰელმ დამპყრობლის დროს — წერდა ილია, თესლი ამ ხელშეუხებლობისა დაითესა ინგლისში და თანდათან გაძლიერდა. გაივსო და ბოლოს მიწათმფლობელობას შეურყეველ საძირკვლად დაედო“ [25]. მართლაც და ამ აზრმა ადამიანის ზნეობა ისე დაიმორჩილა ინგლის-ირლანდიაში, — განაგრძობს ილია. რომ მის უსამართლობაზედ სიტყვა საუკუნეების განმავლობაში არამც თუ ინგლისის კანონმდებლობას, არამედ თვით იმათაც კი, ვინც ამ მოძღვრებაჰ ულუკმაპუროდ დასტოვა, არ დასცდენიან“[26]. მოტანილით ილიას სურს, ქართველ მკითხველს დაანახოს, თუ რამდენად „...ძლიერი, შემბუთველი ძალა ჰქონდა ქვაკუთხედსა ლორდთა მიწათმფლობელობის საძირკველისას“ [27] და რომ იმისთანა ქვეყანაშიც კი, როგორიც ინგლისი იყო, ამ მოძღვრებამ დროთა მოთხოვნილებებს ვერ გაუძლო და საფუძველი შეერყა. პირველი დიდი იერიში ლორდთა მიწათმფლობელობაზე მიიტანეს ინგლისის მეფეებმა ჰენრი VII და VIII, XV—XVI საუკუნეებში, როდესაც მათ აუკრძალეს ლორდებს იმისთანა ფერმების მოშლა, რომელთაც არანაკლებ 20 აკრისა ეჭირათ, ანდა 30 მარკა იჯარას იძლეოდნენ. ილიას კარგად ესმოდა, რომ მეფეები ამას იმისათვის ჩადიოდნენ, რათა ლორდებს მიწები მთლიანად არ გაეკვერანებინათ (შემოეღობათ) და საძოვრებად არ ექციათ. მის ყურადღებას არ გამოპარვია ის ფაქტიც, რომ მსხვილი ფერმების შენარჩუნებას მოჰყვა წვრილი საღალე მამულების მთლიანად გაუქმება, და წვრილმიწათმოქმედთა ცის ანაბარა დარჩენა. შემდგომში ყველა კანონპროექტი, რომელიც ინგლისის პარლამენტში შემოჰქონდათ

---

[25] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9. თბ., 1957, გვ. 38.

[26] იქვე, გვ. 39.

[27] იქვე.

და ითვალისწინებდა მიწათმფლობელობის აღნიშნული წესის ნაწილობრივ შეცვლას. ყოველთვის უარყოფილი იყო პარლამენტის მიერ, რადგანაც ილიას მოხდენილი გამოთქმა რომ ვიხმარით, „მაშინ პარლამენტში ბურთი და მოედანი ეკერათ მიწათმფლობელთა, და მათგან ეკონომიურად დამონავებულთა ფერმერებს“[28].

ილიას კარგად ესმოდა, რომ უკვე XVIII—XIX საუკუნეებში ინგლისის სამრეწველო ბურჟუაზიას, რომელიც მძლავრი სამრეწველო-ტექნიკური რევოლუციის გამარჯვებისა და წარმოების კაპიტალისტური წესის დამკვიდრების შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური ძალაუფლების მონაწილე გახდა, არ შეეძლო სათანადო ნაბიჯები არ გადაედგა მსხვილ მიწათმფლობელთა (ლენდლორდთა) ეკონომიკური და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური უფლებების შესაზღუდავად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, როგორც ინგლისში, შოტლანდიაში, ისე ირლანდიაში. ამიტომაც ილია დადებით მოვლენად მიიჩნევდა 1806—1841 წლებში ჩარლზ გრეისა და რობერტ პილის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებს, რომელთაც შესამჩნევი ეკონომიკური ცვლილებები მოახდინეს და საკუთრების ხელშეუხებლობის დედააზრი ნაწილობრივ შეარყიეს[29]. მაგრამ ილიას მიაჩნდა, რომ ყველაზე დიდი ხელისხლება მიწათმფლობელობის „დედააზრისა“, მაინც 1848 წელს მოხდა, „ეს ის კანონი იყო — წერდა ილია, რომლის ძალითაც ირლანდიაში სამაიორატო მამულებს ყადაღა ახსნეს გაუსყიდველობისა და ნება მიეცათ სამაიორატო მამულები ეყიდათ „მსურველთა“[30]. თუ რამდენად სახარგებლო იყო ირლანდიაში ადგილობრივ მკვიდრთათვის მაიორატის გაუქმება, ეს ნათლად ჩანს ილიას მიერ მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდან: მისი თქმით, 1849—1857 წლებში 511 898 900

---

[28] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, 1957, გვ. 40.

[29] იგულისხმება 1806 წლის, 1830 წლის მარტ-აპრილის და 1841 წლის პარლამენტში შეტანილი ბილები-რეფორმის შესახებ, და 1845 წლის პარლამენტის აქტი ე. წ. „Unifosire Act“ „რომელნიც რამდენადმე ზღუდავენ მსხვილ-მიწათმფლობელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს და ძალაუფლებას ქვეყნის მართვაგამგებლობაში ანიჭებდნენ სამრეწველო ბურჟუაზიას.

[30] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 7, თბ., 1957, გვ. 41.

ფრანკის მამულები ირლანდიაში უყიდია 7 849 კაცს, აქედან 7 180 ირლანდიელს, დანარჩენი კი ინგლისელებს და შოტლანდიელებს.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული სიმპათიებით ეკიდებოდა ინ-დროისათვის საქვეყნოდ ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის ჯონ სტიუარდ მილისა და რადიკალთა მეთაურის ჯ. ბრაიტის მოღვაწეობას, რომლებიც ქადაგებდნენ სათემო მამულების უმიწოდ დარჩენილთათვის დარიგებას, მათთვის ხაზინის მიერ მეურნეობის სათანადო გასამართავად სესხის მიცემას და ა. შ. ილია ამის თაობაზე წერდა: „შორსმჭვრეტელი მილი, აფრთხილებდა თავის ქვეყანას, ეხლავე უწამლეთ რამე ამ საქმეთო, თორემ გაჭირვებული ყოფა მიწათმფლობელობისა დღესა თუ ხვალ თავისას მოითხოვს და ძირეულ ცვლილებებს მოახდენსო“ [31]. ბრაიტის შესახებ კი იგი წერდა: „ის არა ერთხელ ამბობდა, რომ ირლანდიას მარტო იმითი ეშველება, თუ უმამულოდ დარჩენილ ხალხს სასახლეებს, საკომლო მამულებს ცოტაოდენს მაინც ვუყიდითო“ [32].

ი. ჭავჭავაძეს სწორედ ზემოთ ხსენებულ მეცნიერთა დამსახურებად მიაჩნდა ინგლისის საზოგადოებრივი აზრის ყურადღების გამახვილება ირლანდიაში მთელი რიგი გარდაქმნისადმი, კერძოდ კი მიწათმფლობელობის არსებული წესის შესაცვლელად, რომლის უშუალო ნაყოფსაც წარმოადგენდა უილიამ გლადსტონის მიერ შემუშავებული და 1870 წლის 15 თებერვალს ინგლისის პარლამენტში განხილული ირლანდიის საადგილ-მამულო ბილი, რომელიც ცნობილია „მიწის აქტის“ (Land Act)-ის სახელწოდებით [33]. აღნიშნული ბილით, — ილია ჭავჭავაძის თქმით, „გლადსტონმა „...ჯერ ლაგამი ამოსდო ლორდების თვითნებობას... და მერე ძირი

---

[31] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 41.

[32] ი ქ ვ ე.

[33] Land Act-ით ლენდლორდს ეკრძალებოდა მოიჯარის მიწიდან თვითნებურად აყრა. თუკი ის მაინც მოისურვებდა ამის გაკეთებას, ასეთ შემთხვევაში ფერმერისათვის უნდა გადაეხადა ყოველივე იმის საფასური, რაც მის მამულში ფერმერმა გააუმჯობესა ანდა ახალი ააშენა. ამავე დროს აქტი მოიჯარეს უფლებას აძლევდა სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ შეესყიდა ლენდლორდისაგან მიწის ნაკვეთი, თუკი ეს უკანასკნელი თანახმა იქნებოდა, იხ. Kee R., The Green Flag L., 1972, p. 372.

გამოუთხარა წინანდელ დედააზრს"[34]. მართალია ილია დიდად აფასებდა გლადსტონის ამ ნაბიჯს, მაგრამ სინამდვილეში, ლიბერალთა ლიდერი რომ ირლანდიის საკეთილდღეოდ არ მოქმედებდა, ამაზე ნათლად მეტყველებს კ. მარქსის შემდეგი სიტყვები: «Гладстон проделал очень тонкий трюк... в момент, когда должно произойти обесценение земли в Ирландии (как и в Англии) вследствие ввоза хлеба и скота из Соединенных Штатов, он предоставил в этот самый момент в расположение земельных собственников государственное казначейство, чтобы они могли продать ему эти земли по цене, которой они уже не стоят!»[35].

ილია ჭავჭავაძე ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უილიამ გლადსტონის მიერ 1872 წელს შემუშავებულ და პარლამენტში განსახილველად შეტანილ ე. წ. ირლანდიის მიწის კანონსაც — Iris Land bill-ი, რომლის ძალითაც ფერმერსა და მემამულეს შორის ყოველივე სადავო საქმე დაემორჩილა კანონს, რისთვისაც დაწესდა სასამართლო და მომრიგებელ მოსამართლეს სრული უფლება მიეცა აეძულებინა მიწათმფლობელი და ფერმერი კანონს დამორჩილებოდნენ. ამავე კანონით დაწესდა იჯარის ვადად 31 წელი, ხოლო მემამულეს აღარ შეეძლო თავისი ნებით აეწია იჯარის ფასი, აეყარა ფერმერი, თუ ეს უკანასკნელი პირნათლად იხდიდა იჯარის ფასს. თუკი ინგლისელი ლენდლორდი მაინც აჰყრიდა ასეთ ფერმერს, მაშინ იგი იხდიდა ყველა იმის საფასურს, რაც კი ფერმერს ჰქონდა გაკეთებული მის მამულში მისი მოსავლიანობის ასაწევად, ახალი იარაღის შესაძენად. ბოლოს ამ კანონს ჰქონდა მეტად დიდი მნიშვნელობა იმიტომაც, რომ ფერმერს მიეცა უფლება შეესყიდა საიჯარო მამული, თუ მამულის პატრონს მოურიგდებოდა. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი წერდა რომ: „ლიბერალებმა მას (იგულისხმება ირლანდია პ. ფ.) თავს მოახვიეს „საკანონმდებლო" შეფასებით გამოსყიდვა, მილიონობით და მილიონობით ხარკს უხდის ის და კიდევ მრავალ წელს უნდა უხადოს ინგლისელ მემამულეებს იმის ჯილდოდ, რომ ისინი რამდენიმე საუკუ-

---

[34] ი. ჭავჭავაძე, ირლანდია და ინგლისი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 42.

[35] Ф. Энгельс-Женни Лонге, 24 Февраля 1881 г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, с. 154.

ნის განმავლობაში ძარცვავდნენ მას და მუდმივ შიმშილობამდე მიჰყავდათ იგი"[36].

მიმოიხილავდა რა კანონის ძირითად მუხლებს, რომელნიც მოჩვენებით შეღავათს აძლევდნენ ირლანდიელ მოიჯარეს, ილია ფაქტიურად ყურადღების მიღმა ტოვებს და არ იძლევა მის კრიტიკულ ანალიზს, რადგანაც მას ამ შემთხვევაში აინტერესებს ხსენებული კანონის არა იმდენად პოლიტიკური დანიშნულება, რამდენადაც სოციალური. იგი მიწის კანონის დადებით მხარეს იმაში ხედავს, რომ: „ეს კანონი პირველი ბიჯია მიწათმფლობელობის ცვლილების გზაზედ, — ბიჯი. მართალია მოკლედ ვადადგმული, მაგრამ ძლიერი და უკუ დაუბრუნებელი"[37]. ამავე დროს, არ შეიძლება მთლიანად გავიზიაროთ ილიას მოსაზრება იმის შესახებაც, თითქოს კანონის შემუშავებით გლადსტონი მოქმედებდა ირლანდიის საკეთილდღეოდ. მაშინ, როდესაც ინგლისის მმართველი ზედაფენა და მათ შორის ლიბერალთა ლიდერიც იძულებით აქტად მიიჩნევდა მას და ამით ცდილობდნენ როგორმე შეეჩერებინათ ის ახალი რევოლუციური ტალღა, რომლის აზვირთებაც ირლანდიაში იყო მოსალოდნელი. ეხებოდა რა „მიწის კანონის" მნიშვნელობას, ცნობილი მკვლევარი ა. მეტენი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ის იყო შედეგი იმ შიშისა, რაც ფენიების მოძრაობამ. განაცდევინა მთავრობასო".

წერილების სერიას, რომელნიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიბეჭდა „ივერიაში" საერთო სათაურით: „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის შესახებ" და „ირლანდია ინგლისის უფლების ქვეშ", ილია კვლავ გლადსტონის „მოღვაწეობის" შეფასებით იწყებს და განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მის მიერ პარლამენტში შეტანილ ჰომრულის პროექტზე. მას ქართველი მკითხველის სამსჯავროზე გამოაქვს აღნიშნული ბილის ის ძირითადი მუხლი, რომელმაც მისი თქმით დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თვით ინგლისელ ლიბერალთა შორისაც. ილიას მიხედვით ყოველივე მდგომარეობდა იმაში, რომ ირლანდიას უნდა მისცემოდა სა-

---

[36] ვ. ი. ლენინი, ინგლისის ლიბერალები და ირლანდია, თხზ., IV გამ., ტ. 20, გვ. 173.

[37] გაზ. „ივერია", № 76, თბილისი, 1886.

კუთარი, ცალკე პარლამენტი დუბლინში, ხოლო საიმპერიო პარლამენტში კი ირლანდიელთა წარმომადგენლობა უქმდებოდა. ამრიგად ირლანდიას, მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ საქმეთა წარმოებაში ენიჭებოდა სრული უფლება. ამავე დროს ირლანდია მოვალე იყო საერთო, საიმპერიო საქმეთა წარმოებისას დაპორჩილებოდა ინგლისის პარლამენტს. ილიას კარგად ესმის ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების მოთხოვნით გლადსტონის მიერ გადადგმული გაბედული ნაბიჯის სოციალური არსი. ილია ასევე კარგად ჰკვრეტს ინგლისის პარლამენტში ვიგებსა და ტორებს შორის არსებულ პარტიულ ბრძოლას და დადებით შეფასებას აძლევს ირლანდიელთა 86 კაცისაგან შემდგარი დასის როლს ამ ბრძოლაში.

ჩარლზ პარნელის და მისი მეთაურობით მოღვაწე ჰომრულისტთა დასის შესახებ ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული დაინტერესება შემთხვევითი არ გახლდათ. მსგავსი მაგალითი ისეთი ძლიერი წინააღმდეგობისა, თანაც ორგანიზებულის, რასაც ჰომრულისტები ინგლისის ხელისუფლებას უწევდნენ, როგორც ირლანდიაში, ასევე ინგლისის პარლამენტში, თითქმის არ მოიპოვება ამ ორი სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პანძილზე. მართალია, ირლანდიელთა ბრძოლა სხვადასხვა პერიოდში შეიძლება უფრო გაფთრებული და სისხლიანიც იყო, მაგრამ თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, ისეთი ნაყოფი მაინც არ მოუტანია, რაც ჰომრულისტთა მოღვაწეობამ მოუტანა ირლანდიას. აი ამიტომ სურს ილიას უფრო ღრმად ჩასწვდეს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობას და ქართველობას მის გამოცდილებაზე უფრო დაწვრილებით მოუთხროს. ილია ჭავჭავაძე პარნელისტთა შესახებ წერდა: „უკანასკნელმა არეულობამ ირლანდიაში ამ გაწვრთნილს პარტიას ესრეთ წოდებულს „ჰომრულებს“ დიდი სახელი და გავლენა მიანიჭა. ეს პარტიავე არის წინამძღოლი აღელვებული ირლანდიელებისა და რამდენსაც ინგლისი მეტს წინააღმდეგობას გაუწევს მათ, იმდენი ამ პარტიას ძალა ემატება, მოქმედების ასპარეზი უფართოვდება“ [38]. ჰომრულისტთა მიერ ირლანდიაში განსაკუთრებული ავტორიტეტის მოპოვებას და ჭეშმარიტად ერის ხელმძღვანელ პარტიად ქცევას, ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად ხსნის: „ჰომრულებმა ძლიერე-

---

[38] ქ. „ივერია“, ინგლის-ირლანდია, № 9, თბ., 1881, გვ. 45.

ბის გამოსაჩენად და თავიანთი გავლენის დასამყარებლად გამონახეს იმისთანა ნიადაგი, რომლის შეძვრაზედ მთელი ირლანდიაც შეიძვროდა; იმათ ხელზედ დაიხვიეს გაღატაკებულ და მამულებიდან განდევნილ ხიზნების საქმე, რომელნიც თითქმის მთელს ირლანდიის დაბალს ხალხს შეადგენენ, მოითხოვენ, რომ მათი უფლება მიწა-წყალზე აღიარებულ ყოფილიყო მთავრობისაგან და ესრედ თავიანთი პოლიტიკური განზრახვა ეკონომიურს საძირკველზედ დაამყარეს. ესრედ წოდებული სამამულო კავშირი (Land League), რომელსაც ათიათასობით მომხრე ჰყავს ირლანდიაში, გაგამოწვეულია ჰომრულებისაგან, ჰომრულებისვე მეოხებით“ [39].

პარნელისტთა მიერ ირლანდიაში გატარებული ღონისძიებები (არა სისხლიან, ხაზგასმა ჩვენია — პ. ფ.), რომელთაგანაც აღსანიშნავია სახალხო კრებების, ლენდ-ლორდთა წინააღმდეგ ბოიკოტის, ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების ორგანიზება და ა. შ., კუნძულზე თანდათანობით ხელს უწყობდა საერთო სახალხო მღელვარების აღმავლობას.

ილიას აზრით, ირლანდიაში ყოველივე ამას ადგილი რომ არ ჰქონოდა: „...საეჭვოა, რომ ამ ნაწილს ინგლისის სამეფოსას ან პარლამენტში დეპუტატების ამორჩევის უფლება მისცემოდა (იგულისხმება საიმპერიო პარლამენტი — პ. ფ.), ან პროვინციის წარმომადგენელთა რჩევები, ...იქნება არც ხალხის განათლებისათვის ეგდოთ ყური. ადვილად მისახვედრია, რომ თუ უკანასკნელნი უწესობანი არ მომხდარიყვნენ, იქნება ინგლისის მინისტრს გლადსტონს არც კი მოენდომებინა სამიწაწყლო კანონების შეცვლა ირლანდიაში“ [40].

მიუხედავად ინგლისის მთავრობის მიერ ირლანდიისათვის ნაწილობრივ დათმობებზე წასვლისა, ირლანდიის დიდი ხნის ნატვრა (დამოუკიდებლობა), კვლავ არ იქნა ასრულებული, ამისათვის ჰომრულისტები სათანადოდ იყენებდნენ მათთვის კანონის ძალით მინიჭებულ უფლებებს, კერძოდ საპარლამენტო უფლებებს.

აღნიშნული პარტიის წევრებმა მოიმარჯვეს რა ე. წ. „ობსტრუქციის მეთოდი“, საგულდაგულოდ დაიწყეს ინგლისის პარლა-

---

[39] „ივერია“, ინგლის-ირლანდია, № 9, თბ., 1881, გვ. 46.

[40] ე. „ივერია“, დასახელებული წერილი, № 9, თბ., გვ. 48.

მენტში ირლანდიის სასარგებლოდ თავიანთი პატრიოტული მოღვაწეობა. მათი მოქმედების შესახებ ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსი, ევგენი ტარლე შენიშნავდა, რომ „პარნელისტები იყენებდნენ ყველა საშუალებას, რაც თითოეულ დეპუტატს კანონით ჰქონდა მინიჭებული. ისინი მოქმედებაში უშვებდნენ საპარლამენტო ფორმალობის ყოველ ზამბარას, თუ კი პარლამენტის გადაწყვეტილება ირლანდიის ინტერესებს არ შეესაბამებოდა“ [41]. ილია ამ მცირე დასის როლს ინგლისის პარლამენტში შემდეგნაირად აფასებდა: „ვისაც ეს მცირე დასი მიემხრობა, იგი მხარე დასძლევს ხოლმე და ასე გამოდის, რომ ინგლისის სვე-ბედი იმ მესამის, რიცხვით მცირე დასზეა დამოკიდებული“[42]. ირლანდიელნი ყოველთვის ცდილობდნენ ამა თუ იმ პარტიის მიერ, ინგლისისათვის შემუშავებული რაიმე ახალი ღონისძიების ჩაშლას. ამასთან ინგლისის ჩვეულების მიხედვით, თუ რომელიმე პარტიის კანონპროექტს არ მოიწონებდა პარლამენტი, ამ შემთხვევაში წამყვანი პარტიის ლიდერები — კაბინეტის ხელმძღვანელები უნდა გადამდგარიყვნენ თავიანთი პოსტებიდან და ქვეყნის საჭეთ-მპყრობელობა მეორე პარტიისათვის დაეთმოთ. ამრიგად, გამოდიოდა, რომ ინგლისის მინისტრებს ხსნიდა და ნიშნავდა პარნელი, რომლის სიტყვასაც 86-ვე ირლანდიელისათვის თითქმის კანონის ძალა ჰქონდა. აი, აქ ხედავდა ი. ჭავჭავაძე გლადსტონის შორსმჭვრეტელობას ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების მოთხოვნით რადგანაც, როგორც ილია აღნიშნავდა: „რა თქმა უნდა, ამისთანა ყოფას ვერ შეიშვნევდა დიდი ინგლისი; რა თქმა უნდა... ქვეყნის სვე-ბედსა ასე ადვილად არ გახდიდნენ სათამაშოდ 86 კაცის ხელში. აი იგი მიზეზი, აი იგი საბუთი, რომლის ძალითაც დიდმა გლადსტონმა, მოისურვა რა მიანიჭოს ირლანდიას საკუთარი პარლამენტი, საჭიროდ სცნო, საერთო საიმპერიო პარლამენტში ხმა და წარმომადგენლობა აღარ მიეცა“ [43]. ილიას მოსაზრება, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ჩაითვალოს

---

[41] Тарле Е. В. Очерки и характеристика из истории европейского общественного движения в XIX веке, СПб., 1903 стр. 80.

[42] „ივერია“, № 106, თბ., 1881, გვ. 198.

[43] ი. ჭავჭავაძე, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო, თხზ., სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 197.

მთლიანად სარწმუნოდ, რადგანაც გლადსტონი და ინგლისის პარლამენტი ირლანდიისათვის თვითმმართველობის მოთხოვნით, მიზნად ისახავდა არა მარტო ინგლისის პარლამენტის „გაწმენდას“ პარნელისტებისაგან, ამავე დროს მათ ინტერესებს განსაზღვრავდა სხვა, უფრო სერიოზული გარემოებაც. სწორედ ამ უკანასკნელს გულისხმობდა კ. მარქსი, როდესაც წერდა შენიშვნას: «Действительные трудности земельной проблемы в Ирландии, которые вовсе не являются трудностями исключительно ирландскими, так велики, что единственный правильный путь—было бы дать ирландцам гомруль и таким образом заставить их самих разрешить её»[44].

ირლანდიის საკითხთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძემ ქართველ მკითხველს მეტად საინტერესოდ მოუთხრო ინგლისის ორი მოწინააღმდეგე პარტიის, ტორებისა და ვიგების ლიდერთა — სოლსბერისა და გლადსტონის მოღვაწეობის შესახებ. მან ცალ-ცალკე დაახასიათა მათი პოლიტიკური პრინციპები და ხაზი გაუსვა, ერთი მხრივ, სოლსბერის რეაქციულ დამოკიდებულებას ქვეშევრდომი ირლანდიისადმი, მეორე მხრივ, გლადსტონის მიერ ინგლისის პარლამენტში შეტანილი რეფორმების მნიშვნელობას, როგორც ინგლისისათვის ასევე ირლანდიისათვის.

უილიამ გლადსტონში ილია ხედავდა არა მარტო დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს, არამედ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სიმართლის მომხრესაც: „შუამავალი, მოციქული, მარტო სიმართლე და სამართალი უნდა იყოსო და არა სხვა რამეო“, — ხაზს უსვამდა ილია გლადსტონის სიტყვებს. გლადსტონისაგან განსხვავებით, ილია სოლსბერიში ხედავდა მის ანტიპოდს, რომელიც სიმართლეს ძალას უპირისპირებდა და მოჰქონდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „რადგან ირლანდია ჩვენ იარად გვაჩნია, მის მოსარჩენად თავს რაზედა ვიტკივებთო? ავიღოთ და, როგორც ხორცმეტი ამოვჭრათ და გადავაგდოთ, ხომ ინგლისს ერთ ლუკმადაც არ ეყოფაო“ [45]. ამრიგად, ამ ორიოდე მაგალითიდანაც ნათლად

---

[44] К. Маркс-Менни Лонге, 29 апреля 1881 г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 35, стр. 154.

[45] ი. ჭავჭავაძე, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო, თხზ., სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 200.

ჩანს, ილიას მიერ ლიბერალი გლადსტონის დადებითი დახასიათება და კონსერვატორ სოლსბერის — უარყოფითი. სწორედ კონსერვატორთა პოლიტიკურ სიბეცესა და წინდაუხედაობაში ხედავდა ილია იმ ძალას, რომელმაც მისი თქმით: „ბევრი ავნო თვით კონსერვატორებს და ბევრს აუხილა თვალი სასარგებლოდ გლადსტონის პროექტისა" [46].

შემდგომში, როდესაც ცხადი გახდა, რომ გლადსტონის პროექტს ირლანდიისათვის ავტონომიური თვითმმართველობის მინიჭების შესახებ, ბევრ მომხრესთან ერთად მოწინააღმდეგე უფრო მეტი ჰყავდა და თვით ინგლისის პარლამენტში აღნიშნული პროექტი ვერ გავიდა [47], ილიას ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრია და პესიმიზმს არ მისცემია. სჯეროდა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სამართალი იპოვნიდა გზას. „უეჭველია, თითონ დედააზრი გლადსტონის წინადადებისა დღეს იქნება თუ ხვალ უსათუოდ გაიმარჯვებს; იმიტომ, რომ სათავედ, როგორც ბევრჯერ გვითქვამს სიმართლე და კაცთმოყვარეობა აქვს" [48].

ილია ჭავჭავაძე ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების საქმეში გლადსტონის მოწინააღმდეგეთა მხარეს აყენებს თვით ირლანდიელთა ერთ ნაწილსაც, კერძოდ იგი ხაზს უსვამს ოლსტერის პროვინციის პროტესტანტული მოსახლეობის პოზიციას. ამასთან დაკავშირებით იგი მოკლე ისტორიულ ექსკურსს აკეთებს და მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობს ამ პროვინციის შესახებ. „ირლანდიის საქმეში დიდს მნიშვნელობას იქონიებს ერთი პროვინცია ირლანდიისა — წერს ილია, რომელსაც უჭირავს განაპირებით ჩრდილოეთი ირლანდიისა. ამ პროვინციას უჭირავს ირლანდიის ჩრდილოეთი სივრცის 398 $^{1}/_{5}$ ოთხკუთხედი მილი და ჰყავს 3.400.000 მცხოვრებელი. იგი ხუთს საგრაფოდ გაყოფილია, მრავლის ტბე-

---

[46] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 200.

[47] 1886 წლის 7 ივლისის ინგლისის პარლამენტში გამართულმა კენჭისყრამ ირლანდიისათვის ჰომრულის მინიჭების შესახებ, მოიტანა შემდეგი შედეგი: ჰომრულს მხარი დაუჭირა 228 ლიბერალ გლადსტონისტმა, და 85 პარნელისტმა. მის წინააღმდეგ ხმა მისცა 250-მა კონსერვატორმა და 93 ლიბერალ-უნიონისტმა. ამრიგად კანონ-პროექტი ჰომრულის შესახებ უარყოფილი იქნა 30 ხმით. Т а р л е Е. В. Чарльз Парнель, Соч. т. I, М., 1957, стр. 95.

[48] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 202.

ბით და მდინარეებით ირწყვის და მთელს ირლანდიაში ამისთანა შეძლებული და მდიდარი პროვინცია სხვა არ არის. ერთ დროს ამ პროვინციას თავისი საკუთარი მეფე ჰყოლია და მხოლოდ 1361 წ., როცა ინგლისის კოროლის ედუარდ III-ის შვილმა კლარენსმა შეირთო ქალი — მემკვიდრე ოლსტერის მეფისა, ეს პროვინცია შეუერთდა დანარჩენ ირლანდიას" [49]. ილია შემდეგ უშუალოდ ეხება ამ პროვინციის მოსახლეობის სარწმუნოების საკითხს და ამ ნიადაგზე არსებულ წინააღმდეგობებს, რაც, როგორც ცნობილია, დღესაც ისევე მწვავე ფორმებით გამოიხატება, როგორც გასულ საუკუნეებში. ამასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს: „ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ერთობ ირლანდია კათოლიკეთა სარწმუნოებისაა, ხოლო ამ ოლსტერის პროვინციაში კი უფრო მომეტებული ნაწილი პროტესტანტები არიან და ამიტომ ეს ოლსტერი (იგულისხმება პროტესტანტული მოსახლეობა — პ. ფ.) ერთობ განზე უდგას ირლანდიას და მასთან ერთად საქმის დაჭერა არ უნდა. ოლსტერის მცხოვრებნი ჰშიშობენ, რომ რაკი ირლანდიას თვითმმართველობის უფლება მიენიჭება, ჩვენ პროტესტანტებს დაგვჩაგვრნენ და საქმეს გაგვიფუჭებენო. ამის საბუთს იმაში ჰპოულობენ, რომ დიდი ხანია კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის ირლანდიაში მტრობა და შუღლია. ეს მტრობა და შუღლი მას აქეთ უფრო გაუძლიერდათ, როცა ირლანდიის კათოლიკეთა 1689 წელს ინგლისის კოროლის იაკობ II-ის მხარე დაიჭირეს და პროტესტანტები კი ვილჰელმ III-ს მიუდგნენ. ვილჰელმ III ორანჟის გვარეულობისა იყო, დაიბადა 1659 წ. და როცა 1689 წ. არეულობა მოხდა ინგლისში, გამეფდა კიდეც. რადგან პროტესტანტები ორანჟის გვარის კაცს მიემხრნენ, ამისათვის ამათ ყველას ორანჟისტები დაერქვათ ირლანდიელების მიერ და დღესაც ოლსტერის პროტესტანტებს ეგ სახელი შერჩათ" [50].

ილია შემდგომ აღწერს, რომ როცა კი ირლანდიელნი თავისი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გამოვიდნენ, კერძოდ 1795, 1798, 1864 და 1866 წლებში, ოლსტერის პროტესტანტებმა ე. ი. ორანჟისტებმა მათ საწინააღმდეგოდ ინგლისის მთავრობის სასარ-

---

[49] გაზ. „ივერია", № 119, თბ., 1886 წ.

[50] ი ქ ვ ე.

გებლოდ ჯარიც კი გამოიყვანეს, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ პროტესტანტები გლადსტონის მიერ ირლანდიისათვის „ჰომრულის“ მიცემასაც რომ დაუპირისპირდნენ. ილია შემდეგ დასძენს: „როგორც ეტყობა ორანჟისტები ძლიერნი არიან და ეს გარემოება არ შეიძლება არ აფიქრებდეს ინგლისის სამინისტროს. ამბობენ, რომ დღეს იმათ 75 000 გაწყობილი ჯარი ჰყავთო და არცა ჰმალავენ, რომ თუ ვინიცობაა პარლამენტმა ნიიღო გლადსტონის პროექტი, ორანჟისტები ამ ჯარით აპირობენ უომრად არ დაუთმონ საკათალიკო ირლანდიას ირლანდიის საქმეთა საერთო გამგებლობაო“ [51]. მიუხედავად ოლსტერის პროტესტანტების მიერ ასეთი პოზიციის დაკავებისა, ირლანდიის საქმეებზე მას გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ ჰქონდა, რადგანაც მთელი ირლანდიის მასშტაბით, ისინი მაინც უმცირესობას შეადგენდნენ. მთავარი მაინც ინგლისის პოზიცია გახლდათ, ინგლისის პარლამენტი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ საჭიროდ არ ცნობდა ირლანდიის დამოუკიდებლობას.

ირლანდიელი ხალხის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, სულ უფრო აშკარა სახე მიიღო ორმა მიმდინარეობამ, გაზეთ „ივერიის“ შენიშვნით: „ირლანდიის ნატვრის განხორციელებისათვის ირლანდიის ერს ორი სხვადასხვა გზა აქვთ ამორჩეული. ერთი დასი მონატრულთა იძახის, რომ კანონიერს საპარლამენტო გზას დავადგეთო და ამ გზით მშვიდობიანად, სისხლდაუღვრელად ავიხდინოთ ჩვენი გულითადი ნატვრაო, ამ გზას დაადგა სახელოვანი პარნელი თავისის დასითა. მეორენი იძახიან, რომ ინგლისის ერთან ჩვენ მშვიდობიანის გზით ლაპარაკით და მორიგებით ვერას გავხდებითო“ [52]. სწორედ ამ მეორე დასის მოღვაწეობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა იქონია ამ პერიოდში ახალი პატრიოტული მოძრაობის აღმავლობაზე. ლენდლორდთა წინააღმდეგ დაწყებულ სახალხო მღელვარებას სათავეში ედგა ყოფილი ფენიელის მაიკლ დევიტისა და ნიუ-იორკის I ინტერნაციონალის № 7 ირლანდიური სექციის

---

[51] გაზ. „ივერია“, № 119, თბ., 1886 წ.

[52] გაზ. „ივერია“, თბ., 1886, 19 ივლისი.

მდივნის, ჯონ დევოის მიერ დაარსებული ე. წ. „მიწის ლიგის“ ორგანიზაცია. მათი პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა „ფენიელთა“ პროგრამისაგან, რამდენადაც ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვდნენ სახალხო აჯანყების მომზადებას არა შეთქმულების გზით, არამედ საჭიროდ მიიჩნევდნენ ლენდლორდებთან ბრძოლაში გლეხობის ჩაბმას და ფართო სახალხო ფრონტის შექმნას. ფრიდრიხ ენგელსი ედუარდ ბერნშტეინისადმი მიწერილ წერილში წერდა: «...В социальной области Земельная лига преследует более революционные (и достижимые в Ирландии) цели — полное устранение захвативших Земли лендлордов, — политически она выступает довольно мирно и требует только homerule, то есть местного ирландского парламента, который существовал бы рядом с общебританским парламентом и был подчинен ему»[53]. „მიწის ლიგის“ ორგანიზაციის წევრებს მიაჩნდათ, რომ მოძრაობის მიზანი უთუოდ უნდა ყოფილიყო ლენდლორდიზმთან ბრძოლა, რომელთა კრახის შედეგადაც მიწა მის ნამდვილ მფლობელებს დაუბრუნდებოდა. 1880 წლის დეკემბერში, აშშ-ს ქალაქ კანზასში გამართულ მიტინგზე მაიკლ დევიტი ამბობდა: „ვუცხადებთ რა ომს ირლანდიელ ლენდლორდებს. ირლანდიაში მათი გარნიზონის სალიკვიდაციოდ, ჩვენ ამით გზას ვამზადებთ ირლანდიის სრული დამოუკიდებლობისათვისო“[54].

„მიწის ლიგის“ მიერ ირლანდიაში გატარებულ ანტიინგლისურ, ლენდლორდთა წინააღმდეგ მიმართულ აქტებს, თავდაპირველად ჰომრულისტთა ლიდერი ჩარლზ პარნელიც აქტიურად უჭერდა მხარს. მაგრამ როდესაც გლადსტონმა 1881 წლის დასაწყისში თემთა პალატას მიაღებინა კანონი — ირლანდიაში საგანგებო წესების შემოღების შესახებ, პარნელმა და მისმა მომხრეებმა საჭიროდ აღარ ჩათვალეს „მიწის ლიგის“ ორგანიზაციასთან ერთად საერთო სახალხო მოძრაობაში მონაწილეობა და განუდგნენ მას. ირლანდიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ილია წერდა: „ინგ-

---

[53] Ф. Энгельс — Эдуарду Бернштейну, около II июля 1882 г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, стр. 281.

[54] История Ирландии, М., 1980, стр. 242.

ლისის მთავრობა შეაშინა ირლანდიის არეულობამ. მას შემდეგ რაც ორგან თუ სამგან ირლანდიაში მამულის პატრონები დახოცეს და მამულიდან განდევნეს... მთავრობამ, მოინდომა იმისთანა წესის შემოღება ირლანდიაში, რომელმაც უფრო გააშმაგა და გააბოროტა ხალხი ვიდრე დაამშვიდა. ქვედა პალატამ მიიღო „ძალდატანების კანონი“ (Coercion Bill), რომლის ძალითაც ირლანდიაში შემოიღეს მეტად სასტიკი წესები. ინგლისელებს ირლანდიაში თავი იმიტომ მოაქვთ მაღლა, რომ მათ კანონების თვალს შეადგენს ერთი კანონი (Habeas corpus act), რომლის ძალითაც გამოუძიებლად და საქმის გაუჩხრეკლად მთავრობას არა აქვს უფლება ვინმეს დაჭერისა, ...ამ კანონით ამპარტავნობს ყოველი ინგლისელი, კონსერვატორი თუ ლიბერალი. მაგრამ მმართველობამ არ მიხედა ყოველს ამას და თვალ-დაუხამხამებლად მოსპო ირლანდიაში ეს კანონიც და სხვა სასტიკ ზომებს ესეც ზედ დაურთო. ამ ამბავმა არა თუ ირლანდიელები, ბევრი ინგლისელიც ააღელვა და მკაცრად ჰკიცხავენ მთავრობას“ [55].

თავის მხრივ. ილია ჭავჭავაძე ნათლად ხედავდა ირლანდიაში პატრიოტული მოძრაობის მონაწილეთა შორის არაერთსულოვნებას, დაქსაქსულობას და განხეთქილებას, რაც მისი თქმით, წყალს ასხამდა ინგლისელთა, განსაკუთრებით კი კონსერვატორთა წისქვილზე. ილიას მიაჩნდა, რომ ინგლისელი კონსერვატორები ირლანდიის პატრიოტთა შორის განხეთქილებას თავიანთი ინტერესებისათვის იყენებდნენ და ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდნენ ჰომრულის საქმის ჩაშლას. ისინი არ ერიდებოდნენ შანტაჟსაც კი, რომ როგორმე შეელახათ ლიბერალთა და პარნელისტთა ავტორიტეტი ხალხის მასების თვალში. სწორედ კონსერვატორებმა შეთითხნეს ბრალდება პარნელის წინააღმდეგ, რომელიც გაზ. „Time“-ში დაიბეჭდა. ბრალდების მიხედვით, თითქოს პარნელი მოწონებით შეხვდა 1882 წელს ირლანდიაში ინგლისის სახელმწიფო მდივნის ლორდ კავენდიშისა და მისი მოადგილის ბორკის მხეცურად დახოცვას. სინამდვილეში კი, როგორც ფ. ენგელსი წერდა: «Убийство Бёрека и Кавендиша могло иметь только одну цель; Сорвать компромисс между земельной лигой и Гладстоном.

---

[55] ე. „ივერია“, № 9, თბ., 1881, გვ. 53.

А такой компромисс был для Ирландии лучшим исходом при данных обстоятельствах»[56]. თუ გაუვიდოდათ კონსერვატორებს ცილისწამება, რა თქმა უნდა ინგლისელთა დიდი ნაწილი, რომელიც თანაგრძნობით ეკიდებოდა ჰომრულის საქმეს, განუდგებოდა მას. ილია ჭავჭავაძე, ამასთან დაკავშირებით „ივერიის“ 1889 წლის № 42-ში წერდა: „ამ სახით გამოდის, რომ კონსერვატორები არაფერს ავზნეობას არ ჰთაკილობდნენ, ოღონდ კი საქმე წაეხდინათ ირლანდიელებისა და ლიბერალებისათვის. ბოლოს ისე მოუხდათ წადილი და დანაპირები, რომ სხვისათვის გათხრილ ორმოში თვითონვე ტყაპა-ტყუპით ჩაცვივდნენო“[57]. ილია ღრმად იყო დარწმუნებული სამართლიანი საქმის გამარჯვებაში. მას მტკიცედ სწამდა, რომ ეს საქმე სოლსბერის და მის სამინისტროს უქმად არ ჩაუვლიდა. სამართალი და კაცთმოყვარეობა სძლევდა ძალასა და უხეშობას[58].

მაგრამ, მიუხედავად ილიას მიერ ზემოთ მოტანილი გლადსტონის და მისი პროექტის ქება-დიდებისა, ჩვენ არ შეგვიძლია მას მთლიანად დავეთანხმოთ და ინგლისელი ლიბერალები ირლანდიის კეთილმოსურნეებად მივიჩნიოთ, რადგანაც გლადსტონი ადგენდა რა ირლანდიისათვის მიწის კანონებს და თვითმმართველობის პროექტს, თავისი „მოხერხებული“ პოლიტიკის წყალობით მას ინგლისის ბურჟუაზიისა და არისტოკრატიისათვის მეტი სარგებელი მოჰქონდა ვიდრე ირლანდიისათვის. ყოველივე ნათლად გამოჩნდა 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც მისმა ზედაპირულმა რეფორმამ ირლანდიაში მდგომარეობა უფრო გაამწვავა. რაც შეეხება გლადსტონის მოქმედებას, მან არა თუ რაიმე ჰუმანური ღონისძიება გაატარა, პირიქით — ირლანდიელთა სამართლიან მოთხოვნებს დაუპირისპირა ძალის პოლიტიკა, გააუქმა „ჰაბეას კორპუს აქტი“ და განსაკუთრებული კანონების შემოღებით, ირლანდიას ის მიზერული უფლებებიც კი წაართვა, რაც მათ საუკუნეების განმავლობაში სისხლითა და ოფლით მოიპოვეს დამპყრობლებთან

---

[56] Ф. Энгельс —Эдуарду Бернштейну, около 11 июля 1882 г., К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 35, стр. 282.

[57] „ივერია“, № 42, თბ., 1889.

[58] ი. ჭავჭავაძე. ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 202.

ბრძოლაში. ამიტომ, იყო, რომ გლადსტონის შესახებ კ. მარქსი წერდა შემდეგს: «Если бы даже политика Гладстона (политика исключительных законов и законов о ношении оружия) относительно Ирландии была настолько же правильной, насколько она ложна, разве это было бы основание для того, чтобы говорить о «благородстве» и «великодушии» этого человека?» [59].

ამრიგად, თუ ილიამ ირლანდიელი ხალხის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ადრეული ეტაპიდან XIX საუკუნის ჩათვლით ისტორიული სინამდვილის შესატყვისად შეისწავლა და შესაბამისად ძირითადში სწორი დასკვნებიც გააკეთა, ინგლისელი ლიბერალებისა და გლადსტონის ირლანდიური პოლიტიკის გააზრების პროცესში კი მან გარკვეული მოსაზრებით გადაუხვია მისთვის ჩვეულ ხაზს (რომელიც წითელ ზოლად გასდევს უცხო ქვეყნების შესახებ ილიას 60—70-იანი წლების წერილებს) და საკითხი ეროვნული დემოკრატიის პოზიციებიდან გააშუქა. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს ილიას მიერ „ჰომრულის“ პროექტისა და უილიამ გლადსტონის გადაჭარბებული ქება-დიდება. მაშინ, როდესაც ის თითქმის არაფერს ამბობს ჰომრულისა და მიწის კანონთა ჩრდილოეან მხარეებზე და რაც მთავარია, სათანადო ყურადღებას არ ამახვილებს „მიწის ლიგის“ წევრთა მოღვაწეობის შესახებ. სწორედ ისინი პარნელისტებისაგან განსხვავებით, რევოლუციური მეთოდებით ცდილობენ მიწის ხელში ჩაგდებას და ირლანდიიდან ინგლისელი ლენდლორდების განდევნას.

ილია შეგნებულად მოქმედებდა, როდესაც პარნელისტთა მოღვაწეობას აფასებდა დადებითად და საჭიროდ არ მიიჩნევდა თვით ინგლისელ ლიბერალთა კრიტიკასაც კი. მისი აზრით, აღნიშნულ ეტაპზე საქართველოსაც ირლანდიის მსგავსად სწორედ თვითმმართველობა ესაჭიროებოდა და ამიტომაც მეფის მთავრობის წინაშე ასეთი მოთხოვნით გამოსვლაც მას უფრო გამართლებულად მიაჩნდა ვინემ მიზნის მისაღწევად ტერორისტული აქტები და იარაღით ბრძოლა.

---

[59] К. Маркс — Женни Лонге, 11 апреля 1881 г, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 35, стр. 149.

თავი II

სლავური აღორძინება

სამხედრო დამარცხებებმა, რომელიც ავსტრიამ განიცადა 1859 წელს საფრანგეთსა და სარდინიის სამეფოსთან, 1866 წელს პრუსიასა და იტალიასთან, მას ფაქტობრივად დააკარგვინა არა მარტო გავლენა გერმანულ სამეფოებზე და პირველხარისხოვანი სახელმწიფოს პოზიცია ევროპაში, მან ამავე დროს ბიძგი მისცა პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას თვით მრავალეროვანი იმპერიის შიგნითაც. ამ ვითარებაში 1867 წლის 8 თებერვალს ავსტრიის აბსოლუტიზმსა და უნგრეთის სამიწათმოქმედო არიატოკრატიას შორის, იმპერიის სხვა ხალხების ექსპლოატაციისა და ერთდროული დაკაბალების მიზნით დაიდო შეთანხმება, რომლის საფუძველზედაც იმპერია დაიყო ორ ნაწილად (მდინარე ლეიტის მიხედვით) ცისლეიტანიად და ტრანსლეიტანიად. ავსტრიის უშუალო გამგებლობის ქვეშ ექცეოდა შემდეგი მიწები: ჩეხია, (ბოჰემია), მორავია, სილეზია, ისტრია, დალმაცია, ბუკოვინა, კრაიანა, გიორცი (გორიცა), გალიცია, ტრიესტი, ხოლო უნგრეთის გამგებლობის ქვეშ კი: სლოვაკია, ხორვატია, ტრანსილვანია, იმიერკარპატების უკრაინა, სერბიის სავოევოდო, ტიმოშვარის ბანატი, პორტი ფიუმე. ორივე სახელმწიფო ცხადდებოდა იმპერიის სუვერენულ ნაწილად, რომელსაც იმპერატორი ფრანც იოსები ავსტრიის რაიხსრატისა და უნგრეთის სეიმის მეშვეობით განაგებდა.

მიუხედავად ფეოდალური ურთიერთობის ღრმა გადმონაშთებისა, ამ დროის დუალისტური იმპერიის ცალკეულ ნაწილებში თანდათანობით მაინც ფეხს იკიდებდა და მკვიდრდებოდა წარმოების კაპიტალისტური წესი — შესაბამისი ურთიერთობით. თანდათანობით მართლდებოდა ფ. ენგელსის მიერ თავისდროზე გამოთქმული

ვარაუდი, რომ «...Ей грозила лишь одна опасность — проникновение буржуазной цивилизации»[1]. მართლაც ამ პერიოდში ჩაგრულ ეროვნულ უმცირესობათა გამოღვიძებამ, მათმა მისწრაფებამ ეროვნულ თვითგამორკვევისათვის იმპერიაში არსებული პოლიტიკური კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა. ვ. ი. ლენინი წერდა: „მთელ მსოფლიოში ეპოქა კაპიტალიზმის გამარჯვებისა ფეოდალიზმზე ეროვნულ მოძრაობებთან იყო დაკავშირებული. ამ მოძრაობათა ეკონომიკური საფუძველი ის არის, რომ სასაქონლო წარმოების სავსებით გასამარჯვებლად საჭიროა საშინაო ბაზრის დაპყრობა ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხით დასახლებულ ტერიტორიათა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ისე რომ ამასთან ამ ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის განმტკიცებას არავითარი დაბრკოლება აღარ გადაეღობოს“ .....ამიტომ ისეთ ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა, რომლებიც ყველაზე უკეთ აკმაყოფილებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ამ მოთხოვნებს, წარმოადგენს ყოველი ეროვნული მოძრაობის ტენდენციას (მისწრაფებას)“[2]. სხვაგან ვ. ი. ლენინი წერდა: „განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გამოღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება. ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიკური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა“[3].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ მოტანილი ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო დებულებები ერთა თვითგამორკვევის უფლებათა შესახებ, მან სწორედ ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში მიმდინარე

---

[1] Ф. Энгельс. Начало конца Австрии. К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 4, стр. 473.

[2] ვ. ი. ლენინი. ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ. თხზ., IV გამ., ტ. 20, გვ. 483.

[3] ვ. ი. ლენინი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე, თხზ., IV გამ., ტ. 20, გვ. 14.

ეროვნულ კრიზისზე ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვებების შედეგად ჩამოაყალიბა.

ავსტრიის იმპერიაში მცხოვრებ ეროვნულ-უმცირესობათა სამართლიან ბრძოლას თავის დროზე საკმაოდ ფართოდ გამოეხმაურნენ დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატები, რომელთა განსაკუთრებული დაინტერესება სლავური მოსახლეობის მიმართ ამ შემთხვევაში განპირობებული იყო იმით, რომ ეს უკანასკნელნი მათ თანამოძმეებს წარმოადგენენ. აი რას წერდა ამასთან დაკავშირებით ნ. ა. დობროლუბოვი: „...ძნელია რომელიმე ეროვნების ხალხს ხედავდე სხვის მიერ დაჩაგრულს, მაგრამ სულში მაშინ უფრო გიმძიმს, როდესაც წარმოიდგენ, რომ იტანჯებიან ჩვენი თანამოაზრენი, რომელთა ბედიც ჩვენში აღვივებს კიდევ მეტ თანაგრძნობას, ვინემ ევროპის სხვა ხალხებისა“ [4].

ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების ბრძოლა ეროვნული მეობისა და კულტურული აღორძინებისათვის, ასევე ფართოდ გააშუქა ქართველი სამოციანელების მედროშემ ი. ჭავჭავაძემ. მან თავისი შესანიშნავი წერილებით ქართველობა დუალისტური იმპერიის შინა პოლიტიკური კრიზისის სიღრმეში ჩააზედა და სლავთა მედგარი ბრძოლა, ცარიზმის უღელ-ქვეშ მგმინავ ქართველთა გამოფხიზლებისათვის მისაბაძ მაგალითად გამოიყენა.

ილია წერდა: „სლავიანების გამოღვიძება და აღორძინება იმით კი არ არის შესანიშნავი, რომ ვითომ მას შეეძლოს ქვეყნის განახლება და გაკეთება. სრულიადაც არა. ის არის შესანიშნავი ისე, როგორც ცოცხალი არსების გამოფხიზლება, მის ცხოვრებაში გამოწვევა. ამ მოძრაობითა ვსწავლობთ ჩვენ ხალხთა შორის განწყობილებას და მათ ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და ეროვნებათა უფლებების დაცვას“ [5]. ამიტომ იყო, რომ ი. ჭავჭავაძეს სწორედ სლავური აღორძინება მიაჩნდა ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის იმ მაგალითად, რომლის გამოყენებაც მისი აზრით გარკვეულად შეუწყობდა ხელს საქართველოს და მის მოსახლეობას

---

[4] Добролюбов Н. А. Соч. т. 5, М., 1941, стр. 276.

[5] ე. „ივერია“, მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა, № 5, თბ., 1881, გვ. 80.

საკუთარი, ეროვნული საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის საქმეში.

ი. ჭავჭავაძე 1881 წელს „ივერიაში“ წერდა: „რამოდენიმე საუკუნე სლავიანთა ეროვნებანი ერთის მხრით გალეწილნი და გასრესილნი ოსმალეთაგან და მეორეს მხრით ნემეცებისაგან განგმირულნი საცოდავად მცონარეობდნენ. ისინი შეიქნენ დამცირებულნი, გვარ-ტომობის შეგინებულნი, მაღალ და განათლებულ წოდებას მოშორებულნი; ეს უკანასკნელი შემთხვევა მათთვის არ იყო საშელავათო არც ეკონომიურად და ზნეობის მხრითაც ხომ მეტისმეტად სავნო იქნებოდა... სლავიანების ჩუმი დამორჩილება არ ნიშნავდა სიკვდილს: ხალხი ცოცხლობდა და ლაპარაკობდა თავის ენით; თვით — არსებობას გრძნობდა, ვერ მოისპო და თხოულობდა თავის დაცვას ბუნების კანონისა — მებრ. მაგრამ ეს ძლიერ საძნელო იყო სლავიანებისათვის იმ დროს, როცა მათ აწვათ კისერზედ ოსმალების ჭაპანსაწყვეტი უღელი და ნემეცების (იგულისხმება ავსტრიის იმპერიის გერმანული ხელისუფლება — პ. ფ.) ნაციონალური პოლიტიკა, როცა ისინი იყვნენ წვრილ-წვრილად დაკუწულნი და გამაცხოველებელ აზრს მოკლებულნი. ბოლოს ეს აზრი ერთად შეკავშირებისა, მხარი-მხარს მიცემისა, გვარ-ტომობის ნათესაობისა დაიბადა, ძალას ფრთები შეასხა“[6].

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო ავსტრიის იმპერია გარკვეულად დასუსტდა, ეროვნულმა მოძრაობამ ჰაბსბურგთა მონარქია განსაკუთრებული მდგომარეობის წინაშე დააყენა და ავსტრიის მესვეურნი იძულებულნი ხდებიან გამოსავალი ნახონ უნგრელთათვის ხელისუფლების გაყოფაში. ილია ჭავჭავაძე ეხებოდა რა შექმნილ მდგომარეობას, ასე აფასებდა ავსტრია-უნგრეთის დუალიზმის ჩამოყალიბებას: „ბისმარკის ოსტატურმა პოლიტიკამ, ჯერ 1859 წელს შეარყია ავსტრიის მბრძანებლობა გერმანიაში და მერმე 1866 წელს ასეთი საქმე დააწია, რომ ავსტრია კუდაკრეფილი სრულიად გამოაძევა გერმანიიდან, ამ ამბავმა იმავე დღეს აიძულა ავსტრია თავისთა დანარჩენთა ხალხთა შორის ამოერჩია ერთ-ერთი უფრო

---

[6] ე. „ივერია“, მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა, № 3, თბ., 1881, გვ. 65.

ძლიერი, უფრო მომზადებული, და იმაზედ დაემყარებინა თავისი პოლიტიკური აგებულება და კეთილდღეობა. ამისთანანი აღმოჩნდნენ მადიარები"[7]. ავსტრიის მიერ უნგრეთისათვის საბელმწიფო ძალაუფლების განაწილებას ილია შემდეგი სიტყვებით ხსნის: „რადგანაც ერთის მხრივ ძველი ტრადიციები ჰაბსბურგის გვარეულობისა, რომელიც დღეს ჰხელმწიფობს ავსტროვენგრიაში, ნემეცობას არ ავიწყებს ავსტრიასა, და უამისოდაც ავსტრიას ნემეცობა ასე თუ ისე ძლიერად ზემოქმედობს საქმეთა მიმდინარეობაზედ, და მეორეს მხრით მადიარობა ძლიერი აღმოჩნდა თავისის ეროვნებური ძალღონიერებითა, — ამიტომაც ავსტრია იძულებული შეიქმნა გაორთავებულიყო, თუ ესე შეიძლება თქმა: ორ ცალკე მოქმედ ნაწილად გაიყო, ერთი იმიერ-ლეიტანია და მეორე ამიერ-ლეიტანია, ...ორსავე ნაწილს ცალ-ცალკე სამინისტრო აქვს, ცალ-ცალკე პარლამენტი თვითოეულის საკუთარ საქმეების გამგეობისა და მმართველობისათვის. ერთობა ამ ორთა ნაწილთა შორის განხორციელებულია ჯერ იმითი, რომ ერთი ხელმწიფე ჰყავთ, და მეორე იმითი, რომ ჯარი და სახელმწიფო ფინანსები საერთოა და საერთო სახელმწიფო საქმეებში ერთად იღწვიან და მოქმედობენ[8]. მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა გასული საუკუნის 60-იანი წლების ავსტრიის იმპერიაში მომხდარი მთელი რიგი ძირეული გარდაქმნების შესახებ და იგი ძირითადად სწორი კუთხით მიუდგა აღნიშნული საკითხის გაშუქებას.

მეტად საინტერესო და ისტორიული ჰეშმარიტების შესატყვისია ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი, როგორც ავსტრია-უნგრეთის შემადგენლობაში მყოფი სლავების ეკონომიკური ყოფის და პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე სხვა ქვეყნების (თურქეთი და რუსეთი) ქვეშევრდომი სლავი მოსახლეობის ბედ-იღბალის შესახებ. „ისტორიის მსვლელობამ ყველაზედ მეტად სამს დიდ სახელმწიფოს ევროპაში გაუნაწილა სლავიანები: — შენიშნავს ილია, ერთი რუსეთია, მეორე ავსტრია და მესამე ოსმა-

---

[7] ილია ჭავჭავაძე, ევროპა 1886 წელს, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 85.

[8] იქვე, გვ. 85—86.

ლეთი. რადგან ყველანი [illegible]ნებენ, რომ ოსმალეთს ანდერძი უკვე აგებული აქვს ევროპაში. და გაჭირვება მარტო იმაშია — მისი საჭკვიდრო როგორ გაინაწილონ, ამიტომაც დანარჩენს ორს სახელმწიფოს თვალი ჰრჩებათ ოსმალეთის სლავიანებზედ და თვითოეული ჰცდილობს თუ სრულად არა დიდი ლუკმა მაინც მოიჭრას თავისთვის". „...აშკარაა — ეასძენს შემდეგ ის, რომ საცა უფრო მრავალი სლავიანები თავს მოიყრიან, დანარჩენებსაც ზემოთხსენებული ეროვნებური დედაანრი პირს იქით აქნევინებს და თუ დროებით ვისმე შეჰრჩებიან, ბოლოს ხელიდამ გამოეცლებიან. ავსტრიას რომ ეს საქმე დაემართოს. თითქმის ცარიელზედ უნდა დასჯდეს და პირველხარისხოვან სახელმწიფოს ტახტიდან კარგად ძირს ჩამოჰხდეს" [9]. ცხადია, რომ ილიას კარგად ესმის, თუ რა აიძულებს ავსტრიას მტკიცედ ჰყავდეს სლავები თავისი უღლის ქვეშ და, სწორედ ამ მოსაზრებით შეიძლება აიხსნას უნგრეთისათვის სახელმწიფოებრივი უფლებების მისაცემად, ავსტრიის მმართველი ზედაფენის მიერ გადადგმული ნაბიჯი. „ეს ნაბიჯი გადაიდგა არა სლავთა საკეთილდღეოდ, არამედ მათი კიდევ უფრო დაკაბალების მიზნითო" [10]. გაზეთი „ივერია" მოწინავეში ხაზს უსვამს: „იმის მაგიერ, რომ ავსტრია-უნგრეთმა შეიგნოს ის გარემოება, რომელიც შედეგია ისტორიული მსვლელობისა, შეიგნოს და პატივისცემით მოეპყრას სლავიანთა თვითოეულს ერს და მათგანაც პატივისცემა და სიყვარული დაიმსახუროს, რათა შემდეგში მტრად კი არა, მეგობრად შერჩნენ ეს ერნი, ამის მაგიერ, ვამბობთ ჩვენ, ავსტრია-უნგრეთი მთლად ამ ერთა დამონებას და გაერთნაირებას სცდილობს. ისტორიის დავიწყება მთავრობისათვის, მეტადრე როდესაც მის ხელთ ჩავარდნილი ერი მხოლოდ დაკარგული თავისუფლებითლა სცხოვრობს და იმედოვნებს, სახელმწიფოსათვის დამღუპველია, მიუტეველი ცოდვაა" [11]. ილია ჭავჭავაძეს იმპერიის მესვეურთა ასეთი დამოკიდებულება ქვეშევრდომი ერებისადმი

---

[9] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ევროპა 1886 წელს, თხზ სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 84.

[10] იქვე.

[11] გაზ. „ივერია", თბილისი, 1892, № 225.

თვით იმპერიისავე საზიანო საქმედ ჩიაჩნდა და რომ ასეთი პოლიტიკის საპასუხოდ „...სლავთა მოძრაობა, სწორედ... ის ქსელია, რაშიაც გაბმულია დღევანდელი ავსტრია-უნგრეთიო“ [12] — შენიშნავს ის და საჭიროდ მიიჩნევს იმპერიის საშინაო საქმეებში ღრმად ჩახედვას და მის შემადგენლობაში მყოფი უმცირესობათა მდგომარეობის შესწავლას. ილია წერს: „ავსტრიას ბედმა არგუნა და შინაურ საქმედ გაუხადა ერთი რთული, მძიმე და მეტად შესანიშნავი საქმე. ეს საქმე სხვადასხვა გვარტომობის ერის მოთავსებაა ერთსა და იმავე სახელმწიფოში ისე. რომ არც გვარტომობას ევნოს რამე და არც სახელმწიფოს ერთიანობასა“ [13]. ილია ნიღაბს ხდის იმპერიის ზედაფენის რეაქციულ პოლიტიკას ქვეშევრდომთა მიმართ, რომლის მიზანიც გახლავთ, რომ თუ გაბატონებულმა ერმა მეორე ჩაგრული არ დაიმონა, სახელმწიფოს ძლიერება შეუძლებელიაო. ამასთან დაკავშირებით და კონკრეტულ-ისტორიული მაგალითების შოტანით ახალი დროის მსოფლიო ისტორიიდან, ილიამ შესანიშნავად განმარტა, რომ ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ერთა შეგობრულად თანაცხოვრება არა თუ შესაძლებელია, ამავე დროს აუცილებელიც. „...შვეიცარია, საცა სხვადასხვა გვარტომის ერნი ისე მშვიდობიანად და სამართლიანად ერთმანეთში მოთავსებულნი არიან, რომ ერთობა სახელმწიფოსი არამცთუ ჰკარგავს რასმე, არამედ მტკიცედ და ფეხმაგრად ჰსდგას“ [14] შენიშნავდა ის.

სწორედ შვეიცარიას ასახელებს მაგალითად ვ. ი. ლენინიც. როდესაც ერთა მშვიდობიან თანაცხოვრებაზე წერდა შემდეგს: „შვეიცარიის გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია უდიდესი (შედარებით) ეროვნული მშვიდობის უზრუნველყოფა მთელი სახელმწიფოს თანმიმდევრული (აქაც შედარებით) დემოკრატიზმის დროს“ [15].

---

[12] ი. ჭავჭავაძე, ევროპა 1886 წელს, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 86.

[13] დასახელებული წერილი, გვ. 87.

[14] იქვე. გვ. 67.

[15] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე, თხზ., IV გამ., ტ. 20, გვ. 33.

ილიას მიაჩნია, რომ ავსტრია-უნგრეთის შინაურ ტკივილს, სწორედ სხვადასხვა ერთა სახელმწიფოს შიგნით მოთავსება წარმოადგენს და ამასთან დაკავშირებით დასძენს: „...ავსტრიის დღევანდელი ტკივილი ეგ არის, ეგ ტკივილი მთელს აგებულებაში აქვს გამჯდარი ამ სახელმწიფოს და ისეთი ძნელი ტკივილიც არის, რომ შესაძლოა, ავსტრია ან სულ თან გადაიტანოს, თუ რიგიანი წამალი ვერ მოუხერხდა ან სულ გამოაცოცხლოს, და როგორც ჯანმრთელი, საღი სახელმწიფო, ახლად გადაბალისებული ფეხ-და ფესვმაგრად დააყენოს“ [16].

ამრიგად, ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან, ჩვენ უკვე შეგვიძლია ერთი მეტად საინტერესო დასკვნის გაკეთება. აქ ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ ილია დუალისტური იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების ღერძად XIX საუკუნის შუა ხანებში მიიჩნევს არა სოციალურ საკითხს, არამედ ეროვნულს, რაც გამოკვლევის მეტად დამაჯერებლობაზე მიუთითებს.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში ილია ჭავჭავაძე მკითხველს კარგად მოუთხრობს, როგორც ამიერ ლეიტანიაში ისე იმიერლეიტანიაში გაბატონებულ გერმანელებისა და უნგრელების წინააღმდეგ ჩაგრული ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შესახებ. ილია წერს: „საცა მადიარები მბრძანებლობენ იქ არიან ნემეცებიც, რუმინებიც და უფრო სლავიანები, და ერთსაც, მეორესაც და მესამესაც მადიარები სჩაგრავენ. რასაკვირველია ეგენიც ჰსცდილობენ არ დაეჩაგვრინონ და არის ატეხილი ბრძოლა და კამათობა, რომელიც ხანდისხან ისე ძლიერდება და გაფიცხდება ხოლმე, რომ საერთო სახელმწიფოს ჩაშველება უნდება“ [17]. სხვაგან ილია შენიშნავს: „იმერ-ლეიტანიაში ნემეცები ჰცდილობენ ბურთი და მოედანი მარტო დაისაკუთრონ, — აქაც მოპირდაპირედ ჰყავთ სლავიანები, რომელთა შორის ჩეხები, როგორც უფრო გამოღვიძებული, განათლებული და ცნობაში მოსული ერი, ძლიერ ებრძვის ნემეცობას და მაგ ბურთსა და

---

[16] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 87.
[17] იქვე, გვ. 88.

მოედანს არამცთუ უთმობს, არამედ თავისკენ ითელის სრულად და განუყოფლად“ [18].

1867 წლის შემდეგ განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა გაიმართა ავსტრიის მმართველ ზედაფენასა და ჩეხიის საკმაოდ მომძლავრებულ ბურჟუაზიას შორის. ამასთან დაკავშირებით ილია წერდა: „ყველაზე ძლიერი სლავიანთა ტომისა ჩეხია დაუღალავად იბრძვის, რომ თავის ეროვნებას ისეთივე უფლება მოუპოვოს, როგორი უფლებაცა აქვთ მინიჭებული ჰუნგართა და თვით წინანდელ ბატონებს გერმანელებსო“ [19]. მსგავსი შეხედულება აქვს განვითარებული ჩეხთა მოძრაობის შესახებ ნ. ჩერნიშევსკისაც, რომელიც შენიშნავს „ავსტრიის სლავიანთა შორის ყველაზე მტრული დამოკიდებულება ქვეყნის თანამედროვე წყობისადმი შეიმჩნევა ჩეხთა ეროვნულ გრძნობებში. ცნობილია, რომ ისინი ყოველთვის იყვნენ წინამძღოლნი სლავიანების პოლიტიკური ტაქტიკისა“ [20]. სლავური მოსახლეობის ეროვნულ აღორძინებაში ჩეხთა მოთავეობის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს მოცემული არჩილ ჯორჯაძესაც. მისი თქმით: „ჩეხელების შორის მჭვრეტელობა იმაში გამოისახა, რომ მათ შეიგნეს სლავიანთა ერების კავშირის მნიშვნელობა და საფუძველიც დაუდვეს, ეგრედ წოდებულ პანსლავიზმს (სლავიანების გაერთიანების საჭიროებას) სლავიანები რიცხვით სჭარბობდნენ გერმანელებს, მათი სისუსტე განცალკევებაში იყო“[21]. ავსტრიელებისათვის ჩეხურ მიწებს (ჩეხია, მორავია, სილაზია) მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენადაც ისინი მრეწველობის განვითარების ტემპებით გამოირჩეოდნენ ავსტრიის სხვა ოლქებისაგან. ჩეხიაში მცხოვრები გერმანული ბურჟუაზიის წარმომადგენელნი არამც თუ ფიქრობდნენ თავიანთი გაბატონებული პოზიციების დათმობას ჩეხიის ბურჟუაზიისათვის, ამავე დროს, თავიანთი ბატონობის უფლებასაც კი ადასტურებდ-

---

[18] ი. ჯაჯანიძე, დასახელებული წერილი, გვ. 87.

[19] გაზ. „იერია“, № 267, თბ., 1899.

[20] Чернышевский Н. Г., Предисловие к нынешним Австрийским делам. Полное собрание сочинений, т. УШ, Гос. изд-во худож. литературы, М., 1950, стр. 439.

[21] თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, თბ., 1911, გვ. 38—39.

ნენ იმით, რომ ჩეხია და მორავია შედიოდნენ ავსტრიის სახელმწიფოში და, ამავე დროს იმითაც, რომ ეს მიწები თითქოსდა ოდითგანვე გერმანული კავშირის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდაო.

ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ მოთხოვნებით გამოვიდა ჩეხიის ბურჟუაზია, ე. წ. სტაროჩეხები, რომელთაც ეროვნული პარტიის ლიდერები ფრ. პალაცკი და ფ. ლ. რიგერი მეთაურობდნენ. სტაროჩეხებმა დღის წესრიგში დააყენეს ჩეხიისათვის ფედერაციის მიცემა და ენის თანასწორობის მოთხოვნა, მაგრამ ერიდებოდნენ რა ფართო სახალხო მოძრაობის გაქანებას, ხალხთან ერთად ბრძოლის ნაცვლად მიზნად ისახავდნენ ფეოდალურ არისტოკრატიასთან ერთიან მოქმედებას, რის გამოც მათი მოთხოვნები ავსტრიელთა მიმართ კომპრომისული ხასიათისა იყო. გაცილებით სერიოზულ საშიშროებას უქმნიდნენ ავსტრიელთა გაბატონებულ მდგომარეობას ჩეხიასა და მორავიაში ე. წ. მლადოჩეხები[22], ანუ ეროვნული პარტიის მემარცხენე ნაწილი, რომელთაც 1874 წელს ცალკე პარტიაც კი დაარსეს ეროვნულ-ლიბერალური პარტიის სახელწოდებით. მათ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს დაუმატეს საყოველთაო საარჩევნო უფლების და ავსტრია-უნგრეთის დუალისტური მონარქიის ტრიალისტურ მონარქიად გადაქცევის მოთხოვნა. ი. ჭავჭავაძე წერდა: „მლადოჩეხების მეთაური გრეგრი თავისი დასის წინაშე გამოვიდა სიტყვით, სადაც აღნიშნა, რომ ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩეხია ჩეხთათვისვე, მომავალ თაობას გადავცეთ შეურყეველი სლავიანობა და არ შევდრკეთ იმის გამო, რომ ამ საქმეში გვეწინააღმდეგებიან ავსტრიელი გერმანელები.

ჩვენ ვერ მოვრიგდებით ავსტრიასთან, რომელსაც სცდილობენ სტაროჩეხები და ვერ მოგვისვენებს გული, ვიდრე ვენგრიასავით საფედერაციო დამოუკიდებლობას არ ვეღირსებითო“[23]. ჩეხთა მოთხოვნები მართლაც სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა ავსტრია-უნგრეთის ზედაფენას, ჯერ ერთი, როგორც ილია იტყოდა ხოლმე იმიტომ, რომ: „ჩეხები, როგორც უფრო ერთად თავმოყრილი, გო-

---

[22] მლადოჩეხებს მეთაურობდნენ კ. სლადკოვსკი და ძმები გრეგრები. იხ. Освободительные движения народов Австрийской империи, изд-во «Наука», М., 1981.

[23] „ივერია“, № 88, თბილისი, 1892.

ნებითაც ძალიან წარმატებული ტომი სლავიანებისა, ამასთან დაუღალავნი მებრძოლნია თავისის გვარტომობის არსებობისათვის"[24], და მეორეც იმიტომ, რომ მათ მიერ წამოწყებულ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის შეიძლებოდა იმპერიაში შემავალი სხვა სლავური მოსახლეობაც გამოეღვიძებინა. მისი ვარაუდი ისტორიულად გამართლდა, ჩეხური პროექტი აიტაცეს პოლონელებმა, სლოვენებმა, ხორვატებმა და ა. შ. რითაც იმპერიის გერმანულმა და უნგრულმა ბურჟუაზიამ დაინახეს 1867 წლის შეთანხმების დარღვევის საშიშროება და შესაბამისად ჩეხური პროექტიც მათ მიერ უარყოფილ იქნა[25].

ამასთან დაკავშირებით ჩეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ავსტრიის რაიხსრატს და პარალელურად პრაღის სეიმმაც შეწყვიტა მოქმედება[26]. ჩეხურ პროექტთან ერთად ხელისუფლების მიერ უარყოფილი იქნა სხვა უმცირესობათა მთელი რიგი მოთხოვნებიც, რის გამო მდგომარეობამ იმპერიაში კიდევ უფრო სერიოზული სახე მიიღო. ავსტრია-უნგრეთის მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობდნენ როგორმე შეეჩერებინათ იმპერიის შიგნით აზვირთებული ეროვნული ტალღა და ამასთან დაკავშირებით ისეთ ხერხებსაც კი არ ერიდებოდნენ, როგორიც იყო სლავურ მოსახლეობაში მტრობის და შუღლის ხელოვნურად გაღვივება. მაგალითისათვის შეიძლება თუნდაც გალიციის მოტანა, სადაც ხელისუფლება გალიციის პოლონურ არისტოკრატიას აძლევდა რა გარკვეულ პრივილეგიას უკრაინელებთან შედარებით (ე. ი. პრივილეგიებს ადგილებზე მმართველობის და კულტურის დარგში), ამით ერთი მხრივ, პოლონური გაბატონებული ფენების მხრიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საშიშროებას იცილებდნენ, მეორე მხრივ, მათი დახმარებით მორჩილებაში მოჰყავდათ როგორც პოლონური მოსახლეობის ფართო ფენები, ასევე უკრაინელები. ამრიგად, უკრაინელთა ეროვნული მოძრაობა აღმოსავლეთ გალიციაში, ფაქ-

---

[24] ი. ჭავჭავაძე, დასახელებული წერილი, გვ. 88.

[25] Трайнин И. П. Национальные противоречия в Австро-Венгрии и ее распад, М.-Л., 1947, стр. 154.

[26] იქვე.

ტობრივად მსხვერპლად შესწირეს პოლონურ თავადაზნაურობას და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას[27].

გალიციაში ნათლად გამოჩნდა კლასობრივი არსი ჰაბსბურგთა პოლიტიკისა ეროვნულ საკითხში, თუმცა მეორე გარემოებაც — მისწრაფება შეექმნათ საყრდენი რუსეთის წინააღმდეგ ასევე თვალნათლივ ჩანდა. მსგავსი სურათი ჩანდა იმპერიის სხვა დიდ ოლქებშიც, რის გამოც ავსტრია-უნგრეთის მესვეურთა ასეთ პოლიტიკას, თავის დროზე ილიას მასწავლებელი ნ. გ. ჩერნიშევსკი სამართლიანად უწოდებდა „ეროვნულ უტაქტობას“[28].

ამ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდნენ იმპერიის პანგერმანისტულ-შოვინისტური საზოგადოებანი: „გერმანული სახალხო კავშირი“, „გერმანელ ნაციონალისტთა კავშირი“, სტუდენტური საზოგადოება „ოსნი“ და სხვა. ისინი სისტემატურად ქმნიდნენ შოვინისტურ დოკუმენტებს და მოწოდებებს გერმანელი ხალხისადმი, სადაც ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ეროვნული საკითხი წარმოადგენს არა უფლების, არამედ ძალის საკითხსო[29]. განსაკუთრებით მტკიცედ „იცავდა“ გერმანული ერთიანობის იდეას უკიდურესი მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიის ლიდერი ბარონი შიონერერი, რომელიც გერმანულ ერთიანობას აგებდა „რასისტულ საფუძველზე“, ამდენად გამოდიოდა ანტისემიტური და ანტისლავური ქადაგებით. მაგრამ ერთხელ დაძრული საყოველთაო სახალხო მღელვარების რეპრესიებით და რეაქციული მეთოდებით შეჩერება უკვე შეუძლებელი ხდებოდა. სლავური მოსახლეობა ავსტრო-უნგრული მმართველობის წინააღმდეგ საპარლამენტო ბრძოლასთან ერთად, ბრძოლის სხვა საშუალებებსაც ფართოდ იყენებდა, რომელთა შორისაც თვით ილია ჭავჭავაძეც ხაზს უსვამს ბრძოლას ენის თანასწორობისათვის.

გერმანული ენის პრივილეგირებულმა მდგომარეობამ და ხელისუფლების მიერ ამ ენის ძალით სხვა ხალხებისათვის თავზე მოხვევამ, გამოიწვია სლავიანთა კიდევ უფრო დიდი მისწრაფება, დაე-

---

[27] Освободительные движения народов Австрийской империи, М., 1981, стр. 419.

[28] Австро-Венгрия и славяно-германские отношения, М, 1965, стр. 96.

[29] Освободительные движения народов Австрийской империи, М., 1981, стр. 419.

ცვათ მშობლიური ენა და კულტურა გერმანელ ასიმილატორთა შემოტევისაგან. შექმნილი მდგომარეობის შესახებ ნ. გ. ჩერნიშევსკი წერდა: „ხელისუფლება ყოველგვარი საჭიროების გარეშე სდევნიდა განათლებას და პროვინციებს ავიწროებდა ყოველნაირად, მაგრამ ცხადია, ადამიანი ქვა არ არის, უგრძნობი არ არის, მას არ შეუძლია არ იგრძნოს ბოლოს შევიწროება, რომ მას ავიწროებენო“ [30]. და მართლაც, ავსტრია-უნგრეთის მესვეურთა ასეთმა პოლიტიკამ დასახული მიზნის ნაცვლად, სულ სხვა შედეგი გამოიღო, სლავური მოსახლეობის განათლებულმა ნაწილმა დღის წესრიგში დააყენა ენისა და კულტურის აღორძინების საკითხი. „ისინიო, — წერს ე. „ივერია“, — ცდილობდნენ აღეძრათ ნაციონალური სული და ხალხის ენას ამჯობინებდნენ ხალხში განათლების გასავრცელებლად. მეორეს მხრით განემეცების შიშმა გაუღვიძათ დიდი ხნით დაჩაგრული ისტორიული მოგონება და ამან უფრო გაუახლა ეროვნების დაცვის სურვილი“ [31].

მრავალეროვანი ავსტრიის სახელმწიფოს დემოკრატიზაციისათვის, ხალხთა თანასწორობისათვის და მშობლიური ენის დასაცავად ბრძოლა, სლავური მოსახლეობის ეროვნულ ნიადაგზე წარმოებული ბრძოლების თითქმის ყველა ეტაპზე ერთმანეთს ემთხვეოდა.

ენის თანასწორობა წარმოადგენდა დემოკრატიული მმართველობისათვის ძირითად აუცილებელ პირობას. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური და კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელოვან საკითხს. ილია ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „სლავიანებმა... თავისი ვინაობის აღსადგენად და ქვეყნის დასანახად თავისი წარსული ხელახლა ააყენეს საფლავიდამ, გამოსჩხრიკეს, მისხლობით აწონეს, გოჯით გაზომეს ყოვლისფერი, რაც ძველად ჰქონდათ, რაც მათს ეროვნებას, მათს ვინაობას, ნაციონალობას შეადგენდა და სარჩუ-

---

[30] Чернышевский Н. Г. Предисловие к нынешним Австрийским делам. Полн. собр. соч. т. VIII, Гос. изд. худож. литературы, М., 1950, стр. 440.

[31] ე. „ივერია“, მოკლე განხილვა სლავიანების ეროვნებათა აღორძინებისა, № 5, თბ., 1881, გვ. 90—91.

ლად ედვა“ [32]. ილია შემდეგ დასძენს: — „...მათ მოაგონეს, ისტორიის შემწეობით დავიწყებულ სახელოვანნი დღენი წარსულის, აღადგინეს, გასწმინდეს, გააძლიერეს დედაენა, ყამთა ვითარებისაგან გარყვნილი და შელახული. ამ გზით გამოაბრუნეს, გამოაცოცხლეს თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ენა. ერმა თავისი ვინაობა გაიგო, შეიტყო რა ყოფილა, რა არის და რის იმედი უნდა ჰქონდეს, შეიტყო და ფეხზე დადგა, ფრთა შეისხა“ [33]. იმიერლეიტანიაში, როგორც ავსტრიელთა, ისე უნგრელთა მცდელობა, ქვეშევრდომებს ელაპარაკათ გერმანულ და უნგრულ ენებზე. გახდა მიზეზი იმ მოძრაობისა, რომელიც ცნობილია ენის თანასწორობისათვის ბრძოლის სახელწოდებით. ილიას გაზეთი „ივერია“ წერდა: „უმაღლესი მთავრობა იმას სცდილობს, რომ მთელ ავსტრია-ვენგრიაში ერთი და იგივე ენა ისმოდეს, ერთი და იგივე სარწმუნოება ჰსუფევდეს, მაგრამ ამაოდ. წყალს აღმა ვერავინ აიყვანს. ერის სურვილი, ერის ბუნებური წარმატება ადვილად დასათრგუნველი, ადვილად მოსასპობი არ არის, როგორც უნგრეთი ვერ დაიმორჩილა ავსტრიამ, ვერ გააგერმანელა, სწორედ ასევე ვერ გააგერმანელებს სლავებსაც. უნგრეთმა პირიქით, სულ სხვა სიკეთეს მიაღწია ავსტრიელ გერმანელთა დევნის გამო: მოიპოვეს უფლებანი და თავისთვის პარლამენტიც კი გამოიკრეს. აშკარაა სწორედ, ასევე ეღირსებიან სლავიანებიც იმ უფლებათა მოპოვებას, რომელიც ავსტრია-უნგრეთში გერმანელებსა და მადიარებს აქვთ“[34].

ვ. ი. ლენინის თქმით, სლავიანთა ენის გათანაბრება გერმანულთან და უნგრულთან ხელს შეუწყობს ავსტრია-უნგრეთის იმპერიის არა დასუსტებას, როგორც ამას იმპერიის მესვეურები მიიჩნევდნენ, არამედ მის სიმძლავრეს, რაც მან შვეიცარიის მაგალითის მოტანით ნათლად ცხადჰყო. „...პატარა შვეიცარია. — წერს ვ. ი. ლენინი, კი არ აგებს, არამედ იგებს იმით, რომ იქ არის არა ერთი საერთო. სახელმწიფო ენა, არამედ სამი: გერმანული, ფრანგული და იტალიური“ [35].

[32] ილია ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა VIII. თხზ. სრული კრებული, ტ. 5, თბ., 1955, გვ. 97.

[33] იქვე, გვ. 97.

[34] გაზ. „ივერია“, № 225, თბ., 1892.

[35] ვ. ი. ლენინი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე, თხზ., IV გამ. ტ. 20, გვ. 118.

თანდათანობით ენის საკითხი პარლამენტშიც გამძაფრდა ადგილებზე მის გამწვავებასთან ერთად. რასაც ნათელჰყოფს თუნდაც ზოგიერთი სლავური ეროვნების დეპუტატის (ჩეხი-იანდი, ენდელი, პოლონელი-სმოლეკის და სხვ.) მიერ ავსტრიის პარლამენტში მშობლიურ ენაზე წარმოთქმული სიტყვები. ენის გარშემო გამძაფრდა ბრძოლა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებშიც. ე. წ. „მიწის“ ლანდტაგებში. მართალია კანონით ლანდტაგებს უნდა ეხელმძღვანელათ მოსახლეობის შესაბამისად ადგილობრივი ენით, მაგრამ ყოველივე ეს სინამდვილეში არ ხორციელდებოდა, ამდენად ენის საკითხი იდგა ძირითად საკითხად. იმპერიის სხვადასხვა ოლქში მოსახლეობის განათლებული ნაწილი ფართოდ შეუდგა ხალხის გამოფხიზლებას სწავლა-განათლების გავრცელების შემწეობით. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს თუნდაც ხორვატთა და სლოვენთა მოღვაწეობის მოტანა. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ეპისკოპოს ი. ი. შტროსმაიერის მიერ ხორვატიაში დაარსებული „საბალხო პარტია“ აშკარად გამოვიდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ენის თანასწორობის ასევე ხორვატთა მიწების გაერთიანების მოთხოვნით.

მათგან განსხვავებით უფრო შორს მიდიოდნენ „უფლების პარტიის“ (პროვაშების) წარმომადგენელნი, ისინი პირდაპირ აყენებდნენ ხორვატიის დამოუკიდებლობის საკითხს.

მეტად საყურადღებო მოღვაწეობას ეწეოდნენ ხორვატიაში არსებული საქველმოქმედო საზოგადოებანიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ე. წ. „ილირიისკაია მატიცა“-ს საქმიანობა. მისი წევრები ხელმძღვანელობდნენ საგამომცემლო საქმეს და ხალხში წიგნების გავრცელებას. ხორვატიაში დიდ ეროვნულ საქმეს ეწეოდა ისტორიკოს კუკლეკიჩ-საკცინსკის მიერ დაარსებული „სამხრეთ სლავთა ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოება“ და შტროსმაიერის ინიციატივით ახლად შექმნილი სამხრეთ სლავთა „მეცნიერებისა და კულტურის აკადემია“. ამასთან ერთად, — როგორც ილია შენიშნავს, — ხორვატიაში მეცნიერებისა და კულტურის სფეროს თითქმის ყველა წარმომადგენელი პოლიტიკური მოღვაწეებიც იყვნენ, ისინი ხალხში განათლების შეტანით ხორვატიის ეროვნულ უფლებების დასაცავად იბრძოდნენ.

იგი განსაკუთრებით აღნიშნავს პოეტ პეტერ პრედოვიჩის მოღ-

ვაწეობას. რომელიც თავის ნაწარმოებებში ეროვნული აღორძინებისა და სლავი ხალხების ურთიერთდაახლოების იდეებს ანვითარებდა. ილია ჭავჭავაძე ასევე სიმპათიით ეკიდება ეროვნული თეატრის აღორძინების საქმეში, დრამატურგ დიმიტრი დემეტრის მიერ გაწეულ მუშაობას და ისტორიკოსის ფრანსის რაჩკას მოღვაწეობას. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ხალხში აღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს სლავიანთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რუსი ხალხისაგან მოსალოდნელი დახმარების გაწევას.

ხორვატებთან ერთად, ხალხის პატრიოტული აღზრდის მიზნით, მსგავს მოღვაწეობას ეწეოდნენ სლოვენებიც. ამ დროისათვის სლოვენიაშიც არსებობდა მრავალი საქველმოქმედი საზოგადოება, რომელთაგანაც აღსანიშნავია: „წმინდა მახარეს“ საზოგადოება, „მატიცა სლოვენსკას“ საზოგადოება, ე. წ. „სახალხო სამკითხველოები“ („ჩიტალენ“), „ეროვნული სახლები“[36] და ა. შ. სადაც სლოვენიის საზოგადოებრიობა იკრიფებოდა ქვეყნის და ხალხის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად.

ამრიგად, ილიას შენიშვნა რომ ვიხმაროთ, „გვარტომობის ნიადაგზე“ კარგად მაგრად მოიმაგრეს ფეხი ჩეხებთან და პოლონელებთან ერთად ხორვატებმა, სლოვენებმა და სხვა ხალხებმაც. „მადიარებსა და ნემეცებს დიდი შიში და ფიქრი მიეცათ, ამ მეორე მდინარებამაც გზა არ გაიხსნასო, არ გამოარღვიოს ჩვენგან აშენებული კედლებიო და ამჟამად ორთავიანი ავსტრია, სამთავიან სახელმწიფოდ არ გვიქციოსო“ [37].

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ ასეთი მდგომარეობა ავსტრიას ალბათ აიძულებს სლავებსაც უნგრეთის მსგავსი უფლებანი მიანიჭოს ახლო მომავალში, როგორც ის წერს: „ყოველივე მით უფრო საფიქრებელია, ...რომ სლავიანები ბევრნი არიან, როგორც თითონ ავსტრიაში, ისე ავსტრიის გარეთაც, და მერე მეტად ახლო-მახლო ერთმანეთზედ“ [38].

---

[36] ე. „მოამბე“, უცხოეთის მიმოხილვა, № 9, თბ., 1902, გვ. 22—23.

[37] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ევროპა 1886 წელს, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 88.

[38] იქვე.

ილიას ეს ვარაუდი, შემდგომში ნაწილობრივ მაინც გამართლდა. სლავური მოსახლეობის ეროვნული აღორძინებით შეშინებული ავსტრია-უნგრეთის მესვეურები იძულებულნი შეიქნენ წასულიყვნენ მათ წინაშე მთელ რიგ დათმობებზე. ყოველივე ამის მაგალითს წარმოადგენს 1880 წლის 19 აპრილს იმპერიის იუსტიციის მინისტრის მიერ ხელმოწერილი განკარგულება. რომლის ძალითაც ბოჰემიასა და მორავიაში სასამართლოებში საქმე ადგილობრივ ენაზე უნდა წარემართათ. ამრიგად გერმანელი მოხელეები, რომელთაც ჩეხური ენა არ იცოდნენ, ადგილს უთმობდნენ ჩეხ მოხელეებს[39]. ამას გარდა უკვე XX საუკუნის დასაწყისში იმპერიის მესვეურთა ერთმა ჯგუფმა დუალიზმის ტრიალიზმით შეცვლაც კი მოითხოვა, ე. სლავური ბურჟუაზიისათვის მადიარული არისტოკრატიის მსგავსად ხელისუფლების გაყოფა. აღნიშნული პროექტის ავტორები (ტახტის მემკვიდრე ფერენც ფერდინანდი და არქიის შტაბის უფროსი კონრად ფონ ჰიუნდერდორფი) ფიქრობდნენ, რომ ეს შეასუსტებდა იმპერიის რღვევის პროცესს და სლავებს ორგულობის ნაცვლად იმპერიის ერთგულებად აქცევდა. მაგრამ სათანადო პროექტი მეორე მხრივ ნავარაუდევი იყო, ასევე სამხრეთ სლავთა განზიდულების ცენტრის — სერბიის მოსპობისა და მისი იმპერიის ფარგლებში მოქცევისათვის.

მართალია ილია ჭავჭავაძემ ფართო ადგილი არ დაუთმო ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერიის შიდაწინააღმდეგობების ეკონომიკური საფუძვლების შესწავლას, მაგრამ ის რაც მან შეგნებულად მიზნად დაისახა, ე. ი. წინა პლანზე წამოეწია ეროვნული საკითხის სიმწვავე, საინტერესოდ გააშუქა და ძირითადში სწორი მოსაზრებები განავითარა.

---

[39] Лозинский С. Национальный вопрос и политические партии в Австрии, изд-во «Серп», М., 1907, стр. 47.

თავი III

ებრაელთა საკითხი

ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები განავითარა ებრაელთა ისტორიული ბედისა და მათი მდგომარეობის შესახებ. ანტისემიტურ ლიტერატურაში გაბატონებული მცდარი აზრის საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც თითქოს ებრაელები ოდითგანვე სხვა ეროვნებათა მოძულენი ყოფილიყვნენ და მათ საქმიანობას კი მხოლოდ ვაჭრობა და „პატიოსან ქრისტიანთა" ხარჯზე გამდიდრება წარმოადგენდა, ილიამ ქართველ მკითხველს შესანიშნავად მოუთხრო ებრაელთა ძველი კულტურისა და მდიდარი ისტორიის შესახებ; ამავე დროს მათი თავდაპირველი ყოფისა და საქმიანობის შესახებაც, რომელსაც მისი თქმით მიწათმოქმედება და მეცხოველეობა შეადგენდა. გამოთქმული აზრის საარგუმენტაციოდ ის წერს: „ეს არის უძველესი ხალხი, რომელსაც აკვნად დაბადების სიტყვით ედემი ჰქონია და უძველეს დროში პირველი ადგილი სჭერია განათლების ასპარეზზედ, არც თავის-თავის ყადრსა, თავის-მოყვარეობასა ყოფილა მოკლებული. როგორც ებლა" [1].

შემდეგ ილია აღნიშნავს, რომ ებრაელები პალესტინაში მოვიდნენ ძველი წელთაღრიცხვით მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (1250—1200 წწ.). მათი ერთი ნაწილი დასახლებულა მდინარე იორდანიის დასავლეთით მდებარე ნაყოფიერ ადგილებში, რომელსაც ძველად ქანანს ეძახდნენ და ხელი მიწათმოქმედებისათვის მიუყვიათ. მეორე ნაწილი კი დარჩენილა მდ. იორდანიის აღმოსავლეთით, რომელთაც მთაგორიანი ადგილების შესაფერისი მეცხოველე-მომთაბარე ცხოვრება აურჩევიათ. რაც შეეხება ებრაელთა

[1] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 140.

გადასახლების მიზეზებს ეგვიპტიდან პალესტინაში. იგი წერდა: „როდესაც ეგვიპტის ფარაონებმა მეტად შეავიწროვეს ებრაელები, მთელმა ხალხმა მოსე წინასწარმეტყველის მეთაურობით იგრძალა, მიატოვა თავისი მამაპაპეული ადგილი, არ მოერიდა ორმოცი წლის მოგზაურობას და უცხო ქვეყნებში გადასახლდა. არ მოერიდა მრავალს გაჭირვებასა და ტანჯვა-წამებას, ოღონდ მოეპოვა თავისუფლება და თავისი თავი ეგვიპტის მძვინვარე ფარაონებისათვის არ დაემონა"[2]. მართალია ილია არ იძლევა დაწერილებით ცნობებს, მაგრამ თუ მოვიშველიებთ ანტიკური ხანის მკვლევართა შრომებს, შემდეგი სურათი ჩანს, კერძოდ კორნელიუს ტაციტუსის მიხედვით „როცა ეგვიპტეს გადაუარა გადამდებმა სენმა, მეფე ბოქხოროსი შეეეედრა ამმონს და შველა მოსთხოვა. მისი თქმით შველა იმაში იყო, თუ იგი ქვეყანას გაწმინდავდა იმ ხალხისაგან, რომელთაც ღვთის რისხვა დაიმსახურეს, როცა ასეთი შეგროვეს ყველგან, ისინი გარეკეს უდაბნოში, სასტიკ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს გამოეყო ერთ-ერთი, სახელად მოსე და დაიწყო ქადაგება, რომ დახმარება ღმერთებს და ხალხს კი არ უნდა სთხოვო—ერთიც და მეორენიც განგვიდგნენ ჩვენ. უნდა დაეყრდნოთ თქვენ თქვენს თავს და იცოდეთ ციური ბელადი თქვენს გზას წარმართავს". შემდეგ ტაციტუსი დასძენს: „მოსეს უნდოდა იუდეელთა ხსოვნაში სამუდამოდ დაემკვიდრა ადგილი და ამიტომაც შეექმნა ახალი რელიგია, რომელიც მტრული იყო ყველა სხვა მოკვდავთა რელიგიისადმი"[3].

რა თქმა უნდა, მოტანილი ციტატა არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, ის უფრო ლეგენდას ჰგავს და დაწერილია აშკარად რომაელთა გაბატონებული ზედაფენის ინტერესების შესაბამისად, რაც შეეხება მომხდარ ფაქტს, საბჭოური ისტორიოგრაფია ებრაელთა გადასახლების მიზეზს უკავშირებს ეგვიპტეში მათ ეკონომიკურად და პოლიტიკურად შევიწროებას და აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნას[4].

ებრაელთა მოსვლა პალესტინაში და მათი მშვიდობიანი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა, იგი სხვადასხვა დროს ძირეუ-

---

[2] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 140.

[3] Тацит К., Сочинения в двух томах, т. II. История, изд-во «Наука», Ленинград, 1969, стр. 130.

[4] ИЭ., გვ. 442.

ლად ირღვეოდა. ჯერ კიდევ 722 წელს ძველი წელთაღრიცხვით, დაეცა ჩრდილოეთ ისრაელის სამეფო, სამწლიანი ალყის შემდეგ ასირიის მეფე სარგონმა აიღო მათი დედაქალაქი სამარია და 27290 ებრაელი წაასხა ასირიაში. მოგვიანებით კი მოხდა ებრაელთა მეორე სამეფოს დარბევა. 597 წელს ეგვიპტის იმედით იუდეის მეფე იეხანონმა უარი შეუთვალა ბაბილონს ხარკის გადახდაზე, რისთვისაც მეფე ნაბუქოდონოსორმა გაძარცვა იერუსალიმი და მოსახლეობის დიდი ნაწილი ბაბილონს წაასხა[5].

რაც შეეხება კონსერვატიულ-ქრისტიანული იდეოლოგიის აპოლოგეტთა მტკიცებას, თითქოს ებრაელნი ოდითგანვე ლაჩარნი ყოფილიყვნენ, ილიას მოტანილი აზრის გასაბათილებლად მოაქვს ძველი წელთაღრიცხვით 63 წელს რომაელთა ჯარების შეტევისაგან იერუსალიმის გმირული დაცვის მაგალითი. „ებრაელებიო — შენიშნავს ის, ასედ მედგრად იბრძოდნენ იერუსალიმის დასაცავად რომის იმპერატორის ტიტეს მძიმედ შეჭურვილ ჯარებთან, რომ მტერმა მხოლოდ მაშინ აიღო იერუსალიმი, როდესაც ისტორიკოსის იოსების სიტყვით, ერთმა მილიონმა ებრაელმა და ტაციტის სიტყვით კი ექვსასი ათასმა წააკლა თავი თავის დედაქალაქს“[6]. ილიას მიერ მოტანილი ცნობები სავსებით შეესაბამება იმ წყაროებს, საიდანაც მას უხელმძღვანელია[7]. ამდენად, ილიას მიაჩნია და რაც ისტორიული ჭეშმარიტებაცაა, იერუსალიმის დაცემის შემდგომ ებრაელებს აღარ დაედგომებოდათ სამშობლოში და ისინი ბედის საძებნელად უცხო ქვეყნებში უნდა გაფანტულიყვნენ.

ცნობილია, რომ პალესტინიდან აყრილ ებრაელთა ერთმა ნაწილმა თავშესაფრის ძებნაში საქართველოსაც მოაღწია, რისი საბუთიც ქართულ ისტორიულ წყაროებში მრავლად გვხვდება, კერძოდ ამ ამბებს ქართლის ცხოვრება ასე მოგვითხრობს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვევნა იერუსალიმი და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. მისცა და დასხა არაგუსა

---

[5] Тюменев А. Евреи в древности и в средние века. Гос. издат., Петербург, 1922, стр. 60.

[6] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია“, № 6, თბ., 1881, გვ. 140—141.

[7] К. Тацит, დასახელებული ნაშრომი, გვ. 195.

ზედა, წყაროსა რომელსა ჰქვიან ზანავი, და რომელ ქვეყანა აქვნდა მათ ხარკითა, ან ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის"[8]. მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ებრაელთათვის მცხეთის მამასახლისს მიუცია ჭიწა დღევანდელი საგურამოს მიდამოებში და მოსულთ დაუწყიათ მისი დამუშავება და ხარკის გადახდა. ამავე წყაროს მიხედვით ებრაელნი ძირითადად ხარკს იხდიდნენ ღვინით, პურით, სანთლით და ა. შ. „ქართლის ცხოვრება" ასევე მოგვითხრობს საქართველოში ებრაელთა შემდგომი მოსვლის შესახებაც, კერძოდ რომაელთა მიერ ახ. წთ. აღრ. 70 წ. იერუსალიმის მეორედ აღების და მისი დარბევის დროს. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოში მეფობდნენ ადერიკის შვილები ბარტამი და ქართამი და რაზედაც ლეონტი მროველი მოგვითხრობს შემდეგს: „ხოლო ამათსა მეფობასა უესპანსიანოს ჰრომთა კეისრისაგან წარმოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასახლდეს ძუელთავე ურიათათანა"[9]. ის ფაქტი, რომ ებრაელები სწორედ მეორედაც მცხეთას მოსულან, იმაზედ მიგვანიშნებს, რომ პალესტინელ ებრაელებს გარკვეული კავშირ-ურთიერთობა ჰქონიათ მათგან სხვა ქვეყნებში ადრე გადასახლებულ თანამემამულეებთან, რაც შეეხება საქართველოს სხვა კუთხეებში ებრაელთა გადასახლებას, ეს უფრო მოგვიანებით, კერძოდ შუა საუკუნეებში უნდა მომხდარიყო, ისინი განსაკუთრებით ქალაქებში და დიდ დაბებში დასახლებულან და ხელი ვაჭრობისა და ხელოსნობისათვის მიუყვიათ. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს იძლევა ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ საქართველოში ებრაელნი არც თუ ურიგოდ მოწყობილან[10].

თავის მხრივ ქართველ ებრაელთა მდგომარეობის შესახებ ილია ჭავჭავაძე წერს შემდეგს: „ჩვენში ურიები თითქმის ყველანი შესანიშნავს ქალაქში და დიდს დაბებში სცხოვრობდნენ, ადგილ-მამულიც ბევრი ჰქონდათ და ზოგან მსუბუქად თითონვე მუშავობდნენ მამულში. მათ შეითვისეს ჩვენი ენა, ჩვენი ტანსაცმელი, ზოგი-

---

[8] „ქართლის ცხოვრება", ტ. I, თბ., 1955, გვ. 15—16.

[9] იქვე, გვ. 44.

[10] ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოისა", თსუ გამომცემლობა, თბ., 1941, გვ. 57, 76, 86.

ურთი ჩვენი ზნე და ჩვეულება"[11]. შემდგომ ილია დასძენს: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ურიები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ, და თვითონვე იძლევა მის განმარტებას, რადგანაც სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოში „ურიები არც ერთს იმ უფლებას არ იყენენ მოკლებულნი, რომელნიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებულნიო"[12].

საქართველოში ებრაელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობის საკითხებზე მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ, რომელმაც ძველი წყაროებისა და განსაკუთრებით ჰაგიოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ებრაელები არა თუ წინააღმდეგობას უწევდნენ ქრისტიანებს, პირიქით, ...პირველი პროზელიტები ქრისტიანობამ მათ წრეში ჰპოვაო, ...მაგალითად, აბიათარი, სიდონია და ა. შ.[13] მართლაც და ქართველ ებრაელთა ბედ-იღბალი, სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ებრაელებისაგან განსხვავებით, გაცილებით მშვიდობიანად წარიმართა. მათი მფარველი საქართველოში იყო ის ძალა, რომლის იდენტურიც ევროპაში მათ არბევდა და სდევნიდა. ებრაელებს საქართველოში ნაწილობრივ მფარველობდნენ ბაგრატიონებიც და სამღვდელოებაც, რის შესახებაც ზ. ჭიჭინაძე წერს შემდეგს: „ამათ მდევნელნი და მწვალებელნი საქართველოში არავინ არის, სამეფო სძებნის ურიათათვის პირობიან ცხოვრების გარემოებას და ამიტომ უკანასკნელ ქართველ ურიებს ყმათ აძლევენ ქართველთა დიდრონ ეკლესიებს, მღვდელმთავრებს და მღვდლებს, რათა იგინი ამ სახის ძლიერების მფარველობისაგან მაინც იქნენ დაცულიო"[14]. ილიას შენიშვნით: „როდესაც ევროპიელნი საშუალო საუკუნეების დროს, სდევნიდნენ, ცეცხლზე სწვავდნენ და ქონებას ართმევდნენ, ებრაელნი საქართველოში მყუდროდ სცხოვრობდნენ, საქართველოს ისტორიამ მისდა სასა-

---

[11] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 146.

[12] იქვე, გვ. 146.

[13] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1960, გვ. 476.

[14] ზ. ჭიჭინაძე, ქართველთ ისრაელნი საქართველოში, თბ., 1904, გვ. 18.

ხელოდ დევნა და მტარველობა არ იცოდა"[15]. ი. ჭავჭავაძის აზრით, ებრაელთა მშვიდობიან ცხოვრებას საქართველოში ისიც განაპირობებდა, რომ ქართველი ყმა ებრაელი, ყმა ქართველთან ერთად, ერთიან სოციალურ კატეგორიას ქმნიდა. მათთან ერთად ატარებდა შებატონის უღელსაც და გარეშე ძალასაც მათთან ერთად ებრძოდა. რაც შეეხება სარწმუნოებრივ განსხვავებას, ეს უკანასკნელი არც თუ დიდად მოქმედებდა მათს საერთო ყოფასა და ურთიერთობაზე, რადგანაც, როგორც ებრაელთა საკითხის ცნობილი მკვლევარი მ. პ. შუკიანი შენიშნავს, „საქართველოში ებრაელთა თემი ვიწრო რელიგიური ხასიათისა იყო და მას არ ჰქონდა ისეთი გავლენა თავის წევრებზე, როგორიც კეგალებს მაგალითად ლიტვაში. ბელორუსიაში, უკრაინაში, პოლონეთში და ა. შ.[16] სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ებრაელთათვის ცხოვრებისა და მდგომარეობის უკეთესი პირობების ნათელი სურათი სჩანს იმ მრავალრიცხოვან საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტურ ლიტერატურაშიც, რომელნიც აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოიცა თბილისში 1940 წელს[17]. მაგრამ, მიუხედავად მთელ რიგ ისტორიულ-დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობილი მოსაზრებისა, რომელიც საქართველოში ებრაელთა ვაცილებით მშვიდობიან ცხოვრებას ნათელჰყოფენ, ყოველივე ეს, რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, თითქოს ებრაელები საქართველოში რამდენადმე მაინც არ იყვნენ შევიწროებულნი. კლასობრივი საზოგადოების პირობებში ეს წარმოუდგენელიც იყო, როგორც ყოველ მშრომელს, გაბატონებული კლასი ჩაგრავდა მათაც, აბუჩად იგდებდა, მზითევში ატანდა და ა. შ.[18] ერთი კი მაინც ცხადია, ებრაელთა დევნა-შევიწროება მაინც არ იყო ისეთი სახის, როგორც ვთქვათ საშუალო საუკუნეების ევროპის ქვეყნებში.

ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ილიას მონაცემებით საქართველოში არ ყოფილიყოს ებრაელთა შევიწროების ფაქტები. ილიას კარგად ესმოდა, რომ იყო ჩვენთანაც ასეთი შემთხვევები,

[15] გაზ. „ივერია", № 263, 5. XII, თბ., 1899.

[16] საქ. ებრაელთა ისტორიოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, თბ., 1940, გვ. 77.

[17] დასახელებული შრომები, გვერდები 162—246.

[18] ა. ციციაშვილი, ო. გაბიძაშვილი, იუდაიზმი და სიონიზმი, თსუ, თბ., 1982, გვ. 14.

მაგრამ არა მასობრივად, არამედ ცალკეული. იგი ასახელებს ორ საეკლესიო გუჯარს, სადაც ვკითხულობთ: 1—1664 წ. დედოფალმა მარიამმა, ასულმა დადიანისამ, დომენტი კათალიკოსის დროს შესწირა ურია დანიელა თავის სახლობით მცხეთის ეკლესიას და ვალად დასდო, რომ ყოველ შობის მარხვაში მიერთმია ეკლესიისათვის ხუთი ლიტრი წმინდა სანთელი: 2—1745 წ. სულრამის მამასახლისმა ვაჩიმ მიჰყიდა კათოლიკოსს ანტონს მცხეთის ეკლესიის ყმად ურია არონა. ამასთან დაკავშირებით ილია შენიშნავს: „კაცმა, რომ ამ ორ ფაქტზედ დააფუძვნოს თავისი სჯა, ეს ორი ფაქტი რომ საზოგადო მოვლენათა ნიშნად მიიღოს, მეტად ცუდს აზრს შეადგენს ჩვენში სარწმუნოების დევნაზედ, იფიქრებს, რომ ქართველები სასტიკად ეპყრობოდნენ ურიებს და იქნება სხვა რჯულის ხალხსაც, რადგან ამაზე დამამცირებელი არა არის-რა ადამიანისათვის, როგორც ყმად შეწირვა, ან ყმად მისყიდვა ერთი რჯულის კაცისა მეორე რჯულის სალოცავისათვის. მაგრამ თუ დავაკვირდებით ჩვენს ცხოვრებას და დავხედავთ რა დამოკიდებულებაა ჩვენში სხვადასხვა მერჯულეთა შორის, სრულებით სხვა აზრს შევადგენთ.

არავინ ისეთი მტერი არ იყო საქართველოსი, როგორც სპარსელები, მაგრამ დიდი ხნიდანვე ბევრი სპარსელი სცხოვრობდა თბილისში და არავის აბსოვს და არც სადმე შეგვხვედრია წაკეკითხოს, რომ ქრისტიანებს როდისმე შური ეგოთ მათთვის და სარწმუნოებისათვის დევნა მოენდომოთ“[19]. მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რა პირობებში და გარემოში უხდებოდათ ცხოვრება სხვა სარწმუნოების ხალხებს, მათ შორის ებრაელებსაც საქართველოში. ილია ასევე კარგად ხედავს ევროპისგან შედარებით, თუ რამდენად ადამიანური იყო ჩვენში მათი ყოფა. ამიტომაც იგი სწორედ საზღვარგარეთის ქვეყნებში მათ ბედზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას და შედარებისათვის ფართოდ მიმოიხილავს იქ მცხოვრებ ებრაელთა პოლიტიკურსა და ეკონომიკურ მდგომარეობას. 1889 წელს ილია ივერიაში წერდა: „არცერთ ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხდენია. ამ ოდესღაც დიდებულს და სა-

---

[19] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია“, № 6, თბ., 1881, გვ. 146—147.

ხელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდამ გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება... ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურს ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყოველნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გაბდეს მსხვერპლი იძულებისა და წამებისა"[20] მისი თქმით, ასეთმა ყოფამ აიძულა უმიწოდ დარჩენილი ებრაელები, ხელი მოეკიდათ ვაჭრობისათვის და წვრილ ხელოსნობისათვის. ილია აქვე ხაზს უსვამს ქრისტიანული რელიგიის მიმდევართა დამოკიდებულებას ებრაელებისადმი. მას საჯაროზე გამოაქვს მათ შორის არსებული ურთიერთსიძულვილის ნამდვილი სურათი, სადაც ებრაელთა მიმართ აშკარა უსამართლობას ხედავს. „სადაც უნდა მისულიყვნენ ებრაელნი — წერს ის, ქრისტიანობაც უკან მისდევდათ და ფანატიკოს მქადაგებლებისაგან გაბრაზებული ხალხი გადაემტერა მათ, ყოველი ურია ქრისტეს მწვალებელი ეგონა და ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა. ამიტომაც, სადაც კი ქრისტიანობა გაჩნდებოდა, ურიებს იქ ცხოვრება უმწარდებოდათ და მეტი ღონე არ ჰქონდათ, უნდა შორს წასულიყვნენ სადმე. ეს იყო პირველი მიზეზი, რომ ურიები თითქმის მთელ ქვეყანაზედ არიან მოფენილნი. მეორე მიზეზი კიდევ ის იყო, რომ თითქმის არსად არ აძლევდნენ ურიებს უწინდელს დროში ნებას ადგილ-მამულის შეძენისას და რა ექნათ, თუ ვაჭრობისათვის და ხელ-საქმისათვის არ მოეკიდათ ხელი. ეს ორივე საქმე კი ისეთი საქმეა, რომ რომელიც კი მათ მოჰკიდებს ხელს, უფრო ეჩვევა მაწანწალობას, ერთის ქვეყნიდან მეორეში გადასვლას, ვიდრე მიწის მუშაკი"[21].

დასავლეთის ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული აზრის თანაბამად. ქრისტიანთა და ებრაელთა სიძულვილს, ვ. ი. ლენინის თქმით „ამ ყველაზე უფრო დაჩაგრული და დევნილის ერის[22]. შევიწროებას მრავალი საუკუნის განმავლობაში განაპი-

---

[20] ი. ჭავჭავაძე, ებრაელთა საკითხებზე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957. გვ. 248.

[21] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 141.

[22] ვ. ი. ლენინი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე, თხზ., ტ. 20, გვ. 12.

რობებდა თითქოსდა მათი რელიგიური ფანატიზმი, „ქრისტეს მწვალებლობა“, ებრაელთა განსაკუთრებული ბუნება“. როგორც ე. რენანი აღნიშნავს: „მთელი ანტიკური ეპოქის მანძილზე, მოქალაქეს უნდა ელიარებინა თავისი ქალაქის რელიგია, რომელიც სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ძალიან სუსტ ვალდებულებებს აკისრებდა. არ წარმოადგენდა გამონაკლისს არც ის, რასაც ისინი თხოულობდნენ და რასაც ყოველთვის იღებდნენ. ებრაელები არღვევდნენ ანტიკური ხანის ამ კანონს. ამის გამოთ სარწმუნოების საკითხმა ისეთი მძაფრი ფორმები მიიღო, რომელიც ძველი მსოფლიოსათვის თითქმის უცნობი იყო — ამიტომ დაიწყო მძვინვარე ინკვიზიციის პერიოდი“[23]. თუ ღრმად ჩავწვდებით ილიას ნააზრევს, მოტანილი მცდარი აზრის მხილებასთან ერთად დავინახავთ ებრაელთა დევნისა და შევიწროების ნამდვილ მიზეზებსაც. რასაც სინამდვილეში საფუძვლად ედო არა რელიგიური საკითხი, არამედ ებრაელთა ყოველთვის მტკიცე ეკონომიკური მდგომარეობა.

რელიგიური ამბიციები ყოველთვის საბაბი იყო „ინკვიზატორთათვის“, დაერბიათ მათი ქონება და ფიზიკურად გაენადგურებინათ ისინი. ილია კარგად ხედავს, რომ უმიწოდ დარჩენილი ებრაელნი, ევროპის ქალაქებში ახერხებდნენ ვაჭრობაში და ხელოსნობაში კონკურენცია გაეწიათ ამავე საქმიანობით დაკავებულ ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ეს კი ხელს უწყობდა ანტისემიტური მოძრაობის გაძლიერებას. ამავე დროს ებრაელთა დევნა სხვა მიზანსაც ისახავდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ფეოდალებსა და მდიდარ მოქალაქეებს სურდათ სახალხო მღელვარება აეცილებინათ თავიდან და ხალხის მძვინვარება მიემართად ებრაელებისაკენ.

თუ XI—XII-ე საუკუნეებში ებრაელთა წინააღმდეგ გამოსვლებისათვის ქრისტიანებმა სათანადოდ ისარგებლეს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენით, როგორიც იყო ჯვაროსნული ლაშქრობები, უკვე XII-ე საუკუნის ბოლოსათვის ასეთი საბაბის უქონლობის გამო, თვითონ დაიწყეს მსგავსის გამოგონება, მაგალითისათვის ე. წ. „ებრაელთა მიერ ქრისტიანთა სისხლის გამოყენება“, რის გა-

---

[23] Ренан З. Э., История Израильского народа, т. II, изд-во Брокгауз-Ефрон, СПб., 1912, стр. 532,

მოთაც 1171 წელს საფრანგეთის ქალაქ ბლუაში ადგილობრივი თემის 30 ებრაელი კოცონზე დაწვეს. ამავე „გარემოებით“ ხსნიან დასავლეთის მკვლევრები 1183 წელს რიჩარდის კორონაციის დროს, ინგლისში ებრაელთა მასობრივ ხოცვა-ყლეტვასა და მათი ქონების დარბევას. ეს ის პერიოდია, როდესაც ევროპის თითქმის ყველა დიდ და პატარა ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს თავს დაატყდა ინკვიზიციის განსაკუთრებული მძვინვარება, რამაც ასიათასობით ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. ამასთან დაკავშირებით ილია შენიშნავდა: „ერთსა და იმავე დროს დაიწყეს მათი დევნა საფრანგეთში, გერმანიაში, ესპანეთში, სადაც მათ ჭებისა და მდინარეების მოწამვლას აბრალებდნენ“[24].

როგორც ებრაელი მკვლევარი ტ. გეილიკმანი შენიშნავს „ამ პერიოდში, სადაც კი ევროპაში სახალხო მღელვარებას ადგილი ჰქონდა, ყველგან ხელში ხვდებოდათ ებრაელი ვაჭრები და ხელისმოსაქმენი, ისინი იჭყლიტებოდნენ მმართველ ზედა ფენასა და ეკონომიურად დაჩაგრულ და პოლიტიკურად უუფლებო მასებს შორის. ებრაელები ბევრი ქვეყნიდან იდევნებოდნენ, მაგრამ ხალხთა მასების მდგომარეობა კი კვლავ ძველებური რჩებოდა“[25]. ებრაელთა მდგომარეობის შესახებ, თავის მხრივ ილია ჭავჭავაძე წერდა:

„შუა საუკუნეებში ურიებს მოსვენება არსად ჰქონდათო, ყველგან ქრისტეს მწვალებლებს ეძახდნენ, ყველგან სტანჯავდნენ მათ. ბევრგან აკრძალული ჰქონდათ ადგილ-მამულის შეძენა და თუნდაც კიდევ აკრძალული არა ჰქონოდათ, როგორ გაბედავდნენ ურიები უძრავ ქონების დაპატრონებას, როდესაც გული დაჯერებული არა ჰქონდათ, რომ ხვალინდელს დღეს მათს ქონებას სხვანი არ დაეპატრონებოდნენ... ამ მიზეზის გამო ურიებს მთელი თავისი ჭკუის ღონე ვაჭრობისათვის... ადვილად შესანახის განძის მოპოვებისათვის უნდა მიემართნათ“[26]. ჩვენი აზრით ილიას ეს მოსაზრება, ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რადგან არც თუ ბევრი მა-

---

[24] ე. „ივერია“, ურიების ბედი, № 6, თბ., 1881, გვ. 144.

[25] Гейликман Т. Б., История общественного движения евреев Польше и России, Гос. издат, М., 1930, стр. 37.

[26] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ე. „ივერია“, № 6, თბ., 1881. გვ. 147.

გალითია იმისა, რომ ებრაელს ევროპაში და რუსეთში მიწის ნაკვეთი ჰქონიყო საკუთრებაში. ებრაელთა ასეთი ყოფა თავისთავად მათაც აიძულებდა არსებობისათვის მიემართათ მთელი რიგი ღონისძიებებისათვის, ილიას თქმით, ებრაელებს გაუჩნდათ მიზანი რაც შეიძლება მეტი სიმდიდრე შეეძინათ და ამით ეკონომიკური გავლენა არ დაეკარგათ. რაც შეეხება ებრაელთა შევიწროებას, მათ სარწმუნოებისა და თავიანთი ადათ-წესების დაცვით არა თუ დაკარგეს რამე, პირიქით უფრო განიმტკიცეს ეროვნული ხასიათი. ცნობილია, რომ სადაც კი მათ უფრო სდევნიდნენ, სწორედ იქ უფრო შეინახეს თავი. ყოველივეს კ. მარქსი ხსნიდა შემდეგი გარემოებით: «Мы объясняем живучесть еврея не его религией, а напротив, человеческой основой его религии, практической потребностью, эгоизмом»[27]. ებრაელთა მიერ საუკუნეების განმავლობაში ფანატიკური სიმტკიცის გამოვლენის შესახებ ი. ჭავჭავაძეც აღნიშნავდა: „ურიებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი ეროვნება, თავიანთი ცხოვრებისათვის ბრძოლაში სიმტკიცე და თავიანთი მერჯულეთა გატანა უნდა გამოეჩინათო"[28]. იქ, სადაც შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ნაწილმა ადგილობრივ მცხოვრებთა წეს-ჩვეულება შეითვისა და დროთა განმავლობაში გაქრისტიანდა. ამის ნათელ მაგალითად ილია სწორედ საქართველოსა და იქ მცხოვრებ ებრაელობას ასახელებს. რაც შეეხება ილიას ამ მოსაზრებას, ჩვენ არ შეგვიძლია იგი მთლიანად გავიზიაროთ, რადგანაც ებრაელთა გაქრისტიანება საქართველოში არა-მარტო მათი მშვიდობიანი ცხოვრებით უნდა აიხსნას, არამედ რაც მთავარია, საქართველოშიც მეტი მოგებისა და გამდიდრების სწრაფვა მათ უბიძგებდა იქითკენ, რომ ხშირად ამის სამსხვერპლოდ რჯულიც კი გამოეცვალათ.

რატომ არ ხდებოდა მსგავსი მოვლენები ევროპის ქვეყნებში? ევროპაში ებრაელთა თემი სარწმუნოებრივი თვალსაზრისით უფრო ძლიერ ძალას წარმოადგენდა და ევროპელ სენიორებს არ ჰყავდათ ყმა ებრაელები მსგავსად ქართველი მღვდელმთავრებისა და

---

[27] К. Маркс, К еврейскому вопросу, К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. 2 изд., т. I, стр. 412.

[28] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 192.

მებატონეებისა (ებრაელი ქრისტიან ბატონზე დამოკიდებული არ იყო).

ილია ჭავჭავაძე თავის წერილებში განიხილავს ებრაელთა მდგომარეობას ახალ პერიოდში და აღნიშნავს შემდეგ გარემოებას: — თუ შუა საუკუნეებში ებრაელებს თითქმის ყველგან სდევნიდნენ, ახალ პერიოდში კი ზოგიერთ ქვეყანაში, მეტადრე ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიც იყო ინგლისი და საფრანგეთი, ებრაელებს მიეცათ შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების საშუალება. „ინგლისმა გააახლა თავისი პოლიტიკური წყობილება, წერს ის — მიანიჭა ერთგვარი უფლება ყოველს ინგლისის ქვეშევრდომს. საფრანგეთისათვის სირცხვილი იყო, რომ დიდი რევოლუციის შემდეგ ურიასა და ფრანცუზებში გარჩევა დაედო რამე. ამ ორს სახელმწიფოში ურიებმა თავისუფლად ამოისუნთქეს; თუმცა თავიანთ საყვარელს ვაჭრობას და ბანკირობას მაინც მისდევდნენ, განა საუკუნეებით ჩანერგილი ჩვეულება და ზნე ასსა და ორას წელიწადს შეიცვლება?“[29], მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლებოდა ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორც იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ავსტრია-უნგრეთი, რუმინეთი, თურქეთი და რუსეთი, რადგანაც როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, „მთელ ქვეყნიერებაზე 10 1/2 მილიონი ებრაელია: მათგან ნახევარზე მეტი ცხოვრობს გალიციასა და რუსეთში, ჩამორჩენილ ნახევრად-ველურ ქვეყნებში, სადაც ებრაელებს ძალმომრეობით ამყოფებენ კასტურ მდგომარეობაშიო“[30]. ი. ჭავჭავაძეც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სადაც მეტად სდევნიდნენ ებრაელებს, იქ მეტი ებრაელი ცხოვრობდა და, სადაც ნაკლებად ავიწროებდნენ, მათი რიცხვიც ნაკლები იყო. „ესე იგი, იმ ქვეყნებში უფრო ნაკლებად არიან ურიები, სადაც იგივე უფლებები აქვთ მინიჭებული, რაც სხვა ხალხს და იმ ქვეყნებში კი სადაც ისინი შევიწროებულნი არიან მათი რიცხვი უფრო მეტია“[31]. შემდეგ ილია დასძენს: „ებრაელები ამ ქვეყნებს უფრო იმიტომ ეტანებიან, რადგან ამ ქვეყნებში ჯერ ვერ გაუგიათ, რომ შევიწროებითა და შეწუხებით რომელიმე ხალხის ამოფხვრა, ან შებაწვ-

---

[29] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია“, № 6, თბ., 1881, გვ. 147—148.

[30] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე, თბს., IV გამოცემა, ტ. 20, გვ. 12.

[31] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 148.

რა არ შეიძლება. იქ ჯერ ვერ გაუგიათ, რომ ძალით კი არ უნდა დაუშალონ ურიებს სხვადასხვა უფლებით სარგებლობა, თავიანთი გავლენით უნდა დაუშალონ და ამ გავლენის მოსაპოვებლად სულ სხვა ღონე უნდა იხმარონ — ღონე ხალხში უმეცრების მოსპობისა და არა შუა საუკუნეებიდან მოგონილი საშუალება"[32].

ილიას სურდა, ქართველი მკითხველის ყურადღება გაემახვილებინა 1881 წელს რუსეთის სამხრეთის გუბერნიებში ებრაელთა რბევისა და ანტისემიტური გამოსვლების უაზრო შედეგებზე. მისი თქმით „თუ XIX-ე საუკუნეში ევროპაში ურიების მტრებმა სიტყვა საქმედ ვერ აქციეს, — რუსეთში არც ბევრი ლაპარაკი დასჭირდა, არც ბევრი ქადაგება. აპრილში დაიწყო ურიების წინააღმდეგ მღელვარება სამხრეთ რუსეთში და რამდენიმე დღეს ისე მოედო მთელს იმ მხარეს, სადაც ურიები ესახლნენ, რომ ჯარიც კი არა ჰყოფნიდა მათ დასამშვიდებლად... ანგრევდნენ მათ სახლებს, ანადგურებდნენ მათს ქონებას, ამსხვრევდნენ და ჰგლეჯდნენ ყოვლისფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. მიზეზი ამ მოვლენისა არის დაბალის ხალხის ენით გამოუთქმელი სიღარიბეო"[33].

ილია ნათლად ხედავდა, რომ მეფის მთავრობა იმპერიის განაპირა რაიონებში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა მიმართ ახორციელებდა შოვინისტურ, ანტიხალხურ პოლიტიკას და ამასთან ერთად ხელმძღვანელობდა რა ძველი რომაული დევიზით „დაყავი და იბატონე", ხელოვნურად აღვივებდა ეროვნულ შუღლს და ერთ ერს უპირისპირებდა მეორეს. რაც შეეხება ანტისემიტიზმს რუსეთში, იგი ორგანულად იყო შერწყმული ცარიზმის ეროვნულ პოლიტიკასთან. ებრაელთა წინააღმდეგ საგანგებო ღონისძიებათა გატარებას რუსეთში სათავე დაუდო ეკატერინე მეორემ. მან ე. წ. „Черта оседлости"-ით დააწესა, რომ ებრაელებს უნდა ეცხოვრათ მხოლოდ სამხრეთის და დასავლეთის, კერძოდ: მინსკის, ვოლინის, პოდოლსკის, ჩერნიგოვის, კიევის, პოლტავის, ვიტებსკის და გროდნოს გუბერნიებში. ამრიგად „პატარა ქალაქებში და დაბებში თავმოყრილი ებრაელები აღმოჩნდნენ ხელოვნურად იზოლირებულნი. უცხონი, უცხოთა შორის, მოძულებულნი და უკეთეს

---

[32] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 119.
[33] ი. ჭავჭავაძე, დასახელებული წერილი, გვ. 152.

შემთხვევაში შედარებით ასატან მდგომარეობაში მყოფნი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იკეტებოდნენ თავიანთ გარემოში. რუსეთის მეფე ალექსანდრე პირველმა მათ აუკრძალა სოფლად ცხოვრება და მიწის მფლობელობა, ვაჭრობა და ხელოსნობა იქცა მათ ერთადერთ საქმიანობად"[34].

იმპერიაში ხალხის უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნას და ყოველგვარ სხვა უბედურებას თვითმპყრობელობა აცხადებდა რა ებრაელთა დანაშაულად, ამით ის ხელოვნურად უპირისპირებდა მოსახლეობის დაბალ ფენებს ებრაელებს. აღგზნებული და გაბოროტებული ხალხი მიესეოდა ხოლმე მათ საცხოვრებელს, არბევდა და ანადგურებდა ქონებას, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს ილიას მიერ აღწერილი 1881 წელს ქ. ელიზავეტგრადში მომხდარი ფაქტი. „ქალაქ ელიზავეტგრადში 15 აპრილს, აღდგომის მეოთხე დღეს ერთს რუსს გაუტყდა ხუთ-გროშიანი სტაქანი ურიის დუქანში და ამ სტაქნის ფასის გადახდა არ მოინდომა; ურია არ ეშვებოდა; მოუვიდათ კინკლაობა. ერთი რუსი გამოვიდა დუქნიდამ და დაიყვირა: „ჩვენებსა სცემენო". ეს ორი სიტყვა ელვის უმალესად მოედო მთელს ქალაქის ხალხს, რომელიც უქმეების გამო სულ ქუჩაში და მეიდნებზე იყო გამოსული — ამ სიტყვებმა ააღელვა რამდენიმე ათასი სული; ბლომად დალეულმა ვოდკამაც მოსცხო დეზები და მიჰყვეს ხელი ურიების ქონებას. ორს-სამს დღეზედ რაც კი რამ იყო ურიებისა, ყოვლისფერი შემუსრეს"[35]. გაბოროტებული ხალხის მიერ ებრაელთა რბევის მრავალი ფაქტი ხდებოდა ცოტა მოგვიანებითაც, კერძოდ ყოველივეს ნათლად ცხადყოფს 1903 წელს კიშინიოვის და 1906 წელს ბელოსტოკის სისხლიანი დღეები. ცნობილია, რომ მარტო 1905 წლის 18—29 ოქტომბერს ებრაელთა დარბევას ადგილი ჰქონდა იმპერიის 690 ქალაქსა და დაბაში. ამრიგად, მეფის მთავრობას შუასაუკუნეების დროინდელი ევროპელი ინკვიზიტორების მეთოდებით, ხალხის ყურადღება მათი უბედურების ძირითად მიზეზებიდან გადაჰქონდა თვითონ უბედურ დღეში მყოფ ებრაელებზე. თვითმპყრობელობის ამ არაადა-

---

[34] Советские евреи: Мифы и действительность, изд-во ДПН, М., 1972, стр. 9.

[35] ი. ჯ ა ე ჯ ა ვ ა ძ ე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია", № 6, თბ., 1881, გვ. 153.

მიანური საქმიანობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „...ისინი სკოლას, პრესას, საპარლამენტო ტრიბუნასაც — ყველაფერს, ყველაფერს იყენებენ იმისათვის, რომ გააღვივონ ბნელი, ველური, ბოროტი სიძულვილი ებრაელებისადმიო“[36].

თავის ცნობილ სტატიაში „ბუნდის მდგომარეობა პარტიაში“, განუმარტავდა რა რუსეთის მშრომელებს ანტისემიტური მოძრაობის არსს ვ. ი. ლენინი მათ ურჩევდა: „მოსახლეობის სხვა ტომთა ფენებისადმი მტრობა შეიძლება აცილებულ იქნეს „მხოლოდ იმით, რომ მოსახლეობის სხვა ტომთა ფენები აღარ იქნებიან უცხონი, შეედულებიან მოსახლეობის საერთო მასას. ეს არის ებრაელთა საკითხის ერთადერთი შესაძლებელი გადაჭრა, და ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ ყოველივე იმას, რაც ხელს უწყობს ებრაელთა განკერძოების მოსპობას“[37].

რაც შეეხება XIX საუკუნის საქართველოში ებრაელთა მდგომარეობას, აქ რუსეთის მსგავსად ადგილი არ ჰქონია სისხლიან აქტებს მათ წინააღმდეგ, მაგრამ ებრაელთა შევიწროებას საქართველოშიც აქვს ადგილი. ილიას მაგალითისათვის მოაქვს მეფის ჩინოვნიკებისა და თავადაზნაურთა რეაქციული ნაწილის მიერ ამ მიმართულებით „ჩატარებული ღონისძიებები“. კერძოდ ხელოვნურად შეთითხნილი „ებრაელ მწვალებელთა“ საწინააღმდეგო პროცესები 1873 წელს ქუთაისში და მოგვიანებით — ხაშურში. აღნიშნული სასამართლო პროცესები ჩატარდა იმასთან დაკავშირებით, თითქოს ებრაელებს, თავიანთი რელიგიური ცერემონიალისათვის გამოეყენებინოთ მოპარული ქრისტიანი ბავშვების სისხლი. ამას მოჰყვა ებრაელთა უფლებრივი მდგომარეობის ნაწილობრივი ხელყოფაც. 1882 წლის 3 მაისს შემოღებული იქნა დროებითი წესები, რომელიც ებრაელებს უკრძალავდა მიწაზე დამკვიდრებას, მიწის ყიდვას ან იჯარით აღებას[38]. ამას გარდა 1892 წლის 11 ივნისის „საქალაქო დადგენილებით“, ებრაელებს ეკრძალებოდათ საქალა-

---

[36] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ეროვნული თანასწორუფლებიანობა, თხზ., IV გამ., ტ. 20, გვ. 233.

[37] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ბუნდის მდგომარეობა პარტიაში, თხზ., IV გამ., ტ. 7, გვ. 107.

[38] საქ. ებრაელთა ეთნოგრაფიულ-ისტორიოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. I, გვ. 89.

ქო საარჩევნო კრებებში მონაწილეობის მიღება. ამრიგად, მიუხედავად 25 საუკუნოვანი მშვიდობიანი ცხოვრებისა, ებრაელებს საქართველოს ფარგლებშიც ისეთივე საშიშროება მოელოდათ, რისი შიშიც მათ ყოველთვის ჰქონდათ ევროპასა და რუსეთში. ცნობილია, რომ სწორედ ასეთმა ღონისძიებებმა გამოიწვიეს 80—90-იან წლებში ქართველი საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელთა დიდი აღშფოთება და ჩვენს მიერ მოტანილი ილიას სტატიებიც სწორედ ამ პერიოდში იქნა დაწერილი და მიმდინარე ამბების გამოძახილს წარმოადგენდა.

ამიტომ იყო, რომ ილია გმობდა ებრაელთა წინააღმდეგ ყოველგვარი უხეში ძალის გამოყენებას და მას უსამართლო საქმეს უწოდებდა. იგი ებრაელთა და ქრისტიანთა ურთიერთობის მოსაგვარებლად მოსახლეობის შეგნების ამაღლებაში ხედავდა გზას: „ვისაც სურს ურიებს ებრძოლოს, მათ განათლებით უნდა ებრძოლოს, რომელ ხალხსაც არ უნდა ურიებს დაეჩაგვრინოს და გაითანასწოროს ისინი, მისცეს ყოველი უფლება და თითონაც ისწავლოს ამ უფლებით სარგებლობაო“[39]. სხვაგან ილია ჭავჭავაძე შენიშნავს: „ეხლა რომ ურიებს წყევლა-კრულვა დავუწყოთ, ან იმათ მდევნელებისა სასტიკი დასჯა მოვინდომოთ, — უსამართლობა იქნება. ურიები ბევრს აწუხებდნენ სხვა რჯულის ხალხს, ბევრგან სისხლსაც სწოვენ მას, მისის უმეცრობის წყალობით თავის სარგებლობას მისდევენ, მაგრამ ეს უფრო იმ საზოგადოების ბრალია, რომელშიც ურიები არიან გაბნეულნი, ვიდრე თითონ ურიებისა. არც ისინი არიან გასამტყუნარი. რომელნიც ურიებისა და სხვა სისხლის მსმელების მეოხებით სრულად გაღატაკებულან, აღელვების დროს არ ზოგავენ თავიანთ შემწუხებელთა სარჩო-საცხოვრებელს და თვით მათ სიცოცხლესაც“[40]. ილია განსაკუთრებულ სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ თუ ჩამორჩენილ რუმინეთში, თურქეთში და რუსეთში ყოველივეს ვერ მიმხვდარან ერის მესვეურები, „რაღა მოუვიდა ისეთ განათლებულს ქვეყანას, რო-

---

[39] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია“, № 6, თბ., 1881, გვ. 149.
[40] დასახელებული წერილი, გვ. 139.

გორიც გერმანია და ავსტრია-ვენგრიაა“[41], მართლაც XIX საუკუნის მიწურულში ანტისემიტურმა მოძრაობამ გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთში განსაკუთრებულად მძაფრი ხასიათი მიიღო. აღნიშნულ მოძრაობაში გაერთიანებულნი აღმოჩნდნენ არა მარტო ადგილობრივი ბურჟუაზია და რეაქციული სამღვდელოების წარმომადგენელნი, არამედ (რაც ილიას სამწუხარო ფაქტად მიაჩნია), ერის „განათლებული“ ნაწილიც, ინტელიგენცია. „განათლებულს გერმანიაში, — წერს ილია, ერთი ყოფა ასტეხეს ურიების წინააღმდეგ და ვინ იცის ზოგი რა ღონეს არჩევს იმათ ასპარეზის შესამცირებლად, ზოგი რასაო: ზოგი ამბობს ურიები გავაასახლოთ, ზოგს უნდა, მოუსპოს უფლება მამულის საკუთრებად მფლობელობისაო“[42]. სხვაგან ილია შენიშნავს: „ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ეგრეთწოდებული ანტისემიტური, ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი. ნამეტნავად ავსტრიასა და გერმანიაშია ძლიერი იგი მოძრაობა, ისეთ წრეებშიც კი, რომლისგანაც ნაკლებად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო“[43]. ილიას გამოთქმული აზრის საარგუმენტაციოდ მოაქვს ვენის უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა მიერ ავსტრიის ყოფილი იუსტიციის მინისტრის, ეროვნებით ებრაელის — გლაზერის ძეგლის გახსნის ცერემონიალის ჩაშლის ფაქტი.

მსგავს მაგალითად იგი ასახელებს გერმანულ პრესაში ანტიებრაული აჟიოტაჟის ატეხვასაც, კერძოდ მეცნიერების—დიურინგისა და ტრაიჩკეს გამოსვლას, რომელნიც მისი თქმით ხმამაღლა აცხადებენ, რომ „არ უნდა მივცეთ ნება, ვაზეთის ან ჟურნალის გამომცემელი ან რედაქტორი ურია იყოსო; უნდა ადგილობრივ ადმინისტრაციას მივცეთ უფლება მაზრაში ურიებს დასახლება აუკრძალონო“[44]. ილიას სიტყვით, მათ ანტისემიტიზმის მიზეზად მიაჩნიათ არა ეროვნული სიძულვილი და ებრაელთა რელიგიური ფანატიზმი, არამედ „ეკონომიკური სიძულვილი ებრაელთა კაპიტალისტე-

---

[41] ი. ჭავჭავაძე, ებრაელთა საკითხებზე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 249.

[42] ი. ჭავჭავაძე, ურიების ბედი, ჟ. „ივერია“. № 6, თბ., 1881, გვ. 133.

[43] დასახელებული წერილი, გვ. 139.

[44] იქვე, გვ. 150.

ბისა, რომელთა ხელში გროვდება აუარებელი სიმდიდრე საფრანგეთისა, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოებისაო. ამიტომაც ამტკიცებენ, რომ ამ გარემოებას არა მარტო ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, არამედ პოლიტიკურიც, და თუ ებრაელთა ეკონომიკურს გაძლიერებას თავის დროზე არ შეეებრძოლებითო, კაპიტალი შეიქმნება ყველა სახელმწიფოზე უფრო ძლიერი და საშიშიო"[45]. ამრიგად, ილია ჭავჭავაძემ ხაზი გაუსვა გერმანული ბურჟუაზიის სიხარბეს და მათ ცდას თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე ებრაელთა წინააღმდეგ დაერაზმათ ხალხის ფართო მასები და შედეგით კი თვითონ ესარგებლათ.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში ევროპის კონტინენტზე მოსალოდნელი ომისათვის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების გამალებული მზადება, ანუ ევროპის მილიტარიზაცია უდიდეს ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რაც თავისთავად მშრომელი მოსახლეობის ისედაც ცუდ მდგომარეობას კვლავ უფრო აუარესებდა და აძლიერებდა მათ მზარდ უკმაყოფილებას. ბურჟუაზიული მთავრობები თავიანთი კოლონიური და აგრესიული გეგმების განსახორციელებლად ყოველნაირად ცდილობდნენ ფართო საზოგადოებისათვის თვალი აეხვიათ და მშრომელთა გაღატაკების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ებრაელთა მხრიდან მათი ეკონომიკური ჩაგვრა გამოეცხადებინათ, რის გამოც ისინი ხმამაღლა მოუწოდებდნენ ხალხს ისეთი „საგმირო საქმეების" ჩასადენად, როგორიც იყო ებრაელთა ქონების დარბევა და დატაცება. ამდენად ილიას მიაჩნდა, რომ ანტისემიტური მოძრაობა ევროპაში და რუსეთში მმართველი ზედაფენის მიერ იყო წახალისებული და ორგანიზებული[46].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საუკუნის ბოლოსათვის ანტისემიტური მოძრაობა რამდენადმე შენელდა, ევროპის რეაქციამ არა თუ შესძლო ებრაელთა გაბატონებული ნაწილის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის შერყევა, პირიქით ამ უკანასკნელთ თავიანთი პოზიციები კიდევ უფრო განამტკიცეს და ამასთან

---

[45] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ებრაელთა საკითხებზე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 250.

[46] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, გვ. 248—249.

ერთად წინ წამოსწიეს რა ე. წ. სიონისტური მოძღვრება[47], თვით ებრაელთა ფართო ფენებიც. ილიას ტერმინი რომ ვიხმაროთ, „ყურმოჭრილსავით აიყოლიეს".

თუ თვალს გადავავლებთ ებრაელთა ისტორიულ ბედს, აშკარაა რომ ებრაელთა გაბატონებულ ნაწილს არც თუ დიდად განუცდია. შეა საუკუნეობრივი ინკვიზიციის საშინელებანი და მით უმეტეს XIX საუკუნის ანტისემიტური მოძრაობის შედეგები. მაშინ, როდესაც ყოველთვის იჩაგრებოდა ებრაელთა დაბალი ფენა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ამ უკანასკნელთა გულშემატკივრად და საკითხის სამართლიანად გადაჭრის მომხრედ გამოვიდა.

მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში აუტანელი ჩაგვრისა, ებრაელთა საკითხი კვლავ არ მოხსნილა ისტორიის დღის წესრიგიდან. ერთი მხრივ, დასავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებში ადგილი აქვს პერიოდულად ანტისემიტურ ამბიციებს, ხოლო მეორე მხრივ, თვით სიონისტური წრეები და ისრაელის მმართველი ზედაფენა ივიწყებენ საკუთარი ხალხის, თავის წინაპართა მძიმე ხვედრს და მოქმედებენ სხვა ხალხების მიმართ (იგულისხმება პირველ რიგში მეზობელი არაბი ხალხები — პ. ფ.) ისეთივე მეთოდებით და კატეგორიებით, რომლის შედეგებიც დაწყებული ძველი დროიდან ჰიტლერის „მოლვაწეობის" ჩათვლით, საკუთარ თავზე ებრაელმა ხალხმა გამოსცადა. როგორც საბჭოთა მკვლევარი მ. ი. შახნოვიჩი შენიშნავს: „თანამედროვე პირობებში სიონიზმი პოლიტიკურ კრიზისს განიცდის იმიტომ, რომ მთლიანად მბილებულია ისრაელის მესვეურთა ექსპანსიონისტური პოლიტიკა"[48]. ამიტომაა, რომ საბ-

---

[47] სიონიზმი წარმოადგენს ბერეუაზიული ნაციონალური იდეოლოგიის განსაკუთრებულ რეაქციულ განშტოებას. მისი შექმნა ქრონოლოგიურად დაემთხვა კაპიტალიზმის გადაზრდას იმპერიალიზმში, XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი. სიონისტური იდეოლოგიის „ნათლი მამად" ითვლება ვენელი ჟურნალისტი ტ. ჰერცლი, რომელმაც 1896 წელს დაწერილ წიგნში „ებრაელთა სახელმწიფო", სისტემატიზირებული სახით ჩამოაყალიბა აღნიშნული მოძღვრება და ყველა ებრაელს მოუწოდა „მუდმივი ებრაული საკითხის" გადაწყვეტისაკენ, მისი თქმით ისინი უნდა დაბრუნდნენ წინაპართა მიწაზე — პალესტინაში და აღორძინონ „ეროვნული კერა". იხ. Герцль Т. Европейское государство, СПб., 1896, стр. 46—47.

[48] Шахнович М. И. Современный сионизм и иудейский клерикализм, «Знание», Л., 1977, стр. 3.

ჭოთა სახელმწიფოს მეთაურობით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მიერ ისრაელის აგრესიული მისწრაფებების საწინააღმდეგოდ დაკავებული პრინციპული პოზიცია, არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისათვის თანამიმდევრულ მხარდაჭერას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის მტკიცე პოლიტიკა სიონისტური წრეების მხრიდან იწვევს ანტისაბჭოურ, ცილისმწამებლურ გამოხტომებს, რასაც ასე საგულდაგულოდ იყენებენ დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები აშშ-ს მეთაურობით. ისინი თავიანთ სასარგებლო არგუმენტად ასახელებენ, რომ თითქოსდა საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ებრაელები სისტემატურად განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ებრაელთა საკითხი სოციალისტური სინამდვილისათვის დიდი ხანია უკვე უცხო მოვლენაა, აღნიშნული ცილისმწამებლური ქადაგება კი — ასევე დიდი ხანია ცარიელი და უსაფუძვლოა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისთანავე, რუსეთის ხალხთა უფლებათა დეკლარაციით ებრაელი ხალხი, ისევე როგორც რუსეთის იმპერიის სხვა ეროვნული უმცირესობანი, საბოლოოდ განთავისუფლდა ცარიზმის დესპოტური რეჟიმისა და დისკრიმინაციული პოლიტიკისაგან. ამავე დროს, თუ მეფის მთავრობის დამოკიდებულება იუდაიზმის მიმდევართა მიმართაც ოფიციალური ანტისემიტური პოლიტიკიდან გამომდინარეობდა, 1918 წლის 20 იანვარს ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიღებული დეკრეტით—ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ, ებრაელებსაც როგორც სხვა ხალხებს, ოფიციალურად მიენიჭათ რწმენის სრული თავისუფლება.

თავი IV

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თურქეთის იმპერიაში და ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მისი მემკვიდრეობისათვის. (XIX საუკუნის 70-ნი წლების ბოლო—90-ნი წლების მეორე ნახევარი)

1875 წლის აჯანყებებმა ბოსნია — ჰერცეგოვინაში და ბულგარეთში. 1876 წლის გამოსვლებმა მაკედონიაში, საფუძვლიანად შეარყიეს ოტომანთა მრავალეროვანი, სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო. ევროპის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მიეცა საბაბი, კვლავ ჩარეულიყვნენ თურქეთის შინაურ საქმეებში და თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად გამოსულიყვნენ ბალკანეთის ხალხების მომავლის „ქომაგებად". სწორედ ამის შედეგად კვლავ წინა პლანზე ამოტივტივდა საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მწვავე პრობლემა, როგორიც იყო ე. წ. „აღმოსავლეთის საკითხი".

ოტომანთა იმპერიის მემკვიდრეობისათვის წარმოებული მძაფრი ბრძოლა და თურქეთის სამფლობელოებში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის ეროვნული გამოღვიძება მაშინვე მოექცა მსოფლიო პროგრესული აზროვნების ყურადღების ცენტრში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით ფართოდ იქნა გაშუქებული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ. ისინი აღმოსავლეთის საკითხს შეისწავლიან არა უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების მიზნით, ამავე დროს მასში თავიანთი თეორიული შემოქმედების პრაქტიკულ გადაწყვეტასაც ეძებდნენ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ: «Всякий раз, когда утихает на время революционный ураган, один и тот же вопрос непрерывно

вновь всплывает на поверхность — это вечный «восточный вопрос»[1].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ღრმად ჩასწვდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევრის თურქეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოქმნილ ყველა მოვლენას, იმ საგარეო ფაქტორებს, რომელთაც საბოლოოდ დააჩქარეს მისი რღვევის პროცესი და თურქეთის შემკვიდრეობის საკითხი აქციეს ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის წარმოებულ მუდმივი დავის ობიექტად. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ამ ეტაპზე მთელი თურქეთი, კერძოდ მცირე აზიის პროვინციები როდი განაპირობებდა აღმოსავლეთის საკითხის სიმწვავეს. მათი შეხედულებით „განხეთქილების ობიექტს წარმოადგენდა ევროპული თურქეთი, რომელსაც უდიდესი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სწორედ აქ მდებარეობდნენ კონსტანტინოპოლი — სრუტეებით და ის ბალკანური სახელმწიფოები, რომელნიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ"[2].

თურქ დამპყრობთა უხეში ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბალკანელი ხალხების გმირული ბრძოლა მაგალითის მიმცემი გახდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი სლავი და სხვა ეროვნების დამონებული ხალხებისთვის. ამიტომ იყო, რომ დუალისტური სახელმწიფოს მესვეურები, აღმოსავლეთის კრიზისის ყველა ეტაპზე სასტიკად ებრძოდნენ რა საკუთარ იმპერიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველგვარ გამოვლენას, ერთი მხრივ, „თავგამოდებით იცავდნენ" ოსმალეთის მთლიანობას და სიტყვით მხარს უჭერდნენ „Status Quo"-ს შენარჩუნებას ამ რაიონში, მეორე მხრივ კი, ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ ბულგარეთის ძლიერი სლავური სახელმწიფოს შექმნას და ბალკანეთში რუსეთის გავლენის გაძლიერებას. ამდენად, კ. მარქსის შენიშვნით: «Турция являлась «плотиной Австро-Венгрии против России»[3].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Британская политика... Турция, соч. т. 9 стр. 3.

[2] ვ. დონაძე, ი. ჭავჭავაძე აღმოსავლეთის საკითხის შესახებ, ჟ. „მაცნე", № 3, თბ., 1968, გვ. 66.

[3] К. Маркс — Вильгельму Либкнехту, Лондон, 4. 11. 1878, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 34, стр. 247.

„აღმოსავლეთის საკითხ'ში", ავსტრია-უნგრეთის ინტერესებისაგან კარდინალურად განსხვავდებოდა მეფის რუსეთის მისწრაფებანი. ეს უკანასკნელი, თუ საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს მტრულად ეკიდებოდა ბალკანეთის ხალხების ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას[4], უკვე ჩვენთვის საინტერესო პერიოდ'ში კი პირიქით. მან მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა და კურსი მათ ენერგიულ მხარდაჭერაზე აიღო. ასეთი პოლიტიკის თანამიმდევრული გატარება მას შესაძლებლობას მისცემდა მტკიცე საყრდენი შეექმნა ამ დიდმნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმზე და გაეძლიერებინა პოზიციები სრუტეების ზონაში. ამასთან დაკავ'შირებით კ. მარქსი შენი'შნავდა: «...Однообразие целей русской политики обусловлено её историческим прошлым, её географическим положением, необходимостью для неё иметь открытые гавани в Архипелаге, как и в Балтийском море, если она хочет удержать свое верховенство в Европе»[5]. რუსეთის სამხრეთულ მისწრაფებებს ისიც აძლევდა სტიმულს, რომ ბალკანეთის მართლმადიდებელი სლავები, როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი შენიშნავდნენ: «Взирают на Петербург в ожидании мессии, который освободит их от всех зол»[6].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამავე დროს, ხაზს უსვამდნენ ცარიზმის ლტოლვას სამხრეთისაკენ, რომელიც, მიუხედავად მისთვის შექმნილი ხელსაყრელი მდგომარეობისა, ეწინააღმდეგებოდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა კოლონიურ ინტერესებს, პირველ რიგ'ში, რუსეთის პოლიტიკა წინააღმდეგობას აწყდებოდა ინგლისის მხრიდან. რომელიც ფ. ენგელსის თქმით «Не может согласится, чтобы Россия завладела Дарданелами и Босфором. Это событие нанесло бы и в торговле и в политическом отношении тяжелый, если не смертельный удар британской мощи».[7]

---

[4] Достян И. Россия и Балканский вопрос, М., 1972, стр. 309.

[5] К. Маркс, Русский вопрос. К. Маркс, и Ф. Энгельс, Соч. т. 9, стр. 238.

[6] К. Маркс и Ф. Энгельс. Британская политика... Турция, Соч. т. 9, стр. 9.

[7] Ф. Энгельс. Действительно спорный пункт в Турции, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 9, стр. 2.

ინგლისი, რომელიც XIX საუკუნის 70-ნი წლების დასაწყისიდან განუკითხავად ბატონობდა ხმელთაშუა ზღვაზე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა მახლობელ აღმოსავლეთში და ბალკანეთში თურქეთზე ძლიერი სახელმწიფოს გაძლიერებას არ დაუშვებდა[8]. ამიტომაც ინგლისი „თავს მიიჩნევდა რა თურქეთის ძველ მოკავშირედ"[9], ამ ეტაპზე გამოდიოდა პორტას „მეგობრის" ნიღბით და იცავდა მის მთლიანობას, როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ძალებისაგან (საბოლოო ჯამში კი რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა).

„აღმოსავლეთის საკითხში", ინგლის-ავსტრია-უნგრეთისაგან განსხვავებით, გაცილებით „ფრთხილ" და ორაზროვან დიპლომატიურ კურსს ატარებდა საფრანგეთი. თუ ერთი მხრივ, იგი იცავდა თურქეთის მთლიანობას და, ამით რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, მეორე მხრივ, გერმანიის ახალი აგრესიის საშიშროება აიძულებდა მას რუსეთთანაც ემეგობრა[10].

აქედან გამომდინარე, საფრანგეთს არ სურდა თურქეთის დანაწილება და იცავდა „Status Quo-ს", რითაც ფაქტობრივად მხარს უჭერდა აბდულ-ჰამიდ II-ის რეჟიმს და ეწინააღმდეგებოდა ბალკანეთში თავისუფალი სლავური სახელმწიფოების შექმნას.

აღნიშნულ საკითხში, რამდენადმე მოქნილ და ვერაგულ ტაქტიკას ადგა გაერთიანებული გერმანია. იგი ყოველნაირად ცდილობდა რუსეთ-ინგლისის, რუსეთ-საფრანგეთის და ავსტრია-უნგრეთ-რუსეთის დაპირისპირებას, რაც მას საფრანგეთის იზოლირების, თურქეთში გერმანიის გავლენის გაზრდის, ევროპაში მისი პოზიციების განმტკიცების და ხსენებულ სახელმწიფოთა თვალში მისი ავტორიტეტის ამაღლების საშუალებას მისცემდა.

დასავლეთის სახელმწიფოთა ვერაგულმა პოლიტიკამ, ცდებმა, გადაერჩინათ დრომოჭმული ოსმალეთის იმპერია და დაეპირისპირებინათ იგი როგორც მისივე ქვეშევრდომი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ასევე რუსეთის შესაბამისი საგარეო პოლიტიკისათვის, თვით ამ სახელმწიფოთა შორის

---

[8] Христов Х. Идеологические течения в Юго-восточной Европе XIX—XX вв. до первой войны. М., 1970, стр. 4.

[9] Мак-Колль М. Султан и державы, СПб., 1897, стр. 109.

[10] Русско—Турецкая война 1877—1878 гг., М., 1977, стр. 27.

არსებულ ღრმა წინააღმდეგობათა შედეგად (იგულისხმება წინააღმდეგობები ინგლის-საფრანგეთისა სუეცის, საფრანგეთ-გერმანიისა ელზას-ლორენის და რუსეთ-ავსტრია-უნგრეთისა სლავების გამო), სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. ამით კარგად ისარგებლა მეფის რუსეთმა, რომელმაც ავსტრია-უნგრეთთან მიაღწია ნეიტრალიტეტს რაიხშტადტში[11] და ბუდაპეშტში[12] თურქეთის ბალკანური სამფლობელოების მასთან საიდუმლო განაწილების შემდეგ და დადო რა რუმინეთთან სპეციალური კონვენცია[13], 1877 წელს დაიწყო თურქეთთან ომი[14]. აქვე საგულისხმოა, რომ რუსეთმა აღნიშნული სახით მიაღწია ავსტრიის ნეიტრალიტეტს. საფრანგეთ-გერმანიის გზიდან ჩამოცილებაში კი თვით ეს სახელმწიფოები დაეხმარნენ მას, რადგანაც ფ. ენგელსის თქმით: «Новая Германская империя оказала России услугу, отторгнув Эльзас-Лотарингию от Франции и тем самым действительно толкнув Францию в объятия России. Царская дипломатия оказалась теперь в завидном положении: она сумела поставить в зависимость от России обе страны, и Францию и Германию, которые стали вследствие этого отторжения смертельными врагами. И этим благоприятным положением она стала снова воспользоваться для наступления на Царьград, для объявления войны Турции в 1877 году»[15].

[11] რაიხშტადტის შეთანხმების (1876 26. VII) თანასმად: ჩერნოგორია, სერბია და ბულგარეთი ცხადდებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, მაგრამ არ უნდა შექმნილიყო ერთიანი სლავური სახელმწიფო. ავსტრია-უნგრეთს ეძლეოდა კროაციის და მისი მოსაზღვრე რაიონების ანექსიის უფლება, რუსეთს, ბესარაბიის ნაწილის უკან დაბრუნების უფლება. ბოსნიის საკითხი შემდგომში უნდა გადაწყვეტილიყო, ეპირი და თესალია უერთდებოდა საბერძნეთს. იხ. Русско—Германские отношения 1873—1914. М. 1922. стр. 37—38.

[12] ბუდაპეშტის შეთანხმებით (1877. 15 I), ავსტრია-უნგრეთმა მიიღო ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიის უფლება, რუსეთმა კი ბულგარეთის ტერიტორიაზე ჯარის შეყვანის უფლება. იქვე. გვ. 55.

[13] რუსეთ-რუმინეთის კონვენცია, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე დაიდო, ითვალისწინებდა რუმინეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის თავისუფალ გატარებას. იხ. Сборник материалов по Русско—Турецкой войне 1877—1878 гг. на Балканском полуострове, Выпуск II, СПб. 1898, стр. 88.

[14] Кинкапина Н. С. Внешняя политика России второй половины XIX века. М., 1974, стр. 140.

[15] Ф. Энгельс, Внешняя политика Русского царизма. К. Маркс и Ф.Энгельс, Соч. т. 22, стр. 43.

რუსეთ-თურქეთის ომის ძირითად ამოცანად ოფიციალურად გამოცხადდა თურქეთის იმპერიაში მცხოვრები, ჩაგრული ქრისტიანული მოსახლეობისათვის დახმარება[16]. აღნიშნულმა ომმა მართლაც უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა ბალკანეთის და ამიერკავკასიის, კერძოდ ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ამ ომის ისტორიულ მნიშვნელობას ხედავდნენ სწორედ იმაში, რომ რუსეთის არმიამ გაანთავისუფლა ბალკანეთის სლავები სულთნის მრავალსაუკუნოვანი ბატონობისაგან და შესაძლებელი გახადა თავისუფალი სლავური სახელმწიფოების შექმნა ევროპისა და აზიის ამ მეტად მნიშვნელოვან შესაყარში. ამავე დროს, მიუხედავად რუსეთის პროგრესული როლისა, მათ ხაზი გაუსვეს ცარიზმის კოლონიურ სიხარბესაც და სასტიკად დაგმეს თურქეთის ხარჯზე რუსეთის გაძლიერებისაკენ სწრაფვა.

1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მნიშვნელობის შესახებ, მსგავსი შეხედულებები აქვს მოცემული ვ. ი. ლენინსაც, — ვ. ი. ლენინი წერდა: „რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამ ხელი შეუწყო თურქეთის მრავალსაუკუნოვანი უღლისა და ფეოდალური დესპოტიზმისაგან ბალკანეთის ქრისტიანული მოსახლეობის განთავისუფლებას და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას"[17].

ძირითადში ვ. ი. ლენინის თქმით: ამ ომმა, თავის მხრივ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის როლი შეასრულა, რითაც „ბალკანეთში შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პირობები"[18], და რასაც მოჰყვა ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებანი. ისინი ჩამორჩენილი,

---

[16] 1877 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებული მეფის მანიფესტი აცხადებდა: «Всем нашим любезным вероподданным известно то живое участие, которое мы всегда принимали в судьбах угнетенного христианского населения Турции. Желание улучшить и обеспечить положение его разделил с нами и весь русский народ. Ныне выражающий готовность свою на новые жертвы облегчения участи христиан Балканского полуострова», Газ. «Голос», 25. 4, № 101, М., 1877.

[17] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, სხვისი დროშით, თხზ., IV გამ., ტ. 21, გვ. 165.

[18] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის, თხზ., VI გამ., ტ. 25, გვ. 262.

აგრარული ქვეყნებიდან გადაიქცნენ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებად.

თანამოძმეთა სამართლიან ბრძოლას და რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას აღფრთოვანებით შეხვდნენ რუსეთის მოწინავე-პროგრესული აზრის ისეთი წარმომადგენელნი, როგორიც იყვნენ: დ. ი. მენდელეევი, ნ. ი. პიროგოვი. ი. ე. რეპინი. სწორედ ბალკანეთის ამბები ასახეს მხატვრულად რუსული ლიტერატურის კორიფეებმა: ლ. ნ. ტოლსტოიმ, მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინმა და სხვებმა.

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის დაწყებისთანავე სამხედრო ფორმა ჩაიცვა კულტურისა და მეცნიერების ბევრმა ცნობილმა წარმომადგენელმა, რომელთაგანაც აღსანიშნავია ვ. ვ. ვერეშაგინი, ვ. დ. პალენოვი, ნ. ვ. სკლიფასოვსკი, ვ. მ. ბეხტერევი, ს. პ. ბოტკინი და სხვანი[19].

ბალკანეთის ამბებით არა ნაკლებ დაინტერესებას იჩენდნენ ამ პერიოდის მოწინავე ქართველი საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელნიც, რომელნიც ასევე მიესალმნენ ოსმალოს იმპერიაში მცხოვრები ჩაგრული ერების გამოღვიძებას და რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებას. ამ უკანასკნელს კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, წარმატების შემთხვევაში, თურქეთის 300 წლიანი ბატონობისაგან თავისუფლდებოდა სამხრეთ საქართველო და აჭარა ბათუმითურთ.

იმ უდიდესმა პატრიოტულმა აღმავლობამ[20], რომელიც აღნიშნულმა ომმა განაპირობა, საქართველოში ყველაზე ნათელი ასახვა ჰპოვა იმ დროინდელ ქართულ პრესაში, სადაც ი. ჭავჭავაძესთან ერთად თავის პოლიტიკურ მიმოხილვებს სისტემატურად აქვეყნებდნენ: ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, ა. სარაჯიშვილი, ი. გოგებაშვილი და სხვანი.

---

[19] Орлик О. В. Представители прогрессивной интеллигенции России. Участники Русско—Турецкой войны, ж. «Вопросы истории», № 4, М., 1978, стр. 80.

[20] საქართველოს მოსახლეობა არამარტო მატერიალურად ეხმარებოდა ჯარს, არამედ დიდი ენთუზიაზმითაც ეწერებოდნენ მოხალისეებად. მარტო გურიიდან, სადაც 25 ათასი მაცხოვრებელი იყო, 4 ათასი მამაკაცი ჩაეწერა მოხალისედ. იხ. Русско-Турецкая война 1877—1878 гг. М., 1977, стр. 254. ქართველთა შორის იმდენად დიდმა რაოდენობამ გამოთქვა სურვილი ჯარში წასვლაზე, რომ გაწვევა შეწყვეტილი იქნა. იხ. Мегрелидзе Ш. В. Вопросы Закавказья истории Русско-Турецкой войны 1877—1878 гг. Тб., 1969, стр. 61.

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომმა, სადაც მოხალისეებთან ერთად, ასევე მამაცურად იბრძოდნენ რუსეთის არმიაში მყოფი ქართველი გენერლებიც: ა. ბაგრატიონ-იმერეტინსკი, კ. მამაცაშვილი, ა. ქავთარაძე, გ. თარხნიშვილი და სხვა მეედართმთავრები, კიდევ უფრო დააახლოვა ქართველი და რუსი ხალხი, კიდეკ უფრო განამტკიცა მათ შორის ძმობა და მეგობრობა.

ყოველივე ამან თავისებური ასახვა ჰპოვა ი. ჭავჭავაძის პოლიტიკურ წერილებსა და სტატიებშიც, მაგრამ ამჟამად გარკვეული მიზნით, ჩვენ არ შევჩერდებით მის მიერ 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებზე. ჩვენს ნაშრომს უფრო კონკრეტული დანიშნულება გააჩნია. გავაანალიზოთ და ნათელყოთ ი. ჭავჭავაძის მოსაზრებანი ომის შემდგომ თურქეთის იმპერიის მემკვიდრეობისათვის ევროპის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავების და იმპერიის ეროვნულ უმცირესობათა სამართლიანი განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ.

როგორც ცნობილია, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, წინააღმდეგობანი რუსეთსა და დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს შორის, არამცთუ შენელდა, კიდევ უფრო დაიკაბა და შეუპოვარი გახდა. „სანსტეფანოს საზავო შეთანხმების შემდეგ რუსეთის მთავრობა შიშობდა ინგლის-ავსტრია-უნგრეთ-თურქეთის კოალიციასთან ახალი ომი არ დაწყებულიყო, რადგანაც ეკონომიკური და ფინანსური გართულებების, არმიის დასუსტების გამო, ომი ქვეყანას უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა“[21], ამიტომ იყო, რომ ბერლინის კონგრესზე რუსეთი, რომელიც წააწყდა დასავლეთის სახელმწიფოთა ერთიან ფრონტს, იძულებული გახდა დათანხმებულიყო ომში შეძენილ ტერიტორიების საგრძნობი ნაწილის დაკარგვაზე. აღნიშნულ კონგრესზე ნათლად გამოჩნდა რუსეთის წინააღმდეგ ავსტრია-უნგრეთ-გერმანიის ინტერესთა ერთიანობა, რომელთაც მთელ-რიგ საკითხებში მხარს უჭერდა ინგლისის დიპლომატიაც. კონგრესის შედეგებით უფრო მეტად ისარგებლა ავსტია-უნგრეთმა, ვიდრე რუსეთმა, რომლის მიერ ომში განცდილი სულიერი და მატერიალური ზარალი ძირითადად აუნაზღაურებელი დარჩა. რაც შე-

---

[21] Освобождение Болгарии от Турецкого ига. М., 1967, т. 2, стр. 31.

ეხებოდა ბერლინის კონგრესზე რუსეთის მონაპოვარს. ეს გახლდათ ქალაქი ბათუმი. რომელიც თურქთა 300 წლიანი ბატონობისაგან განთავისუფლდა და საქართველოს შეუერთდა. ამიტომ იყო, რომ ილია ბათუმის საკითხის გადაჭრას მიიჩნევდა კონგრესის ერთადერთ სამართლიან გადაწყვეტილებად და აკი შენიშნავდა კიდეც „... ბერლინის კონგრესმა ამით ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინაო[22]. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ილიას თქმით, ის დიდი წვლილიც. რაც რუსეთის დიპლომატიამ შეიტანა ბათუმის დედა სამშობლოსათვის დაბრუნების საქმეში და ეს აქტი არ უნდა მივიჩნიოთ ევროპის სახელმწიფოთა კეთილშობილურ გადაწყვეტილებად საქართველოს სასარგებლოდ[23].

მიუხედავად ბერლინის კონგრესის უსამართლო და ბუნდოვანი გადაწყვეტილებებისა (გარდა ბათუმის საკითხისა). ილია მას მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბალკანეთისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრებაში. ილიას სჯეროდა. რომ იგი „აღმოსავლეთის საკითხს" ერთხელ და სამუდამოდ მოაგვარებდა: „ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ აღმოსავლეთის საქმეს ბერლინის ხელშეკრულებით წვერი შემოერღვა როგორც პაჭიჭს, — შენიშნავდა ის, და რაკი წვერი შემოერღვა, ბოლომდე რღვევით უნდა წავიდეს"[24]. მაგრამ სულ მალე ბალკანეთში პოლიტიკური ატმოსფეროს შეცვლამ ილიას თვალნათლივ დაანახა, რომ ბერლინის კონგრესს არ შეეძლო საკითხის საბოლოოდ მოგვარება. რადგანაც მისმა ბუნდოვანმა გადაწყვეტილებებმა არსებითად ბალკანეთის მცირე სახელმწიფოთა ტერიტორიული მისწრაფებანი ვერ დააკმაყოფილა და ამ ნიადაგზე. მან არა თუ დაამეგობრა ისინი, არამედ ხელი შეუწყო მოძმე ხალხთა შორის მტრობის მუდმივი ელემენტის გაჩენას. ამასთან ერთად კონგრესმა არამცთუ შეარბილა ბალკანეთის ტაი-

---

[22] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა VII, თხზ. სრული კრებული, ტ. 5. გვ. 18.

[23] უფრო დაწვრილებით საქართველოსათვის ბერლინის კონგრესის მნიშვნელობის შესახებ, იხილეთ: ა. ჩხეიძე — ბათუმის საკითხი 1878 წლის ბერლინის კონგრესზე. თბილისის ა. პუშკინის სახ. სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1966, ტ. 20, გვ. 20—21.

[24] ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა VII, თხზ. სრული კრებული, ტ. 5, გვ. 18.

ვილები, არამედ ევროპის სახელმწიფოებისათვის კიდევ უფრო ახალი, თავსატეხი პრობლემები წამოიჭრა. საერთოდ კი, როგორც საბჭოთა მკვლევარი აკად. ა. ნაროჩნიცკი შენიშნავს, ბერლინის კონგრესის შედეგებმა დასაბამი მისცა ევროპის გათიშვას დიდ სახელმწიფოთა ორ მტრულ ბანაკს შორის და პირველი მსოფლიო ომისათვის ნიადაგის შემზადებას[25].

ამრიგად, ვერც ბერლინის კონგრესმა მოაგვარა „აღმოსავლეთის საკითხი". ის ევროპის სახელმწიფოთა შორის მორიგი დავისა და ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთ ძირითად საკითხად დარჩა, იმ განსხვავებით რომ, თუ 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომამდე რუსეთის ინტერესებს ბალკანეთში და სრუტეების ზონაში ინგლისი და ავსტრია-უნგრეთი უპირისპირდებოდნენ, უკვე 80—90 წლებში ამ რეგიონში ერთმანეთს დაუპირისპირდა ინგლის-გერმანია, რადგანაც ამ უკანასკნელის სწრაფად აღმავალ მრეწველობას, თურქეთის სამფლობელოების სახით გასაღების სანუკვარი ბაზარი ესაჭიროებოდა.

ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად და ისტორიული სინამდვილის შესატყვისად განიხილავდა „აღმოსავლეთის საკითხს" და მასში გაერთიანებულ ყველა პრობლემას თანამიმდევრულად აშუქებდა იგი, როგორც მშვიდობისა და ხალხთა კეთილდღეობის დიდი მეხოტბე, გაბედულად ამხელდა ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დამპყრობლურ პოლიტიკას თურქეთის მიმართ, მათ მრავალმხრივ ცდებს დიპლომატიის თუ იარაღის საშუალებით, მოეგლიჯათ თურქეთისათვის ეკონომიკურად და სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ამით კიდევ უფრო დაესუსტებინათ.

„საგანი ამ ახლო აღმოსავლეთის საქმისა, — წერდა ის, იყო შიგნით დაუწყობელი და გარეთ უღონო ოსმალეთი, რომლის ნაჭერ-ნაჭერ დაფლეთას დღეყოველ ეტანებოდნენ ევროპის სახელმწიფონი, დღეყოველ იმის მოლოდინში იყვნენ, — დღესა თუ ხვალ სული უნდა ამოხდეს ამ სნეულს სახელმწიფოსაო და დიდი და პატარა ხელს იწვდიდა ამ დაბალ ღობისაკენ, იქნება მისის სამკვიდ-

---

[25] Нарочницкий А. Л. Берлинский конгресс, Россия и южные славяне, ж. «Новая и новейшая история», № 2, М., 1979, стр. 84.

როსაგან მეც რამე ვირგუნო და გაყოფის დროს უწილოდ არ დავრჩეო"[26].

ილიას კარგად ესმოდა, რომ ევროპის არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ სურდა თურქეთის ხარჯზე სხვა გაძლიერებულიყო და ამით მისი პოზიციებიც განმტკიცებულიყო ევროპისა და აზიის ამ დიდმნიშვნელოვან შესაყარში. დაშლისაგან თურქეთის იმპერიის ხელოვნურად გადარჩენას ილია შემდეგნაირად ხსნიდა: „თვითოეულის სიხარბემ, ერთმანეთის შურმა და მტრობამ ეს ადრე და მალე ანდერძ აგებული ოსმალეთი გადაარჩინა დაფლეთისა და დანაწილებისაგან. რაკი თვითოეულმა ცალკე სახელმწიფომ დაინახა, რომ მე იმ წილს არ დამანებებენ, რის სურვილიც მაქვს, დეე ეს ცოცხალმკვდარი სამფლობელო ფადიშაჰისა ისევ პატრონს ეჭიროსო"[27]. სხვა ადგილას ის წერდა: „ევროპის სასურველი ის იყო, რომ ბოსფორზე, საცა დღეს ოსმალეთი ჰზის, არავინ ოსმალოზე ძლიერმა ფეხი საკუთრივ არ მოიკიდოს და საკუთრივ არ ამართოს იქ თავისი დროშა, ერთმანეთის შური და მტრობა არავის ამის ნებას არ მისცემს უომრად და სისხლდაუღვრელად"[28].

თვით ბისმარკიც კი ვერ უარყოფდა აღმოსავლეთის საკითხისადმი ევროპის სახელმწიფოთა ასეთ დამოკიდებულებას და წერდა შემდეგს: „ევროპის სახელმწიფოები მართლაცდა ჰგვანან იმ მოგზაურებს, რომელნიც ერთმანეთს არ იცნობენ, როდესაც ერთი მათგანი ჯიბეში ხელს ჩაიყოფს თუ არა, იმავე წუთს მისი მეზობელი ამზადებს თავის რევოლვერს, რომ გასროლა არავინ დაასწროს"[29]. ევროპის სახელმწიფოთა აღმოსავლურ პოლიტიკას თავის დროზე მსგავს შეფასებას აძლევდა ცნობილი მეცნიერი — აღმოსავლეთმცოდნე პ. ა. ჩიხაჩევიც. რომელიც შენიშნავდა რომ: „ევროპის

---

[26] ი. ჭავჭავაძე, ახლო და შორი აღმოსავლეთის პოლიტიკის საკითხები, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 174.

[27] იქვე.

[28] ი. ჭავჭავაძე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 159.

[29] Рапорт представлений кн. Орловым Александру II-му, 1879 г., 19. II. см. Русско-Германские отношения 1879—1914 гг., М., 1922 стр. 87.

ქვეყნები თავიანთ თავს თვლიან თურქეთის კანონიერ მემკვიდრეებად, მათ აინტერესებთ არა თურქეთის ტირანიის დამსობა და ჩაგრული ხალხების განთავისუფლება, არამედ იმპერიის ვანაწილება ურთიერთშორის"[30].

ილიას ესმოდა, რომ აღმოსავლეთის საქმის მოგვარება ასეთ ვითარებაში შეუძლებელი ხდებოდა. საქმეს ისიც აფერხებდა, რომ ევროპის დიპლომატები თავიანთი ქვეყნების შინაური ტკივილების მიჩქმალვას აღმოსავლეთის საქმის არევით და იქ სხვების ყურადღების გადატანით ახერხებდნენ. „ვერა ეშველა რა ევროპას — წერდა ის, — ვერ მოეღო ბოლო მაგ საქმეს და ამით ვერ წაიშალა დედამიწის ზურგზედ მიზეზი, რომლის წყალობითაც მარჯვე დიპლომატი ევროპის საქმეს დომხალსავით აურევს ხოლმე, როცა კი საკუთარი ინტერესები მისი სახელმწიფოსი ამას მოითხოვს"[31]. ოსმალეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა და ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესების შეუსაბამობა, ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად მიიჩნია ევროპაში მუდმივი საფრთხის და დაძაბულობის აღმოსავლურ მიზეზად. აქედან გამომდინარე. მან უპირველეს ამოცანად დაისახა, გარკვეული კვლევის საგნად ექცია სწორედ ევროპის დიდ სახელმწიფოთა ოსმალური ინტერესების შესწავლა, უფრო ღრმად ჩასწვდომოდა მას და ქართველი მკითხველი მასისათვის გაეცნო მათი აღმოსავლური მისწრაფებების ნამდვილი, კოლონიური ხასიათი. „რომ უკეთესად შევიგნოთ — ვინ რას ეძებს აღმოსავლეთის საქმეში და ვის რა ტკივილები აქვს. — ჯერ ყველაზე უწინარეს დიდ სახელმწიფოებს უნდა გავუსინჯოთ პოლიტიკის გზებიო"[32], წერდა ის.

„აღმოსავლეთის საკითხთან" დაკავშირებით, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვისას. ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს ბერლინის კონგრესის შემდგომ. ევროპაში შექმნილ ვითარებაზე. რადგანაც ამ დროს ოსმალეთის სამფლობე-

---

[30] Чихачев П. А. Великие державы и восточный вопрос, М., 1970, стр. 174.

[31] ი. ჭავჭავაძე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბილისი, 1957, გვ. 63.

[32] ილია ჭავჭავაძე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 156.

ლოებისათვის პაექრობაში რუსეთის ძირითად მეტოქეებად იგი ხედავს. — ერთი მხრივ ავსტრია-უნგრეთსა და გერმანიას (ბალკანეთში), და მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს, შავი ზღვის სრუტეებისა და ხმელთაშუა ზღვის კომუნიკაციებისათვის ბრძოლაში.

რუსეთ-ავსტრია-უნგრეთს შორის დავის ძირითად მოტივად ილია ასახელებს იმ გარემოებას, რომ „ერთსაც უნდოდა სლავიანთა დედააზრის მატარებელი ყოფილიყო და მეორესაც“[33]. ამით იგი ხაზს უსვამს ამ სახელმწიფოთა აშკარა ლტოლვას ბალკანეთში გასაბატონებლად და მას მიაჩნია, რომ, თუ რუსეთი გამოდიოდა თანამოძმეთა (სლავური მოსახლეობის) განმათავისუფლებლის დროშით და გრძნობდა კიდევაც მათ მხარდაჭერას, ავსტრიის პრეტენზიები კი მთლიანად უსაფუძვლო იყო. ამასთან დაკავშირებით ილია შენიშნავდა: „სლავიანები დიდი ხანია ვედრებით შეჰყურებდნენ თავის ძალ-მოსილს ძმას რუსეთს და ელოდნენ მისგან შემწეობას; და როცა შეძრწუნებულნი და ათას-გვარ წვალებით გაბოროტებულნი წარმოდგნენ თავის დასაცავად, ისე რიგად ჰქონდათ რუსეთის გული მოგებული, ისეთი თანაგრძნობა ჰპოვეს მთელს რუსეთში, რომ თითქმის საეკვო აღარ იყო, რუსთ-მმართველობა გაერეოდა მათს საქმეში“[34]. რაც შეეხებოდა ავსტრიის სლავურ მისწრაფებებს, მის შესახებ ილია თავის ერთ-ერთ საპოლიტიკო მიმოხილვაში წერდა: „გარდა იმისა რომ ჩემი სლავიანები ოსმალეთის სლავიანების მიბაძვით წინ არ აღმიდგნენო, ავსტრიას ეშინოდა, აგრეთვე რუსებმა ან სერბიამ არ ირგუნონ რამეო, და მათ სივრცემ და ძალამ არ იმატოსო“[35]. ამიტომაც რუსეთი, რომელსაც „ჯერ კიდევ ვერ დაუბინავებია სლავიანები ისე, როგორც მისი საპოლიტიკო საჭიროება მოითხოვს, აღმაცერად თვალს ადევნებს ავსტრიას, რომელიც, როგორღაც ფეხაკრეფით და ქურდულად სლავიანებისაკენ მიიპარება“[36]. მიუხედავად რუსეთის მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა, ავსტრია-უნგრეთი მაინც ცდილობდა ბალკანეთის კო-

---

[33] ილია ჭავჭავაძე, ევროპა 1886 წელს, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 85.

[34] ი. ჭავჭავაძე, დასახელებული წერილი, გვ. 148.

[35] ი. ჭავჭავაძე, საპოლიტიკო მიმოხილვა. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 64.

[36] იქვე.

ლონიზაციას, რადგანაც მას ზურგს უმაგრებდა ევროპის ყველაზე ძლიერი მტაცებელი, გაერთიანებული გერმანია. ამ უკანასკნელის ექსპანსიურ პოლიტიკას კი წარმართავდა ოტო ბისმარკი, რომლის „წაქეზებითაც და მიდგომით, როგორც ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა — ავსტრიამ თითქმის ხელთ იგდო სერბია და ყურმოჭრილსავით.... აიყოლია“... „რაკი ბოსნია და ჰერცეგოვინა დაიპირა ავსტრიამ, ისევ ბისმარკის წყალობითა, ჩერნოგორიასაც ხელ-ფეხი შეეკრა ასე, რომ უავსტრიოდ ხმასაც ვერ ამოიღებს“[37]. გერმანიის მიერ ავსტრიის წამქეზებლობას ილია უფრო ვრცლად და საინტერესოდ აღწერს 1883 წელს ივერიის საპოლიტიკო მიმოხილვაში: „გერმანიის სარგებლობა მოითხოვს, რომ ავსტრიას დიდი საქმეები გაუჩინოს მის მოსაზღვრე სამხრეთ რუმინიაში და სლოვენების სამთავროებში; სინამდისინ ეს წვრილი სამეფოები, სერბია, რუმინია, ბოლგარია და სხვანი არ გაძლიერებულან და კავშირი არ შეუდგენიათ, იქ ფართო ადგილი დაუთმოს ავსტრიასა და სამუდამოდ საზრუნველი გაუხადოს ფეხის შემაგრება, და გერმანიაში უფლების ფიქრი დააკარგვინოს. ამგვარად ბისმარკის აზრია, ავსტრია სლოვენების სახელმწიფოდ გადააქციოს, რომ რუსეთს არ დაეჭერინოს მთელი სლოვენების ხალხი. ნემეცების აზრით თუ მართლად, სლოვენები შეერთდნენ ერთს სახელმწიფოდ რუსეთის წინამძღოლობით, გერმანიის ძლიერებას შემუსრვენ, როდესაც ორად გაყოფილი იქნებიან სლოვენები რუსეთისა და ავსტრიის ხელქვეით, მაშინ ამ ორ სახელმწიფოთ ერთმანეთში საცილობელი არ მოაკლდებათ, სხვისთვის ვერ მოიცლიან და მაშასადამე ძლიერება შეურყეველად დარჩებაო“[38]. ილიას კარგად ესმოდა, რომ გაერთიანებული გერმანია ავსტრია-უნგრეთისადმი მხარდაჭერით თავის აგრესიულ ზრახვებს ახორციელებდა, უკანასკნელს კი ამ შემთხვევაში საზარბაზნე ხორცად იყენებდა. ავსტრიამ „რომელმაც ესე შორს შესტოპა სლავიანების საქმე'ში, რაკი ეგრეთწოდებულს აღმოსავლეთის საქმეს ეგრე მჭიდროდ ჩაჰკიდა ხელი, უგერმანიოდ ერთ ბიჯსაც ვერ გადასდგამს და

---

[37] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 65.

[38] „ივერია“, № 9, თბ., 1883.

ძალაუნებურად მას უნდა მიემხროს"[39]. გერმანიის აქტიურ აღმოსავლურ პოლიტიკას ილია ხატოვნად უწოდებდა „ბისმარკის თარეშს აღმოსავლეთის საქმის მოედანზე", რისთვისაც მან არამარტო ავსტრია-უნგრეთი გამოიყენა, ამავე დროს „ოსმალოსაც მეტად ტკბილად ლაპარაკი გაუმართა, ჩუმად დაჰპირდა კიდეც თურმე, რომ რუსეთისაგან ახლად წართმეულს ქვეყნებს ისევ უკან დაგიბრუნებთო, ოღონდ ჩემს ნებაზედ იარეო"[40]. უკვე გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. გერმანიამ შეძლო მთელი რიგი დიპლომატიური მაქინაციებით თურქეთში გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობის მიღწევა. ყოველივე ამას ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავდა და აქედან გამომდინარე, იგი აღნიშნულ რეგიონში რუსეთის ძირითად მეტოქედ სავსებით სამართლიანად მიიჩნევდა არა საკუთარი ქვეყნის შიგნით სლავების და სხვა მცირე ერების განმათავისუფლებელი მოძრაობით დასუსტებულ ავსტრია-უნგრეთის დუალისტურ სახელმწიფოს, არამედ ძლიერ მილიტარისტულ გერმანიას, ილიას ეს დასკვნა კი უთუოდ ისტორიულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა.

ილია ნათლად ერკვეოდა ბისმარკის პოლიტიკის ორაზროვნებაში, მისი თქმით, თუ გერმანიის დიპლომატიის მესაქე ერთი მხრივ მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთის მისწრაფებებს და ამით რუსეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა, მეორე მხრივ, მას აშინებდა რა რუსეთის საფრანგეთთან მოსალოდნელი დაახლოება, იგი დემაგოგიურად რუსეთსაც სთავაზობდა ბალკანეთში თავისუფალი მოქმედების გარანტიას და ამით. რუსეთის ყურადღება შესაბამისად რაინიდან დუნაიზე გადაჰქონდა.

მეტად საყურადღებო მოსაზრებები განავითარა ილიამ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების შესახებაც. ევროპაში 1875 წლის სამხედრო განგაშის შემდგომ, როდესაც საფრანგეთის მიმართ სამხედრო მუქარაზე და დაშინებაზე აგებულმა ბისმარკის პოლიტიკამ მარცხი განიცადა, ბისმარკმაც სხვა ნაცად ხერხს მიმართა. მან საფრანგეთში რევანშისტული განწყო-

---

[39] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 71—72.

[40] იქვე, გვ. 65.

ბის შესასუსტებლად მიზნად დაისახა მისი ყურადღება რაინიდან შორეულ კოლონიებში გადაეტანა და ამით საფრანგეთის ურთიერთობაც სხვა ქვეყნებთან გაემწვავებინა. ილია ამასთან დაკავშირებით წერდა: ბისმარკი ძალიან ხელს უწყობდა საფრანგეთს, ოღონდ მე-კი თვალი მომაშორეო და საცა გინდა ფეხი გაიდგიო: საფრანგეთმა ჯერ ტუნისს წაავლო ხელი, პატრონობა დაიჩემა და ამით ძალიან მოიმდურა თავისი თითქმის მუდამ მოყვარე იტალია, რომელსაც თავისი საბუთი ჰქონდა ტუნისის დაჭერისა. ეს რომ გაათავა, ტონკინისაკენ გაიწია... ამის გამოც ერთი დაუძინებელი მტერი აიჩემა — ჩინეთი... ეხლა ეგვიპტის საქმის გამო საითღამღამც გაუტყვრა კინკლაობა საფრანგეთს ინგლისთან და იქამდე მიაღწია, რომ ერთმანეთზე გული კარგად საგრძნობლად გაუგრილა... ბისმარკს ჯერ ეს მტრების აჩენა უხაროდა და მერე საფრანგეთის ასე შორს გატყუება და გაბმაო"[41]. ილია ამ ციტატით ფარდას ხსნის ბისმარკის „მეგობრულ" ეესტს, რომლის რჩევითაც საფრანგეთი საბოლოოდ ჩაფლული აღმოჩნდა კოლონიურ ავანტიურაში.

ილია ჭავჭავაძე ქართველ მკითხველს განუმარტავს, თუ რა განაპირობებდა გერმანიის მხრიდან რუსეთ-საფრანგეთთან ურთიერთობაში ძალის პოლიტიკიდან დემაგოგიურ პოლიტიკაზე გადასვლას. იგი მიუთითებს რა ინგლის-საფრანგეთის და რუსეთის მრეწველობის ტემპებთან შედარებით გერმანიის ეკონომიკის განსაკუთრებულ, სწრაფ აღმავლობაზე. ამავე დროს ხაზს უსვამს გერმანიის საქონელის მიერ მსოფლიო ბაზარზე ინგლისური ნაწარმის შევიწროების და ინგლის-გერმანიის ურთიერთობის გამწვავების ფაქტს. ძველ-ევროპულ ნიადაგზე (ელზას-ლორენი) საფრანგეთ-გერმანიას შორის არსებული წინააღმდეგობანი ასე შეცვალა თანდათანობით ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობებმა, რომელნიც უშუალოდ კოლონიურ დაპყრობებთან იყო დაკავშირებული. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ გერმანიას კოლონიებისათვის „ზრუნვის" სურვილი გაუჩნდა არა საუკუნის მიწურულს, როგორც ხშირად დასავლეთის მკვლევარნი შენიშნავენ ხოლმე. არამედ გაერ-

---

41. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საპოლიტიკო მიმოხილვა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 66.

თიანებისთანავე, რადგანაც ადმირალ ტირპიცის სიტყვებით „გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისთანავე ჩვენს წინაშე მთელი ძალით დადგა დედამიწაზე გერმანიის ადგილის საკითხი"[42]. მილიტარისტულმა გერმანიამ, რომელიც, როგორც ეკონომიკურად, ასევე სამხედრო პოტენციალით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ევროპის სხვა რომელიმე კაპიტალისტური სახელმწიფო, თავისი ხარბი მზერა სწორედ "ბორეულ კოლონიებს მიაპყრო (აქ კი უპირველეს ყოვლისა იგულისხმება თურქეთის იმპერია, თავისი "შესანიშნავი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობით). გერმანიის იმპერიალიზმის კოლონიურ სიხარბეზე სამართლიანად მიუთითებდა ფ. ენგელსი, რომ: «Бисмарк сумел создать Германии репутацию страны жаждущей завоеваний»[43]. „უკვე განაწილებული მსოფლიოს ხელახლა გადანაწილება"[44], გერმანიისათვის გადაიქცა უპირველეს ამოცანად, რადგანაც მიუხედავად გერმანული საქონლის სულ უფრო და უფრო გაბატონებისა მსოფლიო ბაზარზე, ამ პერიოდში გერმანიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესაძლებლობა მსოფლიო მეურნეობაში თავის მონაწილეობასთან შეფარდებით გაეტარებინა მსოფლიო პოლიტიკაც. რადგანაც მას არ გააჩნდა ამისათვის საჭირო კოლონიები — „Keine Weltpolitik ohne Kolonialpolitik", გერმანიის მმართველ წრეებს, უპირველეს ყოვლისა ვილჰელმ I-სა და მის კანცლერს ოტო ფონ ბისმარკს კარგად ესმოდათ, რომ გერმანია მსოფლიო პოლიტიკაზე ვერ იფიქრებდა, თუ წინ არ წამოსწევდა კოლონიურ პოლიტიკას, ეს უკანასკნელი კი ორგანულად იყო გადაჯაჭვული შეიარაღების პოლიტიკასთან („Rüstungspolitik"). გერმანიაში კვლავ წინა პლანზე ამოტივტივდა სამხედრო სულისკვეთება, კვლავ დღის წესრიგში დადგა პრუსიის მეფის ფრიდრიხის მიერ 1733 წელს გამოქვეყნებული „Kantonaledikt"-ი, რომლის თანახმადაც „ქვეყნის ყველა მცხოვრები დაბადებულია იარაღის სატარებლად და ვალდებულია ბრძანებას დაემორჩილოს"[45].

---

[42] Тирпиц А. Воспоминание, «Воениздат», М., 1957, стр. 144.

[43] Энгельс Ф. Может ли Европа разоружаться? К. Маркс и Ф. Энгельс Соч., т. 22, стр. 413.

[44] ვ. ი. ლენინი, იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია, თხზ., IV გამ., ტ. 22, გვ. 319.

[45] Eisner K. Das Ende des Reichs, Berlin 1907, P., 189.

მსოფლიოში გერმანიის ნომერ პირველ სახელმწიფოდ ქცევის სამზადისში, სამხედროებს არ ჩამორჩებოდნენ გერმანელი დიპლომატებიც. ისინი პირველნი შეუდგნენ სამხედრო კოალიციის შექმნას, რომლის ცენტრიც ბერლინი გახდა. ასე აღმოცენდა 1882 წელს „სამთა კავშირი", რომელშიც გაერთიანდნენ გერმანია-ავსტრია-უნგრეთი და იტალია[46]. აღნიშნული კავშირის შესახებ ილიას „ივერია" წერდა: „ეს კავშირი, ერთის მხრით, საფრანგეთის საწინააღმდეგოდ მოეწყო, თუ ვინცობაა მას მოესურვებინა წართმეული პროვინციების, ელზას-ლოტარინგიის დასაბრუნებლად ომი აეტეხა. მეორეს მხრით, ეს კავშირი რუსეთის საწინააღმდეგოდაც იყო, თუ ვინცობაა იგი გადაეღობებოდა ავსტრიის მფლობელობას ბალკანეთის სამეფოებზე[47]. ცხადია, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავდა ამ დროისათვის «Истинной представительницей милитаризма является не Франция, а Германская империя прусской нации»[48].

ამრიგად, იმპერიალისტურმა გერმანიამ ევროპაში „მოაგვარა" რა საქმეები, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან, თურქეთის მემკვიდრეობის საკითხი თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად აქცია. აღნიშნული რაიონი გადაიქცა პანგერმანისტთა იდეოლოგების (ტრაიჩკე, ლეგარდი და ა. შ.) მიერ ამოტივტივებულ და საუკუნის დასაწყისში გერმანელი მოაზროვნის ფიხტეს მიერ შემუშავებულ „მსოფლიო პოლიტიკის" საწყის პუნქტად, როგორც ილია შენიშნავდა, გერმანიის ინიციატივით სწორედ თურქეთში გამოიკვანძა ევროპის საერთაშორისო ურთიერთობათა კვანძი, ამით ისედაც არეულ აღმოსავლეთის საქმეს კიდევ ერთი დიდი მუგუზალი მიემატა.

აღმოსავლეთის საკითხის განხილვისას, ილია ჭავჭავაძე არა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ინგლის-რუსეთის დაპირისპირებას. თუ გერმანიის კაპიტალის თურქეთში შეჭრა ინგლისს უქმნიდა ეკონომიკურ საფრთხეს, ე. ი. იგულისხმება გავლენის სფეროს და საქონლის გასაღების ბაზრების დაკარგვა, რუსეთს გაცილებით მეტი სა-

---

[46] История Дипломатии, т. 2. Госполитиздат, М., 1963, стр. 181.

[47] ე. „ივერია", პოლიტიკის მიმოხილვა, № 3, თბ., 1883, გვ. 89.

[48] Ф. Энгельс, Официозный вой о войне. К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 18, стр. 565.

შიშროების შექმნა შეეძლო ინგლისისათვის, ინდოეთისაკენ მიმავალ სახმელეთო გზის გადაკეტვით. აი ილიას აზრით ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული წინააღმდეგობის ნამდვილი არსი. ილია შენიშნავდა: „როგორც მოგეხსენებათ, ბოლოს და ბოლოს აღმოსავლეთის საქმე გადაიქცა თითქოს საკუთრივ ინგლისისა და რუსეთის შორის ბრძოლად, ჯერ ევროპაში და მერე აზიაში. ინგლისის მთავრობამ ჯერ წაჰკიდა ხელი სტამბოლს — არ დავანებებო, მერე ეცგერა აზიაში — ინდოეთის მფლობელობას შიში მოელისო და რუსეთის წინააღმდეგობისათვის და შეფერხებისათვის ომი გამოუცხადა ავგანისტანის ემირს. საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ინგლისმა ბალკანის ნახევარკუნძულზედ მტკიცე ადგილი და გავლენა დაიპყრა აღმოსავლეთის საქმის წინაშე, მაგრად წაჰკიდა ხელი ოსმალეთის მფლობელობასაც მცირე აზიაში, თუმცა ერთი ცვარი სისხლი არ დაუღვრია ამ გამარჯვებისათვის“[49]. რა თქმა უნდა ილიას კარგად ესმოდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის შემდგომ, რუსეთს, რომელიც, როგორც ეკონომიკურად, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული, არ შეეძლო ინგლისს დაჯახებოდა, ამიტომაც ინგლისისათვის რუსეთის მხრიდან საფრთხე ილიას ამ ეტაპზე ყოველშემთხვევაში გაუმართლებლად მიაჩნდა. „რუსეთს დიდი ხანია სახელი აქვს დავარდნილი — წერს ილია, — აზიაში მიიზიდებაო, თანდათან აზიის შიგ შუა-გულში ფესვებს ჰსდგავსო. მართალია თუ არა ამგვარი მიდრეკილება და მსვლელობა რუსეთისა, ღმერთმა უწყის... რუსეთიო, — თითქო ფიქრობდა ევროპა, — უმთავრესად სამხედრო სახელმწიფო არისო, ესე იგი, მისი ძალა დამყარებულიაო მხედრობაზედ და იმ გვარად არისო მიმართული, რომ თვისის დღეგრძელობისათვის სახსარი გარეთ უნდა მოძებნოსო, რადგანაც თვის შინაობაში ვერაფერ ფართო მსვლელობას აძლევსო შინაგან ძალასაო და ყოველ-გვარ წარმატებასაო“[50].

ასევე ღრმად და საფუძვლიანად აშუქებს ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის 70—80-იან წლებში კოლონიურ ნიადაგზე თვით ინგლისსაფრანგეთის ურთიერთობის გამწვავებასაც. ილიას მიაჩნდა, რომ

---

[49] ე. „ივერია“, პოლიტიკა, № 1, თბ., 1879, გვ. 168.
[50] ე. „ივერია“, პოლიტიკა, № 1, თბ., 1881, გვ. 169.

თუ ინგლისის გაბატონებულ მდგომარეობას ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში (გიბრალტარი) და მის მისწრაფებებს სხვა სტრატეგიული რაიონების (იგულისხმება ხმელთაშუა ზღვის კუნძულები და ეგვიპტე პ. ფ.) ხელში ჩასაგდებად, საფრანგეთი პრუსიასთან დამარცხებამდე ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა და ინგლისიც მისი თქმით: „უსაფრანგეთოდ ბევრს ვერაფერს ჰსაქმობდა ეგვიპტეში“[51], უკვე XIX საუკუნის 70—80-იან წლებში კი, საფრანგეთს გერმანიასთან ანტაგონიზმი ამის საშუალებას აღარ აძლევდა. ამავე მიზეზით ხსნიდა ილია 1882—1883 წლებში ინგლისის მიერ ეგვიპტის ოკუპაციას და იქ საფრანგეთის მიერ დროებით ინგლისის უფლებების ცნობას[52]. თქმა არ უნდა, ილიას ეს დასკვნა ისტორიული სინამდვილის ზუსტი ანარეკლი იყო.

შავი ზღვის სრუტეებისა და ხმელთაშუა ზღვის აუზისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების ინტერესების გაზრდას, ილია ჭავჭავაძე სამართლიანად უკავშირებდა 1869 წელს სუეცის არხის მწყობრში ჩადგომას. „მეტისმეტი არ მოგვივა ეთქვათ — წერდა ის, რომ იქნება ხმელთაშუა ზღვა ისე სახარბიელო არ ყოფილა ევროპის დიდ სახელმწიფოებისათვის, როგორც მას აქეთ, რაც სუეცის არხი გაიჭრა ეგვიპტის აღმოსავლეთით“[53]. სუეცის არხმა ბოლო მოუღო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთის კარჩაკეტილობას და ევროპა უმოკლესი საზღვაო გზით რამდენადმე დააახლოვა აზიასთან. ევროპელებს აღარ სჭირდებოდათ აფრიკისათვის გარს შემოვლა, არხის საშუალებით შეეძლოთ გასულიყვნენ მეწამულ ზღვაში და

---

[51] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 160.

[52] მართალია, ილია არაფერს წერს ინგლის-საფრანგეთის აფრიკულ წინააღმდეგობებზე. მაგრამ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ სუდანში მათი ინტერესების შეჯახებას, რადგანაც ეს ქვეყანა წარმოადგენდა სტრატეგიული თვალსაზრისით ეგვიპტის გასაღებს. ეხება რა ამ საკითხს საბჭოთა მკვლევარი ვ. ს უ ბ ო ტ ი ნ ი წერს: „მესამე რესპუბლიკის მთავრობა გზავნიდა რა ჯარს სუდანში, ამით ფიქრობდა აეძულებინა ინგლისი აენაზღაურებინა ფრანგი კაპიტალისტებისათვის 1882 წლის შემდეგ ეგვიპტეში განცდილი ზარალი“ იხ. Субботин В. А. Французская колониальная экспансия в конце XIX в., изд-во «Восточн. Лит.», 1962, стр. 34—35.

[53] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9. თბილისი, 1957, გვ. 159.

ოქიდან ინდოეთის ოკეანეში. ეს უკანასკნელი კი ილიას თქმით: „იმისთანა სახომალდო დიდი შარაგზა არის აზიის სამხრეთით, რომელიც სწვდება ინდოეთს და ბევრს იმისთანა ადგილებს, საცა ევროპის ღიდ სახელმწიფოებს. სახელდობრ ინგლისსა და საფრანგეთს. უშველებელი ახალშენები აქვთ უკვე დაჩემებული"[54].

კაპიტალიზმის მზარდი აღმავლობის პერიოდში ხმელთაშუა ზღვა და მისი კომუნიკაციები გადაიქცა ინგლის-საფრანგეთისათვის ჭარბი სამრეწველო პროდუქციის კოლონიებში გატანის და კოლონიებიდან უკან სხვადასხვა ნედლეულის და ფასეულობის შემოტანის ძირითად გზად. ილია ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „ინგლის-საფრანგეთი აღმოსავლეთისაკენ აწვდენს ხელს. იქ ეგულება აუარებელი განძი, რომელიც მისცემს მას სიმდიდრეს, გაუსებს ჯიბეს; იქ და მარტო იქით გაწევით ჰფიქრობს იგი შესძღვნას თავის თავს ახალი და ბუნებით მდიდარი ადგილმამული და სავაჭრო ადგილები, სადაც გაასაღებს თავის ნაწარმოებს და ამით გააძლიერებს აღებ-მიცემობასაც და თავის ხაზინის სიმდიდრესაც"[55]. ამდენად ცხადი იყო მათი ერთობლივი მცდელობა, არ დაეშვათ კონკურენტები ამ რაიონში მეფის რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის და განსაკუთრებით გაერთიანებული გერმანიის სახით, რაც მათ კოლონიურ უპირატესობას აზიასა და აფრიკაში საფრთხეს შეუქმნიდა. „არც ერთი სახელმწიფოსათვის ეს გზა ისე სანატრელი არ არის, როგორც საფრანგეთისა და ინგლისისათვის—წერდა ილია, ერთსაც და მეორესაც ევროპის გარეთ ისეთი დიდი ადგილები აქვს დაპყრობილი, რომ ჯერ მათი ევროპიდამ პატრონობა, მოვლა, მტერთაგან უშიშარ-ყოფნა, მეტისმეტად დიდ საქმეთა ჰქმნის ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფლად და დაუბრკოლებლად სვლას"[56]. სწორედ საკუთარი კოლონიების უსაფრთხოება, განსაკუთრებით კი მაცოცხლებელი ინდოეთის ხელშეუხებლად ყოფნა ამოძრავებდა ინგლისს, როდესაც თვით საფრანგეთ-თურქეთის (ყოფილი პარტნიორების) საწინააღმდეგოდაც კი მოქმედებდა ეგვიპტეში, „არ ერი-

---

[54] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბილისი, 1957.

[55] ქ. „ივერია", საპოლიტიკო მიმოხილვა, № 7, თბ., 1882, გვ. 218.

[56] ი. ჭავჭავაძე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა-ზღვის გზების საკითხი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 160.

დებოდა გუშინდელი მტრის მოყვარედ გახდას და დღეგანდელი მოყვარისას კი — მტრად"[57]. სამაგიეროდ იგი თავის გავლენას უქვემდებარებდა სუეცის არხს და ფაქტიურად მთელ ხმელთაშუა ზღვის აუზს. „ინგლისმა იმდენად იოსტატა, რომ ხმელთაშუა ზღვიდან გასავალიც ხელთ იგდო, რაკი ეგვიპტეში ფეხი ჩადგა და ამ სახით თავი და ბოლო ხმელთაშუა ზღვისა თვით დაიჭირა, აღმოსავლეთის საქმის სიმძიმის ცენტრმა ამიტომ გადაინაცვლა დღეს ეგვიპტეში მდ. ნილოსის ნაპირებზე და იქ იზომება ეხლა მისი სიღრმე და სიგანეო"[58]. ილია ჭავჭავაძე ასევე ნათელ წარმოდგენას იძლევა თურქეთის მიმართ, ინგლისის ორაზროვანი პოლიტიკის შესახებაც, რომელიც მდგომარეობდა: ერთი მხრივ, — ინგლისის მიერ ეგვიპტის მიტაცებით ოსმალეთის იმპერიის მთლიანობის ხელყოფაში და მეორე მხრივ კი, შავი ზღვის სრუტეებში და ბალკანეთში თურქეთის უფლებების მხარდაჭერით მისი მთლიანობის დემაგოგიურად დაცვაში. მოტანილი აზრის საარგუმენტაციოდ ილია პარალელს ავლებს ეგვიპტესა და ბალკანეთის ნახევარკუნძულს შორის, რადგანაც სწორედ ევროპული თურქეთი მიაჩნდა მას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლურ გასაღებად და რომლის ავკარგიანობაზედაც „ბევრად იყო დამოკიდებული თურქეთის ბედი"[59], იმპერიისა, რომელზედაც გერმანია-რუსეთთან კოლონიურ მეტოქეობაში ასე დიდ იმედებს ამყარებდა ინგლისი, და რისთვისაც ეს უკანასკნელი აღნიშნულ რაიონშიც ასე საგულდაგულოდ იცავდა თურქეთის მთლიანობას, როგორც გარეგანი (ევროპის ქვეყნები), ასევე შინაგანი (ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა განმათავისუფლებელი მოძრაობა) ძალების შემოტევისაგან. აქედან ცხადია „თუ რას იტკივებს ხოლმე ინგლისი, — როგორც ის მიუთითებს, როცა ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის საქმე გასტყვრება ევროპაში"[60].

---

[57] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9. თბ., 1957, გვ. 160.

[58] ე. „ივერია", საპოლიტიკო მიმოხილვა, № 7, თბ., 1882, გვ. 222.

[59] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ევროპა 1886 წელს. თხზ. სრული კრებული ტ. 9, თბ., 1957, გვ. 80.

[60] ი ქ ვ ე.

§ 1. ბულგარეთის კრიზისი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერლინის კონგრესმა ბალკანეთის ხალხებს ნავარაუდევი მშვიდობისა და თავისუფლების ნაცვლად, ტერიტორიულ ნიადაგზე ურთიერთმტრობა მოუტანა. მიუხედავად ინგლისის და ზოგიერთი სხვა თურქეთის „მთლიანობით“ დაინტერესებული სახელმწიფოს „მოღვაწეობისა“ ბალკანეთში და სრუტეების ზონაში, იძულებითი მშვიდობიანობის შენარჩუნება თანდათანობით შეუძლებელი ხდებოდა.

ილიას გაზეთი „ივერია“ შექმნილ მდგომარეობას ასე აფასებდა: „ბერლინის ტრაქტატმა გაანაწილა ბულგარეთი, წაართვა ბუნებრივი ნავსადგური დედეგაჩი, სერბიას მისცა თემი ვრანიისა, ლესკოვაცისა, პიროტისა და ნიმისა, სადაც წმინდა ბულგარელები ცხოვრობენ და ამავე დროს ძველი სერბია კი ისევ ოსმალეთის ხელში დატოვა. სერბიის პროვინციები ბოსნია და ჰერცეგოვინა კი ავსტრიას მისცა. ასეთი ყოფა დიდხანს ვერ გასტანს, რადგან ბერლინის კონგრესმა უფრო დახლართა და აწეწ-დაწეწა ბალკანეთის სახელმწიფოთა ურთიერთობა. ამ კონგრესმა არავინ არ დააკმაყოფილა და ყველას მიზეზი მისცა ან მხარი აუქციოს, ან სრულიად არ შეასრულოს მისგან შედგენილი ხელშეკრულება“[1].

ბერლინის ტრაქტატი მართლაცდა გაოცებას იწვევდა იმით, რომ თითქოსდა შეიქმნა არა საყოველთაო მშვიდობის შესანარჩუნებლად, არამედ ევროპის ყველა დიდი და პატარა მბრძანებლების წასაკიდებლად[2]. ილია ჭავჭავაძე გრძნობდა ახალი პოლიტიკური გართულებების მოახლოვებას და მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა 1885 წლის ბალკანეთის კრიზისი, რომლის საბაბადაც მან სამართლიანად მიიჩნია 17 სექტემბერს, ბულგარეთის მიერ აღმოსავლეთ რუმელიის შეერთება. „ხელახლა აირია, როგორცა ჩანს, ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმე და მაშასადამე იმ ვეშაპმა, რომელსაც აღმოსავლეთის საქმე ჰქვიან, ხელახლად დააღო პირი და თავისი საშინელი ეშვები ლამის გამოაჩინოს დიპლომატების

---

[1] გაზ. „ივერია“, № 93, თბ., 1886.

[2] Дебидур А. Дипломатическая история Европы, М., 1947, стр. 497.

საფრთხალად და დიდთა სახელმწიფოთა დასაფიქრებლად"[3], სხვაგან ილია შენიშნავდა: „ალექსანდრე მთავარს აბრალებენ, ევროპის განაჩენს გადაუდგაო, ორგანებური წესდება ბოლგარ-რუმელიისა დაარღვიაო და ოსმალეთის უფლებასაც ეწინააღმდეგაო".

როგორც ეტყობა ბულგარ-რუმელიის საქმე და მის გამო მთელის ბალკანეთის ნახევარკუნძულის საქმეც დღეს ისევ ამოიტივტივა პოლიტიკის მდინარეობამა და თუ ხელ-მეორედ გადასაწყვეტად არა, მოსავლელად მაინც გაუხადა"[4].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებდა რა ბალკანეთში „Status Quo"-ს და ბერლინის კონგრესის უსამართლო გადაწყვეტილებების რღვევის დასაწყისზე, იგი ქართველ მკითხველს განუმარტავდა, თუ რა რეზონანსი იქონია ბულგარეთის ამბებმა ევროპაში. მისი თქმით დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები „რომელთაც ამ საქმისათვის მადა გაღვიძებული აქვთ, მაგრამ ჯერ მზად არ არიან"[5], ამ შემთხვევაში მოუმზადებელნი შეხვდნენ ბალკანეთში პოლიტიკური მდგომარეობის გართულებას... „ყოველივე ცალ-ცალკე კაცის ჯიუტობად და ახირებად მიიჩნიეს". ამ სახელმწიფოთა მთავრობები თავიანთ ხალხს არწმუნებდნენ, რომ ბულგარეთის ამბებს მიზეზად უდევს არა ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მოტივები, რომელნიც თითქოს ბერლინის კონგრესმა უკვე მოაგვარა, არამედ სერბიის მთავრის მილან ობრიანოვიჩის, ბულგარეთის მთავრის ალექსანდრე ბატენბერგელის და საბერძნეთის პრემიერ დელიანისს შორის არსებული პირადი მტრობა და თითოეული მათგანის კონკრეტული მისწრაფება მეზობლის მიმართ. ილია ისტორიული სინამდვილის შესატყვისად განმარტავს ბულგარეთის კრიზისის არსს და ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური მოღვაწეების შესახებ წერს შემდეგს: „ისინი ჭადრაკის კაცებსა ჰგვანან, რომელთაც საკუთარი ყინი კი არ ამოქმედებს, არამედ ძლიერი ხელი ცხოვრებისა, ანუ უკეთ ვთქვათ, ბუნებითი ძალი ცხოვრების თვითმცველობისა"[6]. რაც შეეხე-

---

[3] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ბალკანეთის საქმეები, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 29.

[4] „ივერია", № 165, თბ., 1886.

[5] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ბალკანეთის საქმეები, თხზ. სრული კრებ., ტ. 9, თბ., 1957, გვ. 130.

[6] ი ქ ვ ე.

ბა დასავლეთის დიპლომატთა მტკიცებას ბულგარეთის კრიზისის „შემთხვევითობის“ შესახებ, ილია ამის საპასუხოდ იშველიებს ცნობილი ფრანგი საზოგადო მოღვაწის, პროფესორ ლუი ლეჟეს სტატიას გაზეთ „College de Franse“-დან, სადაც ავტორი წერს: „ის საყვედური ბულგარეთის მიმართ, რომ ევროპისაგან ხელმოწერილი ხელშეკრულება იმათ დაარღვიეს და დახიესო, ჩემის აზრით ტყუილი და უსაფუძვლოა, იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება ყველამ დაარღვია და დახია, ბრალიანმაც და უბრალომაც“. მაგალითისათვის მოჰყავს ავსტრია-უნგრეთი, რომელმაც კონგრესზე ხელში ჩაიგდო ბოსნიის და ჰერცეგოვინის დროებით მფლობელობის საპატიო როლი, ვითომდა ოსმალეთის ამ პროვინციებში წესრიგის დასამყარებლად. სინამდვილეში კი, „ეხლა არა თუ სამუდამო ბატონობად გადაიქცა ეს დროებითი მფლობელობა, არამედ ბერლინის ხელშეკრულების წინააღმდეგ სამხედრო ბეგარაც კი შეაქვს ჯარის გასაძლიერებლად. მაშინ, როდესაც რუსებმა დიდი ხანია შესაძლებლად მიიჩნიეს გამოსულიყვნენ ბულგარეთიდან და გამოეყვანათ თავიანთი ჯარი. ლეჟეს აზრით ავსტრიას მიბაძა ოსმალეთმაც, რომელსაც „ხელშეკრულების საფუძველზე მაკედონიასა და სომხეთში მდგომარეობა უნდა გამოესწორებინა, მან კი პირიქით, იმავე დონეზე დატოვა, რაც ომამდე იყო. ამასთან ოსმალეთი იმ კონტრიბუციასაც არ იხდის, რაც რუსეთს ერგება მისგან“. „... ბალკანეთში რომ სიმშვიდე იყოს, — დასძენს ბოლოს სტატიის ავტორი, მას უნდა მიენიჭოს პოლიტიკური თვითმყოფელობა და ეკონომიკური დამოუკიდებლობა“[7].

ბულგარეთის მიერ გადადგმულმა გაბედულმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა აღმოსავლეთ რუმელიის შეერთებით, არა მარტო დასავლეთში ჰპოვა უარყოფითი რეზონანსი, ასევე მეფის რუსეთშიც, რომელიც, თუ სან-სტეფანოსა და ბერლინში მხარს უჭერდა ბულგარეთთან აღმოსავლეთ რუმელიის შეერთებას, „ახლა კი უკვე აშკარად გამოვიდა ბულგარეთის წინააღმდეგ, რადგანაც ალექსანდრე II-ის მიერ ბულგარეთის სამთავროს ტახტზე აყვანილი გერმანელი პრინცი, ალექსანდრე ბატენბერგელი გამოვიდა რუსეთის გავლენიდან

[7] გაზ. „ივერია“, № 94, თბ., 1886.

და პროგერმანული ორიენტაცია აიღო"[8]. ბულგარეთის ტერიტორიულად გაფართოებას. განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ მისი მეზობელი ბალკანური სახელმწიფოები. კერძოდ კი საბერძნეთი და სერბია. ამ უკანასკნელმა ავსტრია-უნგრეთის წაქეზებით 1885 წლის 2 ნოემბერს, ომიც კი გამოუცხადა ბულგარეთს, „რომლის საბაბადაც თვით სერბიის მთავარი მილანი პირდაპირ აცხადებდა იმას, რომ ბულგარეთის გაერთიანებით, ბალკანეთზე დაირღვა ძალთა წონასწორობა ბულგარეთის სასარგებლოდ. რის დაშვებაც სერბიას არ შეეძლო"[9]. თვით ილია ჭავჭავაძე, ეხებოდა რა სერბია-ბულგარეთის ომს. განსაკუთრებული მსჯელობის საგნად ხდიდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულებას ამ ომისადმი და ომის შემდეგ მათ მცდელობას, კვლავ ჩარეულიყვნენ ბულგარეთის საშინაო საქმეებში. ილია წერდა: „... კვლავ მოიგრაგნა პოლიტიკური ცა ღრუბლებითა და ლამის კვლავ ატყდეს ამ ცაზედ ქუხილი და ჭექა-გრგვინვა... დღევანდელი ნიშნები ღრუბლების არევ-დარევისა იმავე ჩამომავლობისაა, რომელმაც სერბიისა და ბულგარიის ომი გამოიწვია და იმავე სათავიდამ მომდინარეობენ. საქმე ის არის, რომ ზოგიერთს დიდს სახელმწიფოს მეტად და მეტად არ მოსწონს, რომ ბულგარია და რუმელია გაერთიანდა, თუ სამართლის მხრით, თუ ეკონომიურად და თუ ჯარებისა და ლაშქრის გაერთებითა. მართალია პორტა წინადვე ელოდა მართლაც მოსალოდნელს და ემზადებოდა, იარაღს ისხავდა და თავით ფეხამდე იჭურვებოდა, მაგრამ მაინც აქ სხვის ხელიც ურევიაო და ეგ სხვა ინგლისიაო. ...ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არა მარტო რუსეთმა იწყინა რუმელიის ორგანებურის წესდების დარღვევა ალექსანდრე მთავრის მიერ, არამედ სხვა დიდმა სახელმწიფოებმაც და ამის შესაბამი ნოტები გაუგზავნეს სტამბოლსა და სოფიაში და ურჩევენ ხონთქარსაც და მთავარსაც, წმინდად შეასრულეთ სტამბოლის კონფერენციის დადგენილებანიო"[10]. ბულგარეთის საზღვრების სამხრეთისაკენ გა-

---

[8] Ерусалимский А. С. Бисмарк — Дипломатия и милитаризм, М., 1968, стр. 244.

[9] კ. მეშველიანი, „სამხრეთ და დასავლეთ სლავების ისტორია" (ბულგარეთი XIX ს. — 1917 წ. ოქტომბერი), თბილისი. 1977, გვ. 61.

[10] ი. ჭავჭავაძე, ბალკანეთის საქმეები, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 130.

დაწევა. მისი გაძლიერება და სტამბოლთან ტერიტორიული დაახლოება — ეს ყველაფერი უქმნიდა ევროპის სახელმწიფოებს საფიქრალს. რომელნიც ილიას თქმით: „სტამბოლს არავის დაანებებენ, რადგანაც ვინც სტამბოლს დაიჭერს. ბატონიც ის იქნება ბალკანეთის ნახევარკუნძულზეო"[11]. ევროპის სახელმწიფოთა ტრადიციულმა დავამ ბალკანეთის საკითხში და სერბიასთან ომში გამარჯვებამ, ბულგარეთს საშუალება მისცა აღმოსავლეთი რუმელია საბოლოოდ შემოემტკიცებინა, რომელიც ოფიციალურად იქნა ცნობილი 1886 წლის მარტში, კონსტანტინოპოლში გამართულ დიდ სახელმწიფოთა (გარდა რუსეთისა) ელჩთა თათბირზე. მათ მიერ ხელმოწერილი ოქმით, ბულგარეთის მთავარი ცხადდებოდა აღმოსავლეთ რუმელიის მთავრადაც. ამრიგად, „ისტორიისაგან დავიწყებული ბულგარეთი, რომელიც ასპარეზზე 1877 წელს რუსებმა გამოიყვანეს"[12], საბოლოოდ რუსეთს განუდგა და მისი ინტერესების მოწინააღმდეგედ გადაიქცა. აღნიშნულ ფაქტს. მეტად საინტერესოდ და ისტორიული სინამდვილის შესაბამისად აღწერს ილია ჭავჭავაძე. მისი თქმით: „შესანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთისაგან ახლად განთავისუფლებული ბოლგარია ოთხის საუკუნის ოსმალოს მონობისაგან, აქამომდე რუსეთის გამგონი, დღეს რუსეთს გადაუდგა. ბოლგარიის მთავარმა ავსტრიის მორჩილებით, ისეთი ცვლილებანი მოახდინა, რომელზედაც არც რუსეთის მმართებლობასთან რჩევა ჰქონია. როგორც წინათ და არც რუსეთისაგან მიჩენილ მინისტრებთან. ისტორიაში სახელმწიფო საქმეების მართვა და მსვლელობა ძალიან ხშირად წარმოგვიდგენს იმგვარ ამბავს, რომ გუშინდელს მეგობარს და მომხრეს, დღეს ხალხი, ანუ სახელმწიფო მტრად ექცევა; მართალია ეს ამბავი. მაგრამ ბოლგარიის მთავარი და ბოლგარიის ხალხი, თუ ასე მალე ამისთანა ვითომ უმადურობას გამოიჩენდა, ეს არავისგან მოსალოდნელი არ იყო"[13]. ილია ჭავჭავაძე ბულგარეთის ასეთ მოქმედებას ხსნიდა იმ გარემოებით, რომ მას აღარ უნდოდა სხვაზე დამოკიდებული ყოფილიყო საგარეო საქმეებში, რუსეთი კი ამ შემთხვევაში მას ნებას არ მისცემდა, მეზობელ სა-

---

[11] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ბალკანეთის საქმეები, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 130.

[12] გაზ. „იბერია", № 27, თბ., 1877.

[13] ქ. „იბერია", პოლიტიკის მიმოხილვა, № 9, თბ., 1883, გვ. 90.

ხელმწიფოებთან კვლავ ახალი კონფლიქტები წარმოექმნა და ამ რაიონში საერთაშორისო ურთიერთობანი ისევ გამწვავებულიყო. ეს აიხსნება იმით, რომ რუსეთი ჯერ კიდევ მზად არ იყო მონაწილეობა მიეღო საერთო ევროპული მასშტაბის დავაში. ილია წერდა: „ბოლგარია, გაღონიერდა, გეოგრაფიული მდებარეობა შესწევს სერბიისაკენ გაიწიოს, ოსმალეთისაკენ ქვევით ჩაიწიოს და საბერძნეთს მიადგეს"[14], რაც თავისთავად მეზობელ სახელმწიფოებში იწვევდა ბულგარეთის მხრიდან შიშს და მოძმე ერებს უბიძგებდა ურთიერთმტრობისაკენ. აღნიშნული კონფლიქტის სხვა მიზეზებიდან ილია განსაკუთრებით ხაზს უსვამს ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ ბალკანეთის ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევას და მათ მიერ მოძმე ხალხებს შორის — ხელოვნურად, ტერიტორიულ ნიადაგზე უნდობლობის გაღვივებას. ასეთი ვერაგული პოლიტიკა მათი ექსპანსიონისტური ინტერესებიდან გამომდინარეობდა და საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა ახლად გათავისუფლებული ბალკანური სახელმწიფოების დასუსტებას, დასნეულებული თურქეთის იმპერიის გადარჩენას და ამ იმპერიაში მცხოვრები სხვა ეროვნული უმცირესობების განწირვას.

სომხეთის საკითხი

XIX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში თურქეთის იმპერიაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებიდან ერთ-ერთ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა აღმოსავლეთ ვილაეთებში მცხოვრები ქრისტიანი სომეხი მოსახლეობა, რომლის საკითხიც ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე იქნა საგანგებოდ განხილული. კონგრესის გადაწყვეტილებებით: „პორტას დაუყოვნებლივ უნდა გაეტარებინა რეფორმები და გაეუმჯობესებინა სომეხთა მდგომარეობა, ამასთან უნდა დაეცვა ისინი ქურთი და ჩერქეზი ტომებისაგან"[1], მაგრამ ამ გადაწყვეტილებებს სინამდვილეში გატარება არ ეწერა, იგი ფარატინა ქაღალდად რჩებოდა. თურქეთის ხელისუფალნი

---

[14] ი. ჭავჭავაძე, ბალკანეთის საქმეები, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 131.

[1] Арцуни Г. Экономическое положение армян в Турции, М., 1956, стр. 40.

აბდულ ჰამიდ II-ის მეთაურობით, რომელთაც აშინებდა იმპერიაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობის, კერძოდ სომხების განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება, არათუ არ ჩქარობდნენ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას, არამედ ნიადაგს ამზადებდნენ თავიანთი იმ ვერაგული გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც ითვალისწინებდა სომეხი-ქრისტიანების იმ ნაწილის განადგურებას, რომლის ასიმილაცია, ძალით გათურქება მათ ვერ მოახერხეს. აღნიშნული გეგმის განხორციელება მათ სომეხთა წინააღმდეგ რეპრესიებით დაიწყეს, რისი საბაბიც მიეცათ 1893 წელს ვანის, არზრუმისა და სივას ოლქებში უკმაყოფილო სომეხთა მღელვარების დროს[2].

რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში ა. ი. ნელიდოვი პეტერბურგს აცნობებდა რა თურქეთის ხელისუფალთა ამ ვერაგულ მოქმედების შესახებ, შენიშნავდა: „დაამშვიდებენ კი ეს უკიდურესი ზომები სომხებს, როდესაც ხელისუფალნი სისასტიკის გარდა არაფერს აკეთებენ მათი საკუთრების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მაშინ, როდესაც ისინი სულ ახალ და ახალ საბაბს აძლევენ მათ მღელვარებისათვის. ამიტომაც სომეხთა შორის სულ უფრო და უფრო ვრცელდება აზრი სახალხო დამოუკიდებლობისათვის“[3]. მართლაც, 1894 წლის აგვისტოში ბითლისსა და სამსუნში ახალი ძალით იფეთქა სომეხთა მღელვარებამ. რის საპასუხოდაც „ჰამიდიებმა“[4] რეგულარული არმიის ნაწილებთან ერთად, რომელთაც მარშალი ზეკი-ფაშა მეთაურობდა მარტო ზაფხულში 10000-მდე სომეხი მოკლეს და მათი სოფლები გადაწვეს.

სომეხი მოსახლეობისათვის არა ნაკლებ სისხლიანი იყო 1895 წელიც, განსაკუთრებით სექტემბრის თვე, როდესაც თურქებმა მათი ჟლეტვა დაიწყეს სტამბოლშიც. ილიას გაზეთ „ივერიის“ ცნობით 19 სექტემბერს სომხებმა არზა მიიტანეს პოლიციის მინისტრ ნაზიმ ფაშას რეზიდენციაში, რომლის ადგილზე არყოფნის შემდეგ

---

[2] გაზ. „ივერია“, № 175, 12. VIII. თბ., 1893.

[3] АВПР, ф. Канцелярия, Константинополь. 1893, дело 981, лист. 54.

[4] „ჰამიდიე“, ეწოდებოდათ თურქეთის სულთანის აბდულჰამიდ II-ის პატივსაცემად — ქურთი და არაბი ტომების ახალგაზრდებიდან ორგანიზებულ, პრივილეგირებულ ცხენოსან პოლკებს, რომელნიც სულთანის სისხლიან ბრძანებებს ასრულებდნენ (ის იყო ე. წ. პრეტორიანული გვარდია).

ისინი მივიდნენ დიდ ვეზირთან. თურქმა მცველებმა დეპუტაცია არათუ გაატარეს მასთან, ერთი წევრი ხმლითაც კი დაჭრეს. ამან გამოიწვია სომეხთა მხრიდანაც საპასუხო რეაგირება, რაც იმავე დღეს შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა. შემდეგ გაზეთი დასძენს: „... სომხებმა შუა ქალაქში დაჭრეს ნაზიმ ფაშა. სტამბოლში აირია ხალხი ისე, როგორც მიწის ძვრის დროს, ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. გამოიყვანეს დიდი ძალა ჯარი და სამის საათის განმავლობაში ხელჩართული ბრძოლა ასტყდა რამდენიმე ადგილას. საშინელი ბრძოლა შესძლებია თავზედ ხელ-აღებულ კაცს, სომხები ისე ძლიერად იბრძოდნენ, რომ ხალხი განცვიფრებულია „ეს მშვიდი და ვაჭარი ხალხი რას სჩადისო იძახიან"[5]. მოგვიანებით იგივე გაზეთი შენიშნავდა: „ყოველ უბანში, საცა სომხები სცხოვრობენ, ტირილი და კივილი ისმის, ზოგისა შვილი, ზოგის ქმარი, ზოგის მამა და ზოგის ნათესავი ან მოკლულია ან დაჭრილი"[6]. სტამბოლის გარდა სომეხთა ჟლეტვამ მასიური ხასიათი მიიღო იმპერიის მთელ-რიგ ოლქებშიც. „ჰამიდიებმა" განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ურფაში, სადაც სამი ათასამდე სომეხი მამაკაცები, ქალები და ბავშვები შერეკეს ადგილობრივ ეკლესიაში და ცოცხლად დაწვეს"[7].

1893—1895 წლების განმავლობაში, ტრაპეზუნდის, სამსუნის, ერზერუმის, ბითლისისა და დიარბექირის ვილაეთებში განადგურებულ იქნა 300 000-მდე სომეხი[8], ხოლო გადარჩენილთა დიდი რაოდენობა ძალით გაასახლეს შორეულ ანატოლიაში. მათი ბედის შესახებ ინგლისელი მკვლევარი მალკოლმ მაკ კოლი თავის დროზე წერდა „ევროპის თვალსაგან, შორს მიყრუებულ ანატოლიაში გადასახლებული სომხები იხოცებიან, როგორც ბუზები... ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარი ევროპა კი ამ უმსგავსოებას, შეჰყურებს ნაკლები განცდით, ვინემ სენის გაჩენას თავის საქონელში"[9].

თურქეთის ხელისუფალთა უკიდურესმა სისასტიკემ ქრისტიან

---

[5] გაზ. „ივერია", № 209, 30. IX. თბილისი, 1895.

[6] გაზ „ივერია", № 211, 3. X. თბილისი, 1895.

[7] Ерусалимский Л. С. Борьба держав за Балканы и проливы в конце XIX века, ж. «Вопросы истории», № 9, М., 1947, стр. 88.

[8] გაზ. „ივერია", № 15, თბ., 1897.

[9] Мак-колль М. Султан и державы, СПб., 1897, стр. 3.

სომეხთა მიმართ, უდიდესი საერთაშორისო გამოხმაურება ჰპოვა. მსოფლიოს პროგრესული წრეები აქტიურად გამოექომაგნენ ჩაგრულ ხალხს და გადაჭრით მოითხოვეს აღნიშნული ბარბაროსული აქტის დაუყოვნებლივი შეწყვეტა. სულ სხვა პოზიციებიდან უყურებდნენ „სომეხთა ჟლეტას". ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მმართველი-მილიტარისტული წრეები, რომელთაც „ქრისტიანთა" დაცვის ლოზუნგი გამოიყენეს არა სომეხთა დასაცავად, არამედ თავიანთი კოლონიური აგრესიულ-ეგოისტური გეგმების განსახორციელებლად. ამას კარგად ხედავდა სომეხი ხალხის დიდი მეგობარი ილია ჭავჭავაძე და ენერგიულად ექომაგებოდა მათ სამართლიან საქმეს. იგი ფართოდ აშუქებდა თურქეთის იმპერიაში მიმდინარე ღრმა პოლიტიკურ კრიზისს და ევროპულ მტაცებელთა პოლიტიკას თურქეთში ფარდას ხსნიდა. აღნიშნულ ამბებს მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ 1895 წლის 19 დეკემბრის გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებული მეტად საინტერესო წერილი „ოსმალეთის სომეხთა განწირვა"[10], რომელიც ფაქტების განზოგადებისა და საკითხის ღრმა კეთილსინდისიერი შესწავლით დღესაც მეცნიერთათვის მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სომხეთის საკითხს ილია მიმოიხილავს სხვა, ზოგადი ხასიათის წერილებშიც. — რომელთაგან აღსანიშნავია: „ოსმალეთის არეულობა და ევროპა"[11]. „ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი"[12] და სხვა.

გასული საუკუნის 80—90-იან წლებში თურქეთის გამო, დასავლეთის სახელმწიფოთა ინტერესების დაპირისპირებამ აშკარად მწვავე სახე მიიღო. გერმანიის თანდათანობითმა გაძლიერებამ აღნიშნულ რაიონში, თურქეთის საკითხიც კიდევ უფრო თავსატეხი გახადა. დაწყებული 1882 წლიდან, როდესაც სტამბოლს ესტუმრა გერმანიის სამხედრო მისია ფონ დერ ჰოლცის მეთაურობით, გერმანიამ სულ უფრო და უფრო გაბატონებული პოზიციები დაიკავა ოტომანთა იმპერიაში, როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურადაც. გარდამტეხი მომენტი გერმანიის ექსპანსიის განვითარებისა თურქეთში უთუოდ იყო „Deutsche Bank"-ის მიერ დაარსებული

---

[10] გაზ. „ივერია", № 274, თბ., 1895.

[11] იქვე.

[12] გაზ „ივერია" № 236, თბ., 1897.

„ანატოლიის რკინიგზის გერმანული საზოგადოება“ (მახლობელ აზიაში რკინიგზის ასაშენებლად), ხოლო მის კულმინაციას წარმოადგენდა 1898 წელს ვილჰემ II-ის მოგზაურობა სტამბოლში, პალესტინასა და სირიაში, რომლის დროსაც „კაიზერმა დამასკოში სალადინ ეუბის საფლავთან წარმოთქვა სიტყვა და თავისი თავი „ყველა მუსულმანის მეგობრად“[13] გამოაცხადა.

გერმანიის იმპერატორის თურქეთში მოგზაურობის არსს ილია ასე გადმოგვცემს: „ბევრმა დაუწუნა მაშინ იმპერატორს ეს მოგზაურობა, ბევრიც იცინოდა — ეს რა ყმაწვილობა მოსდისო, მაგრამ ბოლოს გამოჩნდა. რომ იმპერატორმა თავისი განზრახული ლარი და ხაზი გაიტანა. რაკი საქმეს თავისის თვალით შიგ ჩახედა და იცნა, რა ბოღაზია გერმანიისათვის სამერმისოდ და საბოლოოდ მცირე აზია.

იმპერატორმა ბევრ გვარად მოუქონა თავი არამც თუ ფადიშაჰს, არამედ მთელს მუსულმანობას, მოინადირა სულთანი და მისნი ქვეშევრდომნი და ბოლოს ხომ საბერძნეთთან ომის დროს დიდი მომხრეობა გაუწია და მთელი ქრისტიანობა ააყაყანა. გარნა იგი არავის შეუშინდა, მან ყური არავის ათხოვა და დღეს ხელთ იგდო ბრძანება სულთანისა, რომლის ძალითაც გერმანელთ მიეცათ ნება კონი-ბაღდადის რკინის გზა გაიყვანონ და მერე განაგრძონ თვით სპარსეთის ზღვის უბემდე, საცა ბასრა არის. ამ სახით გერმანია არამც თუ ხელთ ჩაიგდებს მცირე აზიას საახალშენოდ, არამედ ყველაზე მოკლე გზასაც, ინდოეთის ზღვაში გასასვლელს ხმელთა-შუა ზღვიდამ, ესე იგი ევროპიდამ“[14]. რა თქმა უნდა, თურქეთში გერმანიის ექსპანსიის განვითარებამ გარკვეული როლი შეასრულა ინგლის-თურქეთის ურთიერთობის გაუარესებაში. ამასთან დაკავშირებით გულისხმობდა რა ინგლისის მიერ პოლიტიკის შეცვლას თურქეთის მიმართ, ილია წერდა: „ვინც გუშინ ესარჩლებოდა ოსმალოს და თავგამოდებული იბრძოდა და სისხლსა ჰღვრიდა, იგი დღეს სულ სხვა საგალობელსა ჰგალობსო“[15]. გერმანიის მხრიდან

---

[13] Оружлев М. Г Проникновения Германского империализма в Турцию, (с конца XIX века — 1914 год), Баку, 1950, стр. 7.

[14] გაზ. „ივერია“, № 266, თბ., 1899.

[15] ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის არეულობა და ევროპა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 154.

საფრთხე აიძულებდა ინგლისს კარდინალურად შეეცვალა თავისი აღმოსავლური პოლიტიკა და ყველა საშუალება გამოეყენებინა ინდოეთისა და ჩინეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზის ხელში ჩასაგდებად. ეს გზა კი სწორედ იმ ოლქებზე გადიოდა, სადაც ცხოვრობდნენ იმპერიის ეროვნული უმცირესობანი, კერძოდ კი სომხები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ინდოეთისაკენ მიმავალ საზღვაო გზებზე გასაბატონებლად და სუეცზე სამუდამოდ გასამაგრებლად ინგლისმა ჯერ კიდევ 70-80-იან წლებში დაიკავა კ. კვიპროსი და მოახდინა „ეგვიპტის დროებითი ოკუპაცია", ახლა მისთვის საჭირო შეიქნა სახმელეთო გზის ხელში ჩაგდებაც, რამაც საბოლოოდ განაპირობა სოლსბერიის პოლიტიკური პროგრამა. „თუ ინგლისის კაბინეტი ადრე აყენებდა თურქეთის მთლიანობის დაცვის საკითხს, როგორც ინგლისის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს, ახლა კი მან პირველმა დაიწყო ზრუნვა ოტომანთა იმპერიის დასანაწილებლად"[16].

თავდაპირველად დასახული მიზნის მიღწევას ინგლისელები ცდილობდნენ თურქეთთან მოლაპარაკების გზით, მაგრამ როდესაც თურქეთმა კატეგორიულად მოთხოვა ინგლისს ხელი აეღო ეგვიპტეზე და გამოეყვანა იქიდან თავისი ჯარი, ინგლისის მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა, ხოლო პრემიერმა ლორდმა როზბერიმ საჭიროდაც კი არ ჩათვალა ეს მოთხოვნა შეეტანა პარლამენტში განსახილველად[17].

ამის შემდეგ ინგლისელებმა განიზრახეს მოლაპარაკებოდნენ გერმანიას და მასთან ერთად გაენაწილებინა თურქეთი. ამას მოწმობს ლონდონში გერმანიის ელჩის — ჰატცფელდისადმი შეთავაზებული პროექტი, რომლის თანახმადაც ინგლისს უნდა მიეღო სამუდამოდ ეგვიპტე და მესოპოტამია, მაგრამ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა, სამთა კავშირთან ერთად თურქეთის განაწილების ცდამ ინგლისს არ გაუმართლა. ამდენად ინგლისს რჩებოდა ერთად-ერთი გზა—მიეღწია თავისი საწადელისათვის, მას მხარი უნდა

---

[16] იხ. გრაფ ჰატცფელდის 1895 წლის 3 აგვისტოს მოხსენება, № 2375, Die grosse Politik der europäischen Kabinette 1871—1914. Berlin 1924. Bd. 10, p. 16—17.

[17] АВПР, ф. Канцелярия, Константинополь, 1893, дело 981, лист 211. (საიდუმლო მრჩეველის ნელიდოვის 1893 წლის 8 ივლისის № 83 დეპეშა).

დაეჭირა თურქეთის იმპერიაში ყოველგვარი ნაციონალური მოძრაობისათვის, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა იმპერიის ღაშლა[18]. ყოველივე ეს კარგად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს და აკი კიდევაც წერდა ინგლისის მისამართით შემდეგს: „მას სომეხთა საქმე ისე არ ამძიმებს, როგორც სხვა რაღაც გულში დამალულიო“[19]. ეს სხვა რაღაც, სწორედ საკუთარი კოლონიური ინტერესები იყო და არა მისი კეთილშობილება ჩაგრული ერებისადმი, კერძოდ კი სომხებისადმი. თუკი ინგლისის მეშვეობით სომხები მიიღებდნენ ავტონომიას, რა თქმა უნდა იქ ინგლისის პოზიციაც უფრო განმტკიცდებოდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ მესოპოტამიაში და სტრატეგიული მნიშვნელობის სომხეთის მთიან ადგილებში, რომელთაც გაბატონებული პოზიცია ეკავა ტიგროსისა და ევფრატის დაბლობებზე. ინგლისელები გაძლიერდებოდნენ. ინგლისის პოლიტიკის სრული არსი სომხეთის საკითხში შესანიშნავად აქვს ილიას გადმოცემული 1897 წელს ივერიის პირველი ნომრის სარედაქციო სტატიაში: „ჩვენ არ გვგონია, რომ აქ ინგლისმა მართლა თავი აიტკივოს საწყალ სომეხთათვის, რომელთაც სული ეხუთებათ ოსმალთა ხელში. ეგ საქმე მარტო მიზეზია, რომ აღმოსავლეთის საქმემ იფეთქოს მთელის თავისის შიშითა და ზარითა. ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ აღმოსავლეთის საქმე ერთი ის დიდი კერაა, საცა საკმაოა ერთი ღერი დაიძრას, რომ ღველფში დამალულმა ცეცხლმა იფეთქოს თოფის წამალსავით და მთელი ევროპა ფეხზე დააყენოს ხმალამოწვდილი ერთმანეთის საჟლეტად. ინგლისმა კარგად იცის, რომ თუ ეს საქმე აიშალა და აიწეწა, დღევანდელი მეგობრები მტრებად გადაიქცევიან და ისე აირევიან ერთმანეთში, რომ არ ეცოდინებათ ვინ ვისზე იშიშვლოს ხმალი. მოსალოდნელია, რომ ეს ასე მოხდეს იმ აზრით, რომ იქნება ამ ერთმანეთში არევდარევამ ზოგიერთი სახელმწიფო გამოანაპიროს და ინგლისის თაოსნობით სხვა ახალი კავშირი შესდგეს ევროპის საქმეთა წინ გასამძღოლად. სხვით რით უნდა აიხსნას ის თავგამოდება ინგლისისა, რათა დარღვეული იქნეს და განაწილებული ოსმალეთი, როცა თითქმის ორმოცი წელიწა-

---

[18] АВПР. ф. Канцелярия, Константинополь, 1893 дело 981, лист. 211.

[19] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ოსმალეთის სომეხთა განწირვა. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 145.

დია. რაც ინგლისი თავს სდებდა ოსმალეთის ხელ-შეუხებლობისათვის და არაფერს არ ზოგავდა ამისათვის"[20]. ინგლისის აღმოსავლური პოლიტიკისაგან ამ ეტაპზე რამდენადმე განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა თურქული პოლიტიკაც. გერმანელები ამჯობინებდნენ სულთანთან „ნორმალურ" ურთიერთობას, რაც მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას თურქეთის იმპერიაში კიდევ უფრო გააძლიერებდა[21]. ამდენად ინგლის-გერმანიის ინტერესებიც სომხეთის საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდა. რუსეთის პოლიტიკაც წინა პერიოდთან შედარებით შეიცვალა თურქეთთან დროებითი თანამშრომლობით, რაც რა თქმა უნდა ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას; პირველი, რომ რუსეთს არ აწყობდა სომხეთისათვის ავტონომიის მიცემა, რასაც შეიძლება გარკვეული გავლენა მოეხდინა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ სომხებზე და მეორე, რუსეთში ელოდნენ აღმოსავლეთის კრიზისის კიდევ უფრო გამწვავებას, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა სან-სტეფანოს მონაპოვრის და ბერლინის კონგრესით დაკარგულის უკან დაბრუნება და უფრო მეტიც, სრუტეებში რუსეთის გავლენის გაძლიერება. ამრიგად, თუ რუსეთი ორი საუკუნის განმავლობაში გამოდიოდა თურქეთის ძალით შეკოწიწებული იმპერიის დანაწილების მომხრედ, და ინგლისი პირიქით, ყოველთვის იცავდა მას, ილიას თქმით: „ეხლა კი რას ვხედავთ? ინგლისმა თავი გამოიდო ოსმალეთის ევროპიდამ განდევნისათვის, რუსეთი სარჩელს უწევს ოსმალეთსა, ერთისა და მეორის პოლიტიკამ პირი უკულმა იბრუნა და ამდენის ხნის თავისს საკუთარ მეცადინეობას ზურგი შეაქცია ერთმაცა და მეორემაც"[22].

---

[20] გაზ. „ივერია", № 1, თბ., 1897.

[21] ილიას გაზეთი „ივერია" იძლევა ცნობას, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ინგლისის პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, გერმანელები არა მარტო დიპლომატიურად უჭერდნენ მხარს ოსმალეთს, ამავე დროს თურქეთის არმიასაც პრუსიულ ყაიდაზე წვრთნიდნენ და აიარაღებდნენ. იხ. გაზ. „ივერია", № 181. თბილისი, 24. VIII. 1893. რაც შეეხება გერმანიისადმი სულთანის კეთილგანწყობას, ამას მოწმობს ვილპელმ II-სათვის თურქეთის უმაღლესი ორდენის მინიჭების ფაქტი. იხ. АВПР, Ф. Канцелярия, Константинополь, 1894, дело 983, л. 33.

[22] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი, თხზ., სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 154;

ილიას კარგად ესმოდა, რომ XIX საუკუნის 90-ნი წლებისთვის ამ რაიონში პოლიტიკური მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა, ასევე შეიცვალა ევროპის სახელმწიფოთა ძალთა თანაფარდობაც, თუ ორი ათეული წლის წინათ ინგლისის პოზიციების სიმტკიცე ეჭვს გარეშე იდგა, ხოლო რუსეთი თითქმის იზოლირებულ მდგომარეობაში იყო, სომეხთა მღელვარების დროს უკვე ინგლისი აღმოჩნდა რუსეთის მდგომარეობაში, რისთვისაც ეს უკანასკნელი ერთად-ერთ გამოსავალს სწორედ თურქეთის განაწილებაში ხედავდა და ამით ცდილობდა აღმოსავლეთის საკითხის კვლავ გამწვავებას. ილია შენიშნავდა, რომ: „მაშინ სულ სხვა ამბავი იყო და გარემოება. მაშინ რუსეთი განცალკევებული იყო და ევროპაში თითქმის მომხრე არა ჰყავდა და რაში ეპირველებოდა ინგლისს ეს რთული საქმე ოსმალეთის განაწილებისა ფეხზე წამოეყენებინა. დღეს სულ სხვა ამბავია და სხვა გარემოება. ამ სხვა ამბავმა და გარემოებამ ისე შეცვალა ყველაფერი, რომ დღეს რუსეთი ესარჩლება ოსმალეთის ხელ-შეუხებლობას და ინგლისი კი ეტანება მის განაწილებას და დარღვევას. თუმცა როგორღაც ვერ უხერხდება, რადგანაც რუსეთი უარზეა“[23]. ჯერ კიდევ 1890 წელს გერმანიის ელჩი პეტერბურგში გრაფი ფონ პურტალესი, წერდა ფონ კაპრივს, რომ: „ინგლისს სურდა ენახა რუსეთის საზღვართან ავტონომიური სომხეთი, ისევე, როგორც ბულგარეთი, მაგრამ რუსეთს არავითარი სურვილი აღარ აქვს სომხეთიც ბულგარეთის მსგავსად გაანთავისუფლოს, რომელიც რუსეთისათვის შეიძლება კიდევ უფრო საშიში გახდესო“[24].

ინგლისის პოლიტიკისაგან განსხვავებით, სომხეთის საკითხში თურქეთთან თანამშრომლობის გზას დაადგა საფრანგეთიც, რომელიც მიზნად ისახავდა გადაერჩინა თურქეთში დაბანდებული კაპიტალი და აღედგინა თავისი დაკარგული უფლებები ეგვიპტესა და ხმელთაშუა ზღვის აუზში. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საფრანგეთთან „თანამშრომლობას“ დადებითად შეხვდნენ კონსტანტინოპოლშიც და ფრანგულ კაპიტალს კიდევ უფრო ფართოდ გაუღეს იმპერიის კარები, რასაც მოწმობს 1893 წელს სულ-

---

[23] გაზ. „ივერია“ № 1, თბ., 1897.

[24] G.P.B.d., 9, № 2177, ტ. 193.

თანის მიერ ბეირუთ-დამასკოს რკინიგზის ფრანგული საზოგადოებისათვის, დამასკოდან, ხამის და ალეპოს გავლით, ევფრატამდე ახალი სარკინიგზო ხაზის გაყვანის ნებართვის მიცემა[25]. სომხეთის საკითხში, გერმანიის გავლენით, „Status quo" დაცვის ტაქტიკის გზას დაადგა ავსტრია-უნგრეთიც, რომელიც ისედაც ერიდებოდა კვლავ არ გაემწვავებინა ურთიერთობა თურქეთთან და ამით ზიანი არ მიეყენებინა თავისი გაბატონებული მდგომარეობისათვის ბალკანეთში.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თურქეთის სამფლობელოებისათვის დავაში ევროპის სახელმწიფოებს შეუერთდა ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომლის სწრაფი ტემპით აღმავალ ეკონომიკასაც ესაჭიროებოდა არა მარტო თურქეთის ბაზარი, არამედ მისი სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობაც[26]. ამიტომაც ამერიკის მთავრობამ მოიმარჯვა რა „ამერიკის მისიონერთა დაცვის დროშა, სომხეთისათვის ავტონომიის დაუყოვნებლივ მიცემა მოითხოვა[27].

1894 წლის მოვლენებმა თურქეთის სომხურ პროვინციებში, როდესაც „აქ შექმნილი მდგომარეობა აშკარად დაემსგავსა 1876 წლის ბულგარეთის ამბებს"[28], ოსმალეთის იმპერია კვლავ მოაქცია ევროპის სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ინგლისმა და თავისი მუხანათური დიპლომატიის წყალობით კიდევ ერთხელ სცადა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთ დაპირისპირება სომხეთის თაობაზე.

აღნიშნულის გამო, 1894 წლის დეკემბერში ინგლისის მთავრობა თურქეთის და ბერლინის კონგრესის მონაწილე სახელმწიფო — გარანტების წინაშე გამოვიდა სომხეთის საკითხის მოგვარების პროგრამით, „რითაც ფორინ ოფის უთუოდ სურდა შეექმნა ისეთი

---

[25] АВПР, ф. Канцелярия, Константинополь 1893, дело 981, л. 180.

[26] 1890 წელს თურქეთში ინგლის-ამერიკის მიერ პროვოცირებულ იქნა ამერიკელ მისიონერთა დევნა და ზოგიერთ ვილაეთში კი მათი ხოცვა-ჟლეტაც კი, რაც შემდეგ აშშ-მ თავისი კოლონიური ზრახვების სასარგებლოდ გამოიყენა.

[27] American relations with Turkeu 1830—1930. Philadelphia 1932, p., 40.

[28] АВПР, ф. Канцелярия Константинополь, 1894 дело 983, л. 43.

შთაბეჭდილება, ვითომდა მართლაც დიდად ყოფილიყო დაინტერესებული ჩაგრული ერების ბედით და მოქმედებდეს ჰუმანიზმისა და სამართლიანობის ინტერესებით"[29]. ინგლისის კონსერვატიული მთავრობის წინადადებით სომხეთის საკითხი უნდა გადაეწყვიტა კონსტანტინოპოლში აკრედიტებული 6 მოწინავე სახელმწიფოს ელჩთა თათბირს. პროგრამა, რომელიც აღნიშნულ თათბირზე ინგლისელებმა წამოაყენეს, რუსეთისათვის მიუღებელი იყო, იგი ითვალისწინებდა შემდეგს: „უნდა გადაეყენებინათ აბდულჰამიდ II და მის მაგიერად სულთანი უნდა გამხდარიყო დიდი ვეზირი, რომელიც ინგლისის ელჩის—სერ ფ. კერრის გავლენის ქვეშ უნდა მოქცეულიყო; ქ. კონსტანტინოპოლი ხდებოდა ინტერნაციონალურ ქალაქად: თურქეთის ფინანსები ექვემდებარებოდა საერთაშორისო კონტროლს, ყოველივე ზემოთ ნათქვამი კი ინგლისს საშუალებას მისცემდა კვლავ აღედგინა ამ რაიონში თავისი ძველი დაკარგული გავლენა. რა თქმა უნდა, ინგლისის პროექტს სულ სხვა თვალით უყურებდნენ დანარჩენი სახელმწიფოები. უპირველეს ყოვლისა კი რუსეთი და გერმანია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — ლობანოვის განცხადებით იგი ხელფეხს შეუკრავდა რუსეთის დამოუკიდებელ მოქმედებას[30]. მსგავს პოზიციაზე იდგნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი.

შექმნილი მდგომარეობის შესახებ ილია მოხდენილად შენიშნავდა: „ვერ ითქმის, რომ ევროპის სახელმწიფოებს სომეხთა საქმეში ალჩუ უჯდებოდეთო", მათი ურთიერთ გარიგებანი „ყინულზე დაწერილ თამასუქს" ჰგვანანო, რადგანაც ვისაც სურს შეიტყოს საქმის დაყოვნების მიზეზი, იგი მათ შორის ურთიერთ ჯიბრსა და მეტოქეობაში უნდა ეძიოსო"[31].

სწორედ ამ პერიოდში მოვლენათა განვითარებამ ინგლის-გერმანიას შორის ურთიერთობის გამწვავების გამო, რამდენადმე წინ წამოსწია რუსეთის როლი თურქეთის საკითხში.

---

[29] Арутюнян Г. М. Реакционная политика английской буржуазии в армянском вопросе в середине 90-х годов XIX века. (Автореферат канд. ист. наук), М., 1954, стр. 7.

[30] Ламздорф В. Н. Дневник, СПб., т. I, стр. 12.

[31] გაზ. „ივერია", № 262, თბ., 1895.

თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთის ბალკანური სამფლობელოების გამო ავსტრია-უნგრეთთან დაპირისპირებულ რუსეთს ესაჭიროებოდა როგორც ინგლისის, ასევე გერმანიის მხარდაჭერა, ახლა უკვე საფრთხე, რომელსაც ინგლისი უქმნიდა გერმანიის გაბატონებულ მდგომარეობას თურქეთში, ამ უკანასკნელს აიძულებდა რუსეთთან ეძებნა თანამშრომლობა აღნიშნულ რაიონში და ხშირად რიგ დემაგოგიურ დათმობებზეც კი წასულიყო მის წინაშე. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1895 წლის ნოემბერში ვილჰელმ II-ის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ბ. ლობანოვ-როსტოვსკისადმი შეთავაზებული წინადადება. „რატომ არ დაიკავებთ კონსტანტინოპოლს. მე ჩემი მხრიდან ამაზე არ გამოვთქვამ არავითარ უკმაყოფილებასო"[32].

აღნიშნული დემაგოგიური წინადადება გაკეთებულ იქნა მას შემდეგ, რაც როზბერიმ აგრძნობინა გერმანიის ელჩს პატეფელდს, რომ: „თუ კი სომხეთის ავტონომიის თაობაზე, კერძოდ სომხეთში ინგლისისათვის სასურველი გუბერნატორის დანიშვნაზე სულთანი უარს იტყოდა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა რუსეთ-ინგლისის მორიგება ამ რაიონში, რითაც თურქეთის სომხეთშიც რუსული ორიენტაცია გავრცელდებოდა"[33]. ფაქტიურად გერმანიას აგრძნობინეს, რომ ინგლისი მხარს დაუჭერდა ა. ი. ნელიდოვის წინადადებას სრუტეებში ხომალდების შეყვანის თაობაზედ"[34]. ილიას თქმით, აღნიშნული წინადადება ითვალისწინებდა ინგლისის მიერ რუსეთისათვის გალილოპოლის (დარდანელის) სრუტის და მცირე აზიაში კიდევ რამდენიმე კუნძულის დათმობას, სადაც რუსეთს შეეძლო სამხედრო ფლოტის ყოლა, ხოლო რუსეთი კი თავის მხრივ ინგლისს პირდებოდა ინდოეთისკენ სახმელეთო გზების ხელშეუხებლობას[35]. რა თქმა უნდა, ინგლისი ამით მიზნად ისახავდა არა მარტო გერმანიის მეშვეობით სულთანზე ზეგავლენის მოხდენას და კონსტანტინოპოლსა და სრუტეებში გავლენის აღდგენას, არამედ ამავე

---

[32] Хвостов В. М., Ближневосточный кризис 1895—1897 гг., ж. «Историк-марксист», № 13, М., 1929, стр. 28.

[33] G. P., Bd., 10, p. 40.

[34] Blue Book. Turkeu N 2 (1896), L., 1896, p., 132—133.

[35] გაზ. „ივერია", № 264, თბ., 1894.

დროს რუსეთის ყურადღების გადატანას თურქეთის აზიური ნაწილიდან. მაგრამ რუსეთს 1895—1896 წლებში აღარ ესაჭიროებოდა აღარც ინგლისთან და აღარც გერმანიასთან თანამშრომლობა. პეტერბურგში კარგად ესმოდათ წინა წლებში მიღებული გაკვეთილების გამოცდილებანი და მეფის მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა ინგლის-გერმანიას შორის წინააღმდეგობის გაღრმავებით, თვითონ გაბატონებულიყო ბოსფორზე და თავისი სამხრეთული საზღვრების უსაფრთხოების მიზნით, საბოლოოდ დაეკეტა შავი ზღვა ინგლისისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის.

აღმოსავლეთის კრიზისის ახალ ფაზაში შესვლის შესახებ, ილიამ თავის დროზე სწორი მოსაზრებები გამოთქვა. მან ფართოდ გააშუქა ევროპაში ორი მტრული სამხედრო კავშირის ჩამოყალიბების ისტორიული წანამძღვრები და ამით ხაზი გაუსვა აღმოსავლეთის საკითხის კიდევ უფრო გამწვავების ფაქტს. „პასუხი ამ კრიზისისა სწორედ იმ ორ ბანაკს შუა იმალავს თავს, რომელიც დღეს მთელ ევროპას ორად ჰყოფსო“[36]. — შენიშნავდა ის და აქედან გამომდინარე, სომხეთის ამბებსაც სამართლიანად მიიჩნევდა ევროპის მოქიშპე სამხედრო კავშირებს შორის ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობისათვის დავის მნიშვნელოვან მომენტად. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ილია არა მარტო ევროპის ორ მტრულ ბანაკს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე ამახვილებდა ყურადღებას, ამავე დროს მიუთითებდა თვით ამ ცალკეულ ბანაკის შიგნით სახელმწიფოთა შორის არსებულ წინააღმდეგობებზედაც. უპირველეს ყოვლისა კი, მისი ძირითადი ამოცანა იყო, დეტალურად გაეშუქებინა თურქეთის ნიადაგზე რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული უთანხმოების მთელი კომპლექსი და ქართველი მკითხველი შეეყვანა მის არსში.

ცნობილია, რომ „რუსეთს, როგორც არ უნდა გაეყინა აღმოსავლეთის საკითხი, საბოლოო ჯამში, მაინც სრუტეებზე ფიქრობდა, ფრანგი იმპერიალისტების ინტერესები კი პირიქით, საწინააღმდეგოს მოითხოვდა, მათთვის თურქეთის დანაწილება ამ პე-

---

[36] ი. ჭავჭავაძე, ახლო აღმოსავლეთი და ხმელთაშუა ზღვის გზების საკითხი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 155.

რიოდში უკვე აღარ წარმოადგენდა სასურველ მიზანს. III რეს-პუბლიკის მთავრობა, რომელსაც აღარ შეეძლო ეფიქრა თურქეთის მთლიანად დაპყრობაზე, უკვე ოცნებობდა თურქეთში ხანგრძლივი სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე და სულთანის იმპერიის ყოველნაირად ინტერნაციონალიზებაზე, ამიტომ იყო, რომ პარიზში ნელდოვის პროექტს მტრულად შეხვდნენ"[37].

რა თქმა უნდა, ევროპის სახელმწიფოთა შორის კოლონიური მეტოქეობა თურქეთის მემკვიდრეობისათვის თავისთავად უარყოფით როლს ასრულებდა სომხეთისათვის ავტონომიის მიცემის საქმეშიც. ამიტომაც ილია ამხელდა რა ევროპის დიდ სახელმწიფოთა მოჩვენებით „ზრუნვას" სომეხი მოსახლეობის მღელვარებასთან დაკავშირებით, სამართლიანად განუმარტავდა მკითხველს მათი პოლიტიკის არსს და ამასთან დაკავშირებით წერდა: „ოსმალეთის საქმე რთული ინტერესების ამბავია, ზოგს დიდს სახელმწიფოს იმისთანა საკუთარი ინტერესები აქვს აქა, რომ არასგზით სხვა სახელმწიფონი ამას არ დაჰყვებიან და სხვა სახელმწიფოებს იგი არ დაეთანხმება, თუმცა ევროპა გვეფიცება, მაგრამ უეჭველია ჯერ იგი ერთ აზრზე არ დამდგარა. უეჭველია გარეთ ერთს ჰლაპარაკობს და შიგნით კი, ფარდებს უკან, სულ სხვას ჰფიქრობს და სხვა-რიგად არის საქმე"[38]. სხვაგან ილია შენიშნავს: „სად არის ეგ თანხმობა ევროპისა? სად არის ის კაცთმოყვარეობა, რომელზედ-აც ასე უყვართ ხოლმე დაბჯინება პოლიტიკოსებს, ნუთუ ერთი ერი—სომხები—მეორეს—ოსმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, აქაოდა თქვენ ცოტა ხართ და ჩვენ ბევრნიო"[39].

მიუხედავად ევროპის სახელმწიფოთა მუხანათური პოლიტიკისა ჩაგრული ქრისტიანი სომხების მიმართ, ილიას სჯეროდა, რომ სა-

---

[37] Хвостов В. Проблемы захвата Босфора в 90-х годах XIX века, ж. «Историк-марксист», т. 20, М., 1930, стр. 119.

[38] ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის არეულობა და ევროპა. თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 142.

[39] ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის არეულობა და ევროპა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 141.

მართლიანი საქმე მომავალში გაიმარჯვებდა. მათი თავგანწირული ბრძოლა ნაყოფს მოიტანდა, რომ სომხებს „ოსმალეთში რაიმე სიკეთე მაინც ერგებოდა"[40]. ილიას ეს ვარაუდი შემდგომში ნაწილობრივ კიდევაც გამართლდა, 1897 წლის 2 თებერვალს, კონსტანტინოპოლის საერთო ევროპულმა კონფერენციამ შექმნა თურქეთის ადმინისტრაციაზე ზედამხედველობის გასაწევად უმაღლესი საბჭო, რომლის განკარგულებითაც სულთანი იძულებული შეიქნა გაეტარებინა მთელი რიგი რეფორმები და ამით სომეხთა მღელვარებაც (რაც იარაღით და სისხლის ღვრით ვერ მოახერხა) დროებით გაენელებინა. მართალია 1897 წლისათვის სომეხთა მოძრაობა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის რამდენადმე მიწყნარდა, მაგრამ აღმოსავლეთის საკითხი ამით ევროპის დიპლომატიური ურთიერთობის დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ილიას თქმით „იგი იარა, რომელიც ევროპის ტანს დაჩნეული აქვს. აღმოსავლეთის საქმის სახით მაინც არ გამრთელდება... მოსურნე აღმოსავლეთის საქმის აწეწვისა არ მოისვენებს. არ არის შორს ის დრო-ჟამი, როცა ერთგან დაძინებული საქმე სხვაგან გაიღვიძებს, უფრო საშინელი სახით"[41].

ასევე გამართლდა ილიას მეორე ვარაუდიც, როგორც საბჭოთა მკვლევარი ა. სილნი შენიშნავს: „ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი სომეხი ხალხის ტრაგიკული ბედით გამოწვეული ქარიშხალი, რომ უკვე დაიწყო აღმოსავლეთის კრიზისის მეორე ფაზა, რომელმაც დასაბამი მისცა ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ჩაგრული ერების ახალი ტალღის აზვირთებას[42]. ამჯერად უკვე ოტომანთა იმპერია საფუძვლიანად შეარყია და ევროპის დიპლომატთა ყურადღება მიიქცია კ. კრეტაზე დაწყებულმა ბერძენი მოსახლეობის სახალხო განმათავისუფლებელმა აჯანყებამ.

---

[40] ი. ჭავჭავაძე, ოსმალეთის სომეხთა ვანწირვა, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 144.

[41] ილია ჭავჭავაძე, კრეტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 150.

[42] Силин А. С. Экспансия Германии на Ближнем Востоке в конце XIX века, М., 1971, стр. 228.

§ 8. კრეტის აჯანყება

მას შემდეგ, რაც 1881 წელს საბერძნეთმა ყოველგვარი საერთაშორისო გართულებებისა და შეიარაღებული შეტაკებების გარეშე მოახერხა თავისი ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების: თესალიის, არტას და ეპირის ოლქების დაბრუნება (ისინი თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ), არც თუ დიდი ხანი იყო გასული, როდესაც ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი უდიდესი და სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულის — კრეტის ელინურმა მოსახლეობამ განიზრახა თურქეთის უღლის გადაგდება და დედა-სამშობლოსთან — საბერძნეთთან შეერთება, მაგრამ 1889 წელს დაწყებული შეიარაღებული აჯანყება მალე იქნა თურქეთის ჯარის მიერ ჩახშობილი და კუნძულზე დროებითმა „მშვიდობიანობამ დაისადგურა". რადგანაც კუნძულის მოსახლეობის სანუკვარი სურვილი არ განხორციელდა (დამოუკიდებლობის მოპოვება) და სულთანის მიერ 1879 წლის 30 სექტემბრის ალეპოს შეთანხმების პირობები არ იქნა დაცული, კუნძულზე თანდათანობით მწიფდებოდა ახალი მღელვარება, რომელიც 1896 წელს შეიარაღებულ აჯანყებად გადაიზარდა.

კუნძულის გამოღვიძებამ, თავის დროზე უდიდესი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ბერძენი მოსახლეობის სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მსოფლიო მოწინავე-პროგრესულ ადამიანებთან ერთად გამოეხმაურა დიდი ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც აღნიშნული ამბები სათანადოდ ასახა გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე.

„კრეტამ ხელახლად აალაპარაკა და დიდს ფიქრში ჩააგდო ევროპა, მომეტებულად ოსმალეთი, — იქნება ამ პატარა კუნძულზედ მომხდარმა არეულობამ საერთაშორისო ომიც გამოიწვიოს, რაც ყველასათვის სასურველი არ არის, რადგანაც არავინ იცის გამარჯვება ვის დარჩება და მხოლოდ ზოგიერთისათვის არის ხელსაყრელი. შესაძლოა ომს ის შედეგი მოჰყვეს, ეხლანდელნი წინანი უკან ჩამოდგნენ და უკანანი მეთაურად გახდნენ. ევროპის ომს, რა თქმა უნდა, მთელს დედამიწის ზურგზედ ექნება თავისი გავლენა და, მაშასადამე, ყველგან აიწეწ-დაიწეწება საქმე. ოსმალეთი ხომ, როგორც სახელმწიფო, აღიგვება ძირიან-ფესვიანად! და აი სწო-

რედ ამას უფრთხის ყველა და ვისაც გული საგულეს არ აქვს, ყველანი იმის მეცადინეობაში არიან საწყალ კრიტელებს და საბერძნეთს წინ გადაეღობონ და მათი არსებითი საგანი, ამით კეთილშობილური მისწრაფებანი არ განახორციელონ"[1].

ილია თავის წერილებში კრეტელთა აჯანყების მთავარ და ძირითად მიზეზად ასახელებს თურქეთის მხრიდან სასტიკ ეკონომიკურ და რელიგიურ ჩაგვრას, ბერძნული მოსახლეობის უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნას და მათი დიდი ხნის სურვილს მოეპოვებიათ თავისუფლება და შეერთებოდნენ საბერძნეთს. „დიდი ხანია კრიტი ჰდუღს და ჰტოკავს, — წერს ილია, ...ოსმალეთი, რომელიც რაკი ესეა ყურსაც არ იბერტყავს რომ კარგის გამგეობით და პატრონობით კრიტელებსაც შეღავათი მისცეს ადამიანურად სულის მობრუნებისა, ადამიანურად ცხოვრებისა, მათის ეროვნულ ღირსების დაუჩაგვრელად და შეუხუთველად.... ოსმალეთი ავად ეპყრობა და ვერ უვლის იქაურ მკვიდრთა ქრისტიანთა ისე, როგორც ამას ითხოვს ამ მკვიდრთა კაცობრიული საჭიროება"[2].

ილია ჭავჭავაძე საჯაროდ ექომაგებოდა და მხარს უჭერდა კრეტის აჯანყებას, მისი ქრისტიანული მოსახლეობის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის და მას აშუქებდა ჭეშმარიტი მეგობრისა და თანაგრძნობის პოზიციებიდან. იგი თანმიმდევრულად მოუთხრობდა ქართველ მკითხველს აჯანყების მსვლელობისა და განვითარების შესახებ და, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ევროპის დიდ მტაცებელ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ-ურთიერთობაში, რადგანაც კრეტის აჯანყებას ილიას თქმით, შეუძლია „ერთი ანთებული მუგუზალი კიდევ წაუმატოს უიმისოდაც ცეცხლისაგან შიშში მყოფ ევროპას"[3]. ამიტომ იყო, რომ კუნძული აჯანყების დაწყების დღიდანვე, დაუყოვნებლივ მოექცა ევროპის ყურადღების ცენტრში და ნათლად გამოჩნდა ყველა მბრძანებლის ცალკეული, ხარბი მისწრაფება მის მიმართ.

ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებით ვრცლად გააშუქა ინგლისის პოლიტიკა და ეგოისტური მისწრაფებები კუნძულის მიმართ, რად-

---

[1] გაზ. „ივერია", № 18, თბ., 1897.

[2] „ივერია", № 207, თბ., 1889.

[3] „ივერია", № 29, თბ., 1897.

განაც მას კარგად ესმოდა, რომ ეს მეტად ხელსაყრელი ადგილი სუეცის არხის გასამაგრებლად და ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობისათვის, ყველაზე ძალიან მაინც, ინგლისს აინტერესებდა. ილიას თქმით, ინგლისი ყოველნაირად ცდილობდა კუნძული თურქეთზე ძლიერ სახელმწიფოს ხელში არ ჩაეგდო.

„ინგლისმა კარგად იცის, რას მოქმედობს და რას ეტანება. იგი ისე არ წაადგება სახტომს, რომ ჯერ ათასჯერ არ გაზომოს და სახტომი თავის ღონეს არ შეუწონოს. ინგლისმა კარგად იცის, რა ლუკმაა კრეტი და რა ხარბი და მსუნაგია ყოველი სახელმწიფო, როცა ამისთანა ლუკმაზე მივარდება ხოლმე საქმე"[4].

ინგლისის ინტერესები კრეტის საკითხში, მეტად საინტერესოდ აქვს გადმოცემული ილია ჭავჭავაძეს 1897 წლის 31 იანვრის „ივერიის" პოლიტიკურ მიმოხილვაში, „ბერძნების პოლიტიკურს მოძრაობას ინგლისიც დიდად უწყობდა ხელს. როგორც ვუწყით ეგვიპტის საქმეთა გამო ინგლისსა და საფრანგეთს შორის დიდი განხეთქილებაა. ინგლისი მოწადინებულია, ეგვიპტე სამუდამოდ იგდოს ხელში, მაგრამ რადგან საფრანგეთისა ეშინია, ამიტომ მუდამ იმის ცდაშია, საფრანგეთს სხვაგან გაუჩინოს საქმე, რომ ამით ისარგებლოს და ეგვიპტე სრულიად დაისაკუთროს. ოსმალეთზე ერთნაირად უჭირავს თვალი, როგორც რუსეთს, ისე ავსტრო-ვენგრიასა. ამიტომ თუ ოსმალეთის აწეწილ საქმეებში ერთი რომელიმე იმ სახელმწიფოთაგანი ჩაერია, მაშინ ცხადია, უთუოდ მეორეც ჩაერევა. ხოლო ამგვარი ჩარევა ისე არ მოხდება, თუ ამისათვის რაიმე დიდი მიზეზი არ გაჩნდა. აი, სწორედ ასეთი მიზეზის გამოწვევა ჰსურს ინგლისს ოსმალეთში, რომ ოსმალეთის საქმეებში ავსტრია-უნგრეთი და რუსეთი გაახვიოს და მაშინ ხომ საფრანგეთიც, როგორც რუსეთის მოკავშირე, ხელ-ხელკრული იქმნება. ამით ინგლისი ისარგებლებს, ეგვიპტის შესახებ თავისი სურვილი განახორციელოს და მეორე მხრივ იმის იმედიც აქვს, რომ ოსმალეთის ბედი და იღბალი უომისოდ მაინც არ გადაწყდება"[5]. ამ ვრცელ ამონაწერში ნათლად ჩანს, რომ ილიას შეხედულებით, რაც ისტორიული ჭეშმარიტებაცაა, ინგლისი კრეტის საკითხში იმავე კა-

---

[4] „ივერია", № 245, თბ., 1895.

[5] „ივერია", № 13, თბ., 1897.

ტეგორიებით ხელმძღვანელობდა, რამაც თითქმის არაფერი მოუტანა მას სომხეთის საკითხის გამწვავების დროს. ილია შესანიშნავად ხედავს, რომ კუნძულის ბერძნული მოსახლეობის წაქეზებით, ბრიტანეთი ცდილობდა ევროპის სახელმწიფოების დაპირისპირებას, ორი სამხედრო ბანაკის მოშლას თუ არა, მათ შორის უნდობლობის ჩამოგდებას მაინც. ყოველივეს აკეთებდა არა ჩავრული ბერძნების საკეთილდღეოდ, არამედ ეგვიპტის, ხმელთაშუა ზღვის სტრატეგიული ადგილებისა და ინდოეთის კომუნიკაციების უსაფრთხოების, ე. ი. ამ რაიონში საკუთარი პოზიციების დაცვა-განმტკიცებისათვის.

კუნძულის მოსახლეობის სამართლიანი ბრძოლის დაწყებას განსაკუთრებით მტრულად შეხვდნენ ინგლისის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები, კერძოდ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია და საფრანგეთი. მათ თავიანთი მოქმედებით აშკარად პროთურქული პოზიცია დაიკავეს და ამით აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ თურქეთის მფარველობა იკისრეს. ილია ჭავჭავაძემ, სწორედ თითოეული მათგანის კონკრეტულ დაინტერესებას გაუსვა ხაზი და ამით ქართველი მკითხველი ერთხელ კიდევ ჩაახედა ევროპის პოლიტიკოსთა უსამართლო საქმეებში. საბერძნეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავების დროს, რუსეთისაგან განსხვავებით, საფრანგეთი კვლავ თურქეთის მხარეზე გამოვიდა და ფაქტიურად მისმა მოქმედებამ ისეთი სახე მიიღო, თითქოსდა იგი ყოფილიყოს ევროპაში არა რუსეთის, არამედ თავისი დაუძინებელი მტრის, გერმანიის ჰოკავშირე. ამას ნათლად მოწმობს პრეზიდენტ ფელიქს ფორის მიერ სულთანისადმი მიწერილი წერილი, სადაც პრეზიდენტი ხაზს უსვამს „საფრანგეთ-თურქეთს შორის „ტრადიციულ“ მეგობრობას და საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტის თურქეთის სასარგებლოდ გადაწყვეტას ემხრობა“[6], მაშინ, როდესაც გრაფი მურავიოვი სწერს რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში — ჟადოვსკის, რომ მან სულთანს ურჩიოს შეაჩეროს ახალი ჯარების გადაყვანა კრეტაზე, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სერიოზული საერთაშორისო გართულებანი[7].

---

[6] Documents Diplomatiques, Affaire d'Orients Paris 1897. Imprimerie nationale, NOCC XCV III, N 46, p., 30.

[7] АВПР, ф. Канцелярия. Константинополь, 1897, дело 988, л. 104.

ამავე დროს ბერლინში და ვენაშიც შიშობდნენ, რომ სომეხთა გამოსვლა და კრეტის აჯანყება ბიძგს მისცემდა ბალკანეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ახალ აღმავლობას, კერძოდ კი მაკედონიაში, სადაც ამ პერიოდში უკვე მწიფდებოდა გლეხთა უდიდესი უკმაყოფილება თურქი ფეოდალების წინააღმდეგ.... მაკედონიის მცხოვრებთა გამოსვლას კი, შეიძლება მოჰყოლოდა ბალკანეთის ქვეყნების — სერბია-ბულგარეთის და ჩერნოგორიის ურთიერთობის გამწვაევება თურქეთთან და ავსტრია-უნგრეთთან, რაც თავის მხრივ გააღრმავებდა ამ მრავალეროვან იმპერიის საშინაო კრიზისს[8]. ამიტომაც ისინი ყოველმხრივ მხარს უჭერდნენ და ემხრობოდნენ აბდულჰამიდის რეაქციულ პოლიტიკას[9]. გერმანიის მხრიდან საბერძნეთის საწინააღმდეგო განწყობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ თურქეთში გერმანიის ელჩი ყოველთვის სიტყვიერად თავს ესხმოდა საბერძნეთს, რაც ხშირად უხერ. შეურაცხმყოფელ სახესაც იღებდა. ამით იგი ერთი მხრივ, ბერძენთა განწყრომას, მეორე მხრივ, თურქთა მადლიერებას იმსახურებდა[10]. ინგლისის, საფრანგეთის. გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის მიერ კუნძულის მოსახლეობის მიმართ მტრული პოზიციის დაკავება, ფაქტიურად მოასწავებდა სულთანისათვის ნების დართვას. სასტიკად გასწორებოდა აჯანყებულებს. აღნიშნულმა გარემოებამ, მსოფლიო პროგრესული წრეებისა და მათთან ერთად ილია ჭავჭავაძის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. სულ სხვანაირად შეეგებნენ ისინი საბერძნეთის მიერ 1897 წელს თანამოძმეთა დასახმარებლად იარაღის აღმართვას. ამ აქტმა მათში უდიდესი სიხარული და ღრმა თანაგრძნობა განაპირობა. პატარა საბერძნეთის გამოსვლა ევროპის ნების საწინააღმდეგოდ. ი. ჭავჭავაძემ მიიჩნია დიდ ეროვნულ საქმედ, „კრეტელნი ბერძნების სისხლხორცნი

---

[8] Силин А. Указ. соч., стр. 221.

[9] გერმანია-ავსტრია-უნგრეთის მხრიდან, სულთანი ღებულობდა არა მარტო დიპლომატიურ მხარდაჭერას, ამავე დროს გერმანიიდან იღებდნენ ოსმალეთში თოფებს, ქვემეხებს, უუმბარებს და სხვა სამხედრო იარაღსაც. იხ. АВПР, ф. Канцелярия, Константинополь, 1896, дело 987, л. 51.

[10] რუსეთის ელჩის ნელიდოფის დეპეშა № 79 (24, VI. 1893) გრაფ მურავიოვისადმი. АВПР. ф. Канцелярия, Константинополь 1893, оп. 482, дело 981, л. 92.

არიან — წერდა ის, — მათი ერთმორწმუნენი და ოსმალთაგან მოწყვეტილნი თავისს მომძეთაგან, მისგან დევნილნი და ჩაგრულნი. ბევრს კრეტელს ვაჟკაცს დაუდვია თავი საბერძნეთისათვის, როგორც თავის სამშობლო ქვეყნისათვის, ბევრს დაუღვრია თავისი სისხლი, მტლად დაუდვია თავისი სიცოცხლე საბერძნეთის განთავისუფლებისათვის. ...ნუთუ საბერძნეთს საყვედური უნდა შეეთვალოს ვისგანმე, რომ იგი დღეს თავისთა მომძეთა სიყვარულით აღფრთოვანებულა, გამოუდვია თავი იმათი ხსნისათვის"[11]. ეხებოდა რა ევროპის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას საბერძნეთის გაბედული მოქმედების მიმართ, ილია ჭავჭავაძის ყურადღებას არ გამოპარვია ის გარემოება, რომ საბერძნეთს მარტო ეროვნული მოტივებით ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო, რომ აქ კიდევ სხვა ფაქტორიც თამაშობდა დიდ როლს, რაც თავისთავად მისი შენიშვნით, ევროპის დიპლომატიას საფიქრალს უჩენდა. „დავიჯეროთო, იძახდნენ დიპლომატები, აქ არავინ იყოს იმისთანა, რომ საბერძნეთს ერთს აწვეთებდეს ყურში და პირად — კი სულ სხვას გაიძახდეს? თუ ასეა, აშკარაა ის, ვინც არის, ღონეც უნდა შესწევდეს, ზურგი მეტად მაგარი უნდა ჰქონდეს, თორემ საბერძნეთი არც ისეთი უპატრონოა და წინდაუხედავი, რომ თვით უღონო-უღონოსვე სიტყვას და ქადილს აჰყვეს და თავისი სვებედი დიდ განსაცდელში ჩააგდოსო"[12] — წერდა ილია. მისთვის გასაგები იყო, რომ საბერძნეთს რაღაცის იმედი უთუოდ უნდა ჰქონოდა, რომ აღმოსავლეთის საქმის გამწვავებით, რომელიღაც დიდი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო დაინტერესებული, მართალია, ამასცხადად არავინ იმჩნევდა, მაგრამ საქმის მსვლელობა და შექმნილი პოლიტიკური ვითარება საკმაოდ ნათელ სურათს იძლეოდა. ამასთან დაკავშირებით ილია წერს: „...ვისაც იმედი აქვს მოედნიდამ ბურთის გატანისა, იღწვის, რომ ამ საქმემ ფეხი აიდგას და მით იძულებული ჰყოს ევროპა — თავისი სახელმწიფოები ერთმანეთში სხვა რიგად შეჰკრას და სხვაგვარი დამოკიდებულება აუჩინოს"[13].

---

[11] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. კრეტის ახალი აშლილობა და ოსმალეთის საკითხი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 147.

[12] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 147—148.

[13] გაზ. „იერია", № 245, თბ., 1895.

ილია ღრმად ჩასწვდა ბერლინის, ვენის, ლონდონის და პარიზის დიპლომატთა ეგოისტურ ზრახვებს, საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა მათ ძირითად მიზნებს და დასახულ პრობლემებს, რომელთა ფონზედაც კრეტა და საბერძნეთი უბრალო სათამაშოებად მიიჩნია. ილია თავის დროზე კარგად გაერკვა იმაში, რომ კრეტის საკითხებით აღმოსავლეთის საქმის გამწვავება თვით ევროპის დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს შეადგენდა, რომ თითოეული მათგანი აქედან ხეირს ელოდებოდა. მისი აზრით გერმანიას, მიუხედავად თურქეთთან „მეგობრობისა", საქმის გართულება იმიტომ სურდა, რომ თავის უშუალო მოწინააღმდეგეების, რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული სამხედრო კავშირი დაერღვია და, თუ ამას ვერ შეძლებდა, აღმოსავლეთში მათ შორის უთანხმოება მაინც ჩამოეგდო. ინგლისს, თვითონ სურდა კრეტაზე გაბატონება და თავის მხრივ აღნიშნულ რეგიონში ძლიერი კონკურენტების მოსალოდნელი გაჩენა ადარდებდა და ყოველნაირად ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა გერმანია-ავსტრია-უნგრეთის და რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო პოლიტიკური ბლოკები. ამიტომ იყო, რომ ევროპის ძლიერი სახელმწიფოები ასე საგულდაგულოდ ნიღბავდნენ თავიანთ ნამდვილ მიზნებს და, მართალია სიტყვით თურქეთის ინტერესებს იცავდნენ, საბერძნეთს მაინც აქეზებდნენ და ამით აღმოსავლეთის საკითხს კიდევ უფრო ამწვავებდნენ. ყოველივე გამოთქმულის შესახებ ილია წერს: „წამქეზებლობა საბერძნეთის ტრფიალით კი არ მოსდით, ...არამედ სულთაძვრა საბერძნეთის ერისა, მისი ზნემაღალი მოვალეობა თავის სამშობლოს და მოძმეთა წინაშე — შეექმნებოდა ზოგიერთ სახელმწიფოს იმედად, რომ, იქნება, ამით აღმოსავლეთის საქმემ მთელ თავის სიგრძე-სიგანეზე იფეთქოს და ევროპა აირდაირიოს, გამეგობრებულნი ერთმანეთს გადაამტეროს, მტერნი დაამოყვროს და ამ სახით საცა წვრილია, იქ გაწყდეს ძაფი ეხლანდელის კავშირისა"[14]. „მათო — შენიშნავს ევროპის მბრძანებელთა მისამართით ილია, — თავისი პოლიტიკის ნასკვის გამოხსნა სწადიან, გაჭირვებისაგან გამოსვლა,

---

[14] ი. ჭავჭავაძე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 147.

ერთის სიტყვით თავისი ინტერესები ამოქმედებს"[15]. სწორედ ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირებით და ამ „შექმნილი ხელსაყრელი ვითარებით", მართლაც ისარგებლა საბერძნეთმა და მოძმეთა დასახმარებლად მოხალისენი გადასხა კუნძულზე. საბერძნეთის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა საბოლოოდ გამოააშკარავა „ევროპელი მეგობრების" ნამდვილი ზრახვები, როდესაც ინგლისის ინიციატივით დაუყოვნებლივ იქნა განხორციელებული რამდენიმე ქვეყნის სამხედრო ხომალდების მიერ კრეტის ბლოკადა[16], რითაც ევროპელმა წამქეზებლებმა აჯანყებულ კრეტელებს დათვური საშსახური გაუწიეს და იგი თურქ მტარვალთა პირისპირ დატოვეს.

ილია ჭავჭავაძე. ევროპის სახელმწიფოთა ამ უსამართლო ღონისძიებას შემდეგნაირად აფასებდა: „დიდი ვაჟკაცობა არ უნდოდა, რომ თითქმის მთელ ევროპას ასე დაეჩაგრა პაწია საბერძნეთი, და არცა გვგონია, რომ ეს ამბავი დიდი თავ მოსაწონებელი და სასახელო იყოს იმ დიდ კრებულისათვის, რომლის თვითეულ წევრს, ცალკე საბერძნეთი ყლაპადაც არ ეყოფა, როგორც ვეშაპს — ბუზი"[17]. ამავე დროს ილიას ისიც კარგად ესმოდა, რომ ევროპის დიდი ქვეყნები არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდნენ თურქეთის ხარჯზე რომელიმე მისი მეზობლის, ამ შემთხვევაში— საბერძნეთის გაძლიერებას, რადგანაც ბალკანეთში ძალთა თანაფარდობის დარღვევა, არც ინგლისისა და საფრანგეთის და, არც გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის ინტერესებს არ შეესაბამებოდა.

ილიას მოხდენილი შენიშვნით, ამ სახელმწიფოებმა „ნახეს ირღვევა კედელი, ხელდახელ შელესეს სხვისა და თავის-თავის მოსატყუებლადო"[18], რითაც კრეტის ამბებით გამოწვეული საერთაშორისო გართულება მახლობელ აღმოსავლეთში მართალია

---

[15] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9. თბ., 1957, გვ. 149.

[16] ჟურნ. „კვალის" მიხედვით (თბილისი, 1897, № 10, გვ. 279). კრეტის ბლოკადაში მონაწილეობდა ინგლის-საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის და რუსეთის 110 სამხედრო ხომალდი.

[17] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 150.

[18] ი ქ ვ ე.

დროებით, ზედაპირულად შეანელეს, მაგრამ ამით ის საბოლოოდ მაინც ვერ მოაგვარეს. „პაემანი ქარცეცხლის ატეხისა გადაიდვა,— შენიშნავს ილია, მაგრამ ცეცხლი მაინც არ დაიშრიტა, ისევ იმ თივაშია დამალული, რომელსაც აღმოსავლეთის საქმეს ეძახიან"[19]. ილიამ კარგად იცოდა, რომ საბერძნეთის წინააღმდეგ გამოსვლით მართალია, ევროპამ თურქეთს კიდევ ერთი სამსახური გაუწია, მაგრამ მას მაინც სჯეროდა, რომ ასე ხელოვნურად იმპერია დიდხანს ვერ იარსებებდა, რომ „დღენი ოსმალოს ხელმწიფოებისა ევროპაში დათვლილია, დღეს არა, ხვალ იგი დადნება, ვითარცა შარშანდელი თოვლი, ხოლო სამკვიდროს გასანაწილებლად და გასაყოფად მზად არ არიან და სცდილობენ ეს საქმე გასჭიმონ იქამდე, ვიდრე შესაძლო იქნება რიხით და ზარით მივიდნენ და თავისი ნაწილი უკლებლივ მოიჭრან ოსმალოთაგან დაშთენილი სამკვიდროსაგან"[20].

ევროპის ზემოთ აღნიშნული ქვეყნების მიერ საბერძნეთის წინააღმდეგ წარმოებული ერთობლივი სამხედრო პოლიტიკური ღონისძიებების მიუხედავად, ი. ჭავჭავაძე კარგად ამჩნევდა რა კრეტის საკითხში მათ შორის არსებულ არაერთსულოვნებას და განხეთქილებას, ღრმად იყო დარწმუნებული კუნძულის მოსახლეობის სამართლიანი ბრძოლის წარმატებებში. იგი ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა მთელ რიგ კონკრეტულ-ისტორიულ მაგალითებზე და წერდა, „ინგლისი ეგვიპტეში დასკუპდა მთელი ევროპის წინააღმდეგ: ევროპამ პროტესტი გამოაცხადა და დაჩუმდა. ავსტრია-ვენგრიამ დაიჭირა ჰერცოგოვინა და ბოსნია, კიდევ წინააღმდეგ მთელი ევროპის განაჩენისა; ეს შერჩა ავსტრო-ვენგრიას და ევროპამ პროტესტი გამოაცხადა და დაჩუმდა, ბოლგარეთსაც ბევრი თითი უქნიეს, მაგრამ აიღო და რუმელია დაიჭირა, აქაც ევროპამ პროტესტი გამოაცხადა და დაჩუმდა. რასაკვირველია, რომ საბერძნეთმაც დაიჭიროს კრეტი და ევროპამ კიდევ თავისი პრო-

---

[19] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 150.

[20] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახელებული წერილი, თხზ. სრული კრებული, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 149.

ტესტი გამოაცხადოს და დაჩუმდეს"[21], მართალია კრეტის გამო თურქეთთან ატეხილ ომში საბერძნეთი დამარცხდა, რომელიც იძულებული შეიქნა გაესწორებინა თესალიის საზღვრები და გამარჯვებული ოსმალეთისათვის გადაეხადა 4 მილიონი თურქული გირვანქა, მაგრამ ილიას ვარაუდი ნაწილობრივ მაინც გამართლდა. რუსეთის დიდი მეცადინეობის წყალობით, თურქეთიც თავის მხრივ დათმობაზე წავიდა საბერძნეთის წინაშე და კრეტას მიანიჭა რა ავტონომია, მის გამგებლად ცნო არა თურქეთის რომელიმე ფაშა-გუბერნატორი, არამედ ნიკოლოზ II-ის ნათესავი და საბერძნეთის ქრისტიანი — პრინცი გეორგი[22]. ამით, როგორც რუსი კორესპონდენტი ვ. შუფი შენიშნავს „ახლა უკვე დამარცხებულ საბერძნეთს, რომლის დანაკარგიც ჩვენი დიპლომატიის წყალობით მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, შეუძლია დარწმუნდეს რუსეთის მიმართ კეთილგანწყობილებაშიო[23].

ასეთი შეფასება მისცა ილია ჭავჭავაძემ კრეტის მოსახლეობის გმირულ ბრძოლას თურქი დამპყრობლების და მათი დამქაშების წინააღმდეგ. მის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი ქართველობამ საფუძვლიანად შეითვისა და მომავალ თაობებს სამემკვიდრეოდ დაუტოვა. აი რას წერდნენ ამის შესახებ ჯერ კიდევ 1897 წელს ილია ჭავჭავაძეს პეტერბურგიდან ქართველი სტუდენტი ახალგაზრდები: „ჩვენ გვესმის თქვენი ფიქრები და მოსაზრებანი; მართალია ჩვენ, როგორც ახალგაზრდები, გატაცებულნი კეთილისადმი სიყვარულით, იმდენად არ განვარჩევთ ენას და სხვა, თანავუგრძნობთ და ვმოქმედებთ ყოველივე პატიოსანი საქმისადმი, რისთვისაც უნდა იყოს იგი. მხოლოდ იმას კი ვფიქრობთ, რომ ეს დღევანდელი შემთხვევა შეგვეხებოდეს ჩვენ,

---

[21] დასახელებული სტატია, გვ. 149.

[22] კრეტის ქრისტიანი გუბერნატორის გეორგის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს რუსეთთან ერთად, საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ. იხ. АВПР გრაფ მურავიოვის დეპეშა, კონსტანტინოპოლში საიდუმლო მრჩევლის ზინოვიევისადმი, 24—25. XI. Канцелярия, ф. Константинополь, 1897, дело 988, л., 106.

[23] Шуф В. На востоке. Записки корреспондента о Греко-Турецкой войне, СПб., 1897, стр. 222.

როგორც ქართველებსაც, — საბერძნეთის უფლების და მისადმი ჩვენ მიერ თანაგრძნობის წერილის გაგზავნას ვთვლით დაჩაგრული სამშობლოს საქმედ, თუმცა არა პირდაპირ"[24].

[24] საქართველოს ცენტრალური საისტორიო სახელმწიფო არქივი, ფ. 481. ამონაწერი I, საქ. 25, ფურც. 5.

დასკვნა

ქართველ სამოციანელთა იდეურ-პოლიტიკური ლიდერი, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი, დიდი ილია ჭავჭავაძე, თავის დროზე საკმაოდ ვრცლად გამოეხმაურა ჩაგრულ ხალხთა (უპირატესად ევროპის კონტინენტზე) ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ილია პროფესიონალი ისტორიკოსი არ გახლდათ, მან თავისი ენციკლოპედიური განათლების, შესაშური შრომისმოყვარეობის და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე სერიოზული დაკვირვების წყალობით, შეძლო ნათლად გარკვეულიყო დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების, როგორც საგარეო, ასევე საშინაო ცხოვრების რთულ დინამიკაში. მართალია იგი ბოლომდე ვერ ჩასწვდა ანტაგონისტური კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსს, მაგრამ ერთი კი ცხადია, მან მშრომელთა უკიდურესი მდგომარეობისა და ჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებზე მუშაობისას საჭიროდ ჩათვალა პასუხი მოეძებნა მის ეკონომიკურ საფუძვლებში. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ილიამ წინ წამოსწია ხალხის მასების როლი და ის მიიჩნია ისტორიული პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

სწორედ ამ კუთხით გააშუქა ი. ჭავჭავაძემ ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთელი კომპლექსი მისი ადრეული ეტაპიდან, ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ჩათვლით. იგი ინგლის-ირლანდიის პოლიტიკური ისტორიის განხილვასთან ერთად, ვრცელ ანალიზს უკეთებს ეკონომიკურ ურთიერთობას ამ ორ ქვეყანას შორის, კერძოდ ინგლისური მიწათმფლობელობის წესის უარყოფით გავლენას ადგილობრივ სამიწათმოქმედო ურთი-

ერთობაზე. აღსანიშნავია, რომ ინგლისელთა მიერ ეკონომიკურად დაპყრობამ გაცილებით უარესად იმოქმედა ირლანდიის მოსახლეობაზე, ვინემ კოლონიზატორთა მიერ ცეცხლი და მაუვილის გამოყენებამ. ირლანდიელთა უუფლებო, უმიწაწყლო და კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნის კიდევ ერთ მიზეზს ილია ხედავს ინგლისის მიერ ირლანდიის სულიერ დაკაპალებაში. ე. ი. ინგლისის მიერ გატარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებებთან ერთად ის ხაზს უსვამს პროტესტანტული, ანუ ინგლისური სარწმუნოების მატარებელთათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მიცემას, კათოლიკური მოძღვრების მიმდევარ ირლანდიელებთან შედარებით.

მეტად საინტერესოდ განიხილავს ილია ჭავჭავაძე წარმოების კაპიტალისტური წესის შეჭრას ირლანდიაში და მისგან გამოწვეულ მნიშვნელოვან ცვლილებებს ირლანდიის სოციალურ ყოფასა და საზოგადოებრივ-კლასობრივ სტრუქტურაში. მისი თქმით, თუ ინგლის-შოტლანდიაში კაპიტალიზმმა გაცილებით ადრე მოიკიდა ფეხი და ჭარბი მუშახელის დასასაქმებლად თავის დროზე იქ უკეთესი მდგომარეობა იყო, აგრარულ ირლანდიისათვის კი, სადაც ხალხის არსებობის ერთადერთ საშუალებას კვლავ მიწათმოქმედება წარმოადგენდა, სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა შეჭრა უბედურების კიდევ ერთ ფაქტორად იქცა. ინგლისის მრეწველობისათვის ირლანდია გადაიქცა იაფი და გამოუსულელი რაოდენობის სამუშაო ძალის ძირითად წყაროდ, კაპიტალიზმი ირლანდიას მოევლინა დედინაცვლის სახით.

ამდენად, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში ირლანდიაში შექმნილმა მდგომარეობამ, ილიას მოსაზრებით, ხელი შეუწყო ამ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპის დასაწყისს.

ილია ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს ირლანდიელ პატრიოტთა მიერ საფრანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკასთან კავშირის დამყარების ცდაზე და 1798 წლის აჯანყების შედეგებზე, რამაც უდიდესი მნიშვნელობა იქონია ირლანდიელთა რევოლუციური ორგანიზების საქმეში. იგი ამავე დროს ხაზს უსვამს დანიელ ო. კონნელის მიერ დაარსებული „კათოლიკური საზოგადოების“, „რი-

პაელთა" ორგანიზაციის და განსაკუთრებით „ფენიელთა" საზოგადოების ანტი-ინგლისური მოქმედების მნიშვნელობას და მათი მოღვაწეობის მთელ რიგ ჩრდილოვან მხარეებთან ერთად სანიმუშოდ აღწერს მასში ყოველივე სასარგებლოს და მისაბაძს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ირლანდიის ტრაგიკული ისტორიის შესახებ დაწერილ წერილებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ილიას შეხედულებებს ერთი მხრივ, ჩარლზ პარნელის მიერ დაარსებული „ჰომრულისტთა" პარტიასა და მაიკლ დევიტის „მიწის ლიგის" ორგანიზაციის მოღვაწეობის, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისის ლიბერალთა პარტიის და უილიამ გლადსტონის ირლანდიური პოლიტიკის შესახებ. ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხების გააზრების პროცესში ილია ზედმეტი ქება-დიდებით მოიხსენიებს ინგლისის ლიბერალთა ლიდერის უილიამ გლადსტონის მოღვაწეობას, მაშინ როდესაც იგი ინგლისის ძლიერებისათვის უფრო იღვწოდა, ვინემ ირლანდიელი ხალხის კეთილდღეობისათვის. ასევე გაზვიადებულია ირლანდიელ ჰომრულისტთა და ჩარლზ პარნელის საქმიანობის შეფასებაც. ამავე დროს ილია თითქმის არაფერს ამბობს მათი მოქმედების ჩრდილოვან მხარეებზე და რაც მთავარია, თითქმის ყურადღების მიღმა სტოვებს „მიწის ლიგის" ორგანიზაციის როლს ირლანდიელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროცესში. როგორც ცნობილია, აღნიშნული ორგანიზაციის წევრები, ჰომრულისტებისაგან განსხვავებით, არ მიდიოდნენ ინგლისელ ლიბერალებთან არავითარ კომპრომისზე, ისინი რევოლუციური გზით ცდილობდნენ მიწის ხელში ჩაგდებას და ირლანდიიდან კოლონიზატორთა განდევნას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ იმის უფლებაც არა გვაქვს ილიას ბრალი დავდოთ იმაში, თითქოს იგი ვერ ხედავდა ჰომრულისტთა მოღვაწეობის ჩრდილოვან მხარეებს, პირიქით, მისთვის ყოველივე ნათელი იყო, იგი არა თუ მის კრიტიკას, თვით გლადსტონის კრიტიკასაც კი ერიდებოდა შეგნებულად. ილიას აზრით, ამ ეტაპზე საქართველოსაც ირლანდიის მსგავსად თვითმმართველობა ესაჭიროებოდა და ამიტომაც მეფის მთავრობის წინაშე მსგავსი მოთხოვნით გამოსვლა მას უფრო გამართლებულად მიაჩნდა,

ვიდრე მიზნის მიღწევა ტერორისტული აქტებითა და იარაღის გამოყენებით.

ასეთივე პოზიციიდანაა ილია ჭავჭავაძის მიერ გაშუქებული ავსტრია-უნგრეთის დუალისტური იმპერიის შინაგანი წინააღმდეგობებიც. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია-უნგრეთის გერმანულ და უნგრულ გაბატონებულ ზედაფენასა და მათ ქვეშევრდომ სლავურ მოსახლეობას შორის ურთიერთობის გამწვავება უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური მოტივით იყო განპირობებული, ილიას ამ მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ღერძად სამართლიანად მიიჩნია ეროვნული საკითხი. ამიტომაც მან ყურადღება სწორედ იმპერიის ჩაგრულ ხალხთა კულტურულ-ეროვნულ აღორძინებას მიაქცია.

ეროვნული საკითხის სიმწვავის ძირითად მიზეზად მან სავსებით სამართლიანად აღიარა სლავი ხალხების (ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები, უკრაინელები და სხვა) უუფლებო მდგომარეობა. მათი მედგარი ბრძოლა ეროვნული მეობისათვის, თვითმმართველობისათვის — უნგრეთის მსგავსად, ეროვნული ენების თანასწორუფლებიანობისათვის გერმანულ და უნგრულ ენებთან. ყოველივე ზემოთ ნათქვამი ილიამ განსაკუთრებით კარგად შეაფასა ჩეხური აღორძინების, ჩეხთა ბრძოლის მაგალითზე. ჩეხური აღორძინება, ჩეხი ხალხის (ეროვნულ-ლიბერალური პარტიის ე. წ. „მლადჩეხების“) მეთაურობით ბრძოლა ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის, მან სანიმუშო და მისაბაძ მაგალითად მიიჩნია პროგრესული ქართველი ახალგაზრდობისათვის.

ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე მეტად საინტერესო მოსაზრებანი განავითარა ებრაელთა ისტორიული ბედისა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მათი მდგომარეობის შესახებ. ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მცდარი აზრის საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც თითქოს ებრაელები ოდითგანვე სხვა სარწმუნოების მიმდევართა მოძულენი ყოფილიყვნენ და მათ ერთადერთ საქმიანობას კი ვაჭრობა, „პატიოსან ქრისტიანთა ხარჯზე“ გამდიდრება წარმოადგენდა, ილიამ მთელ რიგ წყაროებსა და ლიტერატურაზე დაყრდნობით ქართველ მკითხველს მოუთხრო როგორც ებრაელთა კულტურის შესახებ, ასევე იმ ეკონომიკურ და პოლი-

ტიკურ ფაქტორებზედაც, რომელთაც განაპირობეს ერთდროს მიწათმოქმედი ხალხის უმიწაწყლო, ქალაქებში თავშეფარებულ, ვაჭრობა-ხელსაქმეობით თავის მრჩენელ და ქრისტიანთა მიერ დევნა-შევიწროების ობიექტად ქცევა.

ებრაელთა საკითხით ილიას დაინტერესება განპირობებული იყო იმით, რომ მას სურდა ქართველი მკითხველისათვის ეჩვენებინა ამ ხალხის მდგომარეობის სხვადასხვაობა საქართველოსა და მის ფარგლებს მიღმა, კერძოდ ევროპის ქვეყნებში და რუსეთში. დიდმა ქართველმა მოაზროვნემ, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის ყოველგვარი ფორმების შეურიგებელმა მტერმა, ებრაელთა მძიმე ხვედრი და ტრაგიკული ისტორია გააშუქა სწორედ სოციალური და ეროვნული ასპექტით. მან წინ წამოსწია მათი დევნა-შევიწროების ეკონომიკური საფუძველი, თანაც სათანადო ადგილი დაუთმო რელიგიურ მოტივსაც.

ილიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ყველა იმ მიზეზსა და გარემოებას, რომელთაც განაპირობეს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში მათი შედარებით ადამიანური ცხოვრება, როგორც შუა საუკუნეებში, ასევე ახალ პერიოდში. იგი უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ, თუ ებრაელებს ევროპის სახელმწიფოებში მიწის საკუთრებაში ქონების უფლება არ გააჩნდა და ამდენად არსებობისათვის მათ ვაჭრობა-ხელოსნობისათვის უნდა მიემართათ, საქართველოში კი პირიქით, ებრაელთა დიდი რაოდენობა მიწათმოქმედებას მისდევდა, ებრაელი და ქართველი გლეხი ქმნიდა ერთ სოციალურ კატეგორიას, ამასთან ერთად საქართველოში ისინი ქრისტიანული რელიგიისაგან არ განიცდიდნენ ევროპის მსგავსად შევიწროებას, (ამის უამრავი დოკუმენტი არსებობს ქართულ ისტორიულ წყაროებში), რის შედეგადაც შემდგომში მათ შეითვისეს ბევრი ის წეს-ჩვეულება, რაც ქართველთათვის არის დამახასიათებელი.

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ყოველივე არ ნიშნავს იმას, თითქოს ებრაელებს საქართველოში რამდენადმე მაინც არ ავიწროებდნენ. ილია მართალია ხაზგასმით არ აღნიშნავს ამის ფაქტებს, მაგრამ მას კარგად ესმოდა რომ, ისევე როგორც ყველა მშრომელი კლასობრივ საზოგადოებაში, ებრაელებიც აწყდებოდ-

ნენ გარკვეულ წინააღმდეგობებს, მაგრამ ერთი კი აშკარაა, რომ არა ისეთს და იმ სახით, როგორც ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში.

საყურადღებო შეხედულებები განავითარა ილია ჭავჭავაძემ ოსმალეთის იმპერიის მემკვიდრეობისათვის ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დაინტერესებისა და ამ იმპერიის ქვეშევრდომი ეროვნულ უმცირესობათა განმათავისუფლებელი ბრძოლის პრობლემების შესახებ.

ილიამ კარგად შეისწავლა მეფის რუსეთის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და ავსტრია-უნგრეთის მმართველი წრეების კონკრეტული მისწრაფებანი თურქეთის მიმართ და მათ შორის არსებული ურთიერთწინააღმდეგობანი მიიჩნია ამ რაიონში მუდმივი დაძაბულობის ძირითად მიზეზად.

მან ზუსტად შეაფასა რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში ბალკანეთის, ბოსფორისა და დარდანელის ადგილი. მიუხედავად აღნიშნული პოლიტიკის აგრესიული მიმართულებისა, 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და მისი შედეგები მან ობიექტურად პროგრესულ და ისტორიულად გამართლებულ მოვლენად მიიჩნია, რადგანაც იგი ბოლოს უღებდა თურქ ასიმილატორთა ხანგრძლივ ბატონობას ბალკანეთზე და საწინდარს წარმოადგენდა როგორც სლავების, ასევე იმპერიის შემადგენლობაში მცხოვრები სხვა ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი ეროვნული უმცირესობების განთავისუფლებისათვის.

ილია ჭავჭავაძის მიერ ისტორიული სინამდვილის შესატყვისად იქნა შესწავლილი ინგლისის კოლონიური პოლიტიკა თურქეთის მიმართ. მან ნათლად დაინახა ის გარემოება, რომ თუ XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ინგლისი წარმოადგენდა იმ ერთადერთ სახელმწიფოს, რომელიც თურქეთში ეკონომიკურად და პოლიტიკურად იყო გაბატონებული და აქედან გამომდინარე, მტკიცედ იცავდა კიდევაც მის მთლიანობას როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი (ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა) ძალებისაგან, უკვე 90-იანი წლების დასაწყისიდან გერმანიის გავლენის გაძლიერებამ თურქეთში იგი აიძულა რადიკალურად შეეცვალა თავისი პოლიტიკა და ეროვნულ უმცირესობათა წაქეზებით (სომხები,

კრეტის ბერძნული მოსახლეობა) პირველს დაეწყო ზრუნვა თურქეთის კიდევ უფრო დასასუსტებლად და ინდოეთისაკენ მიმავალ სახმელეთო გზაზე ერთპიროვნული ბატონობის მისაღწევად.

ილიამ ასევე კარგად გააშუქა გაძლიერებული გერმანიის კოლონიური პოლიტიკის ნიუანსებიც თურქეთში და მისი აშკარა დაპირისპირება, როგორც ინგლისთან, ასევე მთელ-რიგ საკითხებში რუსეთთან და საფრანგეთთან.

რაც შეეხება რუსეთ-საფრანგეთს, მიუხედავად ამ ორ სახელმწიფოს შორის დადებულ სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმებისა (1894 წ.), ფრანგები თურქეთში დაბანდებული კაპიტალის გადარჩენის მიზნით ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც აშკარად ჩანდა, რომ ისინი თითქოს იყვნენ არა რუსეთის, არამედ თავისი დაუძინებელი მტრის — გერმანიის მოკავშირე. ყოველივეს მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ საფრანგეთმა მხარი არ დაუჭირა ნელიდოვის პროექტს და წინ აღუდგა რუსეთის სამხედრო გემების შესვლას სრუტეების ზონაში.

ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა და სათანადოდ გააშუქა როგორც თურქეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარი ხალხების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და ახლად განთავისუფლებულ ბალკანურ სახელმწიფოთა მიერ ბერლინის კონგრესის უსამართლო გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გამოსვლა, ამავე დროს, მან მიუთითა ევროპის დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ჩაგრულ ხალხთა სამართლიანი ბრძოლის ხელშეწყობის ნაცვლად მათ მცდელობაზე აღნიშნული ბრძოლა გამოეყენებინათ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ.

ილიამ ბერლინის კონგრესის უსაპართლო გადაწყვეტილებების რღვევის დასაწყისად მიიჩნია 1885 წლის ბულგარეთის კრიზისი და დადებითად გამოეხმაურა ბულგარეთის მიერ ისტორიულად კუთვნილი აღმოსავლეთ რუმელიის შეერთებას. ილიამ საგანგებოდ აღნიშნა მომხდარი ფაქტის შედეგად გამოწვეული უარყოფითი რეზონანსი როგორც დასავლეთში (იგულისხმება მათი საერთო დაინტერესება არ დაეშვათ ბულგარეთის გაძლიერება და ბალკანეთში „Status quo"-ს დარღვევა), ასევე მეფის რუსეთში. ბულგარეთის

საკითხში მეფის მთავრობის პოლიტიკის შეცვლის ძირითად მიზეზად ილიამ სამართლიანად მიიჩნია, ბულგარეთის მიერ თავისი მხსნელი რუსეთის გავლენიდან გამოსვლა და ალექსანდრე ბატენბერგელის მთავრობის მიერ პროგერმანული ორიენტაციის აღება.

ილია ჭავჭავაძემ განსაკუთრებული მსჯელობის საგნად აქცია თურქეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანი სომეხი მოსახლეობის ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მან ამხილა სულთანის ხელისუფალთა მიერ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებათა უგულებელყოფა და მათი მისწრაფება. გაენადგურებინათ სომეხთა ის დიდი ნაწილი, რომლის ასიმილაცია და ძალით გამაჰმადიანება ვერ მოახერხეს. 1893 — 1896 წლებში სომეხთა გამოსვლებთან დაკავშირებით, ილიამ საინტერესოდ აღწერა არა მარტო მათი გმირული ბრძოლის მომენტები, ამავე დროს რაც უფრო მთავარია, ცალ-ცალკე მიმოიხილა ევროპის დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონკრეტული დაინტერესება თურქეთის ტერიტორიით და მათ მიერ სომეხთა აჯანყების წახალისება მიიჩნია არა როგორც „ევროპულ კეთილშობილებად“, არამედ მათი კოლონიური სიხარბის კიდევ ერთ გამოვლინებად.

ი. ჭავჭავაძემ ჩათვალა სომხეთის ამბების უშუალო გაგრძელებად კუნძულ კრეტის ბერძნული მოსახლეობის მიერ შეიარაღებული აჯანყების დაწყება. იგი, თუ ერთი მხრივ, მიესალმა საბერძნეთის მიერ თანამემამულეთათვის, როგორც მატერიალურ, ასევე სულიერ დახმარებას, მეორე მხრივ, ილიამ აშკარად დაგმო ევროპის სახელმწიფოთა მიერ საბერძნეთის შინაურ საქმეებში ჩარევა, კრეტის ბლოკადის განხორციელებით თურქეთისათვის საშუალების მიცემა მარტოდ-მარტო გასწორებოდა პატარა კუნძულს. ამით ილია ჭავჭავაძემ მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სიხარბე, ამხილა მათ მიერ, როგორც ახლად განთავისუფლებულ ბალკანეთის მცირე სახელმწიფოების, ასევე თურქეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანი ხალხების ინტერესების განწირვა, ე. ი. თურქეთის იმპერიის მთლიანობის ხელოვნურად დაცვით, ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის წინააღმდეგ გამოსვლა.

ამრიგად, ილიას მიერ თავის შესანიშნავ წერილებში გაკეთებული დასკვნები ძირითადში ისტორიული სინამდვილის შესატყვისია. მაგრამ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საკვლევი სფეროდან აღძრული ყველა პრობლემა თუ ცალკეული საკითხი, ილიას მიერ არ ყოფილა გაშუქებული თანაბარი სიღრმით და ისტორიული თანამიმდევრობით, აქა-იქ შეინიშნება ფაქტობრივი მასალისა თუ ისტორიოგრაფიული მონაცემების სიმცირე ან მიღებული დასკვნების არაერთგვარობა. ადგილი აქვს კონკრეტული ისტორიული სინამდვილიდან უმნიშვნელო გადახვევის ფაქტებსა და ზოგიერთ მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებებსაც. მაგრამ ყოველივე ამისათვის ბრალს ვერ დავდებთ ამ დიდ ეროვნულ მოაზროვნეს, მას ხომ სპეციალური ისტორიული ტრაქტატები არ დაუწერია. მისი, როგორც ეროვნული მოღვაწისა და მოწინავე პუბლიცისტის ამოცანა იყო გაეცნო ქართველი მკითხველი მასისათვის საზღვარგარეთული ქვეყნების მიმდინარე პროცესები და შეეყვანა იგი საერთაშორისო ურთიერთობის რთული დინამიკის არსში და მით აემაღლებინა მისი იდეურ-პოლიტიკური დონე, გაეფართოებინა მისი გონებრივი ჰორიზონტი.

ზემოთ ნახსენები ზოგიერთი ხარვეზი კი უფრო ეპოქის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ და არა ილიას შეცდომად (ილიას არ შეეძლო ყველაფერზე თავისუფლად წერა).

ცნობილია, რომ თავის დროზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ამა თუ იმ წინამორბედი ისტორიული მოღვაწის შეფასებისას საჭიროდ თვლიდნენ თანამედროვე მოთხოვნებთან ერთად, იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებასაც, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „ეკონომიკური რომანტიზმის დახასიათებისათვის“, ეკამათებოდა რა ფრანგ ეკონომისტ სისმონდის, მოგვცა ისტორიული მოღვაწის დამსახურების სწორუპოვარი შეფასება. „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით — წერდა იგი, — თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ იმის მი-

ხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით"[1].

ვ. ი. ლენინის ეს სახელმძღვანელო მითითება სავსებით მიესადაგება ილია ჭავჭავაძის ისტორიულ დამსახურებას. მისი ნააზრევი ჩვენთვის საინტერესო სფეროში, სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა იქნეს შეფასებული.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ეკონომიური რომანტიზმის დახასიათებებისათვის, IV გამ. ტ. 2, გვ. 217.

შინაარსი

შესავალი 3

თავი I. ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის . . . 23

§ 1. ინგლის-ირლანდიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა XI—XIX საუკუნეებში . 30

§ 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნის ირლანდიაში 47

თავი II. სლავური აღორძინება 72

თავი III. ებრაელთა საკითხი . 89

თავი IV. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა თურქეთის იმპერიაში და ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბრძოლა მისი მემკვიდრეობისათვის (XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლო — 00-იანი წლების მეორე ნახევარი) 109

§ 1. ბულგარეთის კრიზისი 131

§ 2. სომხეთის საკითხი 136

§ 3. კრეტის აჯანყება 151

დასკვნა 162

გამომცემლობის რედაქტორი მ. გოგოლაძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდღაშვილი
კორექტორი ც. მოლოდინი

სბ 1426
გადაეცა წარმოებას 9. 11. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 02. 88.
უე 07832. საბეჭდი ქაღალდი № 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 10, 75. სააღრ.-საგამომც. თაბახი 8, 57
ტირაჟი 2000. შეკვეთის № 1444.
ფასი 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

Пираниашвили Паата Валерьянович

ВОПРОСЫ НАЦИОНАЛЬНО-ОСВОБОДИТЕЛЬНОГО ДВИЖЕНИЯ В ТВОРЧЕСТВЕ ИЛЬИ ЧАВЧАВАДЗЕ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1988